განათლება

რედაქტორი: თემურ ჯაგოდნიშვილი
თანარედაქტორი: რაფაელ გუზმან ტირადო

GANATLEBA

Georgian Technical University
Georgian Academy of Education Sciences

Editor: Temur Jagodnishvili
Coeditor: Rafael Guzman Tirado

№ 2 (37) 2022

ISSN 2346-8300
DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

განათლება

GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

2(37)
2022

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით

(ოქმი №7)

№ 2(37), 2022 წელი

რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თანარედაქტორი რაფაელ გუსმან ტირადო — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

საredaქციო კოლეგია:

ლია ქათამაძე — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლია მენთეშაშვილი — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ანზორ აბრალავა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირაკლი გაბისონია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი გაგოშიძე — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

ქეთევან გიორგობიანი — ფაკულტეტის სწავლული მდივანი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გელა ყიფიანი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ელისაბედ ხახუტაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ივანე ჯაგოდნიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვახტანგ მაღრაძე— პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზურაბ გამეზარდაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლია მეტრეველი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ბონდარენკო — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თეა ცომაია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ხოხობაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ჯავახიშვილი — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტატიანა მეგრელიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი ხუხუნი — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ირჟი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)

სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

გალინა ტროფიმოვა — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი)

რედაქცია: თემურ ჯაგოდნიშვილი

რაფაელ გუსმან ტირადო

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები

მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

web-გვერდი: https://gtu.ge/Journals/newsletters/

ელ-ფოსტა: **ganatleba2018@gmail.com**

ISSN 2346-8300

DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№ 2(37), 2022

Editor – Temur Jagodnishvili, Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Coeditor – Raphael Guzman Tirado – Professor, University of Granada (SPA)

Sub-editor – Zurab Chachkhiani, Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

EDITORIAL BOARD:

Lia Katamadze – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University
Lia Menteshashvili – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences
Anzor Abralava – Professor, Georgian Technical University
Irakli Gabisonia – Professor, Georgian Technical University
Giorgi Gagoshidze – Professor, Georgian Technical University. Full member of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician
Gela Kipiani – Professor, Georgian Technical University
Elisabeth Khakhutashvili – Associate professor, Georgian Technical University
Ivane Jagodnishvili– Professor, Georgian Technical University
Vakhtang Magradze – Professor, Georgian Technical University
Zurab Gamezardashvili– Professor, Georgian Technical University
Lia Metreveli– professor, Georgian Technical University
Tamar Bondarenko – Associate professor Georgian Technical University
Tea Tsomaia– professor, Georgian Technical University
Tamar Khokhobashvili – Professor, Georgian Technical University
Niko Javakhishvili – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tatiana Megrelishvili – Professor, Georgian Technical University
Giorgi Khukhuni –Professor, Lingvistic University of Moscow
Jiri Klapka – professor, Karlos University (CZE)
Tomas Schmidt – Professor, University of Bern (SUI)
Cecilia Ode – University of Amsterdam (NED)
Galina Trophimova – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS)

Editor office: Temur Jagodnishvili,
Raphael Guzman Tirado

Technical editor: Asmat Pipia

The authors are responsible for the accuracy of the facts in the article

Adress: 0160, Tbilisi, str. Kostava 77, GTU
TEL.: (032) 236 57 07
web-said's adress: http://gtu.ge/Journals/newsletters
e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300
DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

შინაარსი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 წლისაა

ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი 11

ჩვენი იუბილარები

გივი ინანიშვილი 85 წლისაა 15

განათლების მეცნიერებანი

ავთანდილ ასათიანი, რევაზ ძნელაძე, ქეთევან სოლომნიშვილი
ერთი საუნივერსიტეტო საგნის სწავლებისათვის დოქტორანტურაში 17

მარიამ თაგზარაშვილი, ლელა კოჭლამაზაშვილი
განათლების მნიშვნელობა ადამიანისათვის 23

მაია გელაშვილი
დისტანციური სწავლების გავლენა სასკოლო საზოგადოებაზე 27

ჟურნალისტიკა

ქეთევან გოთრგობიანი
თურქეთის ტელევიზია 32

ანა ბეჟაშვილი
ინტერნეტის, როგორც გლობალიზაციის ნაწილი და მისი გავლენა
კულტურის განვითარებაზე 37

ნინო ზარიძე
კრიმინალის გაშუქება ქართულ მედიაში 41

რუსუდან ლორთქიფანიძე, თამრიკო მულაძე
ნეგატიური ინფორმაციის შემცველი დეტალების გავლენა მენტალობაზე 44

ეკონომიკა და ბიზნესი

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასმათ ფიფია
ჰოლისტიკური მარკეტინგი და ეკონომიკა 48

მურად ფახურიძე
პერსონალის მართვის ეფექტურობა საჯარო სკოლებში 54

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

რუსუდან გოგიბერიძე
წრფივი პროგრამირების ძირითადი ამოცანები 58

ისტორიის მეცნიერებები

მზია წიკლაური
მეურნეობის ტრადიციული ფორმები პირიქითა ხევსურეთში 70

ლევან თსიძე
ქართული აბაზრის განვითარების ისტორია 79

ნესტან გუგუშვილი
შიდა ქართლის ნამოსახლარების ჯურის საცხობი ღუმელები 83

ლალი წიქარიშვილი
თბილისის ამაღლება და გადაქცევა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრად 87

დათო ქარაზანიშვილი
ბლავშანფილეტის განვითარების ეტაპები 92

საერთაშორისო ურთიერთობები

ნუგზარ დურმიშიძე
მსოფლიო ტრაგედია და ტოტალიტარიზმის სრული მოდელი 95

ლევან თსიძე, მერაბ კილაძე
ნატოს თანამედროვე პოლიტიკა და რუსეთის უსაფრთხოების პრობლემები 103

ნატა გარაყანიძე
რუსეთ-უკრაინის ომი: გამოწვევები ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებისთვის 114

მაკა ბენაშვილი
პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი ბალტიის ქვეყნებში 123

სამართალი

ელისაბედ აფაქიძე, ანა ჩხეიძე
საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლების ურთიერთმიმართება ... 131

სოციალური მეცნიერებები

კონსტანტინე ბარაბაძე, თემურ ეკავოდნიშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის
საკომუნიკაციო არხები 137

ლია მეტრეველი, ია ალანია
სამართლიანობის იდეალი ჰუმანიზმის პერსპექტივით 143

თამარ ბაგრატია
სოციალური მოძრაობების შესწავლის თეორიული მიდგომები: ფრეიმების ანალიზი 149

ნანა ბეგაშვილი, მურად შონია
დემოგრაფიული მდგომარეობის განვითარების ტენდენციები
მსოფლიოსა და საქართველოში 154

მაია გელაშვილი
ლატვია, როგორც მრავალეთნიკური ქვეყანა 160

თამარ დავითულიანი, ვაჟა გურგენიძე
GR (კავშირი მთავრობასთან) ურთიერთობის თავისებურებანი 166

ვასილ კვაძე
ორგანიზაციული კონფლიქტების აღმოფხვრის გზები 170

ლია მეტრეველი, ეკა ნინოშვილი
ინკლუზიური განათლებიდან ინკლუზიურ საზოგადოებამდე 175

ირაკლი კალანდია, ლელა ბუსხრიკიძე
სუფრაჟიზმი და XIX-XX სს-ის გამოჩენილი ქართველი ქალები 180

სოფიო მაქესწარაშვილი
არასრულწლოვანთა დელეიქვენტური ქცევის ამხსნელი თეორიები 190

კახა კოპალიანი, თამარ სილაგავა
მოზარდთა დევიანტური ქცევა როგორც სოციალური პრობლემა 194

მარინე ბერძენაძე
ორგანიზაციებში მობინგის პრევენციისა და მინიმიზაციის ალგორითმი 199

CONTENT

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY – 100 YEARS OLD

Department Of Public Relations 11

Givi Inanishvili is 85 years old 15

EDUCATION SCIENCES

Avtandil Asatiani, Revaz Dzneladze, Ketevan Solomnishvili
For teaching one university subject in a doctoral program 17

Mariam Tavzarashvili, Lela Kochlamazashvili
Significance of education for a human 23

Maia Gelashvili
The effect of remotely learning on the school environment 27

JOURNALIZM

Ketevan Giorgobiani
Turkish Television 32

Ana Bejashvili
The Internet as part of globalization and its impact on cultural development 37

Nino Zaridze
Coverage of crime in the Georgian media 41

Rusudan lortqipanidze, Tamriko Muladze
The impact of details containing negative information on mentality 44

ECONOMICS AND BUSINESS

Elisabed Khakhutashvili, Asmat Pipia
Holistical Marketing and Economics 48

Murad Pakhuridze
Effectiveness of innovative personnel managemen in public schools 54

S C I E N C E S

Rusudan Gogiberidze
Basic Linear Programming Problems 58

HISTORY SCIENCES

Mzia Tsiklauri
Traditional forms of farming in Pirikita(Northern) Khevsureti 70

Levan Osidze
History of Georgian armor development 79

Nestan Gugushvili
Bread-baking kilns of Shida Kartli settlements 83

Lali Tsikarishvili
Raising Tbilisi and turning it into the political center of the Kingdom of Kartli 87
Dato Karazanishvili
Stages of armor development 92

INTERNATIONAL RELATIONS

Nugzar Durmishidze
World tragedy and the full model of totalitarianism 95

Levan Osidze, Merab Kiladze
NATO Modern Policy and Russia's Security Problems 103

Nata Garakanidze
Russia-Ukraine War: Challenges for EU Energy Security 114

Maka Benashvili
The issue of financing political parties in the Coalition countries 123

LAW

Elisabedi Apakidze, Ana Chkheidze
Interplay between international humanitarian and human rights law 131

SOCIAL SCIENCES

Konstantine Barabadze, Temur Jagodnishvili
Monetary Policy Communication Channels of the National Bank of Georgia 137

Lia Metreveli, Ia Alania
The ideal of justice from the perspective of humanism 143

Tamar Bagratia
The Theoretical Approaches to Study Social movements: Frame Analysis 149

Nana Begashvili, Murad Shonia
Demographic development trends in the world and in Georgia 154

Maia Gelashvili
Latvia as a multi-ethnic country 160

Tamar Davituliani, Vaja Gurgenidze
GR (Goverment Relation) Peculiarities Of The Relationship 164

Vasil Kavadze
Ways to eliminate organizational conflicts 168

Lia Metreveli, Eka Ninoshvili
From inclusive education to an inclusive society 175

Irakli Kalandia, Lela Busxrikidze
Suffragism and Prominent public Figures of the XIX-XX Centuries.....180

Sopio Mamestsarashvili
Explanatory theories of juvenile juvenile delinquency.....190

Kakhi Kopaliani, Tamar Silagava
Adolescent deviant behavior as a social problem 194

Marine Berdzenadze
Prevention and minimization of mobbing in organizations.....199

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 წლისაა

ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წინამორბედი – ფილოსოფიის კათედრა დაარსდა წინა საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში. ეს იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის (უნივერსიტეტის იმდროინდელი დასახელება) ერთ-ერთი ყველაზე დიდი კათედრა, რომელიც მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების ჩათვლით დაახლოებით 110 პედაგოგს ითვლიდა. ამ წლებში კათედრის დისციპლინებში შედიოდა ისეთი საგნები, როგორებიცაა ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ეთიკა, ესთეტიკა, ლოგიკა, ფილოსოფიის ისტორია, ქართული ფილოსოფიის ისტორია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომზადება და ა.შ. ამათგან რამდენიმე ზოგადსაუნივერსიტეტო საგანს წარმოადგენს.

გარდა ამისა, კათედრასთან ფუნქციონირებდა სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორია, სადაც დაახლოებით 15 თანამშრომელი მუშაობდა.

1962 წლიდან 1993 წლამდე, კათედრას ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი ვახტანგ გაგოიძე. ამ ღვაწლმოსილი მეცნიერისა და პედაგოგის სახელთან არის დაკავშირებული ტექნიკური ინტელიგენციის მრავალი თაობის აღზრდა. ფართო იყო მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, სოციოლოგია, მედიცინის ფილოსოფია და ეთიკა, ტექნიკის ფილოსოფია, მეცნიერების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ა.შ. ამასთან ბატონი ვახტანგი გამოირჩეოდა დიდი ორგანიზაციული ნიჭით.

90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში მიმდინარე კარდინალური გარდაქმნები ტექნიკური უნივერსიტეტის ცხოვრებაზეც აიხასა: შეიქმნა სრულიად ახალი ტიპის ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებების ფაკულტეტი,რომელსაც ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი ეწოდა და რომლის სათავეებთან იდგა უნივერსიტეტის იმდროინდელი ხელმძღვანელობა (რექტორი პროფესორი რამაზ ხუროძე) და ახლადშექმნილი ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ა. ცინცაძე და დეკანის მოადგილეები, პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი და პროფესორი გ. იაშვილი. ამ

დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები

ადამიანების თაოსნობით 1992 წლიდან ახალ ფაკულტეტზე გაიხსნა ბევრი ინოვაციური, სრულიად განსხვავებული სპეციალობა, ისეთები როგორებიცაა საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR-პიარი) სახელმწიფო მართვის მოხელე, ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკა, თარჯიმან-რეფერენტი, კონფლიქტოლოგია და სხვ., რომელთა ანალოგებიც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არ მოიპოვებოდა. ამ ფაკულტეტზე, რომელიც დაახლოებით 6000 სტუდენტს ითვლიდა, მოხვედრა და სწავლა ძალიან საამაყო და პრესტიჟული გახლდათ.

ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები უნივერსიტეტის ცხოვრებაზეც აისახა,1993 წლიდან ცვლილება ხდება ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის ცხოვრებაშიც. კათედრის ხელმძღვანელი ხდება პროფესორი ვანო ჭიაურელი, რომლის სახელსაც უკავშირდება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში სრულიად ახალი სპეციალობის – საზოგადოებასთან ურთიერთობის (პიარის) შემოტანა. ამ სპეციალობის შემოტანით კათედრა გახდა მაპროფილებელი.

1995 წლიდან საბაკალავრო, ხოლო 1999 წლიდან – სამაგისტრო პროგრამები აღნიშნული სპეციალობისა ხდება ძალიან პოპულარული, რაც გამოიხატა სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებაში. ამ წლებში საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 100 სტუდენტით განისაზღვრებოდა. ასეთივე მოთხოვნა იყო სამაგისტრო პროგრამაზეც. ამ სპეციალობის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი წარმატებით არის დასაქმებული საქართველოსა და სხვა ქვეყნებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მაგალითად,ამ სპეციალობის კურსდამთავრებულები არიანს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ნიკოლოზ სამხარაძე, „ბრიტიშ პეტროლეუმის“ BP-ის რეგიონალური ხელმძღვანელი, ნინო მელაძე, სტრატეგიული კომუნიკაციების სააგენტოს „პერიტუსის“ დამფუძნებელი ელდარ პირმისაშვილი, USAID-ის პროექტის „ჰარმონიის“ ხელმძღვანელი ბერდია ნაცვლიშვილი, „არქის“ კომუნიკაციების დირექტორი თორნიკე გურული და მრავალი სხვა. გარდა ამისა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალობის ორივე საფეხურისა და სადოტორო

დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვანო ჭიაურელი სტუდენტებთან

პროგრამის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი (7-8 პროფესორი) დღეს დასაქმებული არიან ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში და თავისი ახალგაზრდული შემართებით ცოდნას უზიარებენ სტუდენტებს. ასე რომ, დეპარტამენტში ახალგაზრდობისა და გამოცდილების კარგი სინთეზია. აქ ცოდნის გადაცემის მემკვიდრეობითობის პრინციპი დაცულია. ამ წლებში კათედრის თანამშრომლების მიერ გამოიცა მრავალი სტატია, სახელმძღვანელო, ლექსიკონი და სხვა პუბლიკაციები. მაგალითად, საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი პრინციპები (სახელმძღვანელო), ფილოსოფიის შესავალი (სახელმძღვანელო), სოციოლოგია (სახელმძღვანელო), ლოგიკა (სახელმძღვანელო), ფსიქოლოგია (სახელმძღვანელო), მარკეტინგის ტერმინთა ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და სხვ. ახალი,მაპროფილებელი სპეციალობის შემოტანასთან ერთად შეიცვალა კათედრის სახელწოდებაც - მას ჯერ დაერქვა ფილოსოფიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები

ამრიგად, დეპარტამენტი შედგება ორი ძირითადი მიმართულებისაგან: ფილოსოფია (ზოგადსაუნივერსიტეტო) და საზოგადოებასთან ურთიერთობა (მაპროფილებელი სპეციალობა). ორივე მიმართულებით დეპარტამენტში კვალიფიციური, თავის საქმეში შეყვარებული პროფესიონალებია დასაქმებული. უახლოეს მომავალში ორივე მიმართულებით იგეგმება მუშაობის გააქტიურება: ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამაზე მუშაობა და საზოგადოებასთან ურთიერთობის (პიარის) ინგლისურენოვანი პროგრამის დასრულება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონტაქტების დამყარება ორივე მიმართულებით.

კოვიდამდელ პერიოდში ერაზმუსის პროგრამით ჩვენი სპეციალობის სამი სტუდენტი იქნა მივლინებული ევროპის მოწინავე უნივერსიტე-

ტებში. გარდა ამისა, უახლოეს გეგმებში არის გათვალისწინებული საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, სახელმძღვანელოების, კრებულების გამოცემა, პიარ-ტექნოლოგიების ლაბორატორიის მუშაობის განახლება და ა.შ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის ცხოვრებაში: გამოდიან სამეცნიერო კონფერენციებში, სტუდენტური დღეების ეგიდით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, სპორტულ შეჯიბრებებში და ა.შ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცხოვრებაში მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენები: სამაგისტრო (შარშან) და საბაკალავრო (წელს) პროგრამებმა წარმატებით გაიარეს 7-წლიანი აკრედიტაცია.

და ბოლოს, დეპარტამენტის მუშაობაში ყოველთვის პრიორიტეტული იყო და იქნება სტუდენტებთან ურთიერთობა. ამ საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტები თავს გრძნობენ საქმიან და ამავე დროს მეგობრულ გარემოში.

დეპარტამენტის ერთი სამუშაო დღე

ჩვენი იუბილარები

გივი ინანიშვილი 85 წლისაა

ტექნიკისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ინანიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1937 წ. 7 ივნისს. 1955 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის მე-19 საშუალო სკოლა და 1960 წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი, ინჟინერ-მეტალურგის კვალიფიკაციით.

1961 წლიდან მუშაობს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს ცვლის უფროსის თანამდებობაზე. 1966 წლიდან განაგრძობს საქმიანობას თბილისის შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, განყოფილების მთავარ ინჟინრად.

1977-2005 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, სექტორის და განყოფილების გამგეა. სათავეში ჩაუდგა ახლადშექმნილ ინტერდისციპლინარული კვლევის განყოფილებას, რომელიც აერთიანებდა არქეოლოგიური მასალის რესტავრაცია-კონსერვაციის, სპექტრული ანალიზის, ძეგლთა არქეომაგნიტური მეთოდით დათარიღების, პალეობოტანიკისა და პალეოზოოლოგიის, ტრასოლოგიური და მეტალოგრაფიული კვლევის მიმართულების ლაბორატორიებს.

განყოფილების სამეცნიერო და ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული კვლევის შედეგები მოიცავდა ფართო შემოქმედებით ინტერესების სფეროს, არქეოლოგიური ძეგლებისა და მასალის ტექნოლოგიურ შეფასებას, გამორჩეული ქრონო-ლოგიური და

სივრცობრივი განვითარების თვალსაზრისით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ტერიტორიაზე მეტალურგია- ლითონდამუშავების ისტორიული განვითარების შესაბამის ბრინჯაო-რკინის და ანტიკური ხანის კომპლექსებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ლითონის ქიმიურ-ტექნოლოგიური კვლევის შედეგები. პრიორი-ტეტული მიმართულების, არქეოლოგიური ლი-თონის კვლევასთან ერთდროულად, მონაწილეობს არქეომეტალურგიასთან

დაკავშირებულ სხვადასხვა პერიოდის ძეგ-ლების საველე-გათხრით კომპლექსურ ექსპედი-ციათა სამუშაოებში.

გ. ინანიშვილის მიერ მშობლიურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებულია ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფიული გამოკვლევა.

გ. ინანიშვილი წლების განმავლობაში ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას: 1980-1990 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზი-დიუმის მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის საბჭოს მეტალურგიის სექციის ხელმძღვანელია; 1985-2005 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოს წევრია; 2001-2011 წწ. საქართველოს მეცნიერების ისტორიის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი; 2000წ.-დღემდე საქართველოს ეროვნული აკადემიის იურიდიული მომსახურების საერთაშორისო ცენტრის სიძველეთა და სახვითი ხელოვნების ნიმუშთა ექსპერტი; 2018წ.-დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საინჟინრო ეკონო-მიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს და სადისერტაციო საბჭოს წევრი, არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ხელ-მძღვანელი. 2015 - დღემდე სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალ ,,არქეოლოგია"-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.

გ. ინანიშვილის უძველესი ქართული მეტა-ლურგიის თემატიკის მნიშვნელოვანი პრიორი-ტეტული სამუშაოები დაკავშირებულია ს. ჯანა-შიას საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტთან და აფაქიძის არქეოლოგიის ინსტი-ტუტთან, სადაც მისი მონაწილეობით საგანგებო თემატიკით სრულდება არქეოლოგიური ლითო-ნის თეორიულ-მეცნიერული, ისტორიულ-ტიპოლო-გიური და ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიტიკური ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული კვლევები.

ზემოაღნიშნულ სამეცნიერო დაწესებულებებში გატარებული დაუვიწყარი წლები, კოლეგებთან თანამშრომლობის პროფესიული საქმიანობა, მისთვის დიდად მნიშვნელოვანი და ძვირფასია, მისი მოღვაწეობისა და ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალ „განათლების" რედკოლეგია

განათლების მეცნიერებანი

EDUCATION SCIENCES

ერთი საუნივერსიტეტო საგნის სწავლებისათვის დოქტორანტურაში

ავთანდილ ასათიანი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რევაზ ძნელაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქეთევან სოლომნიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში „ერთი საუნივესიტეტო საგნის სწავლებისთვის დოქტორანტურაში“ საუბარია თანამედროვე შრომითი ბაზრის კონკურენტულობაზე, უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების პრობლემაზე. მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ამაღლებას სპეციალობის სათანადო ცოდნასთან ერთად, საჭირო ხდება მათგან ამ ცოდნის სხვისთვის გადაცემის აუცილებლობა, რაც სპეციფიკური უნარ-ჩვევების ფლობას მოითხოვს. მართალია, უმაღლესი სკოლის დოქტორანტურაში „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ კურსის ნაცვლად ისწავლება საგანი „სწავლების მეთოდები“, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სტატიაში ფართოდ არის გაანალიზებული „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ კურსის უპირატესობა და ის შედეგები და სიკეთე, რასაც ამ საგნის სწავლების აღდგენა მოიტანს.

ამ სასწავლო კურსის სწავლების მნიშვნელობას ისიც ამ ამყარებს, რომ ახალგაზრდობის არზრდის, განათლებისა და სწავლების თეორიის დაუფლება და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-გათვალისწინება ასევე აუცილებელია ყველა საგნის პროფესორ-მასწავლებლისთვის, როგორც თავისი მაპროფილებელი საგნის ცოდნა ნებისმიერი რანგის სპეციალისათვის. ამიტომ, უპრიანია უნივერსიტეტებმა პერიოდულად გადაამზადონ თავიანთი აკადემიური პერსონალი და კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტრენინგების პროგრამებში წამყვან მიმართულებად აქციონ „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ სასწავლო კურსი. ამის საჭიროებას ისიც ზრდის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ისეთი ლექტორებიც მოღვაწეობენ, რომელთაც არასოდეს გაუვლიათ აღნიშნული სასწავლო კურსი. ჩვენს საზოგადოებაში და, სამწუხაროდ, აკადემიურ წრეებშიც ხშირად ისმის მოსაზრება, რომ, თუ საგანი იცი, მისი სწავლებაც კარგად შეგიძლია. ასეთი მიდგომა, რბილად რომ ვთქვათ, პრიმიტიულია და არაფერი საერთო არ აქვს მეცნიერულ აზროვნებასთან. საგნის ცოდნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ იგი სხვასაც ასწავლო. განათლების ისტორიაში მრავლად იყვნენ ისეთი ლექტორები, რომელთაც დიდი მეცნიერული აღმოჩენებით არ გამოუჩენიათ თავი, მაგრამ სანიმუშო ორატორებად და ლექტორებად დარჩნენ მათივე აღსაზრდელების მეხსიერებაში.

ამრიგად, როგორც სტატიაში დეტალურად დასაბუთებულია, მეცნიერულ განსჯას არ ექვემდებარება ისეთი მიდგომა, რომ მავანი ეწეოდეს პედაგოგიურ საქმიანობას და არ ფლობდეს მეცნიერულ-პედაგოგიკურ ცოდნას. ამიტომ მათ ვინც სრულყოფილად არ იცნობს ჩვენს საგანმანათლებ-

ლო სივრცეში არსებულ მდგომარეობას, ჩვენ მიერ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა შეიძლება ღია კარის მტვრევად მიიჩნიოს, მაგრამ რეალობა სულ სხვაა: ეს პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას უმაღლესი განათლების წინაშე და უარყოფითად აისახება სტუდენტთა განათლების ხარისხზე. ამიტომ უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალი, ნებისმიერი საგნის ლექტორი, საკუთარ საგანთან ერთად აუცილებლად უნდა ფლობდეს სწავლების თეორიას და მეთოდიკას, რაც ყველაზე სრულყოფილად გადმოცემულია „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში", ამიტომ მისი დაუფლება სასი-ცოცლოდ მნიშვნელოვანია როგორც ამ სფეროში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთათვის, ისე სტუდენტი-დოქტორანტებისთვისაც.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიკა, განათლება, ახალგაზრდობის აღზრდა, რეკომენდაციები, რეალობა, დოქტორანტურა, საერთაშორისო გამოცდილება, განათლების თეორია, პროფესიონალიზმი.

შესავალი

თანამედროვე შრომის ბაზარი არნახული კონკურენტულობით გამოირჩევა. ეს ეხება, როგორც მაღალგანვითარებული ეკონომიკის სახელმწიფოებს, ისე განვითარებად ქვეყნებს. უმუშევრობა განსაკუთრებული სიმწვავით სწორედ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების მოსახლეობაზე აისახება და, სამწუხაროდ, მათ შორისაა საქართველოც. უმუშევრობის პრობლემა მეტ-ნაკლებად ყველას ეხება - არაკვალიფიციურ მუშახელს და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულსაც. ეს პრობლემა თანამედროვე მსოფლიოს გლობალური გამოწვევაა, ამიტომ მისი გადაჭრის გზების ძიებაზე ჩვენ პრეტენზია ვერ გვექნება, ჩვენ მხოლოდ ამ სფეროს ერთი საჭირბოროტო საკითხის - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე გვსურს მკითხველის ყურადღების მიქცევა, რაც ასევე უკავშირდება უმუშევრობას და შრომის ბაზარს.

ძირითადი ნაწილი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმებას დიდწილად განსაზღვრავს მათი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. ამიტომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უნივერსიტეტები მუდმივად ზრუნავენ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება კი ბოლონიის პროცესის ფარგლებში მიმდინარე რეფორმებია, რომელიც მიზნად ისახავს ცოდნის საზოგადოების მშენებლობაში ხელშეწყობას, რაც ცოდნის ეკონომიკის განვითარების წინაპირობად არის მიჩნეული.

დღეს აღიარებულ და ნაკლებად ცნობილ უნივერსიტეტებსაც კონკურენტულ პირობებში უწევთ მუშაობა. თითოელი მათგანი ცდილობს, სხვათაგან განსხვავებული, ინოვაციური შინაარსის საგამანანათლებლო პროგრამებზე სწავლა შესთავაზოს აბიტურიენტებს, სხვაგვარად ისინი ვერ შეინარჩუნებენ საგანმანათლებლო ბაზარზე ადგილს. ამისათვის კი აუცილებელია უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, რაც იქ მიმდინარე სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების მეცნიერულ უზრუნველყოფას გულისხმობს, სწორედ ამისთვისაა მოწოდებული უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, რომელიც არის პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი ნაწილი; სწორედ იგი სწავლობს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე საწალო-საგანმანათლებლო, სტუდენტთა სოციალიზაციის და მათი პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების პრობლემებს; იკვლევს უმაღლეს სასწავლებლებში ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელბის გზებს, საშუალებებს და ამის საფუძველზე აყალიბებებს მეცნიერულ დასკვნებსა და მეთოდურ რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფა-განვითარების მიზნით.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში აღნიშნული სასწავლო კურსი გასული საუკუნის 70-80 - იან წლებში ასპირანტურაში ისწავლებოდა, ხოლო ამჟამად, მხოლოდ განათლების მიმართულების სამაგისტრო პროგრამებზე ისწავლება. საქართველოში მოქმედ სადოქტორო პროგრამებზე რატომღაც უარი თქვეს „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის" სწავლებაზე და მის ნაცვლად შემოიღეს „სწავლების მეთოდები", რაც არსებითად ვერ პასუხობს სადოქტორო პროგრამების მიზანს.

როგორც ცნობილია, თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლები ორიენტირებულია არა მარტო სწავლებაზე, არამედ კვლევაზე. ამის დასტურია ბოლონიის პროცესის ფარგლებში მიმდინარე რეფორმები. ამიტომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში მიმდინარე სწავლება-სწავლის

პროცესის მეცნიერულ კვლევა-ძიებას, როგორც აღინიშნა, სწორედ პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი მიმართულება „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ წარმართავს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სასწავლო კურსს უნდა ფლობდეს უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ანუ ისინი, ვინც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში სწავლება-სწავლის პროცესის მეცნიერულ კვლევა-ძიებას ეწევა. უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი კი სადოქტორო პროგრამებზე მზადდება, განურჩევლად პროგრამის მიმართულებისა (სპეციალიზაციისა).

რაც შეეხება სადოქტორო პროგრამებზე ისეთი სრულფასოვანი მეცნიერული მიმართულების, ჩანაცვლებას, როგორიცაა „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ სასწავლო კურსით „სწავლების მეთოდები“, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან თავად „სწავლების მეთოდები“, „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ შემადგენელია ნაწილია და მისი სწავლება ძირითადი კურსისგან გამოცალკევებულად გაუმართლებელია, როგორც ლოგიკურად, ისე მეთოდური თვალსაზრისით. განა შეიძლება სწავლების მეთოდებზე ელაპარაკო სტუდენტს, განათლებისა და სწავლების არსის გაცნობიერების გარეშე? როცა სტუდენტმა არ იცის პედაგოგიკის ძირითადი ცნებები, სწავლების მეთოდოლოგიური პრინციპები ან კიდევ სწავლების თეორიები, რა მეთოდებზე შეიძლება მსჯელობა?

სწავლების მეთოდებს „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ კურსში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა. მაგრამ მისი შესწავლის წინაპირობას სწორედ პედაგოგიკის ისეთი ფუნდამენტური საკითხების შესწავლა უძღვის, როგორიცაა: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ძირითადი ცნებები, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) სტრატეგია, სწავლების მეთოდოლოგიური პრინციპები, სწავლების თეორიები, სწავლების დიდაქტიკური პრინციპები, სწავლების შინაარსი (საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსი, სასწავლო რესურსები, სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა -ECTS (European Credit Transfer System), სწავლების ორგანიზაციული ფორმები (ლექცია, სემინარი, პრატიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები და მათი ჩატარების მეთოდიკა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა) და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი სწავლების მეთოდების სწავლება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სწავლების მეთოდების განხილვით არ ამოიწურება „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ სასწავლო კურსი. მას ორგანულად მოსდევს შეფასების მეთოდებისა და სტრატეგიების სწავლება, რასაც აგრეთვე არ ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი სასწავლო კურსი „სწავლების მეთოდები“, რომლის ამ ფორმით სწავლება ვერ პასუხობს უმაღლესი განათლების წინაშე არსებულ გამოწვევებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მის ალტერნატივად მიგვაჩნია სწორედ „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, რომელიც სრულფასოვნად აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების მიზან-ამოცანებს.

ამის საილუსტრაციოდ მკითხველს ვთავაზობთ „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ სასწავლო კურსის საგნის, ამოცანებისა და სრუქტურის ზოგად მიმოხილვას, რაც სრულიად საკმარისი იქნება ამ სასწავლო კურსის უპირატესობის ჩვენებისთვის, „სწავლების მეთოდების“ სასწავლო კურსთან შედარებით.

როგორც ითქვა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკას აქვს მკაფიოდ გამოხატული კვლევა-ძიების საგანი და სპეციფიკური მიზან-ამოცნები, რაც მისი არსბობის საფუძველია.

ზოგადად უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საგანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი უმაღლეს სკოლაში, რომელიც მოიცავს განათლების, სწავლება/სწავლისა და სტუდენტთა სოციალიზაციის პრობლემებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების ამოცანების ფორმირებისა და რეალიზაციის კანონზომიერებებს. აქედან გამომდინარე, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ამოცანებიც სტუდენტთა პროფესიული მომზადების, აღზრდის, განათლებისა და მათი ჰარმონიული განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ინტერესებში შედის უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პედაგოგიური კადრები, ავტორიზაცია-აკრედიტაცია, სწავლების ორგანიზაციული ფორმები, კავშირი საზოგადოებრივ მოვლენებთან, სწავლების ახალი ტექნოლოგიები, უმაღლესი განათლების მენეჯმენტი და სხვ.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა იკვლევს სტუდენტთა აღზრდა-განათლების და სწავლება/სწავლის კანონზომიერებებს, მათი ანალიზის შედეგად

შესაძლებელს ხდის ისეთი გზების, საშუალებების და მეთოდების შერჩევას, რომლებიც მეცნიერ-პედაგოგებს ხელს უწყობენ უმაღლესი სკოლის წინაშე არსებული პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტაში.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა ინტერესდება სტუდენტთა ფსიქო - ფიზიკური და ანატომიურ - ფიზიოლოგიური თავისებურებების, სოციალური სიმწიფის, სასწავლო-საწარმოო და შეეცნებითი ინტერესების შესწავლითა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებით, მათი პროფესიული დაოსტატებისა და სოციალიზაციის პრობლემებით.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა დაინტერესებულია აგრეთვე საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების ტენდენციათა შესწავლით, რადგან, სწორედ მათ კვალდაკვალ მიმდინარეობს სტუდენტთა პროფესიული მომზადება და მოქალაქეობრივი ფორმირება. რაკი უმაღლესი სკოლა საზოგადოების შეკვეთას ასრულებს, მისი განვითარების ძირეული საკითხების ცოდნას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

განსაკუთრებით აქტუალურია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისთვის თანამედროვე მეცნიერების და ახალი ტექნოლოგიების მოთხოვნების ცოდნა და მათზე დროული რეაგირება. სათანადოდ შესასწავლია და დასახვეწი დისტანციური სწავლების ფორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლესი სკოლა ჩამორჩება მეცნიერების განვითარებას და საერთოდ ცხოვრებას.

ისიც გვინდა გავიხსენოთ, რომ ადრეულ ეტაპზე დოქტორანტებთან იკითხებოდა საგანი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“. თუ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მესვეურები გაითვალისწინებენ ყოველივე ზემოთ თქმულს და სათანადო ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერით აღადგენენ ძველ ტრადიციას, არ იქნება ურიგო, რადგან პედაგოგიკა უფრო ფართო ცნებაა და უფრო მეტია, ვიდრე „სწავლების მეთოდები“. პედაგოგიკა განათლების, აღზრდის თეორიაა.

ცოტა სიღრმეში თუ გადავიხედავთ....

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა საგანმანათლებლო სისტემის დემონტაჟი და რევიზია. როგორც ნებისმიერ რევოლუციურ სისტემას სჩვევია, კრიტიკის ქვეშ მოექცა მრავალი ისეთი დებულება, რომელიც არ იყო გაწირვის ღირსი. უპირველეს ყოვლისა, შეტევა მიიტანეს თვით პედაგოგიურ მეცნიერებებზე, რასაც მოჰყვა ტერმინ პედაგოგიკის განდევნა სამეცნიერო მიმოქცევიდან. საქმეს ვერ უშველა იმანაც, რომ რიგ დასავლურ ქვეყნებში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, ეს ტერმინი დღესაც ცოცხალია და შესაბამისი ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული მნიშვნელობის მატარებელია.

რიგ ქართველ მეცნიერთა მცდელობა, ჩაენაცვლებინა პედაგოგიკა ტერმინ განათლებით, ასევე წარუმატებელი გამოდგა, ვინაიდან იგი მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს იმას, რასაც ტერმინი პედაგოგიკა გამოხატავს. მიზეზი ამისა არის ის, რომ ტერმინი განათლება (ახლებური გაგებით) ინფორმაციის სისტემურ გადაცემამდე დაიყვანება. პედაგოგიკაში იგულისხმება აღზრდა, რაც თანამედროვე მიდგომებში გამოტოვებულია. არა და, პედაგოგიკა, როგორც სოციალური დისციპლინა, მოწოდებულია საზოგადოებრივი მოვლენებისა და ადამიანურ რესურსებზე (კადრებზე) მოთხოვნების ცვალებადობასთან დაკავშირებით შეიმუშაოს რეკომენდაციები სწავლების შინაარსში, პრინციპებსა და მეთოდებში აუცილებელი ცვლილებების შესატანად დროის მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა განათლების სისტემა აღზრდას იდეურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა, გახდა პედაგოგიკის იგნორირების საფუძველი. იმის შიშით, რომ პედაგოგიკა საბჭოთა პერიოდში აღზრდაზე ორიენტირებულ ტერმინად ითვლებოდა, კრიტიკის თავიდან აცილების მიზნით მოხდა ტერმინის სრული იგნორირება - პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ფაქტობრივი უარყოფა. ამას შედეგად მოჰყვა ქართული ისტორიულად ჩამოყალიბებული პედაგოგიური აზროვნების გაუთვალისწინებლობა, რაც ეროვნული ცნობიერების განვითარების ისტორიულ პროცესს არღვევს.

მიღებული არასასურველი რეალობა დაეტყო ცალკეული საგნების სწავლების მეთოდიკების შექმნასაც. არაპრესტიჟული გახდა ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევა-ძიების წარმართვა. თუმცა ვერანაირი მეთოდი ვერ უშველის თავის სპეციალობაში მწირი ცოდნის მარაგით აუდიტორიაში შესულ ლექტორს. მთავარი მაინც პროფესიონალიზმია. ჩემი თაობის სტუდენტებში კითხვაზე რა არის მეთოდიკა? ერთი პასუხი

ტრიალებდა: „მეთოდიკა არის კარგი მასწავლებელი, დაფა და ცარცი“. ჩვენი სულმნათი მასწავლებელი აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი იმავდროულად შესანიშნავი მეთოდისტები იყვნენ, თუმცა მეთოდიკური ხასიათის სტატიები თუ გამოკვლევები არ შეუქმნიათ. (ნაკლებად მიუწოდებიათ).

რადგან არ არსებობს არანაირი მზა რეცეპტი საკითხის აუდიტორიაში მიტანისა, ჩვენ დოქტორანტებს უნდა ვასწავლოთ პედაგოგიკა, აღზრდისა და განათლების თეორია.

დღევანდელი რეალობის ცვლილებებს ჩვენ ვხედავთ კულტურულ ღირებულებათა გამოვლენასა და ინვენტარიზაციაში. ასოციაციური კვლევების შედეგად უნდა გამოვლინდეს კულტურის საკვანძო კონცეპტები, დადგინდეს ტექსტებში მათი პრეზენტაციის სასწავლო-მეთოდური მიმართულებები. ამისათვის აუცილებელია კვლევის კლასტერული პრინციპის გამოყენება, რომლის შედეგადაც ტექსტების საინფორმაციო - ესთეტიკური, აღმზრდელობითი, ეთნოკულტურული ასპექტების სინქრონიზაცია და სინერგეტიკა განხორციელდება.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ამოცანათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღმზრდელობით მუშაობას ანუ პიროვნების სოციალიზაციას. როგორც ცნობილია, სტუდენტურ ასაკში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული პიროვნების ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ფორმირება. ამიტომ, სწორედ ამ პერიოდს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰამონიულად განვითარებული მოქალაქის ჩამოყალიბებში. ამ მიზნით უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა შეისწავლის ამ ასაკობრივი და სოციალური ჯგუფის ახალგაზრდობის ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ მონაცემებს და მათ საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ამ სასწავლო კურსის სწავლების მნიშვნელობას ისიც ამყარებს, რომ ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების თეორიის დაუფლება და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-გათვალისწინება ისევე აუცილებელია ყველა საგნის პროფესორ-მასწავლებლისთვის, როგორც თავისი მაპროფილებელი საგნის ცოდნა ნებისმიერი რანგის სპეციალისტისთვის. ამიტომ, უპრიანია უნივერსიტეტებმა პერიოდულად გადაამზადონ თავიანთი აკადემიური პერსონალი და კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტრენინგების პროგრამებში წამყვან მიმართულებად აქციონ „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ სასწავლო კურსი. ამის საჭიროებას ისიც ზრდის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ისეთი ლექტორები მოღვაწეობენ, რომელთაც არასოდეს უსწავლიათ აღნიშნული სასწავლო კურსი.

ჩვენს საზოგადოებაში, და, სამწუხაროდ, აკადემიურ წრეებშიც ხშირად ისმის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, თუ საგანი იცი, მისი სწავლებაც კარგად შეგიძლია. ასეთი მიდგომა რბილად რომ ვთქვათ პრიმიტიულია და არაფერი საერთო არ აქვს მეცნიერულ აზროვნებასთან. საგნის ცოდნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ იგი სხვასაც ასწავლო. განათლების ისტორიაში მრავალად იყვნენ ისეთი ლექტორები, რომელთაც დიდი მეცნიერული აღმოჩენებით არ გამოუჩენიათ თავი, მაგრამ სანიმუშო ორატორებად და ლექტორებად დარჩნენ მათივე აღსაზრდელების მეხსიერებასა და ცხოვრებაში, როცა, სახელოვანმა მეცნიერებმა, მიუხედავად მნიშვნელოვანი აღმოჩენებისა, პედაგოგიურ სარბიელზე დიდად ვერ ისახელეს თავი.

დასკვნა

ამრიგად, არა თუ მეცნიერულ განსჯას, არამედ ლოგიკასაც არ ექვებდებარება ისეთი მდგომარეობა, რომ მავანი ეწეოდეს პედაგოგიურ საქმიანობას და არ ფლობდეს მეცნიერულ-პედაგოგიკურ ცოდნას. ამიტომ მათ, ვინც სრულყოფილად არ იცნობს ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ მდგომარეობას, ჩვენ მიერ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა, შეიძლება ღია კარის მტვრევადაც მიიჩნიოს, მაგრამ, რეალობა სულ სხვაა: ეს პრობლება ჯერ კიდევ მწვავედ დგას უმაღლესი განათლების წინაშე და უარყოფითად აისახება სტუდენტთა სწავლების ხარისხზე. ამიტომ, უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალი, ნებისმიერი საგნის ლექტორი, საკუთარ საგანთან ერთად, აუცილებლად უნდა ფლობდეს სწავლების თეორიას და მეთოდიკას, რაც ყველაზე სრულყოფილად გადმოცემულია „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში“. ამიტომ მისი დაუფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ამ სფეროში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთათვის, ისე სტუდენტი-დოქტორანტებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები - (ავტორთა კოლექტივი) თბილისი, 1981 წ.
2. პედაგოგიკა-(ავტორთა კოლექტივი) თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა1995წ.
3. ა. ასათიანი, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, გამომცემლობა უნივერსიტეტი 2016 წ.
4. А.А.Андреев, Педагогика высшей школы, Москва 2003 г.
5. ზ.ხონელიძე - მშვიდობის ქართული პარადიგმა, თავი I, ქართული საგანმანათლებლო სკოლისა და დიპლომატიის ისტორიიდან. თბილისი 2021.

For teaching one university subject in a doctoral program

Avtandil Asatiani, Professor
Georgian Technical University

Revaz Dzneladze, Professor
Georgian Technical University

Ketevan Solomnishvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article “For Teaching One University Subject at Doctoral Degree Faculty” talks about the competitiveness of the contemporary labor market and the employment problem for higher education graduates. Both their qualification and competency improvement, together with the appropriate knowledge of the specialty, necessitates the transfer of their knowledge to others, which requires the possession of specific skills. It is true that the subject of "Teaching Methods" is taught in the doctoral program of the high school instead of the course of "High School pedagogics", though this is not enough. The advantages of the “High School Pedagogics” course and the results and benefits are extensively being analyzed in the article, the restoration of teaching this very subject should result.

The importance of teaching this course is also highlighted by the fact that mastering the theory of youth upbringing, education and teaching, studying and considering the pedagogical experience of the high school is also as essential for all subject teachers as knowledge of their subject matter for specialists of any rank. Therefore, it is advisable for universities to retrain periodically their academic staff and make the "High School Pedagogy" training course a leading focus in advanced development and training programs. The need for this is increased by the fact that there are lecturers at our university who have never passed the abovementioned course. In our society and, unfortunately, in academic circles also, there is often heard an opinion that if you know the subject, you can also teach it well. Such an approach, to put it mildly, is primitive and has nothing to do with scientific judgment. Knowledge of the subject is not enough to teach it to others. There were many lecturers in the history of education who did not make great scientific discoveries, but remained exemplary orators and lecturers in the memory of their students.

Thus, as it is stated in detail in the article, the approach to scientific conclusion is not subject to such an approach that person can be engaged in pedagogical activities without possessing scientific-pedagogical knowledge. Therefore, for those who are not fully aware of the current situation in our educational space, our discussion of this issue may be considered open-ended, but the reality is quite different: this problem is still acute in higher education and negatively affects the quality of student education. Consequently, the academic staff of the higher education institution, lecturer of any subject, must have the theory and methodology of teaching, which is most fully presented in the "high school pedagogy", so mastering it is vital for both professors and doctoral students.

განათლების მნიშვნელობა ადამიანისათვის

მარიამ თავზარაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლელა კოჭლამაზაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

კაცობრიობის ისტორიაში მუდმივად არსებობდა უკმაყოფილება განათლებაში შექმნილი მდგომარეობის გამო, არსებულ ვითარებას არ ჯერდებოდნენ ადამიანები და ცდილობდნენ უკეთესობისაკენ შეეცვალათ, დაეხვეწათ და გაეუმჯობესებინათ ის რეალობა, რა დროშიც უწევდათ მათ არსებობა. დღევანდელი გადასახედიდანაც, სულ მიდის ძიება და ხდება განვითარება, სხვა და სხვა ქვეყნების მოდელების დანერგვა, ისმევა კითხვები, როგორი უნდა ვითარდებოდეს განათლების სისტემა, მომავლის მოთხოვნის შესაბამისად.

განათლების მიღების პროცესში ადამიანისათვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, საშუალო სკოლები, უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცეები, თვითგანათლება, რომელსაც ადამიანი არ წყვეტს მთელი ცხოვრების მანძილზე, ესაა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რა დროსაც ხდება ახალი უნარების სწავლა, დახვეწა, გაუმჯობესება. განათლება ახდენს შინაგანი კულტურის, ძალისა და თვისებების განვითარებას, რომელიც მნიშვნელოვანია თითოეული ინდივიდისათვის. თვითგანვითარების კარგი მაგალითია უნივერსიტეტებში სხვა და სხვა ტრენინგებისა და კურსების გავლა ახალი ინფორმაციის მისაღებად, უნარების გასაუმჯობესებლად და ა.შ

დღეს განათლება არ ნიშნავს მხოლოდ ცოდნის და ხარისხის მიღებას, მეტ-ნაკლებად ამას ბევრი ახერხებს, თუცა ცოტაა ისეთი ვისაც შეუძლია მიღებული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს, გამოადგეს საკუთარ თავსა და ქვეყანას. ვფიქრობ სწავლა არის მუდმივი პროცესი, რომელიც უმნიშვნელოვანესია ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის.

ხშირად ადამიანების თვალში, ის პიროვნება, რომელიც ფლობს ინფორმაციასა და ფაქტებს სხვა და სხვა მოვლენებისა და საკითხების შესახებ, ითვლება განათლებულად, რაც არასწორია. ყველა მოვლენისა და ფაქტის ცოდნა, არ ნიშნავს განათლებას, ამას უფრო მცოდნეთა კატეგორიას მივაკუთვნებდი. ვფიქრობ, ადამიანი მაშინ ითვლება განათლებულად, თუ ის მიღებულ ცოდნას, გამოცდილებას, უნარებს, შესაძლებლობებს გამოიყენებს და დადებით წვლილს შეიტანს, როგორც ქვეყნისათვის ისე საზოგადოებისათვის.

ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გახდეს განათლებული, თუმცა ამისათვის დიდი დრო, რესურსი, სწავლისადმი სურვილის საჭიროებაა მნიშვნელოვანი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მთელი ცხოვრებაც. როგორც ზემოთ ავღნიშნე, განათლება ეს არის დაუსრულებელი პროცესი, რომელიც ეხმარება პიროვნებას ბევრი უნარის გაუმჯობესებაში და საბოლოოდ საზოგადოებრივი სიკეთეების კეთებაში.

საკვანძო სიტყვები: განათლებული პიროვნება, მცოდნე პიროვნება.

ძირითადი ტექსტი

საზოგადოება ფიქრობს, რომ განათლების საწყისი სკოლაა. ის შეიძლება იყოს უფრო მეტი, ვიდრე უნარების სწავლა, ფაქტების დამახსოვრება და მათი ქაღალდზე გადატანა კარგი შეფასებით იმედით. სკოლის მთავარი მიზანია, ასწავლოს მოსწავლეებს კრიტიკულად აზროვნება, რასაც ის ხშირად ასრულებს. თუმცა ვფიქრობ, სკოლა არ არის თავად განათლება; ეს არის საშუალება მოსწავლეებისათვის და მომავალი სტუდენტებისათვის, მიაღწიონ თავიანთ მიზანს – განათლებას. სკოლა ტრადიციულად ცდილობს დაახლოვოს მოსწავლე ჭეშმარიტ განათლებასთან. შემდეგ უკვე უნივერსიტეტი განიხილება, როგორც საბოლოო მიზანი საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის.

სკოლა ღრმა ტყეში გასავლელ ბილიკს ჰგავს, რომელიც მოსწავლეებს ცოდნის გემოს აძლევს. თუმცა, ჭეშმარიტად სწავლისთვის, ადამიანებმა ეს თავად უნდა გააკეთონ. განათლებულ ადამიანებს უნდა განუვითარდეთ მუდმივი სწავლის ჩვევა სტრუქტურისა და სხვების შეფასებების, ნიშნების, ქულების გარეშე.

იყო განათლებული ადამიანი, ნიშნავს სამყაროს, როგორც შენს სათამაშო მოედანს. ეს არის ღია გონებით აზროვნება. არასოდეს შემოიფარგლოთ იმით, რაც ადამიანს ასწავლეს როგორც სიმართლე. ეს იქნება სამუშაოსა და თამაშს შორის ზღვრის გაქრობა, ყველა საკითხთან მიმართებაში საკუთარი რეალური აზრის ქონა მნიშვნელოვანია. განათლებული ადამიანი არის ის, ვინც სწავლობს და აღიარებს, რომ სწავლას დასასრული არ აქვს.

ამ უნარის მოპოვება შეიძლება მრავალი გზით, რადგან როგორც ავღნიშნე, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გახდეს განათლებული; უბრალოდ საჭიროა სწავლის სურვილი და ნებისყოფა.

განათლებული ადამიანი ვალდებულია შექმნას კარგი და მშვიდობიანი ოჯახი. არისტოტელე ამტკიცებდა, რომ ოჯახი არის ყველაზე პატარა ერთეული და პირველი სკოლა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. მხოლოდ განათლებულ ადამიანებს შეუძლიათ აღზარდონ და ჩაუნერგონ შვილებში ზნე-ჩვეულება, ჩამოყალიბებული ხასიათი. ანალოგიურად, განათლებულ ადამიანს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქალთა განათლების ხელშეწყობაში იმით, რომ თანაბრად მოეპყროს როგორც ბიჭებს, ასევე გოგონებს მის ოჯახში და შესთავაზოს მათ განათლების თანაბარ შესაძლებლობა.

განათლებულ ადამიანს შეუძლია გამოიყენოს თავისი ცოდნა იმისათვის, რომ გაანათლოს და გააღვიძოს საზოგადოებაში მათი უფლებები და მოვალეობები. მათ შეუძლიათ სხვებსაც გააცნობიერებინონ, რომ დემოკრატიულ წყობაში, სადაც თითოეულ ჩვენგანს გვაქვს გარკვეული უფლებები, არსებობს მოვალეობებიც ჩვენი მხრიდან.

განათლებულ ადამიანს შეუძლია შექმნას ჩვენი ქვეყნის სიყვარული, ჩვენი მდიდარი კულტურის გაზიარებით და გავრცელებით. ამავდროულად, მათ შეუძლიათ ასევე წაახალისონ ახალგაზრდა თაობები, მოემზადონ თავიანთი პასუხისმგებლობის შესასრულებლად ეროვნული ხასიათის ასაშენებლად, ჩვენი მემკვიდრეობის გაზიარებით, რომელიც ჩვენ მივიღეთ წინაპრების დიდი მსხვერპლის შედეგად.

განათლებულ ადამიანს ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სოციალური, კულტურული და რელიგიური ჰარმონიის შექმნაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სიყვარული, ნდობა და მშვიდობა საზოგადოების ცხოვრებაში. ეს ასევე უზრუნველყოფს ეროვნულ ერთობას და დაიცავს ჩვენს ეროვნულ მთლიანობასა და განვითარებას. მას ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ხალხის განათლებაში, თუნდაც ინფორმაციის გაზიარებით ბუნებრივი რესურსების საჭიროებებისა და ღირებულების შესახებ, როგორიცაა მდინარეები, ჰაერი და ა.შ. ბუნებრივი რესურსების მასიური ექსპლუატაციის გამო კლიმატის გაზრდილი ცვლილებების გათვალისწინებით, ჩვენ სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგავართ, ამიტომ, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სფერო, სადაც მათ უნდა შეასრულონ უფრო აქტიური როლი.

დღეს ქვეყნებს შორის არის შემაძრწუნებელი შეიარაღებული რბოლა, რამაც გამოიწვია ცოდნის გამოყენება ქიმიური იარაღის, ატომური ბომბების შესაქმნელად და ა.შ., რომელსაც შეუძლია გაანადგუროს სამყარო. ჩვენ ასევე მივიღეთ განვითარების მოდელი, რომელიც ძირს უთხრის ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, განათლებულ ადამიანებს ასევე მოუწევთ აქტიური მონაწილეობის მიღება განვითარების ალტერნატიული მოდელის უზრუნველსაყოფად და ასევე ისეთი პოლიტიკის ხელშეწყობისთვის, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობას და თავიდან აიცილებს ომებს. დასკვნისთვის განათლებული ადამიანი უნდა იყოს მშვიდობის, ჰარმონიისა და ბუნებრივი რესურსების მფარველი. მან ასევე უნდა იმუშაოს ელჩად საზოგადოებაში მორალური ფასეულობების დასამკვიდრებლად და კულტურული ეროზიის თავიდან ასაცილებლად.

განათლებულმა პიროვნებამ იცის როგორ მიაქციოს ყურადღება - ადამიანებს და მათ გარშემო არსებულ სამყაროს. ისინი ბევრს მუშაობენ, რომ გაიგონ, რას ამბობენ სხვები. მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ კამათს, თვალყური ადევნონ ლოგიკურ მსჯელობას, აღმოაჩინონ ალოგიკა, მოისმინონ ემოციები, რომლებიც იმალება როგორც ლოგიკის, ასევე ალოგიკის მიღმა და, საბოლოოდ,

წარმართონ სიტუაცია სწორი მიმართულებით.

განათლებულმა ადამიანს შეუძლია საუბარი ყველასთან: შეუძლია სიტყვით გამოსცეს, გააცინოს ხალხი, დაუსვას გააზრებული კითხვები და ისაუბროს ნობელის მოსწავლე თუ ნობელის პრემიის ლაურეატი. ბავშვი ან პაციენტი, ქარხნის მუშა, ფერმერი ან კორპორატიული აღმასრულებელი დირექტორი. უფრო მეტიც, განათლებული ადამიანი მონაწილეობს ასეთ საუბარში არა იმიტომ, რომ მათ მოსწონთ საკუთარ თავზე ლაპარაკი, არამედ იმიტომ, რომ გულწრფელად აინტერესებთ სხვა ადამიანები.

ყველაფერზე მეტად, იყო განათლებული ადამიანი ნიშნავს კავშირების დანახვას, რათა შეძლოს სამყაროს გაგება და მასში შემოქმედებითი გზით მოქმედება. მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი, თავსატეხების ამოხსნა, სხვისი თვალით დანახვა, სხვების გაძლიერება ესაა მათი მთავარი ამოცანა. განათლება არის ძალაუფლების, გამჭრიახობის, კეთილშობილების, თავისუფლებისა და სიბრძნის მოპოვება.

დასკვნა

განათლებული ადამიანი იქნება ის, ვინც ეძებს სრულყოფილებას, ვინც თავისთავად არ იღებს ყველაფერს, ვინც ზრუნავს ადამიანებზე და მის გარშემო არსებულ საკითხებზე.

თუ თქვენ აპირებთ ცოდნის გაუმჯობესებას რომელიმე კონკრეტულ სფეროში, უნდა დახარჯოთ დრო, ენერგია და რესურსები მნიშვნელოვანი უნარების შესასწავლად. ამ სფეროებთან დაკავშირებულ სწავლაში ჩადებული ინვესტიცია, სავარაუდოდ, დივიდენდებს გადაიხდის რეალურ სამყაროში, როგორც თანხით, ისე მთლიან ცხოვრების კმაყოფილებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The Educated Person by Ernest L. Boyer
2. http://www.ibmidatlantic.org/Educated-Person.pdf
3. The Educated Person Elizabeth Campbell 2009
4. https://www.jstor.org/stable/20616437
5. Education A Global Compact for a Time of Crisis MARCELO SUÁREZ-OROZCO CAROLA SUÁREZ-OROZCO. 2022
6. https://www.jstor.org/stable/10.7312/suar20434?turn_away=true&searchText=ti%3A%28%22education%22%29&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3Dti%253A%2528%2522educ ation%2522%2529%2B%26so%3Drel&ab_segments=0%2Fbasic_phrase_search%2Fcontrol&refreqid=fastly-default%3Adf31990f1bb03042ef3efc74443d8efb

Significance of education for a human

Mariam Tavzarashvili, PhD student
Georgian Technical University

Lela Kochlamazashvili, Professor
Georgian Technical University

Summary

In the history of humanity constantly existed the dissatisfaction due to the state established in education, the humans were not content with the existing situation and tried to change to better, refine and improve the reality during which they had to exist. From today's view as well the search always goes on and the development takes place, introduction of the models of various countries, are asked questions what kind must the education system be developed, in conformity with the requirement of the future.

During the process of receiving the education the most important role for a human play cultural – educational centers, secondary schools, spaces of higher education, self-education, a human does not stop during the entire life, this is the most important step during which are studied, refined, improved the new abilities. Education develops inner culture, power and qualities which are important for each individual. A good example of self-development is undergoing of different trainings and courses at the universities for receipt of the new information, improvement of abilities, etc.

Today education does not mean receipt of only knowledge and degree, more or less many manage this, though there are few who can practically use the received knowledge, be useful for himself and the country. I think study is a constant process that is the most important for the country's advance and development.

Often a person who possesses information and facts on various phenomena and issues, in the eyes of humans is considered to be educated, that is not correct. Knowledge of all phenomena and facts does not mean education, I would rather assign this to the category of knowledgeable persons. I think a human is considered to be educated if he applies the received knowledge, experience, abilities, possibilities and makes a positive contribution as to the country so to the society.

Any human can become educated, though for this are important much time, resources, need of wish for study, that can continue for the entire life. As I noted above, education is a never-ending process that helps a person to improve many abilities and finally to make the social good.

Key words: educated person, knowledgeable person

დისტანციური სწავლების გავლენა სასკოლო საზოგადოებაზე

მაია გელაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიის მიზანია დისტანციური სწავლების და ამ პროცესში წამოჭრილი სირთულეებისა და დადებითი შედეგების განხილვა, პროცესის ერთგვარი შეფასება და რიგი რეკომენდაციების გაწერა.

კოვიდ-19-მა, მსოფლიო უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა. თითქოს წარმოუდგენელი იყო, 21-ე საუკუნეში, ყველაფერი გაჩერდა, შიშმა დაისადგურა, დადგა პირბადეების საჭირო-ება, გაჩნდა დეფიციტი ამ პირბადეებზე, დაიხურა ბიზნესები, კვების ობიექტები, მოხდა წარმოუდ-გენელი რამ, დაიხურა სასწავლო დაწესებუ-ლებები, ისეთი ქალაქისთვის, როგორიც თბილისია ერთ-გვარი შოკი იყო მეტროს დახურვა, ტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვა, და საბოლოოდ ყველაზე დიდი შოკი უკავშირდებოდა საკუთარი ავტომო-ბილით გადაადგილების შეზღუდვას, როცა ქალაქის მოსახლეობას მხოლოდ გარკვეულ საათებში და მხოლოდ ფეხით გადაადგილების უფლება ჰქონდა. სულ უფრო იზრდებოდა დღე-ღამის განმავლობაში დაღუპულ პირთა რიცხვი და არ არსებობდა წამალი, ეს იყო ბრძოლა უხილავ და უცნობ მტერთან. ვირუსი პანდემიად აღიარეს და კარანტინი გამოცხადდა. არაერთი სფერო დაზარალდა, გაჩნდა ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური, სოციალური პრობლემები. სხვა სფეროებთან ერთად, არც განათლება აღმოჩნდა სახარბიელო მდგომარეობაში. დაიხურა სკოლები და უნივერსიტეტები. დღეს არაერთი სტუდენტია ქვეყანაში, რომელიც არასოდეს მჯდარა აუდი-ტორიაში და არ დაუგროვებია სტუდენტური ტკბილი მოგონებები, თუმცა კიდევ უფრო დიდი სირთულის წინაშე სკოლები აღმოჩნდნენ. სწავლის შეწყვეტა უცნობი ვადით წარმოუდგენელი იყო, გამოსავალი დისტანციური სწავლება აღმოჩნდა, რაც არაერთი გამოწვევის წინაშე აყენებდა როგორც დირექციასა და პედაგოგებს, ასევე მოსწავლეებსა და მათ ოჯახებს. სირთულეები უკავშირდებოდა როგორც მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ, ასევე ახალი ცოდნისა და უნარების ათვისების საკითხებს.

როგორც ყოველთვის, მედალს ამჯერადაც ორი მხარე აღმოაჩნდა, სირთულეებთან ერთად თავი იჩინა ახალმა ცოდნამ, გამოცდილებამ, შესაძ-ლებლობამ და რესურსებმა. ამასთან, 21-ე საუ-კუნე, როგორც გლობალიზაციის ეპოქა ისედაც გულისხმობს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, როგორც ყოველდღიური გამოყენებისა და უკვე აუცილებლობის საგანს, დისტანციური სწავლება მნიშვნელოვანი გამოცდილებაა ჩვენი მასწავლებ-ლებისა და მოსწავლეებისთვის.

საკვანძო სიტყვები-დისტანციური სწავლება, ონლაინ სწავლება, ჰიბრიდული სწავლება, პანდემია.

შესავალი

,,დისტანციური განათლება“ შესაძლო განი-მარტოს, როგორც საგანმანათლებლო პროცესი, რომელიც მიმდინარეობს სივრცესა და დროში ერთმანეთისგან დაშორებულ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. დღეს, ტექნოლოგიების საუ-კუნეში მაკავშირებელს წარმოადგენს კომპიუ-ტერული ტექნოლოგიები და ინტერნეტი, რაც ფაქტობრივად, შეუზღუდავ შესაძლებლობებს გვაძ-ლევს. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოსახლეობაცა და საგანმანათლებლო სივრცეც მოუმზადებელი აღ-მოჩნდა 2020 წელს იმ გამოწვევისთვის, რომლებიც Covid 19-ს ახლდა თან და რომლებიც დღემდე აქტუალურია. მოულოდნელად დადგა საჭიროება, დახურულიყო სკოლები განუსაზღვრელი ვადით, აუცილებლობას წარმოადგენდა დისტანციური სწავლების შემოღება, წამოჭრილ სირთულეებს შორის იყო: ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის არასათანადო დონეზე ფლობა, ახალი უნარების ათვისების საჭიროება, სიახლეებთან შეგუება, ტექნიკური გაუმართაობა, გამოუცდელობა, ზოგ შემთხვევაში კი, ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის არქონა. აქვე, აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული სირთულის წინაშე აღმოჩნდენე ოჯახები, რომ-ლებსაც 2 ან მეტი მოსწავლე ჰყავდათ სახლში, ასევე ისინი, ვინც დისტანციურად მუშაობდნენ.

დღეს, არაერთი სირთულეა დაძლეული, ამ დროისთვის სკოლებში სწავლების ჰიბრიდული მეთოდი მოქმედებს, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის უფლება, რასაც ისევ ორი მხარე აქვს, დადებითი, იმ თვალსაზრისით, რომ არსებული საჭიროების შმთხვევაში მოსწავლე რჩება სახლში, მაგრამ არ სწყდება სასწავლო პროცესს და უარყოფითი, ხშირად მოსწავლეებიცა და სამწუხაროდ მშობლებიც ერთგვარ სიმარტივეს ხედავენ დისტანციურ სწავლებაში, და ირჩევენ ონლაინს, სამწუხაროა, რომ არაერთი მათგანი ამ გაკვეთილებსაც ცდენს, რაც საბოლოო ჯამში აუცილებლად ჰპოვებს ასახვას, როგორც მათ ცოდნაზე, ასევე, სოციალურ განვითარებაზე.

ძირითადი ნაწილი

21-ე საუკუნეში, ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ერთ დღესაც მსოფლიო პანდემიის წინაშე აღმოვჩნდებოდით, თუმცა 2019 წლის მიწურულს კოვიდ-19-მა მსოფლიო რეალობა შეცვალა, ჩაიკეტა ქალაქები, ქვეყნები, გადაივსო საავადმყოფოები, შეჩერდა სწავლა, დაიხურა სკოლები და უნივერსიტეტები. 2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდინფექ-ცია პანდემიად გამოაცხადა.

კოვიდ-19, ეგრეთ წოდებული კორონა ვირუსი, ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა, რომელიც განსაკუთრებით აზიანებს სასუნთქ გზებსა და ფილტვებს, სამწუხაროდ არაერთი შემთხვევა ლეტალურად დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 2 წლის მანძილზე ვირუსმა არაერთხელ იცვალა სახე და დღეს თითქოს შეეგუა მას მსოფლიო საზოგადოება, ხალხი აღარაა ისეთი სტრესის ქვეშ, როგორც თავიდან, პანდემია მაინც გრძელდება.

თავდაპირველად, მსოფლიო მოსახლეობისთვის დაავადების შიშთან ერთად, პანდემიის გამოცხადებას უდიდესი ფსიქოლოგიური დარტყმა მოჰყვა კარანტინის გამოცხადების სახით, როცა მაქსიმალურად შეიზღუდა სოციალური ურთიერთობები, ადამიანებს ეშინოდათ გარეთ გასვლის, ერთმანეთთან შეხვედრის, კომუნიკაციის, უამრავი სამსახური დაიკეტა და ბევრიც დიტანციურ რეჟიმზე გადავიდა, შესაბამისად, პანდემიის მიერ მიყენებული ზიანი შეეხო არა მხოლოდ ჯანდაცვის სფეროს, შეჩერდა არაერთი წარმოება, დაიხურა მომსახურებისა თუ კვების ობიექტები, უდიდესი ზიანი მიადგა ბიზნესს, ეკონომიკას, კულტურას და ყველა სხვა სფეროსთან ერთად, რა თქმა უნდა განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დადგა განათლება....

კარანტინის გამოცხადებასთან ერთად, დაიხურა სკოლები და უნივერსიტეტებიც. თუმცა, რა თქმა უნდა შეუძლებელი იყო სწავლის შეწყვეტა გაურკვეველი ვადით, შესაბამისად განათლების სისტემამ მოქნილობა გამოიჩინა და მოკლე დროში მოახერხა და სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. თავდაპირველად არაერთი სირთულის წინაშე დადგნენ როგორც მასწავლებლები და სკოლების ადმინისტრაცია, ასევე მოსწავლეები და მათი ოჯახები. გამოწვევა არაერთი იყო. არაერთი ოჯახია საქართველოში, რომელსაც სახლში არ აქვს, ან არ ჰქონდა კონპიუტერი თუ სათანადო მობილური ტელეფონი, ისევე, როგორც ინტერნეტი, გასათვალისწინებელია, რომ ტექნიკა სრულად გამართულ მდგომარეუბაში უნდა იყოს, ვინაიდან საჭიროა როგორც ვიდეოთვალი ასევე მიკროფონი, სწრაფი ფუნქციონირება და ა. შ რათა არ გამოიწვიოს ხმაური და არაეულობა გაკვეთილის მიმდინარეობისას. განსაკუთრებით ეს პრობლემა მაღალმთიან სოფლებს აწუხებს, თუმცა ქალაქშიც ბევრი ოჯახი აღმოჩნდა ასეთი. გარგა ამისა, დამატებითი სირთულის წინაშე აღმოჩნდნენ მრავალშვილიანი ოჯახები, აგრეთვე ისინი, ვის ოჯახშიც დისტანციურად მომუშავე პირები იყვნენ, ვინაიდან აქ უკვე აღარ იყო საკმარისი ერთი კომპიუტერი, ინტერნეტის სიჩქარეც ქმნიდა პრობლემებს. ,,თიმსის“ პროგრამის გაცნობა და მოხმარება მასწავლებლებისთვის დამატებით გამოწვევას წარმოადგენდა, მოითხოვდა მოკლე დროში ახალი ცოდნისა და უნარების ათვისებას. უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სისტემამ თავის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ერთად მაინც მოქნილობა გამოიჩინა და სირთულეებიც ნელ-ნელა დაძლიეს, გაკვეთილები წინასწარ გაწერილი ცხრილის მიხედვით ტარებოდა, თუმცა შეიცვალა საგაკვეთილო დრო, ისედაც არასაკმარისი სასკოლო 40-45 წუთის ნაცვლად დისტანციური გაკვეთილების ხანგრძლივობა 20-30 წუთს შეადგენდა, დრო მოსწავლეტა ლოდინსა და ტექნიკურ საკითხებშიც იხარჯებოდა, რაც სატანადო ხარისხის გაკვეთილის ჩატარების ხელიშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა. ასევე შემცირდა საგნების

კვირეული საათობრივი რაოდენობა, (კონკრეტულ დროსა და ამა თუ იმ საგნის კვირეულ რაოდენობას, სკოლები თავად განსაზღვრავენ, სამინისტროს მიერ მიცემული მითითებებისა და რეკომენდაციების ფარგლებში).

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესი არ შეწყდა, მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც თითქოს შეეგუვნენ ,,ონლაინ" სწავლებას და გაკვეთილების ხარისხიც გაუმჯობესდა, დროსაც ზოგავდნენ და ფინანსებსაც, განსაკუთრებით-კერძო სკოლები, ამის მიუხედავად, სირთულეები მაინც რჩებოდა, კერძოდ კი უშუალო სოციალური ურთიერთობების ნაკლებობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეობის პერიოდში, ვინაიდან სწორედ ეს ურთიერთობები ეხმარება მოსწავლეს ჩამოყალიბდეს მისი ღირებულებები, განუვითარდეს სხვადასხვა უნარ-ჩვევები, მოხდეს მისი პიროვნებისა და მისი როგორც საზოგადოების წევრის ფორმირება.

განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დაწყებითი კლასების მოსწავლე-მასწავლებლები დადგნენ. პირველ, მეორე კლასში ბავშვები ჯერ კიდევ არ არიან შეგუებულები სკოლას, მასწავლებელს, რეჟიმს. ხშირად სჭირდებათ დახმარება თითოეული ასო-ბგერის შემოსახაზად, განსაკუთრებული მიდგომა, ხალისი და ფიზიკური აქტივობა...ეს ყველაფერი დისტანციურ რეჟიმში საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი საკითხია მოტივაცია. ონლაინ სწავლების პერიოდში, თავდაპირველმა გაურკვევლობას, ზოგადმა ფსიქოლოგიურმა სტრესმა, შემცირებულმა საგაკვეთილო საათებმა, ურთიერთობების ნაკლებობამ და სხვა არაერთმა მიზეზმა გამოიწვია მოტივაციის დაქვეითება მოსწავლეებში. შედეგად ისინი ხშირად აცდენდნენ ონლაინ გაკვეთილებს ან მოუმზადებლები ერთვე-ბოდნენ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე დრო საკმაოდ მცირეა იმისთვის, რომ პედაგოგმა ახსნაც მოასწროს და გამოკითხვაც, ამასთან არაერთ მიზეზს ,,იშველიებდნენ" ბავშვები.

დღესდღეობით, სასკოლო განათლება უბრუნდება სკოლას, ცოცხალ ინტერაქციას, თუმცა ნარჩუნდება ეგრეთ წოდებული ჰიბრიდული სწავლების რეჟიმი. მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ არჩევანის უფლება, იარონ სკოლაში, ან დაესწრონ დისტანციურ გაკვეთილებს. სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგებისთვის ეს დამატებით სირთულეებს, დამატებით შრომას უკავშირდება, და რაც მთავარია საფრთხეს უქმნის სწავლა-სწავლების ხარისხს.

უამრავი გამოწვევის, მატერიალურ-ტექნიკური თუ სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების, ახალი ცოდნისა თუ უნარ-ჩვევების საჭიროებით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, შეუძლებელია, არ აღინიშნოს დღევანდელი დღისთვის მიღწეული შედეგი, კერძოდ კი დისტანციურ სწავლებასთან ადაპტირება, მორგება და მისი არსებობა ამა თუ იმ საჭიროების შემთხვევაში და რაც მტავარია-რესურსები. როდესაც პედაგოგებს მოაკლდათ მატერიალური დაფა და ცარცი, სხვადასხვა რესურსები, აღარ ჰქონდათ საშუალება ჩაეტარებინათ ჯგუფური მუშაობები და სხვადასხვა სახის აქტივობები, მათ დაიწყეს ონლაინ რესურსების შექმნა და ერთმანეთისთვის გაზიარება. შესაბამისად ნელ-ნელა დისტანციური სწავლებაც სულ უფრო მრავალფეროვანი გახდა, გაიზარდა გაკვეთილის ხარისხიც, რაც ვფიქრობთ, შესაბამისად გამოიწვევს მოსწავლეთა მეტ დაინტერესებასა და ჩართულობა-აქტიურობას.

რეკომენდაციის სახით შეგვიძლია რამდენიმე პუნქტის გაწერა. სასურველია, პედაგოგებმა გაწერონ წესები, რომლებსაც წინასწარ გააცნობენ მოსწავლეებს. მათ შორის, აუცილებელია კამერის ჩართვის მოთხვოვნა, ვინაიდან პედაგოგი დარწმუნებული იყოს, რომ ბავშვი გაკვეთილზეა და აქტიურადაა ჩართული მიმდინარე პროცესში. ხმაურის გამორიცხვის მიზნით, რათა არ დაიკარგოს ისედაც მმცირე საგაკვეთილო დრო, სასურველია, პედაგოგმა გათიშოს ყველა მიკროფონი და მხოლოდ ხელის აწევის, ან სხვა მანიშნებლის ან საჭიროების შემთხვევაში გაუაქტიუროს იგი კონკრეტულ მოსწავლეს. ისევე, როგორც საკლასო ოთახში, აქაც აუცილებლობას წარმოადგენს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება, რათა მოხდეს ბავშვების მაქსიმალური დაინტერესება და ჰქონდეთ სურვილი დაესწრონ და მიიღონ მონაწილეობა გაკვეთილში. ,,თიმსის" პროგრამას გააჩნია სპეციალური ,,სივრცე" სადაც პედაგოგმა უნდა დაწეროს, თუ რა დავალებას აძლევს მოსწავლეს და ,,სივრცე" სადაც მოსწავლე ტვირთავს დავალებას, სასურველიამათი გამოყენება და არა ზოგად სასაუბრო ველში მათი ატვირთვა, თუმცა მასწავლებელმა აუცილებლად

უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს ინსტრუქცია, სასურველია ვიდეორგოლის სახით და ასევე განუმარტოს, რომ ასე დავალებას მხოლოდ პედაგოგი ხედავს და ამსთან აქვს მისი შეფასების საშუალებაც, მათ შორის, განმავითარებელი შეფასებით, რაც ნამდვილად წარმოადგენს კომფორტის საგანს. საბოლოოდ კი კიდევ ერთი რეკომენდაცია პედაგოგენს-ნუ დახარჯავთ ისედაც მცირე საგაკვეთილო დროს სიის ამოკითხვაზე, თიმსი ასახავს მოსწავლეთა სიას, და თუ ამ მონაცემის დაკარგვის მაინც გეშინიათ, შეგიძლიათ გაკვეთილის მსვლელობისას, უბრალოდ ფოტოს სახით შეინახოთ შემოსულ მოსწავლეთა გვარები, აკონტროლეთ დრო და მაქსიმალურად მოახმარეთ იგი თქვენს მოსწავლეებს.

რაც ეხება რეკომენდაციებს მშობლებისთვის, არაერთი შემთხვევაა, როცა განსაკუთღებული აუცილებლობის გარეშე, გარკვეული სიმარტივის მოლოდინში ირჩევენ მოსწავლეები და მათი მშობლები ონლაინ სწავლებას, და მრავალი მათგანი არც დისტანციურ გაკვეთილებს ესწრება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სკოლა განსაკუთრებულ როლს ასრულებს, როგორც ცოდნის გადაცემის, აღზრდის, პიროვნების ფორმირების, ასევე ჩვენი შვილების, მომავალი თაობის სოციალური განვითარების თვალსაზრისით, შესაბამისად კარგად უნდა გავითვალისწინოთ სკოლის როლი ბავშვების განვითარების პროცესში და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება სწავლების დასრებული თუ დისტანციური რეჟიმის არჩევისას.

მიწურულს აღვნიშნავ, რომ კოვიდ-19 ამ ეტაპისთვის შედარებით მართვადი გახდა. ხალხიც ნელნელა უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს. მოიხსნა არაერთი შეზღუდვაც. დაიწყო პანდემიით გამოწვეული ზიანის შესწავლა სკოლებშიც, ამ მიზნით, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2022 წლის მაისის თვეში იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რაც გულისხმობს ერთგვარ გამოცდას მე-4 დან მე-9 კლასის მოსწავლეთათვის, რათა სახელმწიფომ შეძლოს გაანალიზოს, ის დანაკარგები, ის ზიანი, რაც დისტანციურმა სწავლებამ მიაყენა მოსწავლეებს საგნობრივი ცოდნის თვალსაზრისით.

დასკვნა

21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ეპოქადაც იწოდება. ახალი თაობა მცირე ასაკიდანვე სარგებლობს ე. წ. სმარტფონებითა და კომპიუტერებით, ეს მათთვის ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილსაც კი წარმოადგენს. საუკუნის დასაწყისშივე, მსოფლიო მოსახლეობა უდიდესი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, დიდსა თუ პატარას ახალი ცოდნისა და უნარების ათვისება დასჭირდა. არ შიძლება არ აღინიშნოს განათლების სისტემისა და მასწავლებლებისა და მოსწავლეთა და მათი ოჯახების ,,მოქნილობა", დისტანციური სწავლების უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გაუმჯობესებული ხარიხსი, დაგროვებული რესურსები და ა. შ

მსოფლიო კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ცვლილებები სულ უფრო სწრაფად მიმდინარეობს და არაერთი გამოწვევისთვის უნდა ვიყოთ მზად. მზაობა უნდა გვქონდეს სწორედ ამ ,,მოქნილობისთვის", რათა მარტივად შევძლოთ ახლის მიღება, გათავისება, ახალი ცოდნის შეძენა. საჭიროა სწორედ ამ უნარ-ჩვევების განვითარება მომავალი თაობისთვის, რომლებსაც ჩვენი მოსწავლეები წარმოადგეგენ დღეს.

სკოლის დირექცია თუ მასწავლებლები, მშობლები, კარგად უნდა ითავისებდნენ სკოლის როლს მომავალი თაობის განვითარებაში, რომ ეს როლი არ გულისხმობს მხოლოდ თეორიულ ცოდნას, რომ ძირითადი აქცენტი არ უნდა გაკეთდეს ნიშანზე, არამედ ეს ნიშანიც ემსახურებოდეს ამ ბავშვების მოტივირებას, განვითარებას. საჭიროა დაისახოს გზები და მიზნები. სკოლას მუდმივად უნდა ჰქონდეს მზაობა სიახლეებისთვის, ეს არ უნდა გულისხმობდეს ბიუროკრატიულ სირთულეებს, არამედ იყოს მოსწავლეთა განვიტარებაზე ორიენტირებული. მშობლების დაინტერესება და მათი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, ერთობლივი მუშაობა მომავალი საზოგადოების აღზრდისთვის, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განათლების სოციოლოგია (კახა ქეცბაია. თბილისი 2014)
2. განათლების სოციოლოგია (კახა ქეცბაია. განახლებული სახელმძღვანელო. თბილისი 2020)
3. განათლების სოციოლოგია (თამარ შინჯიაშვილი. თბილისი 2019)
4. ზოგადი სოციოლოგიის საფუძვლები (მურად შონია. თბილისი 2013)
5. სოციოლოგია ყველასთვის (კახა ქეცბაია. თბილისი 2018)
6. სკოლა და საზოგადოება (უოლტერ ფეინბერგი. იონას ფ. სოლტისი. მეხუთე გამოცემა. თბილისი 2012)
7. დისტანციური სწავლების მართვა (საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია. თბილისი 2021) https://www.mes.gov.ge/uploads/covid/distanciuri-swavleba%20-%2008%2002%202021.pdf
8. https://www.mes.gov.ge/index.php?lang=geo
9. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90
10. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels
11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0

The effect of remotely learning on the school environment

Maia Gelashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The aim of this article is to discuss remote education and the challenges and positive outcomes raised during the process, evaluate the process and write a number of recommendations.

COVID-19 has presented the largest challenge in the world. As if that were unthinkable in the 21st century, everything stopped, fear abated, the virus was recognized as a pandemic and quarantine was declared. There was a need for veil, there was a scarcity of these veils, businesses, food stores closed, amazing things happened, There was a need for veil, there was a scarcity of these veils, businesses, food outlets closed, amazing things happened. City residents were only allowed to move around during certain hours and only on foot. The number of people killed day and night was rising and there was no remedy, it was a battle against an invisible and unknown enemy. Many areas have been affected, as well as health, psychological and social issues. Among other areas, neither educational was in a favourable position. Schools and universities were closed. There are a lot of students in the country today who have never sat in an auditorium and have not accumulated good memories of students, although the schools have faced even greater challenges. The pause for an indefinite period was unthinkable. The solution proved to be distance learning, which presented a number of challenges for both the principal and teachers, as well as for students and their families. Difficulties were associated with technical, financial and material aspects, as well as the acquisition of new knowledge and skills.

As always, the medal proved to be bilateral this time, with new knowledge, experience, opportunities and resources emerging at the same time as the challenges. However, the 21st century, as an era of globalisation, already refers to computing as a topic of everyday use and already a necessity, learning remotely is an important experience for our teachers and students.

Keywords- learning remotely, online learning, hybrid learning, pandemic.

ჟურნალისტიკა

JOURNALIZM

თურქეთის ტელევიზია

ქეთევან გითრგთბიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია თურქეთის, იმ დასავლეთ აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე ქვეყნის ტელემაუწყებლობის შესახებ, რომელსაც ყოველწლიურად უამრავი ადამიანი სტუმრობს და რომელსაც ტურისტების მისაზიდად საკმაოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა აქვს. თურქეთში ცდილობენ მაქსიმალურად გააძლიერონ ტურისტული სექტორი, ამას თურქული სერიალებისა და მხატვრული ფილმების წყალობითაც გეგმავენ, რომლებიც უხვად გადის ტელევიზიის ეკრანებზე და რომლებშიც აისახება ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები, ბუნება, ეროვნული სამზარეულო და ა.შ. თურქეთი მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს, აშშ-ს შემდეგ, მრავალსერიანი ტელეფილმების ექსპორტის მაჩვენებლით; ყურადღება გამახვილებულია თურქეთის პოპულარული და უმსხვილესი **ტელეარხების, ტელეკომპანიების, პლატფორმებისა და მათი პროგრამების შესახებ, რომელთა შორის გამოირჩევა TRT 1, Kanal D, Digiturk, D-Smart, Turksat, Show TY, Kablo 5 და ა.შ. აღნიშნულია, რომ თურქეთის სატელევიზიო ბაზარზე არცთუ მცირე რაოდენობით არის ამერიკული ბრენდული ტელეარხები და არხები, რომლებშიც წილი ამერიკულ კომპანიებს აქვთ, ისეთებს, როგორიცაა CNN Turk, Fox, Lifertime და სხვა; ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ თურქეთში ზოგიერთ კონტენტზე შეზღუდულია წვდომა, თურქეთის ტელევიზია გარკვეულწილად კონტროლის ქვეშაა, არცთუ იშვიათია ამა თუ იმ რეკლამის, გადაცემის თუ პროგრამის აკრძალვის შემთხვევები; ასევე ნათქვამის ისიც, რომ თურქეთის ტელევიზია ზოგჯერ პროპაგანდის და აგიტაციის იარაღია, თუმცა წარმოადგენს ახალი ამბების მნიშვნელოვან წყაროს, ახერხებს მაყურებლის მიზიდვას მათი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით შესაძლებლობის ფარგლებში, მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზებით, გამართული ინფრასტრუქტურით. მართალია, შესაძლოა ბოლომდე დამოუკიდებელი და ობიექტური არ არის, მაგრამ თავის ფუნქციას და დანიშნულებას მეტწილად მაინც ასრულებს, ორიენტირებულია ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და მედიამომხმარებლისთვის კომფორტის შექმნაზე.**

საკვანძო სიტყვები: თურქეთის ტელევიზია; ელექტრონული მედია; სახელმწიფო, საკაბელო, სათანამგზავრო, ფასიანი ტელეარხები; ტელეპროგრამები; კონტროლი და აკრძალვები, მედიარეგულატორი, აგიტაცია-პროპაგანდა.

შესავალი

დასავლეთ აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე თურქეთი ის ქვეყანაა, რომელსაც ყოველწლიურად უამრავი ადამიანი სტუმრობს და რომელსაც ტურისტების მისაზიდად საკმაოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა აქვს. ვიზიტორთათვის უფასო ინტერნეტი ყველგან ხელმისაწვდომია, მათ უპრობლემოდ შეუძლიათ საკუთარი ელექტრონული ფოსტის შემოწმებაც და სოციალური ქსელებით სარგებლობაც. თავად თურქებიც ელექტრონული მედიის აქტიური მომხმარებლები არიან. ბოლოდროინდელი

გამოკითხვების თანახმად, თურქეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეში 9-10 საათს სმარტფონის, პლანშეტის ან კომპიუტერების ეკრანთან ატარებს, 4 საათს კი - ტელევიზორთან. თურქეთის ტელეპროგრამებს შორის გამორჩეულ ადგილს იკავებს სერიალები; კომპანიის „Interpress Media Services" მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, თურქეთის გარდა თითქმის 100 უცხოურ ქვეყანაში უყურებენ თურქულ ტელესერიალებს. ეს აზიასა და ევროპის გასაყართან მდებარე ქვეყანა მეორე ადგილზეა (აშშ-ს შემდეგ) მრავალსერიანი ფილმების ექსპორტის მაჩვენებლით, უსწრებს მექსიკას და ბრაზილიასაც კი. ტელესერიალებისგან მიღებული წლიური შემოსავალი 350 მლ. დოლარს აღწევს.

ძირითადი ნაწილი

თურქეთის პირველი ეროვნული სატელევიზიო არხის TRT 1 დაარსების თარიღად ითვლება 1968 წელი, თუმცა მანამდე, 1952 წელს, სტამბოლის ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სატელევიზიო სადგურიდან, რომელიც აღჭურვილი იყო კომპანია „ფილიპსის" მიერ, მოახერხა საცდელი გადაცემის გაშვება. 1981 წლიდან თურქ ტელემაყურებელს მიეცა საშუალება ფერადი ტელევიზიის გამოჩენის მომსწრენი გამხდარიყვნენ. პირველმა კერძო ტელეარხმა -„Star" მაუწყებლობა დაიწყო 1989 წლის 26 მაისიდან. ამავე წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა თურქეთის ტელეინდუსტრიაში, გამოჩნდა ფასიანი არხი - Cine 5. 1993 წელს ქვეყნის კონსტიტუციაში შევიდა შესწორება თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ კერძო მაუწყებლობასთან დაკავშირებით. 1994 წელს დაარსდა მედიარეგულატორი - თურქეთის რადიო და ტელემაუწყებლობის კორპორაცია.

თურქეთის უმსხვილეს ტელეკომპანიებს, ტელეარხებსა და პლატფორმებს შორის უნდა გამოვყოთ Kanal D; ATV; Show TV; Digiturk; D – Smart, Turksat; TV 8; Star TV; kanal 7; TRT Haber და ა.შ. თურქეთის სატელევიზიო ბაზარზე არცთუ მცირე რაოდენობით არის ამერიკული ბრენდული ტელეარხები და არხები, რომლებშიც წილი ამერიკულ კომპანიებსაც აქვთ, ისეთები, როგორიცაა CNN Turk; Fox; NTV (2000- 2014); CNBC-e (2015 წლამდე); Sohy chanel; Bloom berg HT; Fx; Lifertime და ა.შ.

2018 წელს, თურქეთში 2016 წლის 16 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, მთავრობის გადაწყვეტილებით 38 სატელევიზიო არხი დაიხურა მათი თურქი სასულიერო პირის - ფეთულახა გიულენის სტრუქტურებთან კავშირში დადანაშაულებისა და სამხედრო გადატრიალების ორგანიზების გამო. 2019 წლის მონაცე-მებით თურქეთში იყო 196 ტელეარხი, მათ შორის 19 ნაციონალური, 12 რეგიონალური, 165 მუნიციპალური და 1 სახელმწიფო ტელეკომპანია 13 საკუთარი ტელეარხით.

თურქეთში ძალზე პოპულარულია საკაბელო ტელევიზია Kablo TV. საკაბელო ტელევიზიის დასაარსებლად 1988 წლიდან დაიწყო აქტიური მუშაობა, 1991 წელს კი უკვე მოხერხდა მისი ამოქმედება. დღეისთვის Kablo TV-ს აქვს რამდენიმე HP არხი, მაგ. National Geografic HP და Euro Sport HP. Kablo TV, თუმცა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მაუწყებლობს, მაგრამ ყველგან ერთნაირად ხელმისაწვდომი არ არის, რადგან სისტემა იბლოკება. 2020 წლის მონაცემების თანახმად, საკაბელო ტელევიზიის პროგრამებს თურქეთის 24 პროვინციაში ადევნებდნენ თვალს, მაგრამ ინფრასტრუქტურა ვითარდება და 2023 წლისთვის დაგეგმილი აქვთ კიდევ 24 პროვინციაში მიეცეს მაყურებელს საკაბელო ტელევიზიით სარგებლობის საშუალება. დღეისთვის თურქეთში საკაბელო ტელევიზიის 2 მთავარ პროვაიდერს გამოყოფენ, ესენია - Turk Sat და Digi Turk. პირველი ტელემაყურებელს სთავაზობს 50 არხის მომსახურებას, რომელთაგან უმრავლესობა მაუწყებლობს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებზე. Digi Turki-იც მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს მომხმარებელს.

თურქეთის ტელევიზია აკმაყოფილებს განსხვავებული ინტერესებისა და მოთხოვნილებების მქონე აუდიტორიას. არის არხები, რომლებიც განკუთვნილია ხელოვნებით დ კულტურით, სპორტით, მუსიკით, რელიგიით დაინტერესებული მაყურებლისთვის; გვხვდება არხები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის; არსებობს პროგრამები ინგლისურ, ქურთულ, არაბულ ენებზე, თუმცა ერთი რამ უნდა აღინიშნოს, მედიამომხმარებელს სტაბილურად აქვს წვდომა ინტერნეტზე, რასაც შეუძლია ტელევიზიის ჩანაცვლება. ამიტომ მაყურებელთა ერთი ნაწილი ამჯობინებს შეიძინოს Smart-TV, რომელიც ინტერნეტით მუშაობს და არ საჭიროებს დამატებით გადასახადს არხების

საყურებლად. ინტერნეტის ჩართვისთვის იყენებენ ან სატელეფონო ხაზებს, ან მსხვილბოჭკოვან კაბელებს. მომხმარებელს სთავაზობენ სხვადასხვა სახის პაკეტებს, რომლებსაც ერთმანეთისგან განასხვავებს სისწრაფე, ხანგრძლივობა და, რაღა თქმა უნდა, გადასახადის ოდენობა, რომელიც 10 დოლარიდან იწყება. ინტერნეტის ძირითადი პროვაიდერი არის Turk Telekom, კერძო ინტერნეტპროვაიდერებს შორის კი შეგვიძლია გამოვყოთ Turk-net, E-Kolay, Netone და ა.შ. თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი საიტი, სადაც დევს ყველა აუცილებელი ინფორმაცია. უნდა ითქვას, რომ თურქეთში ზოგიერთ კონტენტზე შეზღუდულია წვდომა, ასევე საკანონმდებლო აქტებით მკაცრად არის განსაზღვრული საავტორო უფლებები, გარკვეული აკრძალვები ეხება რელიგიურ გადაცემებს, მოზარდებისთვის განკუთვნილ პროგრამებს და ა.შ.

როდესაც საუბარია თურქეთის ყველაზე პოპულარულ ტელეარხებზე, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქვეყნის პირველი ნაციონალური ტელეარხი TRT-1, რომლის მიზნობრივი აუდიტორია განსხვავებული ასაკის ადამიანებისგან შედგება; დიდი ყურადღება ეთმობა ტრადიციების პროპაგანდას, საგანმანათლებლო პროგრამებს. ზოგადად, პროგრამების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია: ახალი ამბები, მუსიკა, სპორტი, სერიალები და ა.შ. ATV მომხმარებელს ანებივრებს პოპულარული სერიალებით, ტელევიქტორინებით, თოქ-შოუებით; Star TV ძირითადად ეთერში გადასცემს გასართობ შოუებს, სერიალებს, ახალ ამბებს; Kral TV მუსიკალური არხია, რომელიც 24 საათის განმავლობაში მაუწყებლობს, მუდმივად გადის თურქული სიმღერების კლიპები და გადაცემები, რომლებიც მუსიკალურ ინდუსტრიას უკავშირდება; Kanal D გამოირჩევა პოლიტიკური და საგანმანათლებლო პროგრამებით, გადაცემებით სამედიცინო თემებზე; Show TV- სწორედ ამ არხის მეშვეობით შეძლეს სერიალების მოყვარულებმა გასცნობოდნენ უცხოურ პოპულარულ ტელესერიალებს, ამასთან ერთად მრავალფეროვანი გასართობი ტელეგადაცემებითაც ანებივრებენ მომხმარებელს. ამ არხის ონლაინ ვერსიაც მისაწვდომია. მაღალი რეიტინგი აქვს საერთაშორისო თურქულ არხს Samanyolu TV, მაყურებელს სთავაზობენ შემეცნებით პროგრამებს, რელიგიურ და მუსიკალურ გადაცემებს, ფილმებს, სერიალებს, კულინარიულ შოუს და ა.შ. თურქეთში ფუნქციონირებს ინტერნაციონალური სათანამგზავრო ტელევიზია, მაყურებელს შეუძლია იხილოს ევროპის და აზიის ქვეყნების, იტალიის, არაბეთის, პოლონეთის ტელევიზიების მიერ მიმზადებული გადაცემები.

თურქეთში ცდილობენ მაქსიმალურად გააძლიერონ ტურისტული სექტორი, ამას თურქული სერიალებისა და მხატვრული ფილმების წყალობითაც გეგმავენ. კულტურული მემკვიდრეობა, ბუნება, ტრადიციები, ეროვნული სამზარეულო და ა.შ. ბუნებრივია, აისახება სერიალებსა და ფილმებში, იპყრობს მრავალრიცხოვანი მაყურებლის ყურადღებას და უჩენს ამ ქვეყანაში მოგზაურობის სურვილს.

უნდა ითქვას, რომ თურქული ტელევიზია გარკვეულწილად მაინც კონტროლის ქვეშაა, არცთუ იშვიათია ამა თუ იმ რეკლამის ან გადაცემის აკრძალვის შემთხვევები. მაგ. 2018 წლიდან ჯანდაცვის სამინისტრომ აკრძალა ბავშვებისთვის განკუთვნილი ზოგიერთი სახეობის ტკბილეულის რეკლამა ზედმეტ წონასთან ბრძოლის საბაბით, შეიქმნა კვების იმ პროდუქტების და სასმელების სია, რომელთა რეკლამირება ტელევიზიით იკრძალება გარკვეულ საათებში. ტელერადიომაუწყებლობის კომიტეტმა მხარი დაუჭირს ამ წინადადებას. ამავე კომიტეტს მიმართა თურქეთის იუსტიციის სამინისტრომ მოთხოვნით, არ დაეშვათ ქვეყნის ტელეეკრანებზე ახალი თურქული ტელესერიალის „ციხის ეზო“ ჩვენება, რადგან გამოსასწორებელი დაწესებულების თანამშრომლები უარყოფით გმირებად არიან გამოყვანილი, რომლებიც იყენებენ გაუმართლებელ ძალადობას პატიმრების მიმართ, ეს კი იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებს რთულ სიტუაციაში აყენებს, ძალოვანი სტრუქტურების მიმართ საზოგადოებას უარყოფითად განაწყობს. კრიტიკა ისმის მუსიკალური ტელეარხების მამართაც. მაგ., ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის დეპუტატმა ატილა სერტელმა პარლამენტში ბრიფინგის დროს პრეტენზია გამოთქვა სახელმწიფო მუსიკალური ტელეარხის TRT Muzik-ის მიმართ, რომელიც, მისი აზრით, „შავ სიაში“ მოხვედრილ სიმღერებსა და კლიპებს უშვებს ეთერში. ტელერადიომაუწყებლობის კომიტეტმა რამდენიმე მუსიკალურ ტელეარხს ფულადი ჯარიმა დააკისრა ეროტიკული შინაარსის სცენების

ჩვენებისთვის. დაჯარიმებას ვერ გადაურჩა ცნობილ მომღერალ ხადირეს ახალი კლიპი „ნულოვანი ტოლერანტობა“, ეს კლიპი აიკრძალა დღის ჩვენების დროს ქვეყნის ყველა ტელეარხზე. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წარმომადგენლებმა ტელერადიომაუწყებლობის კომიტეტს (RTUK) მოსთხოვეს სანქციების დაწესება TV 8-ის მიმართ. CNN Turk-ის ინფორმაციით, ამ მოთხოვნის მიზეზი გახდა პოპულარული შოუ, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 7-იდან 14 წლამდე ასაკის გოგონების ჯგუფი. ჩათვალეს, რომ მათ გამომწვევად ეცვათ, მოზარდებისთვის შეუფერებელი მაკიაჟი ეკეთათ. კიდევ ერთი რამ უნდა აღინიშნოს, თურქეთის სახელმწიფო ტელევიზია ზოგჯერ პროპაგანდის და აგიტაციის იარაღია, გამოხატავს რა თავის მიკერძოებულ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ქვეყნის თუ მოვლენის მიმართ. TRT 1-მა დაიწყო ჩვენება სერიალის, რომელიც გაზის სექტორში მომხდარ ამბებს ეხება. ისრაელის სამხედროები წარმოჩენილი არიან დაუნდობელ მკვლელებად, რომლებიც ხელის აუკანკალებლად ესვრიან ბავშვებს და მშვიდობიან მოსახლეობას, ყოველგვარი გამოძიების გარეშე ხვრეტენ პალესტინელებს, აწიოკებენ უდანაშაულო ადამიანებს. ისრაელის არმია ანგრევს პალესტინელთა სახლებს, არავის და არაფერს ინდობს. მართალია, სერიალ „განშორების“ შემქმნელები ამტკიცებენ, რომ მათ უბრალოდ სურდათ ეჩვენებინათ ტრაგედია პალესტინელი ხალხისა, რომლებიც წლებია იბრძვიან ოკუპაციის წინააღმდეგ, მაგრამ მათი დამოკიდებულება ისრაელის მიმართ აშკარა და ნათელია.

დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ ტელევიზია თურქეთში ახალი ამბების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. იმ დროს, როდესაც ბეჭდური პრესა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი მცირდება და მათ მიმართ მკითხველის ინტერესიც ნელდება, ელექტრონული მედია - ტელევიზია, სოციალური არხები, ინტერნეტსაიტები ახერხებს მომხმარებლის მიზიდვას მათი ინტერესების შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად გათვალისწინებით, მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზებით, გამართული ინფრასტრუქტურით. მართალია, თურქეთის ტელევიზიაზე ვერ ვიტყვით, რომ ბოლომდე დამოუკიდებელი და ობიექტურია, მაგრამ თავის ფუნქციას და დანიშნულებას მეტწილად მაინც ასრულებს, ორიენტირებულია ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და მედიამომხმარებლისთვის კომფორტის შექმნაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http: /www. o-turkey.ru/
2. htpps; //mk-turkey.ru/
3. htpps; //ru. Wikipedia. org/wiki/
4. htpps; //www. newsru. co.il/
5. htpps; //www.spektr-tv.ru/

Turkish Television

Ketevan Giorgobiani, Associate Professor
Georgian Technical University

Summary

The paper discusses television broadcasting in Turkey, a country in western Asia and southeastern Europe that is visited by a large number of people each year and has a well-developed infrastructure to attract tourists. Turkey is trying to strengthen the tourism sector as much as possible, thanks to Turkish TV series and feature films, which are abundantly displayed on television screens and which reflect the country's cultural heritage, traditions, nature, national cuisine, etc. Turkey ranks second in the world, after the United States, in terms of exports of multi-series television films; The focus is on Turkey's most popular and largest TV channels, TV companies, platforms and programs, including TRT 1, Kanal D, Digiturk, D-Smart, Turksat, Show TY, Kablo 5, etc. It is noted that the Turkish TV market has a large number of American branded TV channels and channels in which American companies have a stake, such as CNN Turk, Fox, Lifertime and others; Emphasizes the fact that access to some content in Turkey is restricted, Turkish television is somewhat under control, and it is not uncommon for this or that ad, program or program to be banned; It is also said that Turkish television is sometimes a tool of propaganda and agitation, but it is an important source of news, it manages to attract viewers to the maximum extent possible by taking their interests into account, offering a variety of programs and infrastructure. It is true that it may not be completely independent and objective, but it still fulfills its function and purpose to a large extent, focused on the introduction of new technologies and creating comfort for media users.

Keywords: Turkish Television; Electronic media; State, cable, satellite, charegable TV channels; TV programs; Controls and prohibitions, media regulator, agitation-propaganda.

ინტერნეტის, როგორც გლობალიზაციის ნაწილი და მისი გავლენა კულტურის განვითარებაზე

ანა ბეჟაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატია საკმაოდ მნიშვნელოვან თემას, გლობალიზაციასა და მის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს, ინტერნეტს ეხება. ინტერნეტი და სოციალური ქსელი დღესდღეობით ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და საზოგადოების აზრის, ღირებულებებისა და ცხოვრების წესის ფორმირებაში უდიდესი როლი გააჩნია. ინტერნეტი დიდწილად აჩქარებს გლობალურ პროცესებს და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გზით, დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ამიტომ გადავწყვიტეთ გვესაუბრა იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც შესაძლოა ჩვენი ქვეყანა დადგეს.

სტატიის დასაწყისში ვსაუბრობთ ინტერნეტის შექმნაზე, მოკლედ მიმოვიხილავთ იმ მნიშვნელოვან ეტაპებს, რომებმაც ინტერნეტისა და სოციალური ქსელის შექმნის პროცესში დიდი როლი ითამაშეს.

შემდგომ, ვსაუბრობთ საქართველოში ინტერნეტის შემოსვლისა და გავრცელების პროცესებზე. ტექტონოგიურ და ინფორმაციულ რევოლუციაზე და ამ ყველაფრის შედეგებზე.

განვიხილავთ საზოგადოებისა და ადამიანის ურთიერთმიმართებას უკვე ინტერნეტ-სამყაროში. მომხმარებლის როლს სოციალური ქსელის, ანუ ვირტუალური საზოგადოების შექმნაში.

საბოლოოდ კი მივდივართ ინტერნეტის, როგორც გლობალური სივრცის მნიშვნელობის განსაზღვრამდე. ვშლით გლობალიცაზიის საკითხს საქართველოსთან მიმართებაში. ვსაუბრობთ იმ საფრთხეებზეც, რომლებიც შესაძლოა დაემუქროს საქართველოს, როგორც ცალსახად ტრადიციულ და მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ქვეყანას.

ასევე, განვიხილავთ ინტერნეტს, როგორც ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროსა და კულტურის ნაწილს. კულტურული საზოგადოების შექმნისთვის მის აუცილებლობასაც ვეხებით. აღვნიშნავთ ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნიკის აუცილებლობის საკითხს ბავშვებისა და მოზარდებისათვის სასწავლო პროცესში.

განვიხილავთ სოციალურ ქსელს, როგორც თვითგამოხატვის საშულებას და ხაზს ვუსვამთ მის უდიდეს როლს ამ საკითხში.

ბოლოს, ისევ ვეხებით ინტერნეტისა და სოციალური ქსელის გავლენას საზოგადოებაზე, თუ როგორ ახდენს ღირებულებების გადაფასებასა და აზროვნების ცვლილებას მომხმარებელში. როგორ ხვდება ამას ქართული საზოგადოება.

საბოლოოდ, ვეცადეთ მისვულიყავით გამოსავლის ძიებამდე. ვსაუბრობთ მედიის ქცევასა და იმ რეგულაციების აუცილებლობაზე, რომ-ლებიც ბალანსის დაცვაში დაგვეხმარება.

შესავალი

ინტერნეტმა რომ ტელევიზია და რადიო დიდწილად ჩაანაცვლა, ეს არახალია. ინფორმაციის მთავარ წყაროდაც სოციალური ქსელები იქცა. ინტერნეტის შექმნით, შესაძლოა ითქვას, იფორმაციული რევოლუცია მოხდა.

ინტერნეტმა, ანუ მსოფლიო ქსელმა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან აიდგა ფეხი, როდესაც, 1957 წელს საჭოთა კავშირმა კოსმოსში თანამგზავრი გაუშვა და საპასუხოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მოწინავე პროექტების კვლევის სააგენტო APRA შექმნა. APRA-მ ინფორმაციის გადამუშავების ტექნოლოგიების ოფისო (IPTO) დააარსა და მისი მეშვეობით ქვეყნის სარადარო სისტემურ ქსელს დაუკავშიდა.

IPTO-ს სათავეში კომპანია „ლიკლიდერი“ ჩაუდგა და სწორედ მისი თაოსნობთ, 1957 წელს დაიწყო მუშაობა ინტერნეტის გავრცელებაზე.

მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ, ტექნოლოგმა ლაურენს რობერტსმა შექმნა პირველი მასშტაბური ქსელი. ეს მოხდა 1983 წლის 1 იანვარს.

საქართველოში ინტერნეტი 1996 წელს შემოვიდა. ამავე წელს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურიდას წარმომადგენელმა ევროპაში, რენო სირაძემ პირველი ქართული საიტიც დააარსა და „დედაენა“ უწოდა.

ძირითადი ტექსტი

პირველი ქართული უნი-კოდ ფონტები კი რენო სურაძემ ბესარიონ გუგუშვილთან ერთად შექმნა.[1]

2000 წელს ინტერნეტის მომხმარებელი 20 000 ადამიანი იყო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემებით კი ინტერნეტს საქართველოს მოსახლეობის 84 % იყენებს.

ინტერნეტი რომ კულტურის ნაწილად იქცა, ეს ცხადია. ის ინფორმაციის მიღების მთავარი წყაროც არის და ცივილიზაციის აუცილებელი ინსტრუმენტიც. ახალი თაობა, შელამაზების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტერნეტის საშუალებით გაიზარდა.

რასაკვირველია, ყველაფერს ორი მხარე აქვს, და ინტერნეტ-დამოკიდებულების პრობლემაც დიდია. თუმცა, ვერ უარვყოფთ, რომ ბავშვებსა და მოზარდებს ინტერნეტი საკმაო რესურსს აძლევს ინფორმაციის მისაღებად, თვითგამოხატვისთვის და მსოფლიო, გლობალურ საკითხებზეც აძლევს წვდომას. მოსწავლეებს საშუალება აქვთ მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია, დაამუშაონ, გაეცნონ რეცენზიებს ხელოვნების ამ თუ იმ ნაწარმოების შესახებ.

დღეს, ის ბავშვი და მოზარდი, რომელსაც ხელი არ მიუწვდება კომპიუტერსა და ინტერნეტზე, თანატოლებს ბევრად ჩამორჩება სასწავლო პროცესში. საჭიროა მოსწავლეების ტექნიკური კუთხით უზრუნველყოფა სახელმწიფომ და საგანმანათლებლო სისტემამ უზრუნველჰყოს.

მითუმეტეს, რომ ინტერნეტი თვითგამოხატვის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იქცა და მოზარდობის პერიოდში საკუთარი თავის გამოხატვის სურვილი მაქსიმალურ ზღვარს აღწევს.

ცნობილი „მასლოუს პირამიდის „ავტორი ,ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ ამბობს, რომ თვითგამოხატვის სურვილი ადამიანურ მოთხოვნილებებს შორის ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას. ინტერნეტმა კი ადამიანებს მისცა უფასო და უსაზღვრო გზა გამოხატონ საკუთარი თავი, აჩვენონ საკუთარი შემოქმედება დიდ აუდიტორიას და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი რესურსებით შეძლონ. შეფუთონ საკუთარი თავი და წარუდგინონ საზოგადოებას. სოციალურმა ქსელებმა საზოგადოების რეალობა შეცვალა . რა არის კულტურული საზოგადოება, თუ არა ცალკეული ადამიანის ამ საზოგადოებაში ინტეგრაცია და ადაპტირება?

„ფეისბუქმა“ საქართველოშიც მოხადინა კულტურული გადატრიალება. ტერმინი „სოციალური ქსელი „ფეისბუქამდეც არსებობდა, 1930-იან წლებში ამერიკელმა სოციოლოგებმა ადამიანთა შორის ურთიერთკავშირს სწორედ ასე უწოდეს და ეს პროცესი დიაგრამაზე გამოსახეს. წერტილებით ადამიანები იყვნენ გამოხატულები, მათ შორის კავშირი კი ხაზებით გამოისახებოდა. სწორედ ამ ხაზებს უწოდეს სოციოლოგებმა სოციალური ქსელი. [2]

სოციალური ქსელიც საზოგადოების ვირტუალური ანალოგია. პლატფორმას მომხმარებელი ამოძრავებს და აცოცხლებს, ისევე, როგორ ადამიანი საზოგადოებას, ის მზარდი და დინამიკურია. როგორც იზრდება, ვითარდება და იცვლება საზოგადოება, ისე იზრდება და ვითარდება სოციალური ქსელიც. მათი ურთიერთმიმართებაც ორმხრივია, ისინი ერთმანეთს ზრდიან და ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებენ, როგორც საზოგადოება და ადამიანი.

გლობალიზაციის პროცესში ინეტერნეტმა და სოციალურმა ქსელმა წარმოუდგენლად დიდი როლი ითამაშა და ეს პროცესი ახლაც მიმდინარეობს. მსოფლიო მომხმარებელთა ერთიანი ბაზა შეიქმნა, ნებისმიერი ინფორმაცია, ნებისმიერ ქვეყანაში ხელმისაწვდომია.

ალბათ ადვილი წარმოსადგენია, პოსტ-საბჭოთა ქვეყნისათვის, რომელმაც თავისუფლება ბოლო 30 წელია მოიპოვა, რამხელა სიახლე და შვება იქნებოდა ნებისმიერ ინფორმაციაზე წვდომა. ქართველი საზოგადოება ჩაკეტილი სივრციდიან სრულ თავისუფლებაში აღმოჩნდა. ტექნოლოგიურმა რევულუციამ სრულიად შეცვალა საქართველოსნაირი პატარა ქვეყნის რეალობა.

გლობალურ ტექნოლოგიურ ცვლილებებსა და ინფორმაციულ თავისუფლებას კი ყოველთვის ორი მხარე აქვს.

პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში კულტურის მასიური წარმოება ხასიათებს. ვინაიდან ,კულტურის გლობალიზაციის წინაშე ვართ და ეს ნიშნავს, რომ საზღვრები თითქმის აღარ არსებობს, სხვადასხვა კულტურული იდენტობის აღრევის საფრთხის წინაშეც ვდაგავართ. ინფორმაციის მასიური გავცრელება და სრული ტექნოლოგიური თავისუფლება სადამდე მიიყვანს პატარა ქვეყანას, ეს ჯერ-ჯერობით არავინ იცის.

ფეისბუქი დღესდღეობით ყველაზე მძლავრი იარაღია. ის ამკვიდრებს ტენდენციებს, ის ამბობს რა არის მისაღები და რა არა, ის რიყავს და ჩაგრავს, ან პირიქით- კვარცხლბეკზე აჰყავს ადამიანი. ფეისბუქის საშუალებით ხდება ქართული საზოგადოეისთვის ისეთი საჭირბოროტო და საკამათო თემების განხილვა, როგორებიცაა ქართული ტრადიციების შენარჩუნება-არშენარჩუნების საკითხი, ერთნაირსქესიენათა ქორწინების დაკანონება-არდაკანონების საკითხი, მარიხუანის დეკრიმინალიზაციის საკითხი და ა.შ.

ფეისბუქის საშუალებით საზოგადოება კიცხავს, ან ეთანხმება ადამიანს. სოციალურ ქსელში ადამიანები გახდნენ მსაჯულები, მათ მიეცათ ასპარეზი გამოხატონ საკუთარი აზრი, განსაჯონ, გააკრიტიკონ სხვა. მედიასაშუალებები კი ერთგვარ სანახაობას ქმნიან და სოციალური ქსელის მეშვეობით საზოგადოებას განსასჯელ თემას აძლევენ.

საქართველოს მაგალითზე, საკმაოდ საინტერესო დასვნების გაკეთება შეიძლება, კულტურულ-სოციალური პროცესების დაკვრივების გზით. საინტერესოა როგორ ახდენს მედია-სივრცე და ინტერნეტი საზოგადოებრივი ღირებულებების გადაფასებას.

ტექნოლოგიური განვითარება საკმაოდ სწრაფად და უკონტროლოდ მიმდინრეობს. ინფორმაცია სოციალურ ქსელში იმდენად დიდი და ქაოსურია, დასაფიქრებელია, რამდენად სწორად აღიქვამს ადამიანის და მითუმეტეს მიზარდის ტვინი ამ ყველაფერს.

ინტნერნეტ-სივრცის მასშტაბურობასა და ეფექტურობაზე ბევრი შეგვიძლია ვისაუბროთ, ასსევე იმ კომფორტზე, რომელსაც ის გვთავა-ზობს, თუმცა რას მოიტანს ეს ყველაფერი საქარ-თველოსნაირი ტრადიციული და მკვეთრი კულ-ტურული იდენტობის მქონე ქვეყნისათვის, საკითხავია.

ვხედავთ როგორც ახდენს მედიასივრცე საზოგადოებრივი ღირებულებების გადაფასებას და ვნაიდან ტელევიზია დღეს უკვე ინტერნეტმა ჩაანაცვლა, მათი მთავარი იარაღიც სოციალური ქსელები გახდა.

რასაკვირველია, ამ პროცესების ცალსახა შეფასება დღეს შეუძლებელია. ვერც ღირებულებათა მკვეთრი ცვლა შეფასდება ერთმნიშვნელოვნად კარგად, ან ცუდად. მედიაკულტურა დღესაც პროპაგანდისტულია და საკუთარი წესებით ვითარდება, თუმცა, პასუხს ყოველთვის დრო და ისტორია გვცემს. ისტორია ამბობს, რა იყო სწორი და რა არასწორი.

ქართული საზოგადოება, ამ მხრივ, დიდი გამოწვევების წინაშე დგას, ჯერ კიდევ გარდამტეხი პერიოდი გვაქვს, რადგან ჩვენ ტრადიციულ-კულტურული მახასიათებლების განეიტრალება გლობალურმა პროცესებმა და ტექნოლოგიურმა რევულუციამ ჯერ კიდევ ვერ მოახდინა. სწორედ ამიტომ ხდება მუდმივი კონფლიქტი მედია-სივრცესა და ქართულ საზოგადოებას შორის. მედია ხშირად ეხვევა კრიტიკის ქარ-ცეცხლში, როდესაც ქართული საზოგადოების ღირებულებების შეფარვით დაკნინებას ან გადასხვაფერებას ცდილობს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული მედიაკულტურა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული, ანდაც, ქართული საზოგადოება არ იყო მზად ამ გლობალური და უკონტროლო ტექნოლოგიური აფეთქებისთვის.

ქართულ ინტერნეტ-სივცრეში არ არსებობს ეთიკური სტანდარტები, არ არსებობს რაიმე ზღვარი, ანდაც ქცევის ნორმა. ინტერნეტ-სივცრეს ვერც საკანონმდებლო ორგანოები არეგულირებენ. არ იფილტრება ყალბი ამბები, ინტერნეტ-საიტები საზოგადოების პროვოცირებას მარტივად ახერხებენ.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალიზაციის მთავარი ინსტრუმენტი დღესდღეობით ინტერნეტია, კერძოდ კი სოციალური ქსელები. მისი განვითრება ძალიან სწაფად მოხდა და მსოფლიოც მალევე ჩაერთო ამ პროცესში. თუმცა, სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი?

გამოსავალი, ალბათ ისევ და ისევ ბალან-სშია. საჭიროა თავი ავარიდოთ რადიკალურ ზომებს, გავიაზროთ რა არის ჩვენი საზოგადო-ებისთვის უკეთესი და უპირატესი. დავიცვათ ოქროს შუალედი და ტექნოლოგიები ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

მედიას, კი თავისთავად ესაჭიროება რეგულაციები, რათა მისი გავლენა საზოგადოერივ ცხოვრებაზე მეტ-ნაკლებად სასიკეთოდ შეიცვალოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Wikipedia.org
2. სანდრო ასათიანი, სოციალური ქსელი, 2010

The Internet as part of globalization and its impact on cultural development

Ana Bejashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

This article deals with a very important topic, globalization and one of its main components, the Internet. The Internet and the social network are an integral part of everyday life and play a major role in shaping public opinion, values and lifestyles. The Internet greatly accelerates global processes and through access to information, has a profound impact on society. So ,we decided to talk about the challenges in our country . At the beginning of the article, we talk about the creation of the Internet, we have short review of the important stages, that played a big role in the process of creating the Internet and social network.

Next, we talk about the processes of Internet penetration and distribution in Georgia. On the technical and information revolution and the consequences of all this.

We discuss the relationship between society and human in the Internet- world. The role of the internet-user in creating a social network, a virtual community.

Finally , we talk about the definition of the Internet , as a global space. We talk about of the issue of globalization in Georgia. We are also talking about the dangers, that may threaten Georgia as a country with a uniquely traditional and old -culture country.

We also consider the Internet as a major source of information and culture. We also touch on its necessity for the creation of a cultural society. We note the need for the Internet and computer technology in the learning process for children and adolescents.We consider the social network as a means of self-expression and emphasize its greatest role in this matter. We again look at the impact of the internet and social networking on society on how it re-evaluates values and changes the way consumers think. How does the Georgian society understand this?

Finally, we tried to come up with a solution. We are talking about media behavior and the need for regulations that will help us maintain balance.

კრიმინალის გაშუქება ქართულ მედიაში

ნინო ზარიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის თემაა-,,ახალი ამბების გაშუქების ძირითადი ტენდენციები თანამედროვე ქართულ ტელემედიაში („რუსთავი 2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“; 2018-2019წწ.). მოცემული სტატიაც სწორედ აქედან გამომდინარეობს, ამჯერად კონკრეტულად კრიმინალის გაშუქებაზე ვკონცენტრირდებით. ეს არის საკითხი, რომლის გაშუქების პროცენტული წილი ქართულ ტელევიზიებში ძალიან მაღალია. თემა კი ძალზედ აქტუალური და საინტერესოა.

ყველამ კარგად იცის, რომ ქართული მედია პოლარიზებულია. ახალ ამბავს ყოველ არხი საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემს და მაყურებელიც მაუწყებელს პოლიტიკური გემოვნების შესაბამისად ირჩევს. საყურადღებო ის ფაქტია, რომ დღევანდელობაში მედიის წარმომადგენლებს მარტივად შეუძლიათ საკითხები, რომლებიც პოლიტიკასთან კავშირში საერთოდ არ არის, აღნიშნულ სფეროს მიუსადაგონ და სწორედ ამ ჭრილში განიხილონ. ამას, ძირითადად, ოპოზიციური არხები აკეთებენ. კრიმინალური ფაქტების გაშუქების შემთხვევაშიც ზუსტად ასე ხდება, თუკი მომხდარი დანაშაული საბაბს ოდნავ მაინც იძლევა, მას მთავრობის უმოქმედობასა და არასწორ პოლიტიკასთან აკავშირებენ.

ჩვენ მიერ კვლევის ობიექტად არჩეული მაუწყებლების („რუსთავი 2“; „საზოგადოებრივი მაუწყებელი; „იმედი“) მაგალითზე დავაკვირდით თუ როგორ შუქდება კრიმინალის საკითხები ქართულ მედიაში. რადგანაც ამ სამ არხს ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს, ვფიქრობთ, რომ მათ მაგალითზე ჩატარებული კვლევა საინტერესო იქნება. ჩვენ გვაინტერესებდა იცავენ თუ არა ჟურნალისტები პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს და პოლიტიკურად მიკერძოების ფაქტები რამდენად იკვეთება და ეს კონკრეტულად რაში გამოიხატება.

გარდა მედია მონიტორინგისა, სტატიაში კრიმინალის გაშუქებასთან დაკავშირებით, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ გამოშვებული სახელმძღვანელოც გვაქვს განხილული, სადაც იმ წესების შესახებ არის საუბარი, რომლებიც კრიმინალის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებმა აუცილებლად უნდა დაიცვან. მის დასაწყისში ვკითხულობთ, რომ აღნიშნული წესები მედიის წარმომადგენლებს პროფესიული და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ინტერნეტ-გამოკითხვა ჩავატარეთ, სადაც ქართული ტელევიზიების მაგალითზე, ახალი ამბების გაშუქების შესახებ იყო შეკითხვები დასმული. კითხვები კრიმინალის გაშუქებასაც შეეხებოდა, რის პასუხებსაც მოცემულ სტატიაში განვიხილავთ.

საკვანძო სიტყვები: გაშუქება, კრიმინალი, დანაშაული, პოლიტიკა, ახალი ამბავი.

შესავალი

ახალი ამბებიდან ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო კრიმინალის საკითხების გაშუქებაა. ეს თემა საზოგადოებას ყოველთვის აინტერესებს და, შესაბამისად, ჟურნალისტები ცდილობენ რომ მაყურებელს ინფორმაცია რაც შეიძლება სწრაფად მიაწოდონ. მაგრამ არის მეორე მომენტი-რამდენად არის სანდო და უტყუარი ის ინფორმაციები, რომელთაც ჟურნალისტები დროის მოკლე მონაკვეთში აჟღერებენ.

სწორედ ამ თემის უკეთ გასაშლელად და კრიმინალურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის საქმიანობის სწორი კუთხით წასაყვანად, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ სახელმძღვანელო წესები გამოსცა. აღნიშნულ მასალაში წერია, რომ ეს წესები მედიის წარმომადგენლებს პროფესიული და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. ,,დოკუმენტში მოცემულია ის ძირითადი წესები, რაც მედიამ კრიმინალური თემების გაშუქებისას უნდა დაიცვას, რათა არ დაარღვიოს როგორც მსხვერპლის, ისე ბრალდებულის და შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა პირთა უფლებები და მათ დამატებითი ზიანი არ მიაყენოს“. [1] უფრო

კონკრეტულად, კი როგორ უნდა აშუქებდნენ ჟურნალისტები კრიმინალურ თემებს, სტატიის ძირითადი ნაწილიდან შეიტყობთ.

ძირითადი ნაწილი

როგორც წესი, მომხდარი კრიმინალური დანაშაულის პირველ ეტაპზე ბევრი მნიშვნელოვანი გარემოება ჯერ კიდევ ბუნდოვანია ხოლმე, შესაბამისად, ფაქტის ეთიკურად გაშუქების პროცესი საკმაოდ რთულია. მსგავსი შემთხვევების დროს, ჟურნალისტები ხშირად არ უფიქრდებიან, ვერ აცნობიერებენ, მათ მიერ გაჟღერებული ინფორმაცია თუ რა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს. ,,როდესაც საქმის გარემოებები რთულია, საჯარო ინტერესი კი მაღალი, ამბის მეორეხარისხოვანი დეტალების გაშუქების ვნება ქმნის რეალურ საფრთხეს შეიქმნას ბრალდებულების და მათი ახლობლების "დევნის" პრეცენდენტი"" [1]. ამ ყოველივეს თავიდან აცილება კი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ჟურნალისტები აუცილებელ, გადამოწმებული, ინფორმაციას გააშუქებენ. ეს კი, თავის მხრივ, საზოგადოებაში მცდარი მოსაზრებების გაჩენას გამორიცხავს ან შეამცირებს მაინც. აუცილებელია, რომ კრიმინალური ფაქტების-უბედური შემთხვევების, ტრაგედიების, ძალადობის გაშუქებისას ჟურნალისტებმა ბალანსი დაიცვან-საკუთარი პროფესიული მოვალეობა ისე შეასრულონ რომ ამით მსხვერპლისა და ბრალდებულის უფლებები არ შელახონ. ყველა შემთხვევაში, მედიის წარმომადგენლები უნდა ეცადონ, რომ ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ დაარღვიონ.

ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში ერთ-ერთი კრიმინალური ფაქტი გვაქვს განხილული. ე.წ. ხორავას ქუჩის საქმე, ამბავი, რომელმაც საზოგადოება შეძრა და წლების განმავლობაში ახალი ამბების მთავარი თემა იყო. ფაქტი შემდგომში მდგომარეობდა: სკოლის მოსწავლეებს შორის დაწყებული დაპირისპირება ორი მოსწავლის გარდაცვალებით დასრულდა. ერთ-ერთი მათგანის მკვლელები დაჭერილები არ იყვნენ, რის გამოც გარდაცვლილი მოზარდის მამამ საპროტესტო აქციები გამართა. ამბავი ძალიან ცნობილი სცენარის მიხედვით განვითარდა, ასპარეზზე პოლიტიკოსები გამოჩნდნენ და პროტესტს პოლიტიკური იერსახე მიეცა.

ახალი ამბების გაშუქებასთან დაკავშირებით ინტერნეტ-გამოკითხვა ჩავატარეთ, რომელშიც რამდენიმე კითხვა კრიმინალური თემების გაშუქებას ეხებოდა. გავინტერესებდა თუ რას ფიქრობდა მაყურებელი აღნიშნული თემის გაშუქებასთან დაკავშირებით. გამოკითხვის პასუხებიდან ცხადი იყო, რომ კრიმინალური ამბების გაპოლიტიკურების ფაქტები ახალი ამბების მაყურებლებს არ გამოეპარებათ და, რაც მთავარია, ეს მათ ძლიან არ მოსწონთ.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ტელევიზიებში ახალი ამბების დიდი წილი სწორედ კრიმინალური ფაქტების გაშუქებას ეთმობა. და როგორც „ხორავას ქუჩის საქმის" მაგალითზე აღვნიშნეთ, მომხდარი დანაშაულების პოლიტიკასთან დაკავშირების ფაქტები ძალიან ხშირია. ამას, ძირითადად, ოპოზიციური მედიის წარმომაგდენლები აკეთებენ. ისინი, მომხდარი კრიმინალური ფაქტის დროს ყოველთვის ახსენებენ ხოლმე, რომ ქვეყანაში მსგავსი შემთხვევები გახშირებულია. და თუ რომელიმე ფაქტზე დამნაშავე დროულად არ დააპატიმრეს, საქმეში მალევე პოლიტიკოსები ერთვებიან და მთავრობას უმოქმედობისთვის აკრიტიკებენ.

რაც შეეხება მაყურებლის მოსაზრებას, ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში დააფიქსირეს, რომ კრიმინალური ფაქტები, ტრაგედიები, მათი ერთ-ერთი ინტერესის სფეროა და ყოველთვის საქმის კურსში არიან. რაც შეეხება კრიმინალის გაშუქების ტენდენციებს, ჟურნალისტებისგან მეტ პასუხისმგებლობასა და ობიექტურობას მოითხოვენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო; ,,კრიმინალის გაშუქება“; 2015წ. https://bit.ly/3z5vY66
2. ტელე-არხების მასალები
3. „იმედი“; „ქრონიკა“; 15 საათზე, 31 მაისი, 2018წ. https://bit.ly/3NGSJ4f 0:00-1:12წთ.
4. „რუსთავი 2“; „კურიერი“ 9 საათზე, 24 მაისი, 2018წ. https://bit.ly/3NCueFt 0:00-6:38წთ.
5. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „მოამბე“ 9 საათზე, 31 მაისი, 2018წ. https://bit.ly/3GlLKLV 0:00-3:22წთ

Coverage of crime in the Georgian media

Nino Zaridze, Ph.D. Student

Georgian Technical University

Summary

The topic of our dissertation is “the main trends in news coverage in modern Georgian television” on the example of "Rustavi 2", "Imedi" and "Public Broadcaster" (2018-2019). This article is based on this, this time we are focusing specifically on crime coverage. This is an issue with a high percentage of coverage on Georgian television. The topic is very urgent an interesting.

Everyone knows that the Georgian media is polarized. Each channel broadcasts the news with its own interpretation and the viewers choose the broadcaster according to their political taste. It is noteworthy that nowadays media representatives can easily adress the issues that have nothing to do with politics to this area and discuss them in this context. This is mainly done by opposition channels. This is exactly what happens in the case of coverage of criminal facts, if the crime gives an excuse at least slightly, it is mainly associated with government inaction and wrong policies.

On the example of the broadcasters we chose as the object of research ("Rustavi 2"; "Public Broadcaster;" Imedi) we observed how criminal issues are covered in the Georgian media. Since Georgian viewers are well acquainted with these three channels, we think that the research conducted on their example will be interesting. We were interested in whether journalists adhere to professional and ethical standards or not, and to what extent the facts of political bias are evident and what exactly it manifests itself in.

In addition to media monitoring, the article on crime coverage also discusses a guide issued by the Georgian Charter of Journalistic Ethics Council, which discusses the rules that journalists working on criminal matters must follow. We read at the beginning that these rules are helping media representatives make professional and ethical decisions.

In the framework of our dissertation, we conducted an internet survey, where questions were asked about news coverage on the example of Georgian televisions. The questions were also related to criminal coverage, the answers to which we will discuss in this article.

Keywords: coverage, crime, politics, news.

ნეგატიური ინფორმაციის შემცველი დეტალების გავლენა მენტალობაზე

რუსუდან ლორთქიფანიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამრიკო მულაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია იმის შესახებ, თუ როგორი უარყოფითი გავლენა შეუძლია მოახდინოს ნეგატიურმა ინფორმაციამ ადამიანების მენტალურ ჯანმრთელობაზე.

სტატიაში განხილულია საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკური პრობლემების გამომწვევი ძირითადი მიზეზები. მოცემულ კვლევაში გაანალიზებულია უარყოფითი ახალი ამბების დეტალების გავლენა ადამიანების ფიზიკურ, ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ასევე შევისწავლეთ თუ რა გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებზე უკრაინის ომმა . ჩვენი კვლევის ობიექტი ამჯერად არის დეტალი, რომელიც ნეგატიურ ინფორმაციას მეტ უარყოფით გავლენას ჰმატებს, რადგან სწორედ დეტალები გახლავთ ნეგატიური ინფორმაციის ზეგავლენის გაძლიერების მიზეზი. მასობრივი კომუნიკაციების ხელმისაწვდომობამ და ინტერნეტის არსებობამ საშესაძლებელი გახადა ერთი კონტინენტიდან მეორეზე მყისიერი ინფორმაციის გავრცელება.

21-ე საუკუნეში, სადაც ხალხს ხან უხილავ და ხანაც ხილულ მტერთან ბრძოლა უწევთ ხში-რია ადამიანთა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები, რომელზეც უმეტესად საზოგადოება დუმს.

თუკი ადრე ადამიანთა სისასტიკის შესახებ ლეგენდები დადიოდა დღეს შესაძლებელია რიგითი მოქალაქის ტელეფონით გადაღებული „საშინელებათა ფილმი“ საკუთარი თვალით ვიხილოთ. ინფორმაციის ასეთი ხელმისაწვდომობა და ადამიანთა სისასტიკით მკველობის ამსახველმა კადრებმა კი შესაძლებელია უდიდესი კოლექტიური ტრამვა გამოიწვიოს საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ბავშვებში.

საქართველოს უახლოეს ისტორიას თუ გადავხედათ ბოლო 30 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყანა ორჯერ გახდა რუსული აგრესიის მსხვერპლი, შედეგად კი მივიღეთ ასობით დაღუპული და ათასობით დევნილი ადამიანი. ამ ყველაფერმა კი მეტნაკლებად ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის ფსიქიკურ მდგომარეობას თავისი კვალი დაამჩნია. ქუჩაში ადამიანებს თუ დააკვირდებით ნამდვილად ნახავთ, რომ ნაომარი საზოგადოება დღესაც იშუშებს ფიზიკურ და მენტალურ ტრამვებს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქართულ მედია სივრცეში მიზანმიმართულად ხდება ნეგატიური ინფორმაციის გაშუქება , რაც თავისთავად ხელს უწყობს საზოგადოებაში ისედაც არაჯანსაღი, სტრესული, სიტუაციის გაუარესებას.

კვლევის შედეგად დადგინდა რომ დღევანდელ რეალობაში სოციალური მედია და ქართული სატალევიზიო სივრცე იქცა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ინტერესების გამხმოვანებელ საშუალებად . ხშირად მასმედია მიზანმიმართულად ავრცელებს ნეგატიურ ინფორმაციას და ამით ცდილობს თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს მაყურებელი.

საკვანძო სიტყვები:ნეგატივი,მენტალურიჯანმრთელობა,სოციალური მედია, სტრესი,ფსიქიკა.

შესავალი

სოციალური მედიის პოპულარიზაციამ ხელი შეუწყო ნეგატიური და არასწორი ინფორმაციის გავრცელებას. სამწუხაროდ დღეს სოციალური მედია სხვადასხვა ჯუფების მიერ იქცა საკუთარი გავლენების დამყარების მარტივი საშუალებად, რამაც მოსახლეობაში ხელი შეუწყო პარტიულობისა და პოლარიზაციის გაღვივებას.

კვლევებით ირკვევა რომ სოციალური მედიის საშუალებით მომხმარებლეზე ნეგატიური დამოკიდეულების გაღვივება უფრო ადვილია ვიდრე პოზიტიურის.

საზოგადოებრივი აზრი ყალიბდება არა ლოგიკაზე, არამედ ემოციაზე დაყრდნობით, ამით კი კარგად სარებლობენ მედიის წარმომადენლები.

იმის გამო,რომ სენსაციური სათაურები უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს მედია საშუალებები უფრო დიდ დროს უთმობენ კატასტროფების გაშუქებას და ნაკლებ ყურადღებას ამახვილებენ პოზიტიურ ინფორმაციაზე.

ამ ტიპის ახალი ამბების ზედმეტად მოხმარება ,აქტიურად თუ პასიურად,შეიძლება იყოს ძალიან ტოქსიკური,შესაბამისად იმას რასაც უსმენთ და უყურებთ გავლენას ახდენს თქვენს განწყობაზე.

როდესაც ნეგატიურ ინფორმაციას ვუსმენთ შიშმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენს ტვინზე ,რა დროსაც სერიოზული ზიანი ადგება ჩვენს სხეულს.

ადამიანები ყოველდღიურად ეცნობიან სხვადასხვა ახალ ამბებს, რომელიც უმეტესად ნეგატიური ინფორმაციითაა სავსე. ბოლო წლების განმავლობაში ადამიანებს საინფორმაციო საშუალებებითა და სოციალური მედიით ნეგატიური ინფორმაციის მოსმენა უწევდათ covid 19-თან დაკავშირებით, ახლა კი ყველას ყურადღება უკრაინაში მიმდინარე ომისკენაა მიმართული. ექსპერტებს თუ დავუჯერებთ ამ დროს კრიტიკულად საშიშია დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოსმენა. სიახლეების გადაჭარბებულმა მოხმარებამ კი შესაძლებელია თქვენს ფსიქიკაზე წარუშლელი კვალი დატოვოს, რაც საბოლოოდ მენტალურის გარდა ფიზიკურ ჯანმრთელობასაც ვნებს.

ჩვენს ეპოქაში ახალი ამბების მთავარ წყაროს წარმოადგენს სოციალური მედია. ფსიქოლოგები თანხმდებიან,რომ სოციალური მედია არის სივრცე სადაც მომხმარებლებს არ შეუძლიათ განსაზღვრონ როგორი სახის ინფომაციას მიიღებენ, ნეგატიურს თუ პოზიტიურს. დილიდანვე ნეგატიური ინფომრაცის გაცნობა კი არასახარბიელოდ აისახება ადამიანთა მენტალურ ჯანმრთელობაზე. ასევე, არასწორია ძილის წინ სხვადასხვა არასასი-ამოვნო ინფორმაციის მოსმენა,რაც საბოლოოდ სწორ ძილს აფერხებს.

ნეგატიურმა ინფორმაციის დიდი რაოდენობით მიღებამ კი შესაძლებელია შეაფერხოს ადამიანებში ინდვიდუალური გადაწყვეტილების მიღება და საზოგადოებაში სოციალური გადაწყვეტილებები.

ნეგატიური შეტყობინებები არამხოლოდ გავლენას ახდენს ემოციებსა და ქცევებზე, არამედ ახდენს ტვინის აქტივობის მოდულაციაზეც.

ძირითადი ნაწილი

ომის დროს ტრამვას ადამიანები მხოლოდ ბრძოლის ველზე არ ღებულობენ. ძალადობრივმა და შემაშფოთებელმა შინაარსმა სოციალურ მედიაში შეიძლება დატოვოს ხარძლივი შთაბეჭდილება.

ბოლო დროს მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია უკრაინისკენ, სადაც ამ წუთებშიც მიმდინარეობს საომარი მოქმედებები. უკრაინაში შეიარაღებულ საომარ მოქმედებებთან ერთად საინფორმაციო ომიც მიმდონარეობს. ზოიერთმა მკვლევარმა ეს საომარი მოქმედებები „ციფრულ ომად“ შერაცხა.

ადგილზე ჟურნალისტების გადაადგილება შეზღუდულია , აქედან გამომდინარე ინფორმაციის გავრცელების წყაროს სოციალური ქსელები წარმოადენენ. ძირითადად ბევრი ინფორმაცია ,რომელიც უკრიანიდან გამოდის არის თავად მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტი. ამიტომ მილიონობით ადამიანს ბოლო პერიოდში მოუწია ე.წ. ნედლი კადრების ხილვა,რომელიც სარედაქციო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის ათვალისწინებით კი მსოფლიოში მილიონობით მომხმარებლის ეკრანებზე ჩნდება უამრავი შემზარავი კადრი. ამ ყველაფერმა კი ისინი შეიძლება სერიოზულ ფსიქოლოგიურ პრობლემებამდე მიიყვანოს. ომის ვიდეოების სოციალურ მედიაში უკონტროლოდ გავრცელებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მეორადი ტრამვა. იგი ეხება დისტრესს ან უარყოფით ემოციურ ეფექტს, რომელიც გამოწვეულია მეორადი ზემოქმედებით. მეორადი ტრამვა შესაძლებელია მოხდეს ,როდესაც ინდივიდი გაიგებს სხვა ადამიანის პირველადი ტრამვის გამოცდილების შესახებ , ან ნახულობს შემზარავ ფოტო და ვიდეო მასალას.

შემაშფოთებელი შინაარსის განმეორებითი ზემოქმედება იწვევს ფსიქიკურ კეთილდღეობაზე უარყოფით გავლენას.

ხაზასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ადამიანი განსხვავებულია და მათი რექაციებიც განსხვავებულია ერთსა და იმავე ინფორმაციაზე. აქ მთავარია ვიცოდეთ, როგორ დავიცვათ საკუთარი ფსიქიკა.

ყველა ადამიანს განსხვავებული სენსიტიური მგრძნობელობა გააჩნია ერთნაირი სახის ინფორმაციაზე,ზოგისთვის ძლიერი ფსიქოლოიური სტრესია დაზიანებული ფიზიკური სხეულის ნახვა,ზოგისთვის დაშავებული ან გარდაცვილი ბავშვის დანახვა. ბოლო დროს უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო გარდა ნეგატიური ინფორმაციისა, უამრავ ვიდეოს ან ფოტოს ვნახავთ დეტალებით, რომლებიც ადამიანების დაუდობლობაზე გვიამბობს. შემზარავი ამბების დეტალებია გარდაცვილი და დაშავებული ბავშვები, გვამებით მოფენილი ქუჩები, ადამიანების დასახიჩრებული სხეულის ნაწილები. ერთია, როდესაც გარდაცვლილთა სტატისტიკურ მონაცემებს უსმენ და მეორე, როდესაც ამ შემზარავი ამბების დეტალებს უყურებ ეკრანზე.

რადგან ჩვენი საკვლევი თემა ეხება ნეგატიური ინფორმაციის გავლენას ადამიანების მენტალურ ჯანმრთელობაზე ანკეტა კითხვარის სახით გამოკითხვა ჩავატარეთ.

ძალადობის და შეიარაღებული კონფლიქტების ეკრანზე ყურების ეფექტის შესასწავლად კვლევაში მონაწილეობდა , 20-დან 60 წლამდე 50 რესპოდენტი. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა შეგვესწავლა საქართველოში რა გავლენა მოახდინა ადამიანებზე, ბოლო დროს უკრაინაში განვითარებულმა საომარმა მოქმედებებმა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ,რომ ნეგატიური ინფორმაციის გავლენა ქალებში უფრო გამოხატული იყო, ვიდრე მამაკაცებში. რესპოდენტების 85 პროცენტი თვილა,რომ მათთვის ყველაზე სტრესული იყო ეკრანზე ომის სისასტიკის დეტალების ნახვა, მაგალითად, როგორიც იყო მოკლული ადამიანების სხეულის კიდურების ნახვა, გარდაცვილი და დასახიჩრებული პატარა ბავშვების ნახვა. გამოკითხული 50 რესპოდენტიდან 70 პროცენტი ბოლო პერიოდში უჩიოდა უძილობას, შფოთვას და დეპრესიულ განწყობას.

დასკვნა

ამ მიმართულებით კვლევან კიდევ არაერთ საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვნა. საბოლოოდ იმის თქმა შევიძლია, რომ სტრესულ სიტუაციებში კოლექტიური ტრამვის გავრცელება დამოკიდებულია ადამიანთა მენტალობაზე, ტრადიციებსა და კულტურაზე.ბევრი მკვლევარი მიიჩნევს,რომ ომი თავის კვალას სამუდამოდ ტოვებს ადამიანთა ფსიქიკაზე,მიუხედავად იმისა უშვალად თავად ვართ თუ არა შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილეები. ეკრანებზე ნანახმა ომის მძმე კადრებმა ასევე შესაძლებელია, უმძიმესი ფსიქიკური ზიანი მიაყენოს ბავშვებს, რომელიც შემდომაში გამოიხატება არგესიულ ქცევასა და დეპრესიაში.

მოპოვებული ფაქტების ანალიზსა და ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით,შევიძლია ვთქვათ რომ ომის სისასტიკის პირდაპირ ეთერში ყურება იწვევს შიშს, შფოთვას, პანიკურ შეტევას,უძილობას და სხვადასხვა ფსიქიკურ აშლილობას. ამ კადრების მძიმე შედეგები კი გაცილებით გრძელვადიანია და შესაძლებელია ნეატიური გავლენა მოხდინოს მთელ საზოგადოებაზეც. ამ შემთხვევაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა შევამციროთ სისტემატიურად ახალი ინფომრაციის მიღება ,რომლითაც შევძლებთ საკუთარი ფსიქიკურ კეთილდრეობაზე უარყოფითი ზემოქმედების შეზღუდვას.

მიშვნელოვანი სტრატეგიაა,რომ სოციალურ ქსელში შესვლის დროს ან საინფორმაციო სიახლეების გაცობისას ვიყოთ მზადყოფნაში ნეგატიური ინფორმაციის მოსასმენად. ომის მსვლელობისას ყოველთვის უნდა გვქონდეს გათვიცნობიერებული,რომ ნებისმიერ წუთას შეიძლება ეკრანზე გამოჩნდეს მძიმე კადრების შემცველი ფოტო ან ვიდეო. საკუთარი მენტალური ჯანმრთელობის დაცვის კიდევ ერთი საშუალებაა შევზღუდოთ სოციალურ ქსელში იმ გვერდებზე წვდომა, სადაც ხდება ნეგატიური ინფორმაციის დეტალების გავრცელება და გავთიშოთ სხვა ვიდეოზე ავტომატური დაკვრის ფუნქცია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთადერთ საშუალებად საკუთარი მენტალური ჯანმრთელობის დასაცავად ისევ საკუთარი თავი გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.dw.com/en/how-war-videos-on-social-media-can-trigger-secondary-trauma/a-61049292
2. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fnins.2021.742576/full
3. https://www.verywellmind.com/is-watching-the-news-bad-for-mental-health-4802320

The impact of details containing negative information on mentality

Rusudan Lortkipanidze, Associate professor
Georgian Technical University

Tamriko Muladze, PhD student,
Georgian Technical University

Summary

This paper discusses how negative information can have a bad influence on people's mental health.

This article provides an overview of the main causes of mental issues in Georgian population. This study analyzes the impact of the details of negative news on people's physical, emotional and mental condition, additionally, we examined how the war in Ukraine affected the citizens of our country. This time, the object of our research is the detail that adds bad impact to negative information, because it is the details that are the main reasons for boosting of the impact of negative information. The availability of mass communications and the Internet made it possible to instantly spread information from one continent to another.

In the 21st century, when people sometimes have to fight with invisible and sometimes visible enemies, there are often mental health problems that public is mainly silent about.

If there were legends about human brutality in the past, today it is possible for us to watch the "horror movie" that an ordinary citizen shot with their phone. Such access to information and footage showing the brutal murdering of people can cause the greatest collective trauma in society, specifically among children.

If we look back at the recent history of Georgia, our country has twice been a victim of Russian aggression in the last 30 years and as a result we have received hundreds of dead people and thousands of refugees. All this has left an imprint on the mental state of more or less every citizen of our country. If you observe people on the street, you will definitely see that society that survived the war still suffers from physical and mental traumas.

During the last few years, the Georgian media has been deliberately covering negative information, which contributes to the deterioration of the already unhealthy, stressful situation in the society.

As an outcome of this research, it was found that in today's reality, social media and Georgian TV have become a means of expressing the interests of various political parties. Oftentimes the mass media purposely spreads negative information and thus tries to influence the viewer.

Keywords: Negative, Mental Health, Social Media, Stress, Psyche.

ეკონომიკა და ბიზნესი
ECONOMICS AND BUSINESS

ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) დაარსების 100 წლის იუბილეს

ჰოლისტიკური მარკეტინგი და ეკონომიკა

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარკეტინგის შესახებ ჩემი პირველი წიგნები იყო სხვა ბაზრებზე, სხვა კონკურენციასა და მომხმარებელზე გათვლილი. დღეს ეს წიგნები საზიანოა, რამეთუ მათში აღწერილი მოდელები, აღარ მოქმედებს“.

მარკეტინგის გურუ. ფილიპ კოტლერი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ჰოლიზმი მარკეტინგში, რომელიც არის კონცეფცია მრავალმხრივი და ეფუძნება ინტეგრირებულ მიდგომას. ჰოლისტიკური მარკეტინგი ეს არის ნაბიჯი მთელი კომპანიის სტრუქტურის გარდაქმნისაკენ, ახალი ბიზნესის კეთებისაკენ.

ფილიპ კოტლერის მარკეტინგული მიქსი 4P და ბრაინ თრეისის 7P უკვე აღარ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს და შემოდის ახალი ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM, რასაც დიდი წარმატება მოაქვს ეკონომიკისთვის.

ჰოლიზმის კონცეფცია მრავალმხრივია, შეიცავს 4 ძირითად კომპონენტს: 1. ურთიერთობის მარკეტინგს; 2. ინტეგრირებულს; 3. შიდა მარკეტინგს და 4. სოციალურ მარკეტინგს. აქ ხდება აქცენტის გადატანა პროდუქტიდან მყიდველზე და საქონლის გაყიდვიდან მომხმარებელზე. ეს არის ნაბიჯი კომპანიის სტრუქტურის გარდაქმნისკენ, ახალი ბიზნესის კეთებისაკენ, მიზნად დასახული თანამშრომლობა მომხმარებელსა და კომპანიასთან.

ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM ციფრული ეპოქის საჩუქარია; კომპანიას განიხილავს როგორც ერთიან ერთეულს საერთო მიზნებით; მას შეუძლია გააუმჯობესოს კომპანიის ბრენდის პოზიციონირება; შექმნას ლოიალური და ერთგული კლიენტების ბაზა კომპანიასთან.

ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM ეს არის ახალი მოდელი ეკონომიკაში, რასაც ეძღვნება აღნიშნული სტატია.

საკვანძო სიტყვები: ჰოლისტიკური მარკეტინგი, კონცეფცია, ციფრული, მოდელი, ეკონომიკა.

შესავალი

დღეს, მსოფლიო და მათ შორის, საქართველო ცხოვრობს ორ პრობლემასთან ერთად: ჯანმრთელობის (COVID-19) და მშვიდობის (უკრაინა-რუსეთის ომი). არ შევცდები თუ ვიტყვი მესამე პრობლემის შესახებაც, რომელიც ერთობ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის – ეს ეკონომიკაა, რომლის ხერხემალია მარკეტინგი – მყიდველთან მომგებიანი ურთიერთობის მართვა, თავისი ორი მიზნით. **პირველი, უმაღლესი ფასეულობის შეთავაზებით ახალი მყიდველების მოზიდვა, და მეორე, არსებული მყიდველების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით შეინარჩუნოს და გაზარდოს ბიზნეს-გარემო, გარიგება.**

მარკეტინგმა ბევრი სიკეთე მოუტანა ეკონომიკას, მარკეტინგის გურუს-ფილიპ კოტლერამდე მეცნიერებმა: დანჩენოკმა, ბაგიევმა, პანკრუხინმა, ბელიავმა, კერძოდ, მათ მოახდინეს **მენეჯმენტის ევოლუცია** შემდეგი გზით: წარმოების გაუმჯობესებით, კომერციული ძალისხმევის გააქტიურებით, ინტეგრირებული მარკეტინგით, სოციალური და **ეთიკური მარკეტინგით საქართველომ გამოამჟღავნა რუსეთ-უკრაინის ომის დროს).** ეს უკანასკნელი აღსანიშნავია კარგი საქმის ხელშეწყობით, საქველმოქმედო მარკეტინგით, კორპორაციული სოციალური მარკეტინგით, მოხალისეთა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გარემოს დაცვა და სხვა.

შემდგომში ფილიპ კოტლერის მარკეტინგული მიქსი – 4P და ბრაიან თრეისის მარკეტინგული მიქსი – 7P (ნახ. 1,2). ეს არის მარკეტინგული აქტივობების კრებული სისტემა... უკვე აღარ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს და შემოდის ახალი **ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM,** რომელსაც დიდი წარმატება მოაქვს ეკონომიკისთვის.

მარკეტინგული კომპლექსი – 4P

პროდუქტი – P	ფასი – P	გაყიდვები – P	წინწაწევა – P
ხარისხი თვისებები ასორტიმენტი ბრენდი შეფუთვა გარანტია	პრეისკურანტი კოორდინაცია ჩამოფასება	გაყიდვების არხები ბაზრის მოცვა არჩევა შუამავლები მომსახურების ხარისხი ტრანსპორტი	რეკლამა PR (პიარი) პირადი გაყიდვები გაიდვების სტიმულირება

ნახ. 1. მარკეტინგული მიქსი – 4P[1]



ნახ. 2. მარკეტინგული კომპლექსი

ძირითადი ნაწილი

როგორც ფილიპ კოტლერი აღნიშნავს, დღეს მარკეტინგული მიქსები 4P და 7P საზიანოა, და მათში აღწერილი მოდელები აღარ მოქმედებს დღევანდელ ბაზრებზე [1], ნახ.1.

აღსანიშნავია ასევე მარკეტინგულ სფეროში ე.წ. „მარკეტინგული პეიზაჟი" – გაურკვეველი ეკონომიკური გარემო, ციფრული ეპოქა, სწრაფვა გლობალიზაციისაკენ, ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობა, არაკომერციული მარკეტინგული ზრდა.

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში შემოვიდა **ჰოლიზმი** მარკეტინგში, რომელიც არის **კონცეფცია მრავალმხრივი** და ეფუძნება ინტეგრირებულ მიდგომას.

ჰოლიზმის კონცეფცია მრავალმხრივია, შე-

1 მარკეტინგი – ინგლისური „მარკეტ" – ბაზრიდან წარმოიშვა. არსებობს 30-ზე მეტი განსაზღვრება მარკეტინგული მიქსისა; P_1-პროდუქტი; P_2-ფასი; P_3-წინწაწევა; P_4-გაყიდვები (ბაზარი);P_5-შეფუთვა; P_6-პოზიციონირება; P_7-ხალხი.

იცავს 4 ძირითად კომპონენტს: 1. ურთიერთობის მარკეტინგს; 2. ინტეგრირებულ მარკეტინგს; 3. შიდა მარკეტინგს; 4. სოციალურ მარკეტინგს. ჰოლისტიკური მარკეტინგის-XM ყველაზე **ზუსტი ინტერპრეტაცია მოგვცა კევინ ლეინ კელერმა.** მისი თქმით ეს არის კონცეფცია, რომელიც **გულისხმობს მარკეტინგული პროგრამების, ღონისძიებების და სარეკლამო კომპანიების შექმნას. იგი შედგება ურთიერთობის, ინტეგრირებული, შიდა და ეფექტური მარკეტინგისაგან.**

ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM არის **აქცენტის გადატანა პროდუქტიდან მყიდველზე და საქონლის გაყიდვიდან მომხმარებელზე,** ჰოლისტიკური მარკეტინგის ფუძემდებლად ითვლება ფილიპ კოტლერი.

ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM კომპანიას მოუწოდებს ითანამშრმლოს ყველა თანამშრომელთან.

ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM ეს არის ნაბიჯი მთელი კომპანიის სტრუქტურის გარდაქმნისაკენ, ახალი ბიზნესის კეთებისაკენ მიზნად დასახული თანამშრომლობა მომხმარებელსა და კომპანიასთან. როგორც ფ. კოტლერი აღნიშნავს XXI საუკუნის მარკეტოლოგები შეგნებულ მოთხოვნას უყენებენ მარკეტინგის კონცეფციებს ტრადიციული პრინციპებით.

ისმის კითხვა რა არის ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM და როგორ გამოიყენება?

სიტყვას თარგმნიან როგორც „კომპლექსურს“, თუმცა ბევრნი თვლიან ყოვლისშემცველს მასშტაბურობის გამო მთლიანს. ყველა კომპონენტები განიხილებიან ერთიანი ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM ციფრული ეპოქის შუაგულში წარმოიქმნება ცვლილებები მომხმარებელთა მოთხოვნებში, რომლებიც ყოველდღიურად ხვდებიან უფრო ავტონომიური იმ პროდუქტებისა თუ სერვისების შესწავლისა და შედარებისას, რომელთა მიღებაც სურთ.

მომხმარებელთა დინამიკის ეს ცვლილებები იწვევს კომპანიების ცვლილებებს და იწვევენ ცვლილებებს მარკეტინგის კეთების გზაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ტერმინი „ჰოლისტიკური მარკეტინგი“ შემოიღო ფილიპ კოტლერმა. იგი ასე განსაზღვრავს: ჰოლისტიკურ მარკეტინგს ასევე უწოდებენ „მარკეტინგის 360º-ით კეთების გზას, რომელიც **განიხილავს კომპანიას და მის ყველა ნაწილს ერთიან ერთეულს;** „ჰოლისტიკურს გარდა მთლიანი ხედვისა, განიხილავენ კომპლექსურს, ყოვლისშემცველს მასშტაბურობის გამო“.

ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM განსხვავდება სხვა ტიპის მარკეტინგისაგან, მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- **საერთო მიზანს:** ბიზნესი და ყველა მისი ნაწილი უნდა მუშაობდეს კოორდინირებულად, ორიენტირებული იყოს მომხმარებლის საუკეთესო გამოცდილების მიწოდებაზე;
- **გასწორებულ აქტივობებს:** ყველა აქტივობა, პროცესი, კომუნიკაცია და სერვისი უნდა იყოს მიმართული საერთო მიზნის მისაღწევად.
- **ინტეგრირებული აქტივობები** – ყველა აქტივობა უნდა იყოს შემუშავებული ისე რომ წარმოდგენილი იყოს თანმიმდევრული გამოცდილება მომხმარებლისთვის და მომხმარებლისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM ეყრდნობა 4 განზომილებას: შიდა მარკეტინგს; ინტეგრირებულს; ურთიერთობის და სოციალურს.

- შიდა მარკეტინგი ფოკუსირებულია კომპანიის შიდა საზოგადოებაზე;
- ინტეგრირებული მოძრაობს სინქრონულად კლიენტებსა და ბიზნეს პარტნიორებზე ერთიდაიგივე აღქმით, შესაძლებელია 4P-ს მარკეტინგული მიქსის გამოყენება (დაგეგმვა ანუ პროდუქტი-P, ფასი-P, ბაზარზე გაყიდვის წერტილი - P და პრომოუშენი-პოპულარიზაცია-რეკლამა, პიარი-PR, P).
- სამიზნე აუდიტორიის ცოდნა გაადვილებს თუ რა პროდუქტი უნდა შევთავაზოთ, რა ფასად, სად მოვახდინოთ რეალიზაცია და ბოლოს როგორ უნდა მოერგოს ეს პროდუქცია სადისტრიბუციო და მარკეტინგულ არხებს.
- ურთიერთობის მარკეტინგი, ეს კომპონენტების მთელი სამყარო, რომელიც გარს აკრავს ორგანიზაციას, მომხმარებლებს, თანამშრომლებს, ბანკებს, მიმწოდებლებს, ბიზნეს პარტნიორებს და კონკურენტ კომპანიებს. ყველანი რომლებიც გარს აკრავს ორგანიზაციას, მომხმარებლებს, თანამშრომლებს, ბანკებს, მიმწოდებლებს, ბიზნეს პარტნიორებს და კონკურენტ კომპანიებს. ესენი, ყველანი გავლენას ახდენენ კომპანიის წარმატებებსა და წარუმატებლობაზე.

ამ კომპონენტებს შორის კავშირები უნდა იყოს

მყარი, გრძელვადიანი, მდგრადი. სოციალურ მარკეტინგში კლიენტები ბიზნესის ფუნდამენტური აქტივია, ისინი ყოველთვის უნდა იყვნენ პროდუქციისა და ბრენდის ერთული.

ჰოლისტიკურ მარკეტინგს-XM აქვს ფუნდამენტური სარგებელი დოქტრინის გამოყენებისას. ასევე მას აქვს პოტენციალი ორგანიზაცია დააყენოს მოწინავე, წარმატებულ პოზიციაზე, რათა შეძლოს კონკურენციის გაწევა. დღევანდელ ბაზარზე, ასევე იქმნება ინოვაციები **პროდუქტებსა და სერვისებში.**

ჰოლისტიკურ მარკეტინგს-XM ასევე აქვს მრავალი უპირატესობები: მას შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ბრენდის პოზიციონირება და პოპულარობა სამიზნე აუდიტორიაში. თუმცა აღსანიშნავია ორგანიზაციის, მომხმარებლის, საზოგადოების ინტერესთა თანხვედრა. შედეგად კონფლიქტია. **არსებობს ხუთი კონკურენტი კონ--ცეფცია,** რომელსაც მიიღებს საფუძვლად მარკეტინგული საქმიანობისათვის.

ესენია: **წარმოების კონცეფცია: პროდუქტის კონ-ცეფცია; გაყიდვების კონცეფცია, მარკეტინგული კონ-ცეფცია და ჰოლისტიკური მარკეტინგის კონცეფცია.**

ჰოლისტიკური მარკეტინგის უპირატესობანია: მას აქვს პოტენციალი დააყენოს ორგანიზაცია დაუმარცხებელ მდგომარეობაში, რათა შეძლოს კონკურენციის გაწევა დღევანდელ ბაზარზე.

ჰოლისტიკურ მარკეტინგს-XM შეუძლია გააცნობიეროს მომხმარებლები ინოვაციების შესახებ პროდუქტებსა და სერვისებზე და შექმნას ლოიალური და ერთგული კლიენტების ბაზა კომპანიასთან.

ჰოლისტიკურ მარკეტინგს იყენებენ, მაგალითად ტანსაცმლის მაღაზიაში, სადაც მყიდველი უპირატესობას ანიჭებს ბრენდულ პროდუქციაზე შემდეგი პარამეტრების მიხედვით: **ფასდაკლება, რეკლამა, რეკომენდაციები, პირადი საჭიროება, ხელნაკეთი ბრენდირებულ პროდუქციაზე, პირადი გემოვნება.**

ონლაინ შოპინგის გამოყენებისას: ფასდაკლება, დაბრუნება, მარტივი ნავიგაცია, ფართო არჩევანი, საიტის დიზაინი, მიწოდება უფასო, იაფი, მიწოდების ხელსაყრელობა. ასევე ჰოლისტიკური მარკეტინგის მოდელი გამოიყენება კომერციული ბანკის შემთხვევაში.

ქართული ონლაინ-მაღაზიები აქტიურად არეკლამებენ თავიანთ პროდუქციას სოციალურ ქსელების საშუალებით.

დიდია **ინტერნეტ-მაღაზიების** გავლენა კომპანიის მუშაობაზე.

ფ. კოტლერის მიერ შემოთავაზებული XM-ის კონცეფცია შეიძლება ადაპტირებული იყოს, მაგალითად, **საბანკო სექტორებისთვის** მოდელის საშუალებით და ასევე ისმის კითხვა: რისგან შედგება ჰოლიზმი მარკეტინგში? რამდენად მნიშვნელოვანია XM?

ა) უპირველესად მნიშვნელოვანია მომხმარებელი, კლიენტი;

ბ) ვრცელდება სხვადასხვა სარეკლამო არხები. სამიზნე აუდიტორებთან ურთიერთობის გზებია;

გ) ყოველთვის დაისახოს ობიექტური მიზნები აქცენტის გადატანა პროდუქტიდან მყიდველზე და საქონლის გაყიდვიდან მომხმარებელზე.

XM-ის ინსტრუმენტარიუმი მოიცავს 3 დონეს:

მოთხოვნის მართვის დონეს; 2. რესურსების მართვის ფენას; 3. ქსელის მართვის ფენას. საქართველოში XM გამოყენებულია;

მაკდონალდსში – სწრაფი კვების ობიექტი. განთქმულია კეთილგანწყობილის პერსონალით, მომსახურების სისწრაფით და საზოგადოებრივი აზრისადმი ყურადღებით. კრიტიკა აღიქმება როგორც პროდუქტისა და ბრენდის გაუმჯობესების შესაძლებლობა. გაუმჯობესდა მენიუ, დაიწყო გარემოს მასალების გამოყენება, რომლებიც არ აბინძურებენ გარემოს.

პუმაში-XM წარმატებული მაგალითია. პუმას ბიზნეს პროცესის მართვის სისტემა. ეს არის გერმანული კომპანია, სპორტული ტანსაცმლის საერთაშორისო ბაზარი (ამჟამად წარმატებით იყიდება განსაკუთრებით სპორტული „ბოტასები“. რაღაც პერიოდში ჰქონდათ ჩავარდნა, მაგრამ XM-ის მეშვეობით წარმატებას მიაღწია. **ქსეროქს** კომპანია ხელმძღვანელობს XM-ის პრინციპებით და აღწევს წარმატებას, **ეივონი** – სოციალურ მარკეტინგის ერთ-ერთი საუკეთესო მოდელია.

ეივონმა–Avon-მა 400 მლ დოლარი დახარჯა ავთვისებიანი სიმსივნის წინააღმდეგ ბრძოლის დასაფინანსებლად XM-ის მეშვეობით. XM-შედარებით ახალი მიმართულებაა მენეჯმენტის კონცეფციების შემუშავებაში, ჰოლისტიკური იდეების წყაროდ ტრადიციულად დასავლეთში იდუმალი აღმოსავლური ფილოსოფიაა. გერმა--ნელმა ფსიქოლოგმა მაქს ვერტჰაიმერმა ჩაატარა

ექსპერიმენტი მე-20 საუკუნის დასაწყისში და დაამტკიცა, რომ ჩვენი აღქმა არ აგროვებს სამყაროს ცალკეული ნაწილებისგან, არამედ აღიქვამს მას მთლიანობაში, ერთნაირად და მხოლოდ ამის შემდეგ მოქმედებს ლოგიკა, რომელიც ანალიტიკურად ანაწილებს ყველაფერს და აწყობს სამყაროს. მაქს ვერტჰაიმერი ყველაზე ახლოს მივიდა შემოქმედებითი აზროვნების საიდუმლოებასთან, რომელიც დღეს უამრავ ადამიანს იკავებს. მან აჩვენა, რომ შემოქმედებითი აზროვნება საგნების ჰოლისტიკური ხედვის შედეგია.

ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM ეს აქცენტის გადატანა პროდუქტიდან მყიდველზე და საქონლის გაყიდვიდან მომხმარებელზე.

ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM ხელს უწყობს კომპანიას ითანამშრომლოს ყველასთან.

დასკვნა

ამრიგად, ჰოლისტიკური მარკეტინგი XM-მყიდველთა მხრიდან საჭიროებს ცხოვრების სტილის გაფართოებას; კომპანია მყიდველს იხილავს არა მარტო როგორც მის მომხმარებელს და იპოვოს ახალი მართვის ხერხები მომსახურებაში.

მარკეტინგის ამოცანა იმაშია, რომ კომპანიის თვითეულმა თანამშრომელმა უნდა იფიქროს უპირველესად როგორც მომხმარებელზე, ასევე ბრენდის რეპუტაციაზე: ჰოლისტიკური მარკეტინგის დროს პროცესის ყველა კომპონენტები განიხილებიან როგორც ერთი მთლიანი და არა ცალკეული ელემენტების ერთიანობა. საჭიროა შეფასდეს კომპანიის ყველა ოპერაციების ზემოქმედების ხარისხი ყველა დაინტერესებული პირის მხრიდან.

ჰოლისტიკური მარკეტინგი – XM XXI საუკუნის ყოვლისშემცვლელი დამაკავშირებელი მიდგომისადმი არ იზღუდება მარკეტინგის კონცეფციის ტრადიციული პრინციპებით.

ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ ჰოლისტიკური მარკეტინგი ეს არის აქცენტის გადატანა პროდუქტიდან მყიდველზე და საქონლის გაყიდვიდან მომხმარებელზე.

ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM კომპანიისგან მოითხოვს: მომხმარებლების საჭიროებების გაფართოებას და ცხოვრების წესის გაგებას. აუცილებელია შეფასდეს კომპანიის თითოეული განყოფილების წვლილი მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ჰოლისტიკური მარკეტინგი-XM ხელს უწყობს კომპანიას ითანამშრომლოს ყველასთან;

ჰოლისტიკური მარკეტინგი არის ნაბიჯი კომპანიის მთელი სტრუქტურის რესტრუქტურიზაციისაკენ; და წარმატებებს მიაღწია თანდათანობით ჰოლისტიკურმა-XM მარკეტინგიმა ეკონომიკის სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოლია გ. განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში. სტუ, თბ. 2021, გვ. 18.
2. კოტლერი ფ. მარკეტინგის საფუძვლები. 2008.
3. www.postposmo. com.marke
4. ჰოლისტიკური მარკეტინგი და მისი აპლიკაციები. ევროპული მენეჯმენტის სისტემების კლასიფიკაცია. თანამედროვე მარკეტინგის განვითარება. თბ. 2018

Holistical Marketing and Economics

Is dedicated to the 100th anniversary of the Georgian Technical University

My first books on marketing were aimed at other markets,
other competitions and consumers.
Today these books are harmful because the models
described in them are no longer valid.
Marketing guru Philip Kotler

Elisabed Khakhutashvili, Associate Professor
Georgian Technical University

Asmat Pipia, Dctor of Business Administration
Georgian Technical University

Summary

The article discusses the importance of political marketing for the economy. Political marketing is a step transforming the whole company structure, towards doing new business, which brings success to the economy.

The concept of holism is multifaceted, containing 4 main components: relationship, integrated, internal and social marketing. This is where the focus shifts from the product to the buyer and from the sale of the goods to the consumer. It is a step towards transforming the structure of the company, towards doing new business, aiming at cooperation with the customer and the company.

Political marketing is a gift of the digital age; it views the company as a single entity with common goals. It can improve a company's brand positioning; create a loyal, faithful customer base with the company.

Holistic marketing this is a new model in economics; holism in marketing is a multifaceted concept and contains 4 main components: relationship marketing, integrated marketing, internal marketing and social marketing.

Holistic marketing is the shift of focus from the product to the buyer and from the sale of the goods to the customer.

Holistic marketing is a step towards transforming the whole company structure, putting the organization in an advanced successful position, creating innovations in products and services.

Holistic Marketing - XM needs lifestyle enhancement on the part of buyers, on the brand reputation. All components of the process are considered as a whole and not a single element.

Holistic Marketing - XM has the potential to put an organization in an undefeated position. Today, many organizations in Georgia are engaged in political marketing, which is a great success in the economy.

პერსონალის მართვის ეფექტურობა საჯარო სკოლებში

მურად ფახურიძე დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე სკოლის ადამიანური რესურსების მენეჯმენტში სიახლეების დანერგვის პრობლემა თავისთავად გულისხმობს კრიტერიუმების მოძიებას და დასაბუთებას, რომლებიც ემსახურება მათი ეფექტურობის ობიექტურ მაჩვენებლების პრეზენტირებას.

ამჟამად, სკოლების ხელმძღვანელების მზარდი რაოდენობა ჩართულია ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ინოვაციების ძიების და დანერგვის პროცესში, განათლების ხედვაზე დაფუძნებულ აქტივობებში, როგორც სოციალურ-კულტურული გარემოს განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს გზაზე, რომელიც ქმნის ახალ შინაარსს, მეთოდებს, ფორმებს. ადამიანური რესურსის მენეჯმენტის პროცესის ორგანიზება და მათზე ადეკვატური მართვის სისტემები, რაც ხელს უწყობს ოპტიმალური შედეგების მიღწევას.

მენეჯმენტს კონკრეტულ სისტემად განვიხილავთ, ვეყრდნობით დიალექტიკური თეორიის გარკვეულ დებულებებს, რომლებშიც ეფექტურობა არის „შინაგანი და გარე საქმიანობის ერთიანობა, სისტემისა და მისი გარემოს ერთიანობა, სისტემის არსებობა და განვითარება“.

საქართველოს საჯარო სკოლების მენეჯმენტში ინოვაციების დანერგვის და მისი ეფექტურობის კრიტერიუმები გადმოცემულია და გაანალიზებულია ინოვაციები მენეჯმენტის ინფორმაციის შინაარსსა და ადამიანური რესურსების მართვის სასკოლო კონტროლის მეთოდებში, აქვე განზოგადებულია და მოცემულია მოსაზრებები ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ინოვაციების დანერგვის ეფექტიანობაზე და კრიტერიუმებზე, რომელიც არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არსი საქართველოს საჯარო სკოლების შედეგიანობის და მასში დასაქმებული ადამიანური რესურსის პროდუქტიულობის შესახებ, რაც უფრო ინოვაციურია სკოლა და მეტი პერსონალია ჩართული ამ პროცესში, მით უფრო მაღალია შედეგი იმის, თუ რა პოლიტიკა და მიზანი აქვს დასახული სკოლას.

არსებითად, მოსწავლეების აღზრდისა და გან-ვითარების მდგომარეობის ანალიზი, თითქოსდა, პედაგოგიური პერსონალის შიდა საქმეა. გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ სოციალური მომხმარებლები, რომლის უმთავრესი წარმომადგენლები მშობლები და საგანმანათლებლო დაწესებულებები არიან, დიდ მოთხოვნებს უყენებენ სკოლას მოსწავლეთა აღზრდისა და განვითარების კუთხით. ამიტომ, მენეჯმენტში ინოვაციების ეფექტურობის კრიტერიუმების შემუშავებისას გავითვალისწინეთ სასწავლო პროცესის ეფექტურობის ყველა ინდიკატორი.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ანალიზი, სერტიფიცირება, სტრუქტურა, მეთოდიკა.

შესავალი

სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების გამოცდილებამ ინოვაციების დანერგვაში მენეჯმენტის პრაქტიკაში შესაძლებელი გახადა გარკვეული კრიტერიუმების იდენტიფიცირება, რომლებიც შეიძლება კარგად იქნას გამოყენებული მენეჯმენტში ინოვაციების ეფექტურობის დასადგენად.

მართვის მოდელის შემუშავებისას, რომელიც სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების მოდელს, აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ის უნდა შეესაბამებოდეს, როგორც მართვის საგნის შესაძლებლობებს, ასევე მართვის ობიექტის სირთულეს.

თანამედროვე ყოფიერებაში პიროვნებაზე ორიენტირებული განათლების პარადიგმა მენეჯმენტის საგნად იქცა. თუ ეს მიღწეულია, მაშინ უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ თანამენეჯმენტზე.

ეფექტური თანამენეჯმენტის განხორციელება, რომლის არსი მდგომარეობს გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით დაჯილდოებული მმართველი სუბიექტების მიზანმიმართულ ურთიერთქმედებაში, ფაქტობრივად, ნიშნავს მთელი მართვის სისტემის გადასვლას ახალ ხარისხობრივ დონეზე და გულისხმობს მის

შემდგომ განვითარებას. ინოვაციური საქმიანობის ორგანიზატორების სუბიექტური პოზიცია არის სკოლის ფუნქციონირების თავისებურებების შეცვლის პირობა. ამრიგად, ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ინოვაციების დანერგვის ეფექტურობის ერთ-ერთი კრიტერიუმია სუბიექტურობის კრიტერიუმი.

სკოლის ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტის ხარისხი, უნდა შემოწმდეს სასწავლო პროცესის ეფექტურობის გარკვეული და ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების მიხედვით. აქედან გამომ-დინარეობს, რომ ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აკადემიური მოსწრების შედეგები და მისი გაუმჯობესება, არამედ მოსწავლეების პერსონალური ინდიკატორების ჩამოყალიბება და განვითარება, რაც ასახავს მათ პიროვნულ ზრდას სასწავლო პროცესში.

აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება და მოსწავლეების პიროვნული ზრდის ინდიკატორები პირდაპირ არის დამოკიდებული მასწავლებელთა პროფესიულ ზრდაზე. სკოლის ადმინისტრაციის ამოცანაა, ხელი შეუწყოს ოპტიმალური შედეგების მიღწევას. ზემოაღნიშნული კი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ კონტროლის შედეგების ოპტიმალური კრიტერიუმი.

ძირითადი ტექსტი

კრიტერიუმების დადგენის პროცესში ეფექტურობა, ისევე როგორც ალბათობა, აჩვენებს სიახლოვის ხარისხს რეალობასთან, ყველაზე საჭირო შედეგთან, ე.ი. ახასიათებს ურთიერთობას ზოგიერთი აქტივობის დონეებს შორის საბოლოო ან მოცემულ მიზნისადმი მიდგომის ხარისხის მიხედვით.

თანამედროვე სკოლის ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ინოვაციების ეფექტურობის გამოსავლენად, აუცილებელია:

პირველ რიგში - მკაფიო წარმოდგენა გვქონდეს მენეჯმენტის საქმიანობის იდეალიზებულ შედეგებზე.

მეორე - შესაძლებელი გახდეს მენეჯერული გავლენის შედეგების შესახებ ობიექტური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება.

მესამე - შესაძლებელი გახდეს ოპტიმალურ და რეალურად მიღწეულ შედეგებსა და მათ ცვლილებებში არსებულ ტენდენციებს შორის კავშირის დადგენა. ასევე აუცილებელია სკოლის განვითარებაზე მოქმედი ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორიცაა სკოლის სპეციფიკა, ადმინისტრაციისა და პერსონალის პროფესიული კომპეტენციის დონე, სიახლეების განვითარების ხარისხი, მათი პედაგოგიური მიზანშეწონილობა და ა.შ.

მენეჯმენტის პრაქტიკაში ინოვაციების დანერგვამ უნდა უზრუნველყოს საინოვაციო პროცესი მართვის და მართული ქვესისტემების ყველა კომპონენტში და ამით უზრუნველყოს სკოლის ჰუმანისტური (ჰოლისტიკური) განვითარება. ეს გულისხმობს მენეჯერული გავლენის განხორციელებას ამ ქვესისტემების ყველა კომპონენტის მახასიათებლების, სკოლის ფუნქციონირების სპეციფიკისა და პირობების გათვალისწინებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. ამასთან, უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ყველა სიახლე არ უნდა იყოს ავტონომიური ან ურთიერთგამომრიცხავი, არამედ, პირიქით, უნდა გაძლიერდეს ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ინოვაციურ და ტრადიციულ ფორმებსა და მეთოდებს შორის ურთიერთობა ხელს უწყობს სისტემის შექმნას, რომელიც არის „გარკვეული გზით მოწესრიგებული ელემენტების ერთობლიობა, ურთიერთდაკავშირებული და ქმნიან გარკვეულ ერთიანობას“ სისტემაში ახალი ელემენტების დანერგვა ცვლის მათ შორის კავშირებს და ისინი იძენს ახალ ფუნქციონალურ ხარისხს და თავად პროცესი მიდრეკილია უწყვეტობისკენ, რაც იწვევს მენეჯმენტის საქმიანობაში ინოვაციების მუდმივ ძიებას, განვითარებას და განხორციელებას.

მენეჯერულ საქმიანობაში ინოვაციების ბუნება და შინაარსი გადასცემს განვითარების იმპულსს რთული პედაგოგიური სისტემის ყველა კომპონენტს, რომელიც არის სკოლაში. მენეჯმენტში ინოვაციები იწვევს ცვლილებებს ადამიანური კაპიტალის საქმიანობაში, რაც ამ საქმიანობას აძლევს ინოვაციურ ხასიათს, რის შედეგადაც ადმინისტრაციასა და პერსონალს შორის ურთიერთქმედება უზრუნველყოფს ინოვაციური პროცესის განვითარების ინტენსივობას, რითაც ქმნის პირობებს ინტენსიური განვითარებისთვის

და ხარისხობრივი ცვლილებების საწინდარია სასწავლო პროცესის ორგანიზებაში. ამიტომ, როგორც მენეჯმენტში ინოვაციების ეფექტურობის შემდეგი კრიტერიუმი, შეგვიძლია ავიღოთ სკოლის განვითარების ერთი ხარისხის საფეხურიდან მეორეზე გადასვლის სწრაფი ტემპი.

პროგნოზირებადი შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა არ ნიშნავს მართვის ტრადიციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებაზე სრულ უარს; რომლის დადებითი ღირებულებაც არის გარკვეული ინფორმაციის მოპოვება კონკრეტულ სფეროებში სკოლების ფუნქციონირების შესახებ. ანალიზის წყალობით დგინდება სწავლების ხარისხი, სკოლის პერსონალის მეთოდოლოგიური უნარ-ჩვევების დონე, მასწავლებლისთვის საჭირო მეთოდოლოგიური დახმარების სახეები და ა.შ.. საქმე ისაა, რომ მართვის ტრადიციული ფორმები და მეთოდები არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას. საგანმანათლებლო დაწესებულების მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ და აუცილებელია ზემოთ აღნიშნული ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენება). ამრიგად, საჭიროა გამოვყოთ მართვის ტრადიციული ფორმებისა და მეთოდების ინოვაციურთან ოპტიმალური შერწყმის კრიტერიუმი.

ცნობილია მენეჯმენტის ხასიათისა და შინაარსის გავლენა საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებაზე. მასწავლებლის მიერ დასახული მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მენეჯმენტის ინფორმაციის შინაარსის საფუძველზე მიღებული მენეჯმენტის გადაწყვეტილებები, ხორციელდება სკოლების განვითარება. მენეჯმენტში ინოვაციების დანერგვა, რომელიც მოითხოვს ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მრავალფეროვან და უფრო სანდო ინფორმაციას, დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ორგანიზაციასა და შედეგებზე. ამ მხრივ ლეგიტიმურია საგანმანათლებლო პროცესის განვითარების თავისებურებების განსაზღვრის კრიტერიუმი მენეჯმენტში ინოვაციების სპეციფიკითა და შინაარსით. აღნიშნული კრიტერიუმები საჭიროებს შემდგომ თეორიულ დასაბუთებას, როგორც ჩანს, სხვა კრიტერიუმები შეიძლება გამოიყოს.

ამასთან, შესაძლებლია ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად, განვსაზღვროთ და შევაფასოთ ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ინოვაციების ეფექტურობა, რაც მოითხოვს მის დადასტურებას.

მართვის სტრატეგიული გეგმ(ებ)ის შესწავლამ შესაძლებელი გახადა მათში ძირითადი სემანტიკური ერთეულების გამოვლენა:

- მიზნის ჩამოყალიბების უნარი.
- მიზნის შესაბამისად გამოავლინოს სასწავლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი ამოცანები.
- მიზნისა და ამოცანების შესაბამისად ოპტიმალურია სწავლების მეთოდებისა და ტექნიკის შერჩევა.
- გაკვეთილის ტიპის განსაზღვრა და ა.შ.

დასკვნა

ინოვაციების დანერგვა მენეჯერული საქმიანობის პრაქტიკაში საშუალებას აძლევს არა მხოლოდ უკეთესი შედეგების მიღწევას სკოლის მოსწავლეების განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში, არამედ იდენტიფიცირება მასწავლებელთა საქმიანობაში ხარვეზების გამომწვევი მიზეზების შესახებ, დაგეგმოს კონკრეტული ქმედებები. აღმოფხვრას ისინი და უზრუნველყოს სკოლის მუშაობა განვითარების რეჟიმში.

თანამედროვე სკოლის მენეჯმენტში ინოვაციებმა ხელი შეუწყო ადამიანური რესურსის განვითარებას და სკოლის მოსწავლეების სწავლების ისეთი არატრადიციული ფორმებისა და მეთოდების აღმოჩენას და გამოყენებას, როგორიცაა ლექციები, სემინარები, სპეციალიზებული პრაქტიკა, სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ არა მხოლოდ სპეციალობის მაღალ დონეს, არამედ ხელი შეუწყო მოსწავლეების შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. გვაჯაია ლ. ქუთათელაძე რ. - საინოვაციო მენეჯმენტი.
2. ბარათაშვილი ე. ჩეჩელაშვილი მ. მარიდაშვილი მ. მახარაშვილი ნ. ზარანდია ჯ. შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერები.თბ., 2015.
3. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა. მენეჯმენტი და ადმინისტრიება.
4. სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ალან ჯაჯი. ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები. მე-11 გამოცემა.
5. Kotler P. Marketing Management Analysis, Planing Implementation, and control, prentice hall International Hemel Hempstead, 1997.

Effectiveness of innovative personnel managemen in public schools

Murad Pakhuridze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The problem of introducing innovations in modern Georgian public school human resource management in itself involves finding and substantiating criteria that serve to present objective indicators of their effectiveness.

Currently, a growing number of school leaders are involved in the search for and introduction of innovations in human resource management, in activities based on the vision of education, as one of the main ways of developing the socio-cultural environment, creating new content, methods, forms. Organizing the process of human resource management and adequate management systems on them, which helps to achieve optimal results.

We consider management as a specific system, based on certain provisions of dialectical theory, in which efficiency is "the unity of internal and external activities, the unity of the system and its environment, the existence and development of the system."

Criteria for the introduction of innovation in Georgian public school management and its effectiveness are presented and analyzed Innovations in the content of management information and school control methods of human resource management. And about the productivity of the human resources employed in it, making the school more innovative and the more staff involved in this process, the higher the outcome of what policy and purpose the school has set.

Essentially, the analysis of the state of upbringing and development of students seems to be an internal affair of the teaching staff. It should be noted that social users, whose main representatives are parents and educational institutions, place great demands on the school in terms of upbringing and development of students. Therefore, when developing the criteria for the effectiveness of innovations in management, we have taken into account all the indicators of the effectiveness of the learning process.

keywords: Innovation, analysis, certification, structure, methodology.

წრფივი პროგრამირების ძირითადი ამოცანები

რუსუდან გოგიბერიძე
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების ოპტიმიზაციის სხვადასხვა მეთოდები. საჭიროა განვსაზღვროთ მიზნის ფუნქციის მაქსიმუმისა (გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, რაოდენობა, მოგება) და მინიმუმის (პროდუქციის განაწილების ის ოპტიმალური ვარიანტი, რომლის დროსაც დანახარჯი, დახარჯული დრო იქნება მინიმალური) მოძებნა გარკვეული შეზღუდვების – პირობების გათვალისწინებით.

ამოცანა შემდეგშია: უნდა ვიპოვოთ მრავალი ცვლადის ფუნქციის (მიზნის ფუნქცია) მაქსიმუმი ან მინიმუმი, როცა ცვლადები აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს (შეზღუდვებს). შეზღუდვები მოიცემა განტოლებებისა და უტოლობების სახით (ამონახსენთა დასაშვები, სავარაუდო პასუხების არეა), ე.ი. მოცემულია

$$F(x) = F(x_1, x_2, \ldots, x_n),$$

მიზნის ფუნქცია შეზღუდვებით:

$$f_i(x_1, x_2, \ldots, x_n) \le b_i \quad (i = \overline{1,k})$$

$$f_i(x_1, x_2, \ldots, x_n) = b_i \quad (i = \overline{k+1,m})$$

სადაც F, f_i n ცვლადის ცნობილი ფუნქციებია, b_i ცნობილი რიცხვებია, საძიებელია F ფუნქციის მაქსიმუმი ან მინიმუმი.

მოცემულ სტატიაში მიზნის ფუნქციაც და შეზღუდვებიც წრფივი ფუნქციებია განტოლებების ან უტოლობების სახით:

$$F(x) = c_1x_1 + c_2x_2 + \cdots + c_nx_n$$

მიზნის ფუნქცია, შეზღუდვებია:

$$f_i(x_1, x_2, \ldots, x_n) \le b_i \quad (i = \overline{1,k})$$

$$f_i(x_1, x_2, \ldots, x_n) = b_i \quad (i = \overline{k+1,m})$$

სადაც a_{ij}, b_i, c_i მოცემული მუდმივებია.

წრფივი დაპროგრამების ამოცანებს ვხვდებით ეკონომიკაში (ეკონომიკური ობიექტების დაგეგმვა და მართვა), ტექნიკაში (საუკეთესო პროექტის ან ოპტიმალური კონსტრუქციის შერჩევა), სამხედრო საქმეში (სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა, ჯარის მართვა), სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის მართვა და სხვა. წრფივი დაპროგრამების გამოყენება განპირობებულია იმით, რომ წრფივი მოდელები საკმაოდ ზუსტად ასახავენ და პასუხობენ ეკონომიკაში დასმულ ამოცანებს.

სტატიაში განხილულია მრავალრიცხოვანი ამოცანები საწარმოო ეკონომიკურ პრობლემებში გადაწყვეტილებების მიღების ოპტიმალური ვარიანტის მოძებნაზე (სატრანსპორტო ამოცანა, სადაც გასანაწილებელია ნაწარმოები რაიმე მოცულობის პროდუქცია მომხმარებლებს შორის მომხმარებლის მოთხოვნის გათვალისწინებით, დიეტის ამოცანა, ე.ი. დღიური რაციონის შერჩევისას დანახარჯი იყოს მინიმალური ისე, რომ ვიტამინების საჭირო რაოდენობა იყოს შენარჩუნებული).

სტატიაში განმარტებულია ძირითადი ამოცანა,

სტანდარტული (სიმეტრიული), ძირითადი (კანონიკური) ფორმები, მოცემულია ერთი სახიდან მეორეზე გადასვლის მაგალითები საჭიროების შემთხვევაში.

განხილულია ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანების ამოხსნის გრაფიკული, ანალიზური მეთოდები, ჩატარებულია ამ მეთოდების შედარება და მინიჭებულია უპირატესობა ერთერთი ამ მეთოდის სასარგებლოდ, მოცემულია წრფივი დაპროგრამების ამოცანის გეომეტრიული ინტერპრეტაციისას გამოსაყენებელი გეგმა – საჭირო ეტაპები ამ ხერხის გამოყენებისას. ნაშრომში მოცემულია საჭირო ცხრილები და ნახაზები, რაც თვალსაჩინოს ხდის ამოცანის ამოხსნას.

საკვანძო სიტყვები: წრფივი დაპროგრამება, მიზნის ფუნქცია, შეზღუდვები, სტანდარტული ამოცანა, ამოცანის კანონიკური ფორმა, დასაშვები ამოხსნები – გეგმა, ოპტიმალური გეგმა, გრაფიკული მეთოდი, ანალიზური მეთოდი.

შესავალი

მათემატიკური დაპროგრამება თანამედროვე გამოყენებითი მათემატიკის დარგია და შეისწავლის მრავალგანზომილებიანი ექსტრემალური ამოცანების თეორიასა და ამოხსნის რიცხვით მეთოდებს.

ამოცანა შემდეგშია: უნდა ვიპოვოთ მრავალი ცვლადის ფუნქციის (მიზნის ფუნქცია) მაქსიმუმი ან მინიმუმი, როცა ცვლადები აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს (შეზღუდვებს). შეზღუდვები მოიცემა განტოლებებისა და უტოლობების სახით (ამონახსნთა დასაშვები, სავარაუდო პასუხების არეა): ე.ი. მოცემულია

$$F(x) = F(x_1, x_2, \ldots, x_n), \quad (1)$$

$$\begin{aligned} f_i(x_1, x_2, \ldots, x_n) &\le b_i \quad (i = \overline{1,k}) \\ f_i(x_1, x_2, \ldots, x_n) &= b_i \quad (i = \overline{k+1,m}) \end{aligned} \quad (2)$$

სადაც F, f_i n ცვლადის ცნობილი ფუნქციებია, f_i ცნობილი რიცხვებია, საძიებელია F ფუნქციის მაქსიმუმი ან მინიმუმი.

თუ $F(x)$ და f_i წრფივი ფუნქციებია, მაშინ (1)–(2) ამოცანა წრფივი პროგრამირების ამოცანას წარმოადგენს, თუ ან F ან f_i ფუნქციებიდან ერთი მაინც არაწრფივია, მაშინ საქმე გვაქვს არაწრფივი დაპროგრამების ამოცანებთან.

მათემატიკურ დაპროგრამებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია წრფივ დაპროგრამებას.

განმარტება 1. წრფივი დაპროგრამების ძირითადი ამოცანა ეწოდება ამოცანას, რომელშიც საძიებელია მაქსიმუმი (მინიმუმი) ფუნქციისა

$$F = \sum_{i=1}^{n} c_i x_i = c_1 x_1 + c_2 x_2 + \cdots + c_n x_n \quad (3)$$

შემდეგი პირობებით:

$$\sum_{i=1}^{n} a_{ij} x_j \le b_i, \; i = (\overline{1,k}) = 1, 2, 3, \ldots, k, \quad (4)$$

$$j = (\overline{1,\ell}), \; \ell \le n$$

$$\sum_{i=1}^{n} a_{ij} x_j = b_i, \; i = (\overline{k+1,m}) = k+1, k+2, \ldots, m \quad (5)$$

$$x_i \ge 0 \quad j = (\overline{1,\ell}), \; \ell \le n \quad (6)$$

სადაც a_{ij}, b_i, c_i – მოცემული მუდმივი სიდიდეებია, $k \le m$.

განმარტება 2. (3) ფუნქციას ეწოდება (3)-(6) ამოცანის **მიზნის ფუნქცია** (წრფივი ფორმა), (3)-(6) პირობებს ეწოდებათ მოცემული ამოცანის **შეზღუდვები.**

განმარტება 3. წრფივი პროგრამირების **სტანდარტული (სიმეტრიული)** ამოცანა ეწოდება ამოცანას, რომელშიც საძიებელია (3) მიზნის ფუნქციის მაქსიმალური მნიშვნელობა (4)-(6) პირობებით, სადაც $k = m$, $\ell \le n$.

განმარტება 4. წრფივი პროგრამირების **კანონიკური (ძირითადი)** ფორმა ეწოდება ამოცანას, რომელშიც საძიებელია (3) მიზნის ფუნქციის მაქსიმალური მნიშვნელობა, თუ სრულდება (4) და (6) პირობები, სადაც $k = m$, $\ell = n$.

განმარტება 5. რიცხვთა ერთობლიობას $x^* = (x_1^*, x_2^*, \ldots, x_n^*)$, რომლებიც აკმაყოფილებენ (3)-(6) პირობებს, ეწოდებათ **დასაშვები ამოხსნები** (ანუ გეგმა).

განმარტება 6. გეგმას $x^* = (x_1^*, x_2^*, \ldots, x_n^*)$, რომლისთვისაც მიზნის ფუნქცია (3) ღებულობს თავის მაქსიმალურ (მინიმალურ) მნიშვნელობას, ეწოდება **ოპტიმალური.**

მიზნის (3) ფუნქცია X გეგმით აღვნიშნოთ $F(x)$-ით, ცხადია X^* არის ოპტიმალური გეგმა ამოცანისა, სადაც ნებისმიერი X-სათვის შესრულდება პირობა

$F(x) \le F(x^*)$ მაქსიმუმისათვის და $F(x) \ge F(x^*)$ მინიმუმისათვის.

შევნიშნოთ, რომ თუ საძიებელია

$$F(x) = c_1x_1 + c_2x_2 + \cdots + c_nx_n$$

მიზნის ფუნქციის მინიმალური მნიშვნელობა, შეიძლება გადავიდეთ მაქსიმუმის მოძებნის ამოცანაზე $F_1(x) = -F(x)$ პირობით, რადგან $\min F(x) = -\max(-F(x))$.

უტოლობების შემცველი შეზღუდვები საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია გადავიყვანოთ ტოლობის შემცველ შეზღუდვებზე, კერძოდ, თუ გვაქვს შეზღუდვა „≤“ ნიშნის, შეზღუდვის მარცხენა მხარეს დავუმატოთ არაუარყოფითი ცვლადი, ხოლო „≥“ ნიშნის შეზღუდვისას, მის მარცხენა მხარეს გამოვაკლოთ არაუარყოფითი ცვლადი, ე.ი.

შეზღუდვა $a_{i1}x_1 + a_{i2}x_2 + \cdots + a_{in}x_n \le b_i$, შეგვიძლია გადავწეროთ ასე

$$a_{i1}x_1 + a_{i2}x_2 + \cdots + a_{in}x_n + x_{n+1} = b_i,\ (x_{n+1} \ge 0),$$

ხოლო შეზღუდვა

$a_{i1}x_1 + a_{i2}x_2 + \cdots + a_{in}x_n \ge b_i$ გადაიწერება ასე:

$$a_{i1}x_1 + a_{i2}x_2 + \cdots + a_{in}x_n - x_{n-1} = b_i,\ (x_{n+1} \ge 0).$$

შემოტანილ დამატებით ცვლადებს (x_{n+1}) აქვთ განსაზღვრული ეკონომიკური შინაარსი. მაგალითად, თუ შეზღუდვებში გვაქვს სამრეწველო რესურსების შემოსავალი და გასავალი, მაშინ დამატებითი ცვლადები იქნება ამ რესურსების არაგამოყენებული ცვლადები.

განვიხილოთ უტოლობებით მოცემული შეზღუდვების ტოლობით მოცემულ ფორმაზე დაყვანის მაგალითები.

მაგალითი 1. ჩავწეროთ წრფივი დაპროგრამების ამოცანა ძირითადი ამოცანის სახით:

ვიპოვოთ $F = 5x_1 - 2x_2 + 3x_4 - 3x_5$ მიზნის ფუნქციის მაქსიმუმი შეზღუდვებით:

$$\begin{cases} 2x_1 + 3x_3 - 4x_4 + x_5 \le 3; \\ x_1 - 2x_3 + 3x_4 - x_5 \le 4; \\ 2x_2 + 3x_3 - 2x_4 + 3x_5 \le 6; \\ x_1 + 2x_4 - 5x_5 \ge 2, \end{cases}$$

$x_1, x_2, x_3, x_4, x_5, \ge 0$

გვექნება:

$$\begin{cases} 2x_1 + 3x_3 - 4x_4 + x_5 + x_6 = 3 \\ x_1 - 2x_3 + 3x_4 - x_5 + x_7 = 4 \\ 2x_2 + 3x_3 - 2x_4 + 3x_5 + x_8 = 6 \\ x_1 + 2x_4 - 5x_5 - x_9 = 2 \end{cases}$$

და ამ პირობებში ვეძებთ მოცემული მიზნის ფუნქციის მაქსიმუმს.

ასეთი ამოცანების ამოხსნის ხერხებიდან განიხილება გრაფიკული მეთოდი, ანალიზური მეთოდი, სიმპლექს-მეთოდი.

გრაფიკული მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლადთა რაოდენობა $n = 2$.

ამ შემთხვევაში ამოცანა ჩამოყალიბდება ასე:

საძიებელია $F(x_1, x_2) = c_1x_1 + c_2x_2$ მიზნის ფუნქციის მაქსიმუმი, როდესაც

$$a_{i1}x_1 + a_{i2}x_2 \le b_i,\ (i = \overline{1,k})$$

$$x_j \ge 0,\ (j = 1, 2)$$

დასაშვები მნიშვნელობათა არეა სიბრტყეზე მდებარე ამოზნექილი მრავალკუთხედი.

წრფივი დაპროგრამების ამოცანის გეომეტრიული ინტერპრეტაციისას უნდა გამოვიყენოთ ეტაპები.

1. ავაგოთ შეზღუდვების შესაბამისი წრფეები

$$a_{i1}x_1 + a_{i2}x_2 = b_i,\ (i = \overline{1,k})$$

2. ვიპოვოთ მოცემული უტოლობის შესაბამისი მხარეებით მიღებული ამოზნექილი მრავალკუთხედი – ამონახსნების მრავალკუთხედი.

3. ავაგოთ ვექტორი $c_1x_1 + c_2x_2 = h$ (მიზნის ფუნქციის უცნობების კოეფიციენტების შესაბამისი ფექტორია).

4. ავაგოთ წრფე $c_1x_1 + c_2x_2 = h$, რომელიც გადის ამონახსენთა მრავალკუთხედზე.

5. გადავაადგილოთ $\vec{c}$ ვექტორის პარალელური მიმართულებით $c_1x_1 + c_2x_2 = h$.

6. ვიპოვოთ მაქსიმუმის წერტილის კოორდინატები და გამოვთვალოთ მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა ამ წერტილში (იგი იქნება მრავალკუთხედის ერთერთი წვერო).

მაგალითი 1. სამკერვალო ფაბრიკა ორი სახის

კოსტუმებს კერავს. პირველი სახის ერთი კოსტუმის შესაკერად იხარჯება 3 მ² ქსოვილი, 2 მ² სასარჩულე და 5 სთ სამუშაო დრო. მეორე სახის ერთ კოსტუმზე კი – 4 მ² ქსოვილი, 1 მ² სასარჩულე და 4 საათი სამუშაო დრო. პირველი სახის კოსტუმის ღირებულებაა 25 ლარი, მეორესი – 30 ლარი. როგორი სახის და რა რაოდენობის კოსტუმი უნდა შეკეროს ფაბრიკამ, რომ მიიღოს მაქსიმალური მოგება, თუ აქვს 240 მ² საკოსტუმე ქსოვილი, 120 მ² სასარჩულე ქსოვილი და 360 სთ სამუშაო დრო.

ამოხსნა: მონაცემებით შევადგინოთ ცხრილი

კოსტუმის სახეობა	1 კოსტუმზე დახარჯული ქსოვილი	1კოსტუმისა-თვის საჭირო სასარჩულე	1 კოსტუმისათვის სამუშაო დრო	შეკერილი კოსტუმის რაოდენობა	ერთეული კოსტუმის ღირებულება
I	3 მ²	2 მ²	5 სთ	x_1	25 ლარი
II	4 მ²	1 მ²	4 სთ	x_2	30 ლარი
სულ აქვთ	240 მ	120 მ	360 სთ		

ცხადია, შედგება მიზნის ფუნქცია:

$F(x_1, x_2) = 25x_1 + 30x_2.$

უნდა ვიპოვოთ მისი მაქსიმუმი შემდეგი პირობებით:

$$\begin{cases} 3x_1 + 4x_2 \le 240; \\ 2x_1 + x_2 \le 120; \\ 5x_1 + 4x_2 \le 360, \\ x_1 \ge 0, \quad x_2 \ge 0. \end{cases}$$

ავაგოთ წრფეები:

$$\begin{cases} 3x_1 + 4x_2 = 240; \\ 2x_1 + x_2 = 120; \\ 5x_1 + 4x_2 = 360, \\ x_1 = 0, \quad x_2 = 0. \end{cases}$$

ნახაზზე მიღებულია დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლე.

ვიპოვოთ *B* წერტილის კოორდინატები, *B* წერტილი წარმოადგენს I და II წრფეების გადაკვეთის წერტილს.

$$B \begin{cases} 3x_1 + 4x_2 = 240; \\ 2x_1 + x_2 = 120 \end{cases}$$

ამ სისტემის ამონახსნია $x_1 = 48$, $x_2 = 24$. ამიტომ მიზნის ფუნქცია იქნება

F(48, 24) = 25 · 48 + 30 · 24 = 1920 ლ.

ამრიგად, სამკერვალომ უნდა შეკეროს I სახის 48 კოსტუმი, II სახის 24 კოსტუმი, სამკერვალო ფაბრიკა მიიღებს 1920 ლარის მოგებას.



ნახაზი 1. $(x = x_1; \quad y = x_2)$

ამოცანა 2. ღვინის მწარმოებელ ფირმას აქვს ორი A_1 და A_2 სახის ღვინის ჩამოსასხმელი დანადგარი. ფირმა აწარმოებს სამი სახის ღვინოს, რომლებიც იგზავნება B_1, B_2, B_3 ქვეყნებში შეთანხმების თანახმად ფირმამ B_1 ქვეყნისათვის უნდა ჩამოასხას არანაკლებ 120 დეკალიტრი ღვინო, B_2 ქვეყნისათვის არანაკლებ 80 დეკალიტრი ღვინო, B_3 ქვეყნისათვის კი 240 დეკალიტრი ღვინო.

A_1 – დანადგარის ექსპლოატაცია 1 სამუშაო დღეში ფირმას უჯდება 500 დოლარი, A_2 დანადგარისა კი 420 დოლარი. ამასთან A_1 დანადგარი 1 სამუშაო დღის განმავლობაში ასხამს 60 დეკალიტრ ღვინოს B_1 ქვეყნისათვის, 40 დეკალიტრს – B_2 და 60 დეკალიტრს B_3 ქვეყნისათვის. შესაბმისი მონაცემები A_2 დანადგარისათვის არის 20, 20, 120 დეკალიტრი B_1, B_2, B_3 ქვეყნებისათვის.

რამდენი დღე უნდა იმუშაოს კვირაში თითოეულმა დანადგარმა, რომ ფირმამ მიიღოს მაქსიმალური მოგება და დაიცვას შეთანხმების პირობები ყველაზე ეკონომიკური რეჟიმით.

ამოხსნა

აღვნიშნოთ x_1-ით დღეების ის რაოდენობა ერთ კვირაში, როცა მუშაობს A_1 დანადგარი, x_2-ით A_2 დანადგარის მუშაობის დღეების რაოდენობა კვირაში.

ცხადია, მიზნის ფუნქცია (მოგება კვირაში) გამოისახება ტოლობით:

$$F(x_1, x_2) = 400x_1 + 320x_2.$$

ამასთან $x_1 \geq 0$, $x_1 \leq 7$, $x_2 \geq 0$, $x_2 \leq 7$ (მუშაობა შეეხება ერთ კვირას ე.ი. 7 დღეს)

ამოცანის პირობებით შევადგინოთ ცხრილი:

დანადგარი	სამუშაო დღეები კვირაში	1 დღე ფირმას უჯდება	B_1 ქვეყნისათვის	B_2 ქვეყნისათვის	B_3 ქვეყნისათვის
A_1 A_2	x_1 x_2	400 329	$60x_1$ $20x_2$	$20x_1$ $20x_2$	$40x_1$ $120x_2$
			120	80	240
სულ 1 კვირაში	$F=(400x_1 + 320x_2)$\$		$60x_1 + 20x_2 \geq 120$	$20x_1 + 20x_2 \geq 80$	$40x_1 + 120x_2 \geq 240$

ამოცანა ჩამოყალიბება ასე: ვიპოვოთ F დანახარჯის $F(x_1, x_2) = 400x_1 + 320x_2$ ფუნქციის მინიმუმი შემდეგი პირობებით:

$$\begin{cases} 60x_1 + 20x_2 \geq 120; \\ 20x_1 + 20x_2 \geq 80; \\ 60x_1 + 120x_2 \geq 240, \\ x_1 \geq 0, \quad x_1 \leq 7 \\ x_2 \geq 0, \quad x_2 \leq 7 \end{cases}$$

ავაგოთ შესაბამისი წრფეები, ე.ი. მოვძებნოთ ამონახსენთა დასაშვები არე:



ნახაზი 2. $\left(x = x_1; \quad y = x_2\right)$

K წერტილი არის II და III წრფეების გადაკვეთის წერტილი:

$$K\begin{cases}20x_1+20x_2=80\\60x_1+120x_2=240\end{cases}\Rightarrow\begin{matrix}x_1=3\\x_2=1\end{matrix}\quad K(3,1)$$

G წერტილი არის I და II წრფეების გადაკვების წერტილი, ე.ი.

$$G\begin{cases}60x_1+20x_2=120\\20x_1+20x_2=800\end{cases}\Rightarrow\begin{matrix}x_1=1\\x_2=3\end{matrix}\quad G(1,3).$$

ახლა გამოვთვალოთ მიზნის ფუნქცია *ABCDEFG* მრავალკუთხედის ყველა წვეროში.

$F(A) = F(0,6) = 400\cdot0+320\cdot6=1920$

$F(B) = (0,7) = 400\cdot0+320\cdot7=2240$

$F(C) = F(7,7) = 400\cdot7+320\cdot7=2800+2240=5040$

$F(D) = F(7,0) = 500\cdot7+320\cdot0=2800$

$F(E) = F(6.0) = 400\cdot6+320\cdot0=2400$

$F(K) = F(3,1)=400\cdot3+320\cdot1=1520$

$F(G) = F(1,3)=400\cdot1+3\cdot320=400+ 960= 1360$

მინიმუმია $F(G)=1360$.

ამრიგად, მუშაობის ყველაზე ეკონომიკური რეჟიმი ფირმისათვის იქნება, თუ A_1 დანადგარი კვირაში იმუშავებს 1 დღეს, ხოლო A_2 დანადგარი - 3 დღეს. აღწერილი რეჟიმით ყოველკვირეული დანახარჯი იქნება მინიმალური და იგი ტოლი იქნება 1360 $.

განვიხილოთ ეკონომიკური ამოცანა.

ამოცანა 3. საწარმო უშვებს A_1 და A_2 ტიპის პროდუქციას, რომლის მოთხოვნა აღემატება საწარმოს სიმძლავრეს. A_1 ტიპის პროდუქციის ერთეულზე დანახაჯია 6 დოლარი, A_2 ტიპის ერთეულზე 3 დოლარი. A_1 პროდუქცია იყიდება 7 დოლარად, A_2 ტიპისა – 4 დოლარად. ტრანსპორტირების ხარჯები A_1 ტიპის პროდუქციის ერთეულისათვის არის 0,2 დოლარი, A_2 ტიპის ერთეულისათვის – 0,3 დოლარი. საწარმოს ყოველთვიური დანარჯების მაქსიმუმი ორივე ტიპის პროდუქციის საწარმოებლად შეიძლება იყოს მხოლოდ 2700 დოლარი, ხოლო ყოველთვიური სატრანსპორტო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს 120 დოლარს. როგორი საქმიანობით მიიღებს საწარმოო მაქსიმალურ მოგებას.

ამოხსნა

ვთქვათ საწარმოომ უნდა გამოუშვას A_1 ტიპის x_1 რაოდენობის პროდუქცია, ხოლო A_2 ტიპისა – x_2 რაოდენობის. ცხადია, მოგების ფუნქციის გამოსათვლელი ფორმულა იქნება

$\Pi = F(x_1,x_2) = F_1(x_1,x_2) - F_2(x_1,x_2) - F_3(x_1,x_2)$, სადაც $F_1(x_1,x_2)$ არის გაყიდვით მიღებული მთლიანი ამონაგები ერთ თვეში.

$F_2(x_1,x_2)$ არის დანახარჯი ერთ თვეში x_1 და x_2 რაოდენობის პროდუქციის საწარმოებლად.

$F_3(x_1,x_2)$ არის A_1 და A_2 ტიპის პროდუქციის ტრანსპორტირებაზე დანახარჯები.

$$F_1(x_1,x_2) = 7x_1 + 4x_2.$$
$$F_2(x_1,x_2) = 6x_1 + 3x_2.$$
$$F_3(x_1,x_2) = 0{,}2x_1 + 0{,}3x_2.$$

ამიტომ მივიღებთ

$$\Pi = F(x_1,x_2) = (7x_1+4x_2) - (6x_1+3x_2) -$$
$$-(0,2x_1+0,3x_2) = 0{,}8x_1 + 0{,}7x_2.$$
$$F(x_1,x_2) = 0{,}8x_1 + 0{,}7x_2.$$

მოცემული პირობებით შევადგინოთ ცხრილი.

პროდუქციის ტიპი	უნდა გამოუშვას პროდუქცია	პროდუქციის ერთეულზე დანახარჯი	პროდუქცია იყიდება ფასად	სატრანსპორტო ხარჯები
A_1 A_2	x_1 x_2	6$ 3$	7$ 4$	0,2 $ 0,3 $
სულ		2700	$7x_1 + 4x_2$	120

საძიებელია $F(x_1,x_2)$ ფუნქციის უდიდესი მნიშვნელობა შემდეგი პირობებით:

$$\begin{cases}6x_1+3x_2\le 2700\\0,2x_1+0,3x_2\le 120\\x_1\ge 0,\qquad x_2\ge 0.\end{cases}$$

ავაგოთ წრფეები $6x_1+3x_2=2700$ და $0,2x_1+0,3x_2=120$.



ნახაზი 3 $\left(x = x_1;\quad y = x_2\right)$

B წერტილი წარმოადგენს I და II წრფეების გადაკვეთის წერტილს:

$$\begin{cases} 6x_1 + 3x_2 = 2700 \\ 0,2x_1 + 0,3x_2 = 120 \end{cases} \Rightarrow \begin{matrix} x_1 = 375 \\ x_2 = 150. \end{matrix}$$

ე.ი. გვაქვს *B*(375; 150).

მრავალკუთხედის წვეროებია *O*(0,0), *A*(0,400), *C*(450,0).

გამოვთვალოთ მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა ამ წვეროებში:

$F(x_1, x_2) = 0,8x_1 + 0,7x_2$

$F(O) = F(0,0) = 0$

$F(A) = F(0,400) = 0,7 \cdot 400 = 280$

$F(B) = F(375, 150) = 0,8 \cdot 375 + 0,7 \cdot 150 = 405$

$F(C) = F(450,0) = 0,8 \cdot 450 + 0,7 \cdot 0 = 360$

$F_{\max} = F(B) = 405.$

ამიტომ საწარმოს უდიდესი ყოველთვიური მოგება იქნება 405 დოლარი, რომელიც მიიღწევა, თუ ყოველთვიურად იგი აწარმოებს 375 ერთეულ A_1 ტიპის და 150 ერთეულ A_2 ტიპის პროდუქციას.

ამოვხსნათ ეს ამოცანა ანალიზური სახითაც. ამოცანა ასე ყალიბდება: ვიპოვოთ $F(x_1, x_2)$=0,8x_1 + 0,7x_2 ფუნქციის მაქსიმუმი, თუ Ω არეა *OABC* ოთხკუთხედი:

ა) *OA* განტოლებაა $x_1 = 0$, მაშინ

$$F = 0,7x_2;\ \frac{\partial F}{\partial x_2} = 0,7 \neq 0,$$

OA მონაკვეთის შიგნით კრიტიკული წერტილები არ გვაქვს, მაშინ მონაკვეთის ბოლოებში

$F(O)=F(0,0)=0$, $F(A) = F(0,400) = 280$.

ბ) *OC* საზღვრის განტოლებაა x_2 =0, მაშინ $F = 0,8x_1;\ \frac{\partial F}{\partial x_1} = 0,8 \neq 0$, კრიტიკული წერტილები *OC* მონაკვეთის შიგნით არ გვაქვს, მაშინ მონაკვეთის ბოლოებში

$F(C) = F(450,0) = 360$.

გ) *CB* მონაკვეთის განტოლებაა

$6x_1 + 3x_2 = 2700$, აქედან

$$x_2 = \frac{2700 - 6x_1}{6} = 450 - x_1,$$

$$F(x_1, x_2) = 0{,}8x_1 + 0{,}7(450 - x_1) = 315 - x_1,$$

$$\frac{\partial F}{\partial x_1} = -1 \neq 0,$$

ე.ი. კრიტიკული წერტილები *AB* მონაკვეთის შიგნით არ გვაქვს, მაშინ *F*-ის მნიშვნელობები საზღვრებში იქნება

$$F(C) = 0{,}8 \cdot 450 - 0{,}7 \cdot 0 = 360.$$

B წერტილის კოორდინატებია (375, 150), ამიტომ

$F(B) = F(375; 150) = 0{,}8 \cdot 375 + 0{,}7 \cdot 150 = 405$

დ) *AB* მონაკვეთის განტოლებაა

$0{,}2x_1 + 0{,}3x_2 = 120$, საიდანაც $x_2 = 400 - 600x_1$

$$F(x_1, x_2) = 0{,}8x_1 + 0{,}7(400 - 600x_1) = 280 - 420x_1.$$

$$\frac{\partial F}{\partial x} = -420 \neq 0,$$

ე.ი. *AB* მონაკვეთის შიგნით კრიტიკული წერტილი არ გვაქვს, მაშინ *F*-ის მნიშვნელობები მონაკვეთის ბოლო წერტილებში

$F(A) = F(0{,}400) = 280$

$F(B) = F(375, 150) = 405.$

როგორც ვხედავთ $F_{\max}(B) = F(375{,}150) = 405$ და იგი მიიღწევა მხოლოდ ერთ წვეროზე, კერძოდ *B* წვეროზე.

ამოცანა 4. ვიპოვოთ

$$F = -24x_1 - x_2 - 5x_3 + 3x_4 + 6x_5$$

ფუნქციის უმცირესი მნიშვნელობა, როცა

$$\begin{cases} 2x_1 + x_2 + x_3 = 6 \\ 2x_1 + 3x_2 + x_4 = 12 \\ 2x_1 + 4x_2 - x_5 = 8. \\ x_1, x_2, x_3, x_4, x_5 \geq 0. \end{cases}$$

გადავწეროთ ამოცანა ძირითადი ამოცანის სახით. როგორც ვხედავთ, *F* და შეზღუდვები შეიცავენ ორზე მეტ უცნობს. გეომეტრიული ხერხის გამოყენებისათვის საჭიროა დავიყვანოთ ორ უცნობზე, ამიტომ

I განტოლებიდან $x_3 = 6 - 2x_1 - x_2$

II განტოლებიდან $x_4 = 12 - 2x_1 - 3x_2$

III განტოლებიდან $x_5 = 2x_1 + 4x_2 - 8$

ჩავსვათ მიზნის ფუნქციაში:

$$F(x_1, x_2) = -24x_1 - 2x_2 + 5(6 - 2x_1 - x_2) +$$
$$+ 3(12 + 2x_1 - 3x_2) +$$
$$+6(2x_1 + 4x_2 - 8) = -16x_1 + 8x_2 + 28.$$

შეზღუდვები კი მიიღებს სახეს.

$$\begin{cases} 2x_1 + x_2 \leq 6 \\ -2x_1 + 3x_2 \leq 12 \\ 2x_1 + 4x_2 \geq 8 \\ x_1 \geq 0, \quad x_2 \geq 0. \end{cases}$$

ავაგოთ დასაშვები მნიშვნელობების არის საზღვრის წრფეები.



ნახაზი 4. $\left(x = x_1; \quad y = x_2\right)$

ვხედავთ, რომ A და B წერტილების კოორდინატებია შესაბამისად $A(0,2)$; $B(0,4)$. C წერტილი წარმოადგენს I და II წრფის გადაკვეთის წერტილს:

$$C\begin{cases}2x_1+x_2=6\\-2x_1+3x_2=12\end{cases}\Rightarrow \begin{matrix}x_2=4,5=\dfrac{9}{2}\\ x_1=0,75=\dfrac{3}{4}\end{matrix}$$ ე.ი.

$$C\left(\frac{3}{4},\frac{9}{2}\right).$$

D წერტილი კი არის I და III წრფეების გადაკვეთის წერტილი

$$D\begin{cases}2x_1+x_2=6\\2x_1+4x_2=8\end{cases}\Rightarrow \begin{matrix}1=\dfrac{8}{3}\\ 2=\dfrac{3}{4}\end{matrix}\quad D\left(\frac{8}{3},\frac{2}{3}\right).$$

ვიპოვოთ მიზნის ფუნქცია A, B, C, D წერტილებში

$F(A) = F(0,2) = -16 \cdot 0 + 8.2 + 18 = 34$

$F(B) = F(0,4) = -16 \cdot 0 + 8 \cdot 4 + 18 = 50$

$$F(C) = F\left(\frac{3}{4};\frac{9}{2}\right) = -16\cdot\frac{3}{4}+8\cdot\frac{9}{2}+18=42$$

$$F(D) = F\left(\frac{8}{3};\frac{2}{3}\right)=-16\frac{-128+16+54}{3}=\frac{-58}{3}$$

$$\frac{-128+16+54}{3}=\frac{-58}{3}.$$

მიზნის ფუნქციის უმცირესი მნიშვნელობაა $F_{\min}(D)=-\dfrac{58}{3}$. ვიპოვოთ ახლა ოპტიმალური გეგმა.

$$x_3=6-2\cdot\frac{8}{3}-\frac{2}{3}=0;$$

$$x_4=12+2\cdot\frac{8}{3}-3\cdot\frac{2}{3}=\frac{46}{3};$$

$$x_5=2\cdot\frac{8}{3}+4\cdot\frac{2}{3}-8=0$$

$$X=(x_1,x_2,x_3,x_4,x_5)=\left(\frac{8}{3},\ \frac{2}{3},\ 0,\ \frac{46}{3},\ 0\right)$$

მაშინ მიზნის ფუნქცია იქნება:

$$F(x)=-24x_1-2x_2+5x_3+3x_4+6x_4=$$

$$-24\cdot\frac{8}{3}-3\cdot\frac{2}{3}+5\cdot 0+\ 3\cdot\frac{46}{3}+6\cdot 0=\frac{-192-4+138}{3}=-\frac{58}{3},$$

მივიღეთ იგივე შედეგი.

მაგალითი5. ვიპოვოთ $F=-x_1+4x_2+2x_4-x_5$ ფუნქციის მაქსიმუმი შემდეგი შეზღუდვებით:

$$\begin{cases}x_1-5x_2+x_3=5\\-x_1+x_2+x_4=4\\x_1+x_2+x_5=8.\\x_1\ge 0,\quad x_2\ge 0.\end{cases}$$

I-დან $x_3=5-x_1+5x_2$

II-დან $x_4=4+x_1-x_2$

III-დან $x_5=8-x_1-x_2$,

მაშინ მიზნის ფუნქცია x_1 და x_2 ცვლადებით გამოისახება ასე:

$$F(x_1,x_2)=-x_1+4x_2+2(4+x_1-x_2)-(8-x_1-x_2)=$$

$$=2x_1+3x_2$$

შეზღუდვები კი x_1 და x_2-სათვის მიიღებს სახეს

$$\begin{cases}x_1-5x_2\le 5\\-x_1+x_2\le 4\\x_1+x_2\le 8.\end{cases}$$

ავაგოთ საჭირო წრფეები:



ნახაზი 5 $\left(x = x_1; \quad y = x_2\right)$

A წერტილი წარმოადგენს I და III წრფეების გადაკვეთის წერტილს:

$$A\begin{cases} -x_1 + x_2 = 4 \\ x_1 + x_2 = 8 \end{cases} \Rightarrow \begin{matrix} x_1 = 2 \\ x_2 = 6 \end{matrix} \quad A(2,6)\,.$$

D წერტილისათვის

$$D\begin{cases} x_1 + 5x_2 = 5 \\ x_1 + x_2 = 8 \end{cases} \Rightarrow \begin{matrix} x_1 = \dfrac{15}{2} \\ x_2 = \dfrac{1}{2} \end{matrix} \quad D\left(\frac{15}{2}, \frac{1}{2}\right)$$

B(0,4); *K*(5,0).

მიზნის ფუნქცია იქნება:

$F(A) = F(2, 6) = 2 \cdot 2 + 3\ 6 = 22$

$F(O) = F(0, 0) = 0$

$F(B) = F(0,4) = 2 \cdot 0 + 4 \cdot 4 = 12$

$$2 \cdot \frac{15}{2} + 3 \cdot \frac{1}{2} = \frac{33}{2} = 16{,}5 \quad 2 \cdot \frac{15}{2} + 3 \cdot \frac{1}{2} = \frac{33}{2} = 16{,}5$$

$F(c) = F(5,0) = 2 \cdot 5 + 3 \cdot 0 = 10.$

როგორც ვხედავთ, მიზნის ფუნქციის მაქსიმუმია $F(A) = 22$.

ახლა ვიპოვოთ ოპტიმალური გეგმა:

$$x_1^* = 2$$

$$x_2^* = 6$$

$$x_3^* = 5 - x_1 + 5 = 5 - 2 + 30 = 33$$

$$x_4^* = 4 + x_1 - x_2 = 4 + 2 - 6 = 0$$

$$x_5^* = 8 - x_1 - x_2 = 8 - 2 - 6 = 0$$

$$x^* = (2,\ 6,\ 33,\ 0,\ 0)$$

მაშინ

$$F(x^*) = -x_1 + 4x_2 + 2x_4 - x_5 =$$
$$-2 + 4 \cdot 6 + 2 \cdot 0 - 0 = 22$$

რომელიც დაემთხვა წინათ მიღებულ შედეგს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Акулич И.Л. Математическое программирование в примерах и задачах. «Высшая школа», Москва, 1986, 317 стр.
2. დ. ნატროშვილი, ლ. გიორგაშვილი, მ. უსანეთაშვილი, გ. ჯაშიაშვილი. მათემატიკა ეკონომისტებისათვის. სტუ, თბილისი, 1993. 564 გვ.
3. ჯავახიშვილი გ. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება და მისი ამოხსნის მეთოდები. სტუ, 1998. 76 გვ.
4. ნაცვლიშვილი ზ., ტაბიძე გ., დანელია რ., გიორგობიანი ჯ., კუბლაშვილი მ. - დისკრეტული მათემატიკის საფუძვლები. „განათლება“, თბილისი, 1990. 430 გვ.
5. მელაძე ჰ., სხირტლაძე ნ. გამოყენებითი მათემატიკის საწყისები, თსუ, თბილისი, 2000. 262 გვ.

Basic Linear Programming Problems

Rusudan Gogiberidze
University of Business and Technology

Summary

The paper discusses various methods of optimizing economic-mathematical modeling. It is necessary to determine the maximum (volume, quantity, profit of products) and the minimum (the optimal option for the distribution of products, in which the cost, time spent will be minimal) of the objective function to find certain limitations - conditions.

The problem is as follows: we need to find the maximum or minimum of many variables function (objective function) when the variables meet certain conditions (limitations). Limitations are given in the form of equations and inequalities (the permissible, approximate response area of the solutions), i.e. the following is given

$F(x) = F(x_1, x_2, \ldots, x_n)$,

Objective function with limitations:

$$f_i(x_1, x_2, \ldots, x_n) \le b_i \quad (i = \overline{1,k})$$

$$f_i(x_1, x_2, \ldots, x_n) = b_i \quad (i = \overline{1+1,m})$$

Where *F*, f_i n are known functions of the variable, b_i are known numbers, maximum or minimum of function F is searchable

Both the objective function and the limitations in this article are linear functions in the form of equations or inequalities:

$F(x) = c_1x_1 + c_2x_2 + \cdots + c_nx_n$ – objective function, are limitations:

$$\begin{cases} a_{i1}x_1 + a_{i2}x_2 + \cdots + a_{in}x_n \le b_i, & i = \overline{1,k} \\ a_{i1}x_1 + a_{i2}x_2 + \cdots + a_{in}x_n = b_i, & i = \overline{k+1,m} \end{cases}$$

Where a_{ij}, b_i, c_i are given constants.

Linear programming problems are encountered in economics (planning and management of economic facilities), equipment (selection of the best project or optimal design), military affairs (planning military operations, army management), agriculture and livestock management, and more. The use of linear programming is due to the fact that linear models quite accurately reflect and answer the problems posed in economics.

The article discusses the numerous problems to find the optimal option for making solutions in industrial economic problems (transport problem, where the products of any volume is to be distributed among consumers according to customer demand, the problem of diet, ie when choosing a daily ration, the cost should be minimal so that the required amount of vitamins is maintained).

The article explains the main problem, standard (symmetrical), basic (canonical) forms, gives examples of transition from one type to another, if necessary.

Graphic, analytical methods for solving economic-mathematical problems are discussed, comparisons of these methods are made and preference is given to one of these methods, a plan for geometric interpretation of a linear programming problem is given - the necessary steps for using this method. The paper provides the necessary tables and drawings, which makes the solution of the problem visible.

Key words: Objective function, limitations, basic linear programming problems, canonical form, permissible solutions, optimal solution.

ისტორიის მეცნიერებები

HISTORY SCIENCES

მეურნეობის ტრადიციული ფორმები პირიქითა ხევსურეთში

მზია წიკლაური, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

პირიქითა ხევსურეთში (არხოტის თემი და შატილ-მიღმახევი) მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. იქ ყველაზე მეტად სახნავ-სათესი მიწა ფასობდა. მიწის დამუშავება სახატო მამულის „ჯვარის ყანის“ მოხვნით იწყებოდა, სადაც სოფლის მოსახლეობა ერთად იღებდა მონაწილეობას და საქმე-საკეთებელიც გადანაწილებული ჰქონდათ. აქვე წყდებოდა საერთო ხვნა-თესვის სხვადასხვა საკითხი. შემდეგ ყველა ადგილობრივ მაცხოვრებელს უფლება ჰქონდა მიეტანა გუთანი თავის მამულში და შესდგომოდა ხვნას.

პირიქითა ხევსურეთი კლდოვანი და მთაგორიანია. არც მისი კლიმატური პირობები უწყობდა ხელს იქ მიწათმოქმედების განვითარებას. მიუხედავად ამისა, ამ მცირემოსავლიან ადგილებში მათ იმდენი მარცვლეული მოჰყავდათ, რომ ოჯახის გამოკვებასაც ახერხებდნენ ლუდ-არაყის მასალადაც რჩებოდათ. აქ გავრცელებული იყო: ქერი, ჭვავი, შვრია, იფქლი. იფქლი მთის ხორბლის ჯიშია და მცირემოსავლიან კულტურად ითვლება. მას ხევსურები წმიდასაც უწოდებენ. ზოგადად, ხევსურებში მიწის იჯარით გაცემის წესიც არსებობდა, რომლითაც ძირითადად ის ოჯახები სარგებლობდნენ, ვინც საცხოვრებლად ბარში იყო გადასული და მთაში მიწას ვეღარ ამუშავებდა.

მესაქონლეობა მიწათმოქმედებასა და მეცხვარეობასთან ერთად მეურნეობის ძირითადი დარგია მთაში. ზამთარში საქონლის ძირითად საკვებს – თივა, ჩალა, ბზე და ყარტი – წარმოადგენდა. ზოგადად, კარგად კვებავდნენ ხარებს, ცხენებს და ფურებს. ხარავანი მიჰყავდათ ტრადიციულად არსებულ საძოვრებზე – საირმე, საჩხატე, საბათაურო, ნეთხიჩო. ხარებით მიწას ამუშვებდნენ, გადაჰქონდათ თივა და ა. შ.

ხარის ტყავი გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის ფეხსაცმლის დასამზადებლად.

მსხვილფეხა საქონლის მოვლა მოშენების ძველი წესები ხევსურეთმა შედარებით სრულად შემოინახა. აღსანიშნავია ხევსურული ჯიშის ძროხა, რომელიც საუკეთესო ჯიშად არის მიჩნეული. ხევსურული ძროხა ტანით პატარაა, მაგრამ ადვილი მოსავლელია და საუკეთესო რძეს იძლევა.

როგორც უკვე აღინიშნა, ხევსურეთში ყველაზე გავრცელებული შინაური ცხოველი მსხვილფეხა საქონელი იყო, რომელიც თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა, თუმცა ეს ფაქტი სრულიადაც არ ამცირებს ამ კუთხეების შესაძლებლობაში ცხვრისა და მეცხვარეობის მნიშვნელობას. იქ მომთაბარე მეცხვარეობას არ მისდევდნენ. მთხრობელების გადმოცემით, ჯუთასა და არხოტში ცხვარი მეტი ჰყავდათ, რადგან კლდე-ღრეში ძროხა ძნელად სამწყემსოა. ცხვარი კი შედარებით ადვილად მოსავლელი. ზამთარში ქარი რომ დაუბერავდა წმენდდა თოვლიან კლდეებს და შეიძლება ცხვარის გაშვება საძოვარზე. იქ ბალახი ინახებოდა, ახალი ამოდიოდა ამიტომ ცხვრის ფარა ზამთარ-ზაფხულ ადგილზე იყო. ცხვრის მატყლისგან დაზგაზე (ყდა) ქსოვდნენ ხევსურულ უხეშ შალს, რომლისგანაც ტანსაცმელი იკერებოდა. განთქმული იყო სხვადასხვა სახის ხევსურული წინდები და

პაჭიჭები. სპეციალურ მოწყობილობაზე (ხიმური) ამუშავებდნენ ცხვრის ტყავებს და კერავდნენ ქურქებს, საბნებს (ტყაპუჭი, გუდანური).

საკვანძო სიტყვები. მეურნეობა, პირიქითა ხევსურეთი, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მოსახლეობა, მეცხვარეობა.

შესავალი

პირიქითა ხევსურეთი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიანეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. არხოტისა და შატილ-მიღმახევის თემებში მათი განსხვავებული მდებარეობის მიხედვით მეურნეობის განვითარებისათვის განსხვავებული პირობები იყო. აქ პირაქეთა (ბუდე ხევსურეთისაგან) განსხვავებით მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გარდა საშუალება ჰქონდათ მეცხვარეობასაც მიჰყოლოდნენ.

ხევსურეთის ეთნოგრაფიულ მასალებში მეურნეობის ტრადიციული ფორმები ცნობილი მეცნიერების მიერ არაერთგზის არის აღწერილი. წინამდებარე ნაშრომი სწორედ მათ კვლევებსა და ადგილობრივ უხუცესთა მონათხრობზეა აგებული.

ძირითადი ნაწილი

ხევსურები ძირითადად მიწათმოქმედი და მესაქონლე ხალხი იყო. აქ ყველაზე მეტად ფასობდა სახნავ-სათესი მიწა.

ხვნა იწყებოდა გაზაფხულზე, დაახლოებით აპრილის ნახევარში, სახატო მამულის- „ჯვარის ყანის“- მოხვნით. ხვნას შაბათ დღეს იწყებდნენ. პარასკევს ხევისბერი ავიდოდა მაღალ ბანზე, საიდანაც ყველას ესმოდა მისი ხმა. ხმამაღლა დაუძახებდა ხალხს: ”სოფლელებო, მაგდიოდასთ ყველას, ვისაც არ მაგდისთ, ერთმანეთს გააგებიეთ. ხვალ თავის საქმეზე არცად ვინ წახვიდათ, ჯვარის ყანა იხვნის. ყველამ დაამზადეთ ხარის იარაღი, ხვალ დილას ყველა გამეედით, ბერიდ ახალი, ზოგნ მამულშიით ქვას გადახყრიან, ზოგნ ხარებს დასწაფვენ, ზოგ კიდევ მახნავს.გაიგონეთ ჯვარის ყანისა და ჯვარის სადიდებლად, თქვენ სამწყალობლად“ (1.5.). ამის შემდეგ ყველა თავის საქმეს შეუდგებოდა, მათ შორის ჯვარის დასტურებიც. ისინი მოვალე იყვნენ ჯვარში მიეტანათ საჭირო მასალა გულიანი ქადების დასამზადებლად.

ქადებს ხუცესის დავალებით ამზადებდა დიასახლისი, რაც ხევსურეთში დაშვებულია. საერთოდ კი, ქალების დამოკიდებულება ჯვარის საქმეებისადმი ზოგადად შეზღუდულია.

გულიანი ქადების რაოდენობა განისაზღვრებოდა იმით, რომ ხუცესს უნდა სცოდნოდა ხევსურეთში რამდენი მთავარი სალოცავია და რამდენი უნდა ეხსენებინა, ქადები უნდა ყოფილიყო თითო დიდი და თითო პატარა. დიდს ერქვა სასანთლე, პატარას - საკვირაო(1.5.).

თითო სასანთლეს, ზედ თითო პატარა საკვირაოს დაადებდა, დასტურები სანთელს ჩაარჭობდნენ საკვირაოში და აანთებდნენ. ხუცესი მოჰყვებოდა და თითო ქადა-სანთელზე თითო ჯვარის სადიდებელს იტყოდა, იწყებდა არხოტის მთავარი სალოცავის, მიქაელ მთავარანგელოზის, სადიდებლით. ასე გრძელდებოდა მთელი ხევსურეთის სალოცავების ხსენება თითოეულ სასანთლეზე.ბოლოს ხუცესი იწყებდა ყველა ,,ხთისშვილთა“ საერთო მოხსენიებას, ხუცობას და კურთხევას. დაამთავრებდა ხუცესი, სამივეს ერთად მოიხსენიებდა და დასტურებთან ერთად დაამწყალობებდა საყმო-საგლეხოს. სოფლის მოსახლეობა, თავის მხრივ, ლოცვით პასუხობდა ხუცესს: ,,თქვენ იყვას მწყალობელი’’. ამრიგად სოფელი ხნავდა სახატო მამულს, ხუცესი თესავდა, დასტურები კი ფარცხს აუბამდნენ და შეუდგებოდნენ დაფარვას (1.12.).

აქვე წყდებოდა საერთო ხვნა-თესვის სხვადასხვა საკითხი, საღამომდე მიწა მოიხვნებოდა და დაიფარებოდა. ხუცესისგან ეძლეოდათ გაფრთხილება სოფლელებს ჭირნახულის დასაცავად.

ამის შემდეგ ყველა ადგილობრივ მაცხოვრებელს უფლება ჰქონდა მიეტანა გუთანი თავის მამულში და შესდგომოდა ხვნას. მხოლოდ დასტურებს ჰქონდათ საქმიანობის უფლება სახატო მამულებში, რომლებიც უნდა დაემუშავებინათ. მოსავლის ნახევარს ისინი არგუნებდნენ ხატს, ნახევარი კი თვითონ მიჰქონდათ.

ამ სახატო მამულებს საიფქლეები ერქვა. მისი ფქვილისაგან ცხვებოდა სახატო ქადები. საერთო ნახნავიდან კი მზადდებოდა ლუდი. დასტურები სამნი იყვნენ და ისინი საიფქლეებს ერთად ხნავდნენ. ჯვრის მამულს საიფქლე ერქვა, იმიტომ რომ წინათ აქ წმინდა პურს თესავდნენ.ეს იყო არჩეული საუკეთესო მამულები და მასში პურიც საუკეთესო მოდიოდა. საიფქლეების ხვნა-თესვის დაწყებისას დიასახლისი გამოაცხობდა ხავიწიან

ქადას, რომელსაც უღელზე გასაჭრელი ერქვა. მას მიიტანდნენ მამულში და როცა პირველად გუთანში ხარებს შეაბამდნენ, ერთ-ერთი დასტური ქადას დადებდა უღელზე, დანით გაჭრიდა ჯვარედინად და იწყებდა ჯვართდიდებას (1.12.).

პირიქითა ხევსურეთი ქვაღორღიანი და მთაგორიანი ადგილია და არც მისი კლიმატური პირობები უწყობდა ხელს იქ მიწათმოქმედების განვითარებას. მიუხედავად ამისა, ამ მცირემოსავლიან ადგილებში მათ იმდენი მარცვლეული მოჰყავდათ, რომ ოჯახის გამოკვებასაც ახერხებდნენ და ლუდარაყის მასალადაც რჩებოდათ.

ხევსურეთში ლუდი ტრადიციულ სასმელად ითვლება. ამის გამო ლუდის დაყენება ღვთისმსახურთა ხელშია გადასული,როგორც ხევსურების შეუბღალავი წმინდა კულტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი (2. გვ.56).რაც შეეხება არაყს,მისი დამზადება ხევსურეთის ჯვარ - სალოცავებში მხოლოდ არხოტში იცოდნენ (3. გვ.36).

არხოტში გავრცელებული იყო ქერი, ჭვავი, შვრია, იფქლი. იფქლი მთის ხორბლის ჯიშია და მცირემოსავლიან კულტურად ითვლება, ამიტომ მის მოყვანას მხოლოდ მდიდარი ოჯახები მისდევდნენ. იფქლი,რომელსაც ხევსურები წმიდასაც უწოდებენ, ითესებოდა შედარებით დაბლა მდებარე სოფლებში ან მას ბარის მამულებს ურჩევდნენ. ჭვავი(სვილი) თითქმის ყველა სოფელში ითესებოდა, როგორც საზაფხულოდ, ასევე საშემოდგომოდ.

მიწათმოქმედება არხოტში დიდად არ განსხვავდებოდა. აქ ჭიშქენს იშვიათად თესავდნენ, ყანად მოდიოდა, ჰგავდა შვრიას. მოხალავდნენ და გააკეთებდნენ „ხალს“, ძალიან გემრიელი საჭმელი იყოო,-აღნიშნავენ ადგილობრივი მცხოვრებლები. ჭიშქენი - ასე უწოდებენ შვრიას არხოტივნები. ხალი მოხალული ფქვილია, მეცხვარეები მას ხორცის ნახარშ წყალში, ცხიმიან წვენში, აზელდნენ და ისე ჭამდნენ. მეცხვარეებს ხან სამი თვის განმავლობაში არ ჰქონდათ საჭმელი, გუდაში ეყარათ ხალი, გადმოყრიდნენ ჯამში, დაასხამდნენ წყალს, აზელდნენ და ისე მიირთმევდნენ, ადვილად ანაყრებდა და შიმშილის გრძნობას უკარგავდა.

არხოტის, შატილ-არდოტისა და პირიქითა ხევსურეთის თემებში მათი განსხვავებული მდებარეობის მიხედვით მეურნეობის განვითარებისათვის განსხვავებული პირობები იყო. მაგ. ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, მემინდვრეობისა და მსხვილფეხა მესაქონლეობის გარდა, საშუალება ჰქონდათ მეცხვარეობასაც მიჰყოლოდნენ. პირაქეთა ხევსურებისათვის მეცხვარეობა გამორიცხული იყო და მათი მეურნეობის ძირითად დარგებს მემინდვრეობა და მსხვილფეხა მესაქონლეობა წარმოადგენდა (4. გვ.101).

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა რ. ხარაძის გამოკვლევა ,,ხევსურული ანდრეზი - ხალხური სამართლის წყარო“ ეს დასათაურება გამოკვლევისა უკლებლივ მომყავს იმიტომ, რომ მთელი ცხოვრების წესი და მეურნეობაც სრულად იცავს მამა-პაპეულ ადათს. მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. რაც შეეხება ხე-ვსურეთში მიწის ყიდვა-გაყიდვას, მისი ნორმები მკაცრად იყო რეგლამენტირებული და დაცული. სოფელში ერთი მამიშვილობის წარმომადგენელი სხვა მამიშვილობის წარმომადგენელს მიწის ყიდვას ვერ შესთავაზებდა, თუ თავის მამიშვილობიდან მას თანხმობა არ ექნებოდა. მამული მხოლოდ ალღუმის შიგნით უნდა გაყიდულიყო. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მდგომარეობა იყო ინგუშეთშიც. იქ საკარმიდამო მიწა კომლის მუდმივ სარგებლობაში იყო, მაგრამ მისი გასხვისების უფლების გარეშე. თუ მფლობელი მის გაყიდვას მოინდომებდა, თანამეთემეთათვის უნდა მიეყიდა. სოფლიდან აყრილის მიწა თემს რჩებოდა(5. გვ.48).

ინგუშეთის, საერთოდ ჩრდილოკავკასიის მთისა და საქართველოს მთის მოსახლეობის, სამეურნეო საქმიანობათა მსგავსება ხშირად საფუძველი ხდებოდა ხალხური ადათ-წესებისა და იურიდიული ნორმების მსგავსი ელემენტების გამომუშავებისა. ამიტომაც იყო, რომ ქართველ მთიელთა შორის სადავო საკითხების მოსაგვარებლად არც თუ იშვიათად იწვევდნენ ჩრდილოელ მეზობელ ტომთა უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლებს, ცნობილ ადათმცოდნეებს და, პირიქით, ბევრჯერ ჩრდილოელთა სადავო საქმეებში მიუწვევიათ ქართველი ხევისთავები თუ ხევისბერები(5.გვ.48).

ხევსურეთში არსებობდა აგრეთვე მიწის იჯარით გაცემის წესიც, რომელსაც ძირითადად ის ოჯახები მიმართავდნენ, რომლებიც საცხოვრებლად ბარში იყვნენ წასული და მთაში დარჩენილი მიწა არ ეთმობოდათ. იჯარის რაოდენობას იჯარადარი და მოიჯარადრე წყვეტდნენ. ამას ხევსურეთში მიწის დაწინდვასაც უწოდებდნენ. მიწის დაწინდვისას დამწინდველი საფასურს წინასწარ აძლევდა,

ვიდრე დათქმული დრო არ გავიდოდა, მიწის პატრონი დამქირავებელს ვერ შეედავებოდა. მიწას აძლევდნენ იმ პირობით, რომ მოსავლის გარკვეული ნაწილი მათთვის შეთანხმებისდა მიხედვით უნდა მიეცა მეიჯარადეს. მიწის პატრონი მიწის ღალაში მეღალისაგან მიწის ნახევარს ან მესამედს იღებდა. ყველაზე გავრცელებული ფორმა მიწის დაწინდვა იყო.

„ხევსურეთში სათემო მიწები ოდესღაც დანაწილებული ყოფილა ძველ მამებზე (მამიშვილობების სათავეში მდგომი წინაპარი, ვის სახელსაც შემდეგ მამიშვილობა ატარებდა). ძველ მამებზე სახნავ-სათესი, სათიბი და ტყეები გაუნაწილებიათ, საძოვრები კი სათემო მოხმარებაში დარჩენილა. ძველი მამის შვილებს თემისაგან მიღებული მიწის ნაკვეთი უნდა დაემუშავებინათ და მამიშვილობის გამრავლების შემთხვევაში მამეული სახნავი და ტყე თანაბრად ნაწილდებოდა "საძმოდ". როცა მამეული ოჯახი აქტიურად მრავლდებოდა, მაშინ მამულის რაოდენობა თანდათან კლებულობდა. მამულის გაფართოება თითოეულ ოჯახს მხოლოდ თავისივე ტყის ხარჯზე შეეძლო, ე.წ. "ახოს დანაყვის" გზით(4. გვ.47)ასევე თითოეული მამის (მამიშვილობის) შიგნით ტყე დანაწილებული იყო საძმოდ, ე.ი. მამიშვილობაზე განაწილება ტყისა და ოჯახის გაყრილობას მოსდევდა. განაწილებული ტყის ნაკვეთები ერთიმეორისაგან გამოყოფილი იყო. (მიჯნაზე შედარებით გამოსარჩევ ხეს შეარჩევდნენ და მასზე რაიმე არასტაბილურ, არადადგენილ პირობით ნიშანს ამოკვეთდნენ, მაგ. ხეს ქერქს ჩამოთლიდნენ ერთ ან ორ-სამ ადგილზე, შემდეგ ძირზე ქვებს მოუწყობდნენ ან ჩვეულებრივ ხეს, წიფელი იქნებოდა თუ არყი, წოწკს დაახვევდნენ და ის ხე, როცა მაღალი გაიზრდებოდა, ამის მიხედვით შემდეგში მიჯნების გარჩევას შორიდანაც შეძლებდნენ (4. გვ.49)

მიწის ფასს მისი ღირებულება განსაზღვრავდა, რომელიც რამდენიმე პირობით იფარგლებოდა, სახელდობრ, ძვირფასად ითვლებოდა „ კარის" ანუ „ბოსლის" და „ბარის" მიწები, იაფად-მთისა(4.გვ.57).

„მიწის ყიდვა - გაყიდვისა და მისი გაჩუქება - შეწირვის უფლება, ხევსურეთში შეუზღუდავად მოქმედებდა, სათესი მიწების მეტი რაოდენობის მფლობელი მაინც ჯვარი გამოდიოდა.(4. გვ. 53)

მესაქონლეობა

მსხვილფეხა საქონლის მოვლა-მოშენების ძველი წესები, ფშავსა და თუშეთთან შედარებით, ხევსურეთმა უფრო სრულად შემოგვინახა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მესაქონლეობა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი დარგია, ადვილად მისახვედრია, რომ მესაქონლეობის ეთნოგრაფიული აღწერა რამდენიმე კუთხის მაგალითზე გულისხმობს თავისებურებათა გამოვლენას ცალკეულ კუთხეთა მიხედვით და მათ შესწავლას საერთო ქართული ტრადიციების ფონზე.

ფშავ-ხევსურეთში მსხვილფეხა მესაქონლეობა, მიწათმოქმედებასა და მეცხვარეობასთან ერთად, მეურნეობის ძირითად და ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა, რომელსაც საქართველოს სამეურნეო ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

მესაქონლეობა არხოტის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი იყო, რადგან იგი აქ მომთაბარე ცხოვრებას არ საჭიროებდა. საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, არხოტელებს ცხვრის ფარის ან საქონლის გარეკვა საზამთრო ან საზაფხულო საძოვრებზე შორს არ უწევდათ. საქონელი(ცხვარ- ძროხა) სულ არხოტსა და მის შემოგარენში ტრიალებდა. არხოტში სახარავნეც იყო. ამ ხარებს მიწის დასამუშავებლად იყენებდნენ. ხარებით უნდა მიეტანათ სახლამდე მოსავალი, თივა. მათ საკალოედ იყენებდნენ საგულებელში.

ხარის ტყავი გამოიყენებოდა სახვადასხვა სახის მამაკაცის და ქალის ფეხსაცმლის დასამზადებლად. ზამთარში მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი ბაგურ კვებაზე იყო, რაც ბევრი თივის დამზადებას საჭიროებდა.

ხევსურეთში მესაქონლეობის განვითარებას ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ასე აგვიწერს ალ. ყამარაული: ,,ხევსურები უმეტეს წილად მესაქონლეობას მისდევდნენ, მათში გავრცელებულია ერთგვარი ჯიშის ძროხა, რომელსაც ხევსურული ეწოდება და საუკეთესო ჯიშად არის მიჩნეული. ხევსურული ძროხა ტანით პატარაა, მაგრამ იოლი მოსავლელია და, რაც მთავარია, საუკეთესო ხარისხის რძეს იძლევა.

ხევსურის სიმდიდრე და კეთილდღეობა იმით იზომება, თუ რამდენი სული ძროხა ჰყავს მას. ძროხა საჭიროების შემთხვევაში ფულის სანაცვლოდაც გამოიყენება, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები ძროხით ფასდება. ეს იქნება ფარდაგები, სპილენძისა და ვერცხლის ნაკეთობები თუ სხვა

საოჯახო ძვირადღირებული ნივთები“ (2.გვ.117).

ხევსურეთში მესაქონლეობის განვითარებას გ. თედორაძეც ეხება: ,,უმთავრესი სასიცოცხლო წყარო ხევსურებისა არის მესაქონლეობა, უმეტეს შემთხვევაში ისინი მსხვილფეხა საქონელს ამრავლებენ, მეცხვარეობას კი ხევსურეთში ნაკლებად ეწევიან“ (6. გვ45).

მსხვილფეხა მესაქონლეობა, მიწათმოქმედებასა და მეცხვარეობასთან ერთად, მეურნეობის ძირითადი დარგია მთაში. რადგან ხევსურეთში მომთაბარე ცხოვრებას არ საჭიროებდა.

მსხვილფეხა პირუტყვის მოვლა-მოშენების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა განხილულია მზია მაკალათიას ნაშრომში. მესაქონლეობასთან დაკავშირებული ძირითადი სამეურნეო წლიური ციკლის მიხედვით, რომელიც მისივე გადმოცემით, საერთოა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ზოლისთვის (ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი).

ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდა სამეურნეო ციკლის შემდეგი ეტაპების დადგენა. პირველადი ეტაპი იწყება სამეურნეო წლის დასაწყისიდან, ე. ი. გიორგობის თვეში, დღესასწაულ გიორგობით(10 ნოემბერი ძვ.სტილით) და მთავრდება გაზაფხულზე, ე.წ. ოცობით (ხევსურეთი, თუშეთი), ანუ სრულდება ხარებობით (თუშეთში 25 მარტი ძვ. სტილით).

მეორე ეტაპი იწყება ოცობით და მთავრდება დღესასწაულ ამაღლებისათვის. მესამე კი მოიცავს პერიოდს ამაღლებიდან გიორგობის ათამდე, ამ ეტაპზე ორი პერიოდი უნდა გამოიყოს: ამაღლებიდან ენკენის დღესასწაულამდე, როცა საქონელი ჩამოჰყავთ საზაფხულო საძოვრებიდან, და მეორე ათენგენიდან, როცა იწყება თიბა-მკა“ (7.გვ34).

კვირათა გამოთვლა, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის სამუშაო უნდა შესრულდეს, გიორგობის ათიდან იწყება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შედარებით სრული მასალა ხევსურეთმა შემოგვინახა. გიორგობის ათის ახალი სამეურნეო წლის დასაწყისად მიჩნევის საფუძველს შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა გვაძლევს: ამ თვეში აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზოლში პირუტყვი ყველგან ბაგურ კვებაზე გადაჰყავთ. გიორგობის თვეში განისაზღვრება, თუ რამდენი სულის გამოკვებას შეძლებს პატრონი და რამდენს გამოაკვებინებს სხვას (7. გვ.34).

სთვლის დღეობიდან (გიორგობა) მეექვსე კვირაში დგება ქრისტე(შობა), მეშვიდეში კი წელთშუის კვირაა, მერვე- წელწადი(ახალი წელი), მეათე კვირაში „ლამპარი“ მოდის, რითაც ზამთარი ნახევრდება, ამით ნახევრდება საქონლის ბაგური კვების პირველი ნახევარი.(ბაგური კვების ვადა ოცი კვირით განისაზღვრება). მსხვილფეხისაგან განსხვავებით, წვრილფეხს კიდევ 3-4 კვირა სჭირდება. გიორგობის ათიდან წაყვანილ ცხვარს ოცობისთვის აბრუნებენ. საზიარო ფურს გიორგობის ათიდან ლამპრობამდე ერთი მოზიარე კვებავს, ლამპრობიდან ოცობამდე-მეორე (7. გვ.50).

ოჯახს 14-15 სულიდან 22 სულამდე მსხვილფეხის გამოკვება შეუძლია. ასეთი მცირერიცხოვნობის მიუხედავად, საკვების სიმცირის გამო საქონელს მარტო სოფელში არ კვებავდნენ და საჭირო ხდებოდა შემოდგომასა და ზამთარში ადგილმონაცვლეობა სოფლიდან საბოსლოში და საბოსლოდან საბოსლოშიც კი. ბაგურ კვებაზე მყოფი ცხვარიც მსხილფეხებთან ერთად მოძრაობდა საზამთრო -საგაზაფხულო ბოსლებში(7. გვ.35).

საქონლის საზამთრო საბოსლოებში გადაყვანა ძირითადად გიორგობის 10-დან იცოდნენ, მაგრამ ზოგან საბოსლოში წასვლა ენკენის ან ახალი წლის შემდეგ ხდებოდა. საბოსლოდან სოფელში დაბრუნება იმის მიხედვით წარმოებდა, თუ ადგილზე ვის რა რაოდენობით ჰქონდა საქონლის საკვები დაგროვილი.(7.გვ.57).

ნაწილი ოჯახებისა გიორგობის 10-დან ამაღლებამდე ან ოცობამდე საბოსლოში რჩებოდა, ზოგი კი ახალი წლის შემდეგ სოფელში ბრუნდებოდა ან მეორე საბოსლოში ინაცვლებდა.(7. გვ.53).

სოფლებს, ახიელსა და ამღას, საერთო საბოსლო ჰქონდათ-ტანიე და ამჟორტე. ამჟორტეში არხოტის მოსახლეობას საზამთრო სახლები ჰქონდა, თივას იქ ამზადებდნენ, საქონელსაც იქ კვებავდნენ და ორი-სამი თვე რჩებოდნენ.“ ჩვენ ვცხოვრობდით იქ“,- ამბობს ბეწინა წიკლაური, სოფელ ამღიდან.

ამღივნები და ახიელელნი შემოდგომას ტანიეს ჩადიან, სადაც საზამთრო საბოსლოები აქვთ, მიერეკებიან ცხვარ-ძროხას, ცხენ-ჯორებს და იქ ზამთრობენ. ამღის საბოსლოები იყო აგრეთვე ღორღუ და შიტუ, უკანასკნელ ხანს კი ნასოფლარი კალოთანაც. ტანიე შედარებით გვიან დაკავებული ტერიტორიაა და დავა ქისტებსა და არხოტივნებს შორის არხოტიონთა სასარგებლოდ გადაწყდა.

ამჟორტეში გაზაფხულზე მიდიოდნენ. იქ ბალახი ადრე ამოდიოდა. ამავე დროს გაზაფხულზე ტანიეში წყალდიდობა იწყებოდა და გზებს კეტავდა. ვისაც ტანიეში საქონლის საკვები შემოაკლდებოდა, აპრილში ტერღაში მიდიოდა. ამრიგად, სოფელ ამღის საზამთრო საბოსლოები იყო შიტუ, ტანიე, ამჟორტე, ღორღუ, ტერღა. ამათგან შიტუ და ტერღა საზაფხულო საბოსლოდაც გამოიყენებოდა. შიტუში ზამთარს რამდენიმე კომლი ატარებდა, ზაფხულში კი მთელი სოფელი მიდიოდა.

აღნიშნულ კუთხეებში ზამთარში საქონლის ძირითად საკვებს თივა, ჩალა, ბზე და ყარტი წარმოადგენდა. ჩალა მიიღებოდა ქერის, პურისა და შვრიის გალეწვის შედეგად. ყარტი კი ჭვავის დაცულ ძნას ეწოდებოდა. თივას ინახავდნენ მაკე ძროხებისთვის, ხარებისთვის (ხვნის დროს) და ბაგურ კვებაზე მყოფი ცხვრისთვის. ცხვარი ჩალა-ბზეს არ ჭამდა, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როცა დიდი თოვლი მოდიოდა და თივაც არ ჰქონდათ საკმარისი, ცხვარს შვრიის ჩალას აჭმევდნენ (7. გვ.68).

ზამთრის პერიოდში (დახ. ექვსი თვე) სხვადასხვა საკვების მიცემის დრო ასე იყო განსაზღვრული: ბაგაზე ახლად დაბმული საქონელი მსუქანი იყო და ბევრი ჭამა არ სჭირდებოდა, ამიტომ მას აძლევდნენ ყარტს (უხეშ საკვებს), ჩალას, წვიმისაგან გაფუჭებულ თივას. ხალხური გამოცდილებით ცნობილია, რომ ,,ჩალა-ბზე ეეგრ საჭმელი ას, რო გაძღას, რგებით კი არას არგებს". გაზაფხულის ხანს საქონელი სუსტდება, ეჩვევა საჭმლის დაკლებას, მაგრამ ნაზი მჭამელი ხდება და უხეშ საკვებს აღარ ჭამს, ამიტომ ამ დროისათვის ინახავდნენ ნამგლით ნათიბ თივას.

საერთოდ კარგად კვებავდნენ ხარებს, ცხენებსა და ფურებს. ,,ჭოჭყ-მაჭყებს" არ ურჩევდნენ თივას, რადგან ამ პირუტყვის გასუქებას არ ცდილობდნენ, არ იყო აუცილებელი. გაზაფხულზე პირუტყვს აძლევდნენ ქერს. დოღის მონაწილე ხვად ცხენს ყოველდღიურად ქერს აჭმევდნენ და თივაზეც თავისუფლად ჰყავდათ მიშვებული. ჭაკს კი ხშირად ცხვრის ნაბაგარს (ნარჩენი თივა) აჭმევდნენ. წყალს შუადღისას ასმევდნენ. საერთოდ, ბაგაში მარილი მუდმივად ედო, თანაც რამდენიმე ადგილას (7. გვ.63).

ეთნოგრაფიული მასალისა დ ასპეციალური ლიტერატურის მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ კუთხეებში ათიდან ოც სულამდე (წვრილი და მსხვილი) პირუტყვს კვებავდნენ. მეწველი ფურების რაოდენობა საშუალოდ 4-დან 8-მდე აღწევდა, ორი ან სამი ხარი იყო (7. გვ.31).

ხევსურეთში მეხარავნედ მთიულები, გუდამაყრელები, მოხევეები და ფშავლები მიდიოდნენ, თუმცა შიშიანობის დროს (როცა მეზობელ ტომებთან ურთიერთობა გამწვავებული იყო) ხევსურეთში ერიდებოდნენ უცხო მწყემსის აყვანას, განსაკუთრებით ეს პირიქითა ხევსურეთზე (შატილისა და არხოტის თემზე)ითქმის, რომელიც სამტრო იყო და სხვას ვერ ანდობდნენ ხარების ჯოგს, თავდასხმა ხშირად ღლიღველთა მხრიდან იყო მოსალოდნელი.

გატაცებულ საქონელს ხშირად შუაკაცების მეშვეობით იბრუნებდნენ, დაბრუნებულ საქონელში სათვალავის შესავსებად ბებერ საქონელსაც ატანდნენ.

ს.ახიელას საზაფხულო საბოსლო იყო ცირცლოვანი. თუ ქალები მეწველს არ გარეკავდნენ, ხარავანი მაინც უნდა წაეყვანათ. მთაში გარეკილი ხარები „გაურყებულები" იყვნენ, უცხო ადამიანი ადვილად ვერ მიეკარებოდა. შეიძლებოდა თავს დასხმოდნენ და მოეკლათ. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც მეპატრონემ თავის ცხენებსა და ხარებს მარილი მიუტანა(როგორც წესი, თავისი ხარებისა და ცხენებისათვის მარილი უნდა მიეტანა პატრონს),ამბობენ, ერთ-ერთმა ცხენმა თავისი პატრონის მკვლელი ამოიცნოო.

ხარავანი მიჰყავდათ ტრადიციულად არსებულ საძოვრებზე: საირმე, საჩხატე, საბათაურო, ნეთხიჩო. აგრეთვე კვირიწმიდის თავზე მთა, ამ ხარებით მიწას ამუშავებდნენ. გადაჰქონდათ მოსავალი, თივა და სხვ. საჭიროების შემთხვევაში სწირავდნენ.

მეცხვარეობა

ხევსურეთში, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე გავრცელებული შინაური ცხოველი იყო მსხვილფეხა საქონელი, რომელიც თითქმის უკლებლივ ყველა ოჯახს ჰყავდა. ეს ფაქტი სრულადაც არ ამცირებს ამ კუთხეების შესაძლებლობაში ცხვრისა და მეცხვარეობის მნიშვნელობას. თუმცა ხევსურეთში მომთაბარე მეცხვარეობას არ მისდევდნენ.

მთხრობელების გადმოცემით, ჯუთასა და არხოტში ცხვარი მეტი ჰყავდათ, რადგან კლდეღრეში ძროხა ძნელად სამწყემსოა, ცხვარი კი

შედარებით ადვილად მოსავლელი. ზამთარში ქარი რომ დაუბერავდა, წმენდდა თოვლიან კლდეებს და შეიძლებოდა ცხვრის გაშვება საძოვარზე. იქ ბალახი ინახებოდა, ახალიც ამოდიოდა, ამიტომ ფარა ზამთარ-ზაფხულ ადგილზე იყო, ზოგადად, საშუალოდ ოჯახს ორასი-სამასი ცხვარი ჰყავდა, ასევე იყო შატილშიც.

როგორც აღვნიშნეთ, ბაგურ კვებაზე მყოფი ცხვარი მთელი ზამთრის განმავლობაში საძოვარზე გაჰყავდათ. ზოგჯერ ცუდი ამინდის შემდეგ არხოტში ცხვარს ზედიზედ ორ დღეს თუ გააჩერებდნენ სადგომში. ცხვრისთვის თოვლს ნიჩბებით გახვეტდნენ და ცხვარი თოვლში ბალახს ფეხითაც თხრიდა.

სოფელი ამღა შუამთის(ადგილის სახელი) საძოვრებს აქირავებდა და ქირად 30 ცხვარს იღებდა, რომელთაგანაც ნაწილი ხატში იკვლებოდა, დანარჩენს კი სოფელი ინაწილებდა.

სოფ.ამღასა და ახიელს ტანიეს საძოვრებიდან (ტერღა, თათხელის რუვი) 12 ცხვარი ეძლეოდა. სოფელი ახიელი ცირცლოვანის საძოვრებიდან 30 ცხვარს იღებდა. შემოსული ცხვრებიდან რამდენიმე საერთო სათემოდ იკვლებოდა, თიბვის დროს ტანიეში ჩასულ მეთემეთათვის. არხოტელები თიბავდნენ ხადუელთა წილ სათიბს(ხადუელთ ნამრგვალი, ხმელ ტბანი, ავშანიკე), რომელსაც ხადუელები ხატს, სანებას, სწირავდნენ და აძლევდნენ ორ ცხვარს. საბალახეში მიღებული ცხვრები გიორგობა დღეს სანეს ჯვარში იკვლებოდა.

ცხვარი ერთ-ერთი შესაწირია ხატში, ცხვარსაქონლის ხორცი ხევსურეთში აუცილებელი პროდუქტი იყო. ხშირი საკულტო რიტუალი განაპირობებდა მის არც თუ იშვიათ მოხმარებას. ზამთრისათვის ხორცს შემოდგომაზე ამზადებდნენ (ამმობდნენ, ე.ი. ამარილებდნენ), როცა პირუტყვი ყველაზე მსუქანი იყო.

ცხვარი არხოტში შედარებით ცოტა ჰყავდათ, რადგან მრავალრიცხოვანი ფარების გამოკვება მომთაბარეობის გარეშე შეუძლებელია. ,,ხევსურეთში, როცა საქონელს რაიმე დაავადება უჩნდებოდა, უცდიათ ცხვრის რძისგან კარაქის შედღვება, მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ცხვრის კარაქი დაბალი ხარისხისაა-მწვანე ფერი დაჰკრავს, ამასთანავე ცხვარი მხოლოდ ორვ თვეს იძლევა რძეს და პროდუქტიულობის თვალსაზრისით ბევრად ჩამორჩება ფურებს (7.გვ.74).

ცხვარი მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთაში, მისგან მიღებული მატყლისაგან დაზგაზე (ყდა) ქსოვდნენ ხევსურულ უხეშ შალს, რომლისგანაც შემდგომ ტანსაცმელი იკერებოდა. განთქმული იყო სხვადასხვა სახის ხევსურული წინდები და პაჭიჭები. სპეციალურ მოწყობილობაზე(ხიმური) ამუშავებდნენ(ფხეკდნენ შერჩენილი ცხიმის მოცილების მიზნით, არბილებდნენ, ზელდნენ) ცხვრის ტყავებს, რომელთაგანაც კერავდნენ ქურქებს, საბნებს(ტყაპუჭი, გუდანური).

XVI-XVIII სს-ის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თუშეთის გარდა, მომთაბარე მეცხვარეობა არცერთ კუთხეში არ იყო განვითარებული, ამიტომ ცხვარიც მსხვილფეხებთან ერთად მოძრაობდა საზაფხულო თუ საზამთრო საბოსლოებში. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მთიანეთში ადგილზე შეეძლოთ გარკვეული რაოდენობის ცხვრის გამოკვება(10-დან 40-მდე). ,,წინათ ზოგიერთ ხეობაში ,,ბაგურ კვებაზე“ მყოფი ცხვრის რაოდენობა 60-დან 140-მდე აღწევდა, მაგ. არხოტისა და შატილის თემებში(7.გვ.10).

არხოტის სოფლებს, ახიელსა და ამღას, საერთო საბოსლოები ჰქონდათ-ტანიე და ამჟორტე. ამღის საბოსლოები იყო ღორღუ და შიტუ. გიორგობის 10-მდე ერთი-ორი კვირით ადრე თუ ,,სთველთმხმელობა“ იქნებოდა, ცხვარსა და საქონელს ტანიეში გარეკავდნენ. სოფელი ამღა ვიწროდ დასახლებული იყო და საბოსლოში მთელი სოფელი მიდიოდა, ახიელიდან კი ცხვარი, ცხენები და ,,ჭოჭყმაჭყი“(ხბოები, ბატკნები) მიჰყავდათ. გზას ნიჩბით გახვეტდნენ, ფერდობზე თოვლს დააქანებდნენ, ფხა-გორებზე ქარი ისედაც გადახვეტდა თოვლს და ბალახი გამოჩნდებოდა. ცხვრის რაოდენობა 60-დან 150-მდე აღწევდა, ამისთვის მწყემსს იყვანდნენ.

ცხვრის დვალობა (დოლი) ტანიეში არ შეიძლებოდა, რადგან სოფელში წამოყვანილი ბატკნები გზაზე დაცვივდებოდნენ, ამიტომ მარტში ცხვარს სოფელში მიერეკებოდნენ. მას, ვინც ახალ წლამდე რჩებოდა, იანვარში უნდა გამოესწრო, რადგან თებერვალში ,,თოვლმძიმია“(დიდი თოვლია) და მარტამდე ვეღარ გადმოვიდოდნენ. გაზაფხულზე ტანიედან მომავალთ გზაში ზვავიც ეცემოდათ, ზოგიერთს ცხვარი ტანიედან ,,იფთვაკეში“ (ადგილის სახელი) მიჰყავდა, სადაც ფარეხებს აგებდნენ. ახიელელებს ფარეხები ამჟორტეშიც ჰქონდათ.

გაზაფხულზე წყალდიდობა იწყებოდა და

გზებს კეტავდა. ვისაც ტანიეში საქონლის საკვები სემოაკლდებოდა, აპრილში ტერღაში მიდიოდა, ამრიგად, სოფელ ამღის საბოსლოები იყო შიტუ, ტანიე, ამჟორტე, ღორღუ, ტერღა. ამასთან შიტუ და ტერღა საზაფხულო საბოსლოდაც გამოიყენებოდა. შიტუში ზამთარს რამდენიმე კომლი ატარებდა, ზაფხულში კი მთელი სოფელი მიდიოდა, ძირითადად საბოსლოებში ჰქონდათ სასოფლო თემის სახნავები და სათიბები, რომლებიც მამა-პაპით ეჭირათ(7.გვ.54).

ერთ-ერთი თქმულების თანახმად, ტერღას ცხვრის ფარას მწყემსავდა ახალგაზრდა დაქირავებული მწყემსი. უცებ კლდე ჩამოიშალა და ცხვარიც და მეცხვარეც ქვეშ მოიყოლა. გამოსულა მთელი თემის მოსახლეობა, მაგრამ ვერაფერი უშველეს. იმის შიშით, რომ კლდის ჩამოშლა კიდევ არ გაგრძელებულიყო, ახლოს ვერავინ ბედავდა მისვლას. ამბობდნენ, იმ კლდიდან სალამურის ხმა ორი კვირის განმავლობაში ისმოდა, მერე კი მიჩუმდაო. ალბათ, სალამურით ატყობინებდა ახალგაზრდა მწყემსი, თუ სად იმყოფებოდნენ, გადარჩენის იმედით, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ ადგილს, ტერღას, ახლაც ,,ცხვარდანალევი“ ჰქვია.

ვინ იცის, რამდენ საიდუმლოებას ინახავს ეს მიწა-წყალი, ჯერ კიდევ ფარდაუხდელს.

დასკვნა

ამრიგად, ნაშრომში წარმოდგენილია სამეურნეო საქმიანობის თავისებურებები პირიქითა ხევსურეთში და ხევსურის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყოფა. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა მთის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი საარსებო საშუალება იყო. რთული გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც ახერხებდა საზაფხულო თუ საზამთრო ადგილმონაცვლეობით საჭირო რაოდენობის პირუტყვის გამოკვებას. ამასთანავე, ხორბლეული კულტურებისა თუ ბოსტნეულის მოსაყვანად განკუთვნილი მცირე მიწისა და ნაკვეთების დამუშავებას, რადგან ფართო მასშტაბის მიწათმოქმედებისათვის არახელსაყრელი პირობები იყო. მეურნეობის ძირითად წამყვან დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალ.ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი(არხოტის თემი) თბ.1988წ.
2. ალ.ყამარაული. ხევსურეთი. თბ.1932წ.
3. ქართული ჩვეულებითი სამართალი 2 თ.1990წ.
4. გ.ჯალაბაძე. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში(ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა) თბ. 1986წ.
5. რ. ხარაძე. ხევსურული ანდრეზი ხალხური სამართლის წყარო. მიმომხილველი ტ.II 1957წ.
6. გ.თევდორაძე. ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. თბ.1939წ.
7. მ.მაკალათია. მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში(თუშ-ფშავ-ხევსურეთი). თბ.1985წ.

მთხრობელები:

8. ჩალხა ბერდიხას ძე წიკლაური. დაბ. ს. როშკაში(ბუდე ხევსურეთი). მასალა ჩაწერილია 2003 წელს არხილოსკალოში(დედოფლისწყარო).
9. ბეწინა მიხეილის ძე წიკლაური. დაბ.1927 წელს სოფ. ამღაში(არხოტის თემი). მასალა ჩაწერილია 1999წელს დედოფლისწყაროში.
10. ქეთო ნაროზაული. დაბ. 1931 წელს სოფ.ბაკანაში(ახმეტის რაიონი). მასალა ჩაწერილია 1999 წელს დედოფლისწყაროში.

Traditional forms of farming in Pirikita(Northern) Khevsureti

Mzia Tsiklauri, Assistant Professor
Georgian Technical University

In northern Khevsureti (Arkhoti community and Shatil-Mighmakhevi) the main activities of the population were farming and cattle breeding. Most of the arable land there was valued. The cultivation of the land began with the cultivation of the "cross field" of the lands, where the villagers participated together and the work was redistributed. Various issues of general plowing and sowing were resolved here. Then all the locals had the right to feed the plow on their land and start plowing.

North (Pirikita) Khevsureti is rocky and mountainous. Nor did its climatic conditions favor the development of agriculture there. Nevertheless, in these low-income areas, they brought in so much grain that they were able to feed their families and even brew beer. Common here were: barley, rye, oats, rye. Ifkli (Autumn sown wheat) is a mountain wheat variety and is considered a low-yielding crop. The Khevsurians also call it a saint. In general, there was a rule of leasing land in Khevsureti, which was mainly used by those families who had moved to the valley and could no longer cultivate the land in the mountains.

Livestock is the main field of agriculture in the mountains along with farming and sheep breeding. In winter, the main food of the cattle was - hay, straw, mulberry and cardamom. In general, bulls, horses, and oxen were well fed. Kharavani(herd of oxen) was taken to the traditionally existing pastures - Sairme, Sachkhate, Sabatauro, Netkhicho. They used to cultivate the land with oxen, transport hay, etc.

Bull skin was used to make a variety of shoes.

Khevsureti has kept the old rules of breeding cattle relatively fully. The Khevsurian breed of cow is noteworthy, which is considered to be the best breed. Khevsur cow is small in body, but easy to harvest and gives the best milk.

As already mentioned, the most common domestic animal in Khevsureti was cattle, which was owned by almost every family, although this fact does not completely diminish the importance of sheep and sheep-farming in these areas. Nomadic herding was not pursued there. According to the narrators, Juta and Arkhot had more sheep because the cows in the rock-hollow are hardly herdable. Sheep are relatively easy to care for. In winter, when the wind blows, it clears the snowy cliffs and can let the sheep run to pasture. The grass was stored there, new ones were coming so the flock of sheep was on the ground in winter and summer. Khevsurian coarse shawl was woven from sheep wool on a weaving loom(Dazga), from which clothes were sewn. Various types of Khevsurian socks and pants were famous. Sheep skins were processed on a special device (Khimuri) and coats and blankets (Tkapuchi, Gudanuri) were sewn.

keywords. Agriculture, North Khevsureti, farming, cattle breeding, population, sheep breeding.

ქართული აბჯრის განვითარების ისტორია

ლევან ოსიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საბრძოლო იარაღი განვითარების დონე უძველესი დროიდან პირდაპირ განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკურ და კულტურულ განვითარების დონეს, რამეთუ ქვეყნის ფიზიკური გადარჩენა პირდაპირ უკავშირდება არმიას და მის აღჭურვას საბრძოლო საჭურველზე. ქვეყნის ფიზიკური გადარჩენა და უსაფრთხება დიდად არის დამოკიდებული სრულყოფილ თავდაცვის საშუალებებსა და სამხედრო შეიარაღებაზე. საქართველო მუდმივად იყო ურდოელთა შემოსევების ასპარეზი და შესაბამისად ოდითგანვე აქ მოწინავე იყო როგორც ჯავშანტექნიკა, ასევე საბრძოლო სტრატეგია და ტაქტიკა. ამ სფეროში ჩამორჩენას არასახარბიელო შედეგები მოაქვს ნებისმიერი ქვეყნისთვის.

რომის იმპერიის დაცემა ევროპული ჯავშნის ევოლუციის საწყისი წერტილი. ამ დროს პოპულარობას იძენს მსუბუქი ჯავშანი. კერძოდ, ქვილთოვანი [ქსოვილის] ჯავშანი, რომლის წარმოება ადვილი და მარტივია გამოსაყენებლად. მისი წონა იყო 2-დან 8 კგ-მდე, ყველაზე მძიმე იყო რუსული კანაფის ჯავშანი. იგი მთლიანად მოიცავდა მთელ სხეულის ფეხების ჩათვლით. კარგი დაცვა მიიღწეოდა ქსოვილის ოცდაათ ფენამდე შეკერვით. ასეთ ჯავშანს კარგად იცავდა მეომარს ისრებისგან და მჭრელი იარაღისგან. ჯავშანის ეს სახეობა გამოიყენებოდა ევროპაში დაახლოებით ათას წელზე მეტი ხნის მანძილზე. ქსოვილისგან დამზადებული შესანიშნავი ჯავშანი ჯაჭვის ჯავშანს შეიძლება შევადაროთ. ამ პერიოდში ასევე პოპულარული იყო რომაული ეპოქის ჯავშანი, რომელსაც ლამელარული ჯავშანი ეწოდებოდა. ქსოვილისგან დამზადებული ჯავშნის უფრო მოწინავე ვერსია იყო სხვადასხვა ზომის ლითონის ფირფიტებიგან შეკერილი ჯავშანში. ასეთი ჯავშანი ძირითადად უფრო შემდგარ ჯარისკაცებს ეცვათ.

საქართველოში უძველესი დროიდან ხდებოდა ჯავშანის წარმოება და გამოყენება. საქართველო მუდმივად იყო მტრების შემოსევის საფრთხის ქვეშ და ომები, რომელსაც ის აწარმოებდა დამპყრობლების წინააღმდეგ, მოითხოვდა დაცვის საშუალებებით ჯარის აღჭურვას საქართველოში აბჯარი მოიცავდა ჯაჭვის პერანგს, მუზარადს-ანუ ჩაჩქანს და ფარს

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ ქართული აბჯარის სახეს - ბეგთარს ანუ ჯაჭვის პერანგი და ქართულ ჩაჩქანს. საბა ორბელიანის განმარტებით ჯავშანი არის რკინის აბჯარი, რომელიც მოქსოვილია რკინის ჯაჭვისგან. ჩაჩქანი არის საბრძოლო თავსაბურავი და წააგავს ჩაბალახს. ის გამოირჩევა მტკიცე მასალით. ჩაჩქანი ველაზე მეტად გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთებში.

საკვანძო სიტყვები: ჯავშანი, ჯავშანჟილეტი, ქართული ჩაჩქანი, კუირასი, რიკოშეტი, ბეგთარი.

შესავალი

პოსტრომაულ ეპოქაში იწყება საკმაოდ სწრაფი გადასვლა ჯაჭვურ პერანგზე. გერმანული და სლავური ტომები იწყებენ ჯაჭვის პერანგის ტარებას. იმ ეპოქაში იარაღი და სამხედრო სტრატეგია იშვიათად მოიცავდა ორგანიზებულ ფორმებს, ამიტომ ასეთი დაცვა უკიდურესად საიმედო იყო. მებრძოლები ნელნელა იწყებენ თავზე ჯაჭვის ტარებას. სხეულზე ჯაჭვის პერანგის სიგრძეც იზრდება. საბრძოლო ჯავშანი თანდათან ჯაჭვის ქურთუკს დაემსგავსა. მხედრის ჯავშანი ხშირად ფარავდა მებრძოლის მთელს სხეულს ფეხების ჩათვლით.

შუა საუკუნეების რაინდების დამცავი კონსტრუქციები მოიცავდა მეომრის მთელი სხეულის ყველა (თავიდან ფეხებამდე) ნაწილის საიმედო ჯავშანდაცვას, რაც მის უსაფრთხოებასა და ბრძოლის უნარიანობას მნიშვნელოვნად ზრდიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხენის დაჭრისა და მებრძოლის მიწაზე გადმოვარდნისას, აღჭურვილობის კონსტრუქციის მოუქნელობისა და სიმძიმის გამო, რაინდის ფეხზე დადგომა სხვის დაუხმარებლად შეუძლებელი ხდებოდა.

ინტერესს მოკლებული არა არის აზიელ

მეომართა ჯავშანაღჭურვილობა, რომელთა კონსტრუქციების შექმნაში ერთიანდებოდა ჩინელი, იაპონელინ და მონღოლი ხალხების საომარი სტრატეგიისა და სამხედრო ფილოსოფიის თავისებურებანი.

ძირითადი ნაწილი

ისტორიაში მე-14 საუკუნიდან ფართოდ დაინერგა ცეცხლსასროლი იარაღისა და არტილერიის პირველი ნიმუშები, რომლის შედეგად შუა საუკუნეების მძიმე ევროპული ჯავშანი იქცა ისტორიის რელიქვიად, რადგან ის უკიდურესად არასანდო და არაეფექტური იყო. მძიმე ჯავშანტექნიკა კი ნელნელა ტოვებდა ომის სცენას. უკვე რეფერანსის ეპოქაში, თეფშის ჯავშანი მხოლოდ მხოლოდ ცერემონიასა და კორონაციაზე იყო შესაძლებელი.

შემდგომ ეტაპზე კუირასი ცვლის ფირფიტის ჯავშანს, კუირასი ისეთი ტიპის ჯავშანია, რომელიც იქმნება ერთი ან რამდენიმე ცალი. ამავდროულად შეიქმნა ახალი დიზაინის გულმკერდის ჯავშანი ე. წ. რიკოშეტი, რომელზედაც წინაღობაზე მოხვედ-რის შემდეგ ხდებოდა ტყვიის ასხლეტვა. მე-17 საუკუნის ბოლოს უკვე თანამედროვე ტიპის თოფების გამოჩენასთან ერთად, კუირასმა მთლიანად დაკარგა მნიშვნელობა.

მე-18 საუკუნე ეს არის პერიოდი, როდესაც აღინიშნება რეგულარულ არმიებზე დასვლა, რომლებსაც სახელმწიფოები განსაზღვრავენ და ინარჩუნებდნენ. ვინაიდან გონივრულ ფასად ჯავშანი არ იყო ადეკვატური, ისინი საერთოდ მიატოვეს. თუმცა, მძიმე კავალერიის საჭიროება არსად წასულა და კარგი ხარისხის კუირასები მაინც უზრუნველყოფდნენ მისაღებ დაცვას.

საქართველოში უძველესი დროიდან ხდებოდა ჯავშანის წარმოება და გამოყენება. საქართველო მუდმივად იყო მტრების შემოსევის საფრთხის ქვეშ და ომები, რომელსაც ის აწარმოებდა დამპყრობლების წინააღმდეგ, მოითხოვდა დაცვის საშუალებებით ჯარის აღჭურვას

საბა ორბელიანის განმარტებით ჯავშანი არის რკინის აბჯარი, რომელიც მოქსოვილია რკინის ჯაჭვისგან. სქართველოში ნაქსოვი ესკიზის მიხედვით ჯავშანი არის 5 სახეობის. აბჯარში შედიოდა მუზარადი, ფარი და ჯავშანი

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების საჭურვილის დაცულია ჯაჭვების კოლექციას, რომლის ყველაზე ადრეული ნიმუში არის ხევსურულ კოსტიუმი. კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების წევრს ლევან ჩოლოყაშვილს 1854 წლის ერწოში შეუგროვებია აღნიშნული საჭურველი და მუზეუმისათვის გადმოუცია.

მუზეუმის ფონდში XIX საუკუნეზე ადრინდელი საჭურველი დაცული არ არის. ამაზე აკად. ივ. ჯავახიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა და მიუთითებს, რომ სამწუხაროდ, არც საქართველოს მუზეუმის კოლექციებში და არც სხვაგან სადმე საქართველოში ამჟამად რაინდისა და ცხენის მთლიანი იმდროინდელი ჯავშანი და თორი უკვე აღარ მოიპოვება. მხოლოდ ბერლინში ცოიგჰაუზში, იარაღის მუზეუმში შესაძლებელია ნახოს ადამიანმა მანიკენზე ჩამოცმულს XIII ს. რაინდისა და ცხენის ორს მთლიანს საუცხოო ანაკრებს რომელიც ხევსურეთიდან გატანილია XIX ს-ში აღსანიშნავია, რომ XIX ს.

თუმცა ქართულ საჭურველზე, კერძოდ, ტანის დასაცავის შესახებ მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ბერძნული წყაროები. სენოფონტეს ცნობით: "ყველა იმ ხალხთა შორის, რომელთა მიწა-წყალის გადალახვა მოუხდათ ელინებს ხალიბები ყველაზე ვაჟკაცური იყვნენ, ისინი ელინებთან ხელჩართულ ბრძოლაში გაბედულად ებმებოდნენ. ხალიბები - აღნიშნავს ქსენოფონტე - ატარებდნენ სელის კვართებს, რომლებიც მუცლამდის (მუცლის ქვედა ნაწილამდის) ჰფარავდათვ. კვართის კანის მაგივრად ისინი სარგებლობდნენ მჭიდროდ ნაქსოვი სელის კანაფით .

ხალიფეფი იგივე ჭანები, **ხალიბები,** იგივე **ხალდები** ერთ-ერთი უძველესი დასავლეთ ქართველური ანუ **კოლხური/ჭანური** ტომი გახლდათ. ძველბერძნული წყაროების მიხედვით, ეს ხალხი ცხოვრობდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მათზე ინფორმაციას გვაწვდიან მაგალითად ათენელი ისტორიკოსი ქსენოფონტი (ძვ.წ. 427-355) და დიდი ამასიელი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (ძვ.წ. 64-ახ.წ. 24). აღნიშნულ ავტორებთან ნახსენები ქართველური ხალხი "ხალდები" შესატყვისია **"ხალიბების"**. ანტიკურ სამყაროში ხალიბებს თვლიდნენ რკინის დამუშავების, მეტალურგიის

ფუძემდებლებად და სწორედ ხალიბების სახელიდან მოდის ძველბერძნულ ენაში რკინის სახელწოდებაც - **"ხალიუფს"**. სავარადოა, რომ ქართულ ენაშიც სიტყვა **"ყალიბი",** სწორედ ხალიბების სახელწოდებიდან მოდის.

XIXს სამოციანი წლებიდან კავკასიის მუზეუმის დამაარსებელი და დირექტორი გახლდათ გერმანული წარმოშობის რუსი ბუნებისმეტყველი, მოგზაური, გეოგრაფი, ნატურალისტი და ეთნოგრაფისტი გუსტავ რადე. ის თბილისში 1963 წლიდან ცხოვრობდა და გარდაიცვალა თბილისში 1903 წელს . გერმანიის მუზეუმს ქართული უნიკალური კოლექციებით პირველ რიგში გუსტავ რიდე ამარაგებდა. საფიქრებელია, რომ ეს კოლექცია ბერლინში გ. რადეს მეშვეობით აღმოჩნდა.

საქართველოს მუზეუმის საჭურველის ფონდში დაცულია ისტორიულ პირთა ჯავშანიც. ერთი მათგანის შესახებ გ. რადე აღნიშნავს რომ განსვენებულმა გენერალმა ბარტდომიმ კავკასიის მუზეუმს შესწირა სრული შეიარაღება, რომელიც ეკუთვნოდა საქართველოს მეფის ერეკლე II-ის ერთ-ერთ მინისტრს. იგი შედგება მასიური, ძალიან ოსტატურად დამზადებული გულმკერდის ჯავშნისაგან. გუსტავ რადე მიუთითებს რომ ის ეკუთვნოდა ერეკლე II-ის მინისტრს ივანე მუხრანბატონს.

მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების საჭურველის ფონდში დაცული გულ-მკერდის დასაცავი ჯავშანი, აგებულების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: სხმული ჯაჭვისა (46 ერთეული) და ერთიანი ლითონისა (10 ერთეული).

ფონდში დაცული ჯაჭვის კოლექციები, ძირითადად ქართულ-კავკასიური წარმოშობისაა, რომლებიც საქართველოს ყოფაში უფრო მეტად იყო გავრცელებული.

ბეგთარი ანუ ჭაჯვის პერანგი ლითონისა. შედგება ხუთი ნაჭრისაგან: საგულე, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ აქვს საფერდე და საზურგე. გულისფიცარი საფერდე და საზურგე ერთმანეთზე გადაბმულია მოძრავად. ბეგთარი დასარჩულებულია ბამბითა და აბრეშუმით.

ასევე აღსანიშნავია ქართული აბჯარის ერთ-ერთი სახე- ქართული ჩაჩქანი. რომელიც არის საბრძოლო თავსაბურავი და წააგავს ჩაბალახს. ის გამოირჩევა მასალით. **ჩაჩქანი** ველაზე მეტად გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთებში.

ჩაჩქანს შუაგულ ცენტრში უკეთებდნენ ფოლადის ფირფიტას. რომელსაც პოლიტიკა ეწოდებოდა. მასზე ეკიდებოდა ჯაჭვის ბადე, რომელიც მთლიანად ფარავს მებრძოლის კისერს და თავს. ხშირ შემთხვევაში მთლიანად შესაძლებელი იყო სახის დაფარვაც და ამ დროს მებრძოლს მხოლოდ თვალების უჩანდა.

ჩაჩქნის დამზადების ტექნოლოგია ხევსურეთმა შემოინახა. საქართველოს მუზეუმის საჭურვლის ფონდში დაცულია ხევსურების ცხოვრებაში არსებული საბრძოლო თავსარქველის ოთხი ფორმა: ჯამის ფორმის ჩაჩქანი, კვერცხისებური მუზარადი, ფაფანაკის ფორმისა და ჩაბალახი-ლატონ-ჯაჭვით ნაქსოვი.

მუზეუმში ჩაჩქანები აღწერილია XIX საუკუნიდან, კერძოდ, ერთ-ერთი ჩაჩქანი კავკასიის მუზეუმში 1854 წელს ერწოდან ხევსურულ კოსტუმთან ერთად წარმოუდგენია კავკასიის მუზეუმის წევრს ლევან ჩოლოყაშვილს

ასევე მუზეუმის საჭურვლის ფონდში შემკულია ისტორიულ პირთა ჩაჩქანებით. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართული წარმოების საჭურველი, რომლიც ქართული კულტურის ისტორიის მრავალ საგულისხმო მხარეზე მიგვითითებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩოლოყაშვილი კ. „ქართული საჭურველი“, შრომების კრებული, ჯანაშიას სახელობის სამუზეუმო ექსპონატების მიმოხილვა, გვ, 281-301, თბ. 1957წ.
2. Ксенофонт, Анабазис, IV, VIII. (15), Ред. акад. И.И. Толстой, Москва-Ленинград, 1951, стр. 120
3. გელა გამყრელიძე, ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში, თბილისი, 2010.

History of Georgian armor development

Levan Osidze, associated professor
Georgain Technical University

Summary

The level of development of ammunition from ancient times directly determines the level of economic and cultural development of a society, for the physical survival of a country is directly related to the army and its equipping with weapons. The physical survival and security of the country depended heavily on the perfect means of defense and military armament. Georgia has always been an arena for Horde invasions and, consequently, has always been advanced in armored vehicles, as well as combat strategy and tactics. Lagging in this area has unfortunate consequences for any country.

Further already, in the post-traumatic era, a fairly rapid transition to a chain shirt begins. The Germanic and Slavic tribes begin to wear the chain shirt. In that era, weapons and military strategy rarely included organized forms, so such protection was extremely reliable. The warriors slowly begin to wear the chain on their heads. The length of the chain shirt on the body also increases. The armor gradually resembled a chain jacket. Horseman's armor often covered the entire body of the warrior, including the legs.

The medieval knights' defensive constructions included reliable armor on all parts of the warrior's entire body (from head to toe), which greatly increased his safety and fighting ability, but nevertheless, in the event of a horse wound and falling to the ground, It was becoming impossible.

The armor of the Asian warriors, whose constructions combined the peculiarities of the military strategy and military philosophy of the Chinese, Japanese and Mongol peoples, is not without interest.

Armor has been produced and used in Georgia since ancient times. Georgia was under constant threat of enemy incursions, and the wars it waged against the invaders demanded that the army be equipped with the means of protection.

Keywords: armor, armor, Georgian chachkani, kuiras, ricochet, begtar

შიდა ქართლის ნამოსახლარების ჯურის საცხობი ღუმელები (გვიან ბრინჯაოს ხანა)

ნესტან გუგუშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ფართო ათვისების ხანა ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარის დასაწყისით თარიღდება და საზოგადობის განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს. საქართველოში შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ფართო ათვისების ხანის არქეოლოგიური ძეგლები ყათნალისხევი, ხოვლე, ცხინვალის ნაცარგორა, სამთავრო, თრელიგორები, ნარეკვავი გამოკვლეული და შესწავლილია ალექსანდრე კალანდაძის, ბორის კუფტინის, ტარიელ ჩუბინიშვილის, ოთარ ჯაფარიძის, ვაჟა სადრაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი ნიორაძის, დავით მუსხელიშვილის, კიაზო ფიცხელაურის, დავით ხახუტაიშვილის და სხვათა მიერ. ჯურის საცხობი ღუმე-ლების კვლევა, მათ მიერ აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას ეფუძნება, საიდანაც დგინდება ადგილობრივ ტომთა ეთნიკური ერთობა და აღნიშნულ ტერიტორიებზე გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან დაწყებული განვითარების უწყვეტობა, ადრერკინა-რკინის ფართო ათვისების ხანამდე [2,3,4].

შიდა ქართლის გორა-ნამოსახლარები ტერასებზეა განლაგებული, გარშემო თავდაცვითი ნაგებობებით გარშემორტყმული, რომლებსაც ღრმა თხრილები ან ქვით ნაგები გალავნები აქვს. ერთსათავსოიანი საცხოვრებელი ნაგებობები წაგრძელებული, ოთხკუთხედის ფორმის, ნახევრად მიწურებია, კედლები რიყის ქვით არის ნაგები და ბანური გადახურვითაა, სადაც გვიანბრინჯაოს ადრეული ხანიდანვე საცხოვრებელი სახლების მარცხენა კუთხეში, ერთი ტიპის ჯურის საცხობი ღუმელია განთავსებული, რომელიც სახლის მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. ღუმელი თანდათანობით იცვლიდა სახეს და იხვეწებოდა. ამის მაგალითი, ნარეკვავის პირველ გორაზე, კალანდაძის მიერ აღმოჩენილი თიხით და რიყის ქვით ნაგები ღუმელია, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილებისგან - საცხობისგან, საცეცხლისგან, სანაცრე ორმოსგან და საკურთხევლისგან შედგება. ღუმლის მთავარ განყოფილებაში მარცხნივ საცხობია, მარჯვნივ საცეცხლურია. ღუმელს ალიზით აშენებული თაღოვანი გადახურვა აქვს, რომელიც ხოვლური ღუმლის ტიპისაა. მოგვიანებით, საცეცხლეზე საკურთხეველია მიდგმული, საიდანაც ნაკვერჩხალი საცხობის იატაკზე იყრებოდა. ღუმელმა გათბობისა და ჯურის საცხობი დანიშნულების გარდა, მოგვიანებით, სარიტუალო ფუნქციაც შეიძინა, რასაც ძეგლზე აღმოჩენილი ღუმლის მიდგმული საკურთხეველი ადასტურებს [5].

მაშასადამე, შიდა ქართლის ტერიტორიაზე, გვიანბრინჯაოს ხანიდან ელინისტური ხანის დასრულებამდე, ერთი ტიპის ღუმელების არსებობა, ამ გორა მამოსახლარებზე ადგილობრივი ტომების უწყვეტ განვითარებას ადასტურებს.

საკვანძო სიტყვები: გორა-ნამოსახლარები, ღუმელი, ნაგებობა, საცხოვრებელი, კულტურა.

შესავალი

საქართველოში ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრის დასაწყისი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ფართო ათვისების ხანაა, რომელიც ამ დროინდელი საზოგადოების განვითარების ისტორიის უმნიშვნელოვანესი საფეხურია. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, ჩვენამდე მოღწეული შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორა-ნამოსახლარების ყათნალისხევის, ხოვლეგორის, ცხინვალის ნაცარგორის, სამთავროს, თრელიგორების, ნარეკვავის მოპოვებული მატერიალური კულტურის ნაშთები, საცხოვრებელი ნაგებობები და საკულტო კომპლექსები კარგად ასახავს ისტორიული შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის კულტურას, წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზე. ამიტომ შრომის და საბრძოლო იარაღს, კერამიკულ ნაწარმს, საკულტო ინვენტარს კულტურის შესაფასებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ჯურის საცხობი ღუმელები, გვიანბრინჯაოს

ხანის საცხოვრებელი სახლის მთავარი ნაწილია, რომელიც პასუხობს კითხვებს: როგორი საზოგადოება იყო, რა სახის საქმიანობას ეწეოდა, იყო თუ არა სოციალური თანასწორობა და როგორი მატერიალური და სულიერი კულტურა იქმნებოდა. ამიტომ პურის საცხობი ღუმელების და საკულტო ნაგებობების კვლევა მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან კულტურის განვითარების მაჩვენებელია.

ძირითადი ნაწილი

შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების სახცოვრებელ სახლებში, პურის საცხობი ღუმელები გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპიდანვე ჩნდება.

ყათნალისხევის გორანამოსახლარი პირველი უძველესი არქეოლოგიური ძეგლია, რომელიც 1957 წელს დავით ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით უფლისციხის არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების დროს აღმოაჩინეს. ნამოსახლარი რამდენიმე კულტურულ ფენას შეიცავს და ძვ.წ II ათასწლეულის II ნახევრის დასაწყისით თარიღდება. III ნაგებობის სათავსოს სამხრეთ კუთხეში აღმოჩენილია ღუმელის ნანგრევები, რომელიც ხოვლური ღუმელის ტიპისაა და რომლის მშენებლობისთვის გამოუყენებიათ თიხა, თიხის ჭურჭლის ნაწილები და ფლეთილი ქვა. დავით ხახუტაიშვილი ....: - „ოთახის იატაკსა და ღუმლის იატაკს შორის სხვაობა შეადგენს 30-სმ-ს, ღუმლის იატაკი შეიცავდა III შრეს, რომელთაგან თვითოეული ნაგებია თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტებით და თიხის ხსნარით“. მეცნიერი აქვე აზუსტებს, რომ მეორადი გამოწვისთვის კვალი მხოლოდ ზედა შრის კერამიკას ემჩნეოდა, რასაც შემდეგი მოსაზრებით ხსნის: - „ღუმლის იატაკში დადასტურებული შრეები, იატაკის შეკეთებათა ნაკვალევი არაა, არამედ ნაგებობის კონსტრუქციის თავისებურებაა“ და ამას ქვედა შრეების ნაცრის არ არსებობით ხსნის [3].

რაც შეეხება ხოვლეს ნამოსახლარს, ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით 1954-1961 წლებში გაითხარა. არქეოლოგიური კვლევა-ძიებით შენობების ნანგრევების და კულტურული ნაშთების VIII სტრატიგრაფიული ჰორიზონტი აღმოჩნდა. სოფელი ძვ.წ. XII-X საუკუნეებში ჩნდება და ძვ. წ. IV საუკუნემდე აგრძელებს არსებობას. ხოვლე სამეთუნეო ნაწარმის ცენტრი რომ იყო, ნამოსახლარზე მაღალხარისხიანი კერამიკის და კერამიკული საწარმოს აღმოჩენა ადასტურებს. პურის საცხობი ღუმელები ბანურგადახურვიან ერთოთახიან, ტალახის ხსნარზე ქვით ნაგებ სახლებშია განთავსებული, რომელიც გათბობის და საკვების მომზადების ფუნქციას ასრულებდა. მნიშვნელოვანია, რომ დიდი ხნის მანძილზე ხოვლეზე კულტურული ცვლილებები არ შეინიშნება. დავით მუსხელიშვილი ხოვლეს ნამოსახლარზე ეთნიკურად და კულტურულად ერთიდაიგივე ხალხის ცხოვრებას, არამარტო კერამიკის და მეტალურგიული კულტურებით ადასტურებს, თავის მოსაზრებას ერთნაირი პურის საცხობი ღუმელებით ამყარებს: „ხოვლეს უძველეს ნამოსახლარზე ცხოვრობდა კულტურულად და ეთნიკურად ერთი მოდგმის მოსახლეობა, რომლის შემოქმედებასაც წარმოადგენს ხოვლური შავლეგა კერამიკა, რადგან ეს უკანასკნელი იგივე ფორმითა და ორნამენტით განაგრძობდა არსებობას III და II ჰორიზონტშიც. უნდა დავასკვნათ, რომ ამ პერიოდშიც იმავე მოსახლეობასთან გვაქვს საქმე. ეს გარემოება მტკიცდება არამარტო კერამიკის შესწავლის საფუძველზე'' [4] .

შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლარებზე ღუმელი სახლის მარცხენა კუთხეშია გამართული. ნარეკვავის ნამოსახლარზე პურის საცხობი ღუმელი ალიზითა და რიყის ქვით ნაგებია, იგი ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილების-განაა (საცხობი, საცეცხლე, სანაცრე და საკურთხევლისგან) შემდგარი. პურის საცხობი ნაწილი მარცხნივაა გამართული, ხოლო საცეცხლე მარჯვნივ. მოგვიანებით ღუმელს სარიტუალო დანიშნულების საკურთხეველი აქვს მიდგმული. მანამდე ინტერიერის ეს მნიშვნელოვანი ელემენტი ცალკე ფუნქციონერებდა, რასაც III ჰორიზონტის აღმოჩენები ადასტურებს.

1975 წლიდან ალექსანდრე კალანდაძის ხელმძღვანელობით მუხრანის ველზე, მცხეთის ჩრდილოეთით 5-6 კმ-ზე, ნარეკვავის ნამოსახლარზე გათხრები დაიწყო, შედეგად გვიან-ბრინჯაო-ადრერკინის ხანის მნიშვნელოვანი არტეფაქტია აღმოჩენილი. ნარეკვავის ნამოსახლარზე აღმოჩენილი პურის საცხობი ღუმელების ნაწილზე, საცეცხლის წინა მხარეს მიშენებულია საკურთხეველი, მოსახლეობა ღუმელს პურის საცხობად, გასათბობად და სარიტუალო დანიშნულებით იყენებდა [4]. III

ჰორიზონტში ღუმელი საკულტო ნაგებობისგან ცალკეა. ესეიგი უფრო ადრე ინტერიერის მნიშვნელოვანი ელემენტი ცალკე, საკურთხევლის გარეშე, ფუნქციონირებდა.

ვაჟა სადრაძე თავის მონოგრაფიულ ნაშრომში დეტალურად აღწერს ნარეკვავის ნამოსახლარზე აღმოჩენილ საკურთხევლიან ღუმელს: „ღუმელის საშუალო ზომებია: სიგრძე -1, 30-1,45; სიგანე-2,20-2,35; სიმაღლე-0,85 მ. ორივე კერამიკის შიდა ზომებია: სიგრძე-0,78, სიგანე-0,92 მ. საცხობის სიგანე-0,92, სიგრძე-0,47 მ. საცეცხლე კამერას წაგრძელებული ოვალის ფორმა აქვს, მისი სიგრძეა 0, 85, ხოლო სიგანე 0,25 მ. საცეცხლეს უკანა ნაწილში დატანილია სანაცრე ხვრელი, რომელიც სანაცრე ორმოს უკავშირდება 0,15, სანაცრე ხვრელის სიგრძე- 0, 46 მ. სანაცრე ორმო იატაკის დონეზეა, მას შემოუყვება თიხის სატრყელი, რომლის სისქე-0,11-0,14, სიმაღლე-0,18-0,2 მ. სანაცრე ხვრელი ორმოს ვერტიკალურად აღმართული, წახნაგებიანი მოყვანილობის სარკმლით უკავშირდება. მისი სიმაღლე 0, 42 სიგრზე-0,32 მ. ცენტრალურ განყოფილებასგააჩნდათაღოვანიგადახურვა.თაღის სიმაღლე საცხობის იატაკიდან-0,16, თაღის სისქე 0,3-0,4 მ-ია. ეტყობა მრავალგზის შელესვის კვალი.“ აქვე აღნიშნავს, რომ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ღუმელების უმეტესობას, საკურთხეველი საცეცხლეზე მიდგმული არ აქვს. მისივე დასკვნით გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ელინისტური ხანისა და ადრე შუასაუკუნეების ჩათვლით, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მსგავსი აღნაგობის ღუმელების არსებობა, ეთნიკური ერთობის უწყვეტი განვითარების დამამტკიცებელ ფაქტს წარმოადგენს [5].

ნარეკვავის ტიპის ღუმელები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ფართო ათვისების ხანის ცხინვალის ნაცარგორის II-III ფენაშიცაა აღმოჩენილი. ბუნებრვ ბოვრცვზე მდებარე ნამოსახლარი 1945-1948 წლებში გერმანე გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით გაითხარა, სადაც III კულტურული ფენა და მათ ქვეშ მდებარე ადრინდელი ბრინჯაოს ხანის V ორმოსამარხი აღმოჩნდა. კულტურულ ფენებში სასიმაგრო თხრილები, ქვის ზღუდეთა ფრაგმენტები, საწყობ-ბეღლების, სამლოცველო სენაკების ნანგრევები, ზედაშეზე შეწირულთა ნაშთები, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნივთები იყო. ასეთ სენაკებში მნიშვნელოვანი ფართობი ეკავა საკულტო დანიშნულების ნაგებობებს, რომლებიც თითქმის არ ტოვებდა საცხოვრებელ ადგილს.

ხოვლეგორა, ყათნალისხევი, სამთავრო, თრელიგორებზე აღმოჩენილი პურის საცხობი ღუმელები, ანტიკური ხანის საცხოვრებლებშიც გვხვდება. „ნარეკვავზე მიკვლეულია შიდა ქართლის ნამოსახლარებისთვის დამახასიათებელი ხოვლური ტიპის ღუმელები, რომელთა არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. XIV-II სს მოიცავს (რ. დავლიანიძე, ვ.სადრაძე, 1993 გვ. 28, კ. ფიცხელაური 1973, გვ.5254).

დასკვნა

ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, შიდა ქართლში სამთავრული კულტურა ჩამოყალიბდა. მჭიდროდ დასახლებულ შიდა ქართლში, ხელოვნურ სარწყავზე დაფუძნებულმა მეურნეობამ, დარგის განვითარება გამოიწვია; ეკონომიკის წინსვლას მოსახლეობის ზრდა და მთისა და ბარის ათვისება მოჰყვა. ამ ხანის მოსახლეობა მთის წინა ზოლზე სახლდება და საცხოვრებლად გორას ირჩევს, რაც მიწათმოქმედებას და თავდაცვას უკავშირდება.

შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საზოგადოების საცხოვრებელი სახლის ინტერიერის მთავარი ელემენტი ღუმელია. ღუმელს გვიანბრინჯაოს ადრეული ხანიდან გასათბობად და პურის გამოსაცხობად იყენებდნენ, მოგვიანებით საკულტო დანიშნულებით მოხმარება მოჰყვა, რასაც საცეცხლე განყოფილების წინ, ოთხკუთხა ნაგებობა, საკურთხეველი მიანიშნებს. ძვ.წ. II ათასწლეულიდან IV-III სს. ჩათვლით, პურის საცხობი ღუმელების არსებობა მოსახლეობის ეთნიკურ ერთობაზე და განვითარების უწყვეტ ჯაჭვზე მიგვანიშნებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. სადრაძე, თ. ხოხობაშვილი, ე. ღლიღვაშვილი, თბ.2018 წ.
2. დ. მუსხელიშვილი, თბ. 1978 წ.
3. დ. ხახუტაიშვილი, თბ. 1964 წ.
4. კ. ფიცხელაური, თბ. 2005 წ.
5. ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე, თბ. 1993 წ.
6. გ. გობეჯშვილი, თბ. 1952 წ.
7. საქართველოს ისტორია, თბ. 2019 წ.
8. გ. მელიქიშვილი, თბ. 1970 წ.

Bread baking ovens of Shida Kartli settlements (Late Bronze Age

Nestan Gugushvili, PDH student
Georgian Technical University

Summary

Extensive uptake of the Late Bronze-Early Iron Age is dated by the beginning of the second half of the II millennium BC and represents an important stage in the development of society. Archaeological sites of the Late Bronze - Early Iron period of Shida Kartli in Georgia Katnaliskhevi, Khovle, Tskhinvali Natsargora, Samtavro, Treligorebi, Narekvavi have been researched by Alexander Kalandadze, Boris Kuftin, Tariel Chubinishvili, Otar Jafaridze, Vaja Sadradze, Ekvtime Takaishvili, Giorgi Nioradze, Davit Muskhelishvili, Kiazo Pitskhelauri, Davit Khakhutaishvili, and others. Researching of the bread-baking kilns, that were found in the hill settlements, is based on the archeological materials discovered by them. It shows the ethnic unity and the settlement in the mentioned areas that started from the early Late Bronze Age and lasted until the period of extensive Early Iron Age uptake. Hill settlements are located on terraces with defensive structures around them, surrounded by deep trenches and rock fences. The one-storey residential buildings are elongated, rectangular in shape, semi-dugout, the walls are built of cobblestone, and have a flat roof. Here from the early Late Bronze Age in the left corner of dwelling houses was placed one type of bread-baking kiln and that was the main constituent of the house. The kilns had been gradually changing their look and improving. An example of this, on the first hill of Narekvavi, is a kiln, built of clay and cobblestone, discovered by Kalandadze, which consists of interconnected parts - a bakery, a fire pit, a pit, and an altar. In the main section of the kiln, there is a bakery on the left, on the right - a fire pit. The kiln has an arched roof built of mudbrick, which is the Khoveli type of kiln. Later, an altar had been attached to the fire pit, from where the charcoal had been thrown to the floor of the bakery. In addition to heating and baking, the kiln later acquired a ritual function, which was confirmed by the attached altar to the kiln that was found on the monument. Therefore, in the territory of Shida Kartli, from the Late Bronze Age to the end of the Hellenistic period, the existence of one type of kiln confirms the constant development of local tribes.

თბილისის ამაღლება და გადაქცევა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრად

ლალი წიქარიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თბილისი - კავკასიის ისტორიული ცენტრია, მას ეკავა მნიშვნელ ოვანი ადგილი რეგიონში. ის მდებარეობს გზაზე, რომელიც მტკვრის ხეობით აღმოსავლეთ ამიერკავკასიით საქართველოს აღმოსავლეთისა და სამხრეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. თბილისის დასავლეთით მდებარე მთები და მდინარის კლდოვანი ნაპირები ადვილად კეტავდნენ მტკვრის გაყოლებით მიმავალ გზას. ეს ყველაფერი ხელს უწყობდა ქალაქის წარმოშობას.

თბილისს ყოველმხრივ მნიშვნელოვანი მდებარეობა ჰქონდა. ასეთ მოხერხებულ ადგილზე მოსახლეობა ადრე უნდა გაჩენილიყო, მაგრამ ჩვენი საისტორიო თხზულებები ამის შესახებ არაფერს გვეუბნება, თუმცა აქ ნივთიერი კულტურის ძეგლები და არქეოლოგიური მასალა უნდა მოვიშველიოთ.

უნდა ითქვას რომ თბილისი არის მჭიდროდ დასახლებული და სისტემატიური არქეოლოგიური გათხრების წარმოება ვერ ხერხდება. ამიტომ ის აღმოჩენები, რომლებიც ჩვენი წინაპრების ცხოვრებას გვაუწყებენ, უმთავრესად შემთხვევითი ხასიათისაა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძეგლების შესწავლამ გამოავლინა, რომ აქ მცხოვრებნი სამოსახლოს გამაგრებაზე ძვ. წ-ის III ათასწლეულიდან ზრუნავდნენ. ამის არაერთი მაგალითია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ თანამედროვე თბილისის ტერიტორია ჯერ კიდევ 6-5 ათასი წლის წინათ დასახლებულა და რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ცხოვრება კი არ განელებულა, არამედ პირიქით განივრცო და გაძლიერდა.

თბილისის - როგორც ქალაქის აღმოცენებას წინ უძღოდაანტიკურიქალაქებისწარმოქმნა.თბილისის წარმოშობა ხალხმა ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა. მეფე ვახტანგ გორგასალმა ქართლის დედაქალაქი გადმოიტანა მცხეთიდან - თბილისში. თბილისი ხდება ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი და სატახტო ქალაქი. მცხეთა დარჩა საკათოლიკოსო ქალაქად. ვახტანგ გორგასალმა დაიწყო თბილისის ზღუდის მშენებლობა. ხოლო მისმა ძემ, დაჩი-უჯარმელმა დაასრულა ქალაქი.არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები ცხადყოფენ, რომ ქალაქი და მისი ახლომ-დებარე მიდამოები უძველესი ხანიდან ყოფილა დასახლებული. ადრეული კულტურა და საზოგადოებრივი ცხოვრება მსოფლიო ცივილიზაციის კვალდაკვალ ვითარდებოდა. თბილისის მნიშვნელოვანი ობიექტი არის მთავარი თავდაცვითი ნაგებობა - დედა-ციხე - ,,ნარიყალას“ . საუკუნეთა მანძილზე თბილისი და მისი დედაციხე მრავალჯერ დაანგრია მტერმა, ასევე მრავალჯერ აღდგა იგი. XIX საუკუნის შუა წლებიდან, როდესაც ახალმა აზროვნებამ ახლებური მეცნიერული მოთხოვნები დააყენა, გამოჩნდნენ წარსულის ეკონომიკური განვითარების საკითხებით დაინტერესებული მკვლევარები, რომლებიც განიხილავდნენ ქალაქის მოსახლეობას, ხელოსნობას, ვაჭრობას, ციხე-სიმაგრეებს, ეკლესია-მონასტრებს და სხვა... ყველა დიდი საქმე , როგორც წესი სათანადო მასალის ძიებით იწყებოდა, და მათმა მეცნიერულმა კვლევებმა უდიდესი როლი შეასრულა შემდგომი კვლევების და ძიების საქმეში. ნარიყალას კომპლექსი დღემდე აქტუალურია და მნიშვნელოვან აღმოჩენებს გვთავაზობს.

საკვანძო სიტყვები - თბილისი, ნარიყალა, ციხე, არქეოლოგია.

შესავალი

თბილისი - გარდა იმისა, რომ საქართველოს დედაქალაქია, კავკასიის ისტორიული ცენტრი, ქართული იდენტობის ცენტრია. თბილისს ეკავა მნიშვნელოვანი როლი რეგიონში. ის მდებარეობდა გზაზე, რომელიც მტკვრის ხეობით აღმოსავლეთ ამიერკავკასიით საქართველოს აღმოსავლეთისა და სამხრეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. თბილისის დასავლეთით მდებარე მთები და მდინარის კლდოვანი ნაპირები ადვილად კეტავდნენ მტკვრის გაყოლებით მიმავალ გზას. ამის გარდა თბილისი მდებარეობდა ქვემო და შიდა ქართლის საზღვარზე, სწორედ ლეღვთახევზე გადიოდა ისტორიული

საზღვარი გარდაბანსა (ქვემო ქართლი) და შიდა ქართლს შორის. მომდევნო პერიოდში აგებული თბილისის მთავარი ციტადელი - ნარიყალა (ნარინ კალა, პატარა ციხე) და მის გარშემო დიდი გალავანი სწორედ ლეღვთახევის წყალგამყოფ ზოლზე გადიოდა, როგორც მთავარი არგუმენტი იმისა რომ თბილისის და შესაბამისად შიდა ქართლის საზღვრები მოცული იყო ლეღვთახევის ხეობიდან. თუმცაღა გალავნის ნაშთები არსებობს ორთაჭალის ტერიტორიაზეც. ამ გარემოებების გათვალისწინებით ნათელი ხდება რომ ამ ადგილას მოსახლეობა ადრევე უნდა გაჩენილიყო, მაგრამ ჩვენი საისტორიო თხზულებანი ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან. როდესაც წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია, შორეული წარსულის შესასწავლად ნივთიერი კულტურის ძეგლები და სხვა არქეოლოგიური მასალა უნდა მოვიშველიოთ. ხშირ შემთხვევაში ქალაქის მჭიდრო დასახლებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო მასშტაბური არქეოლოგიური გათხრების წარმოება და შესაბამისად, ყოველ ახალ აღმოჩენას შემთხვევითი ხასიათი გააჩნია.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძეგლების შესწავლამ გამოავლინა, რომ აქ მცხოვრებნი სამოსახლოს გამაგრებაზე ძვ. წ-ის III ათასწლეულიდან ზრუნავდნენ. ამის არაერთი მაგალითია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ბრინჯაოს ხანაში აშკარად ჩანს როგორც სამოსახლოების გამაგრება, ასევე ცალკეული ციხეებიც. შემორჩენილია მეგალითური ან ციკლოპური ნაგებობების ნანგრევები. თბილისში ნაპოვნია ენეოლითის შემდეგდროინდელი, ბრინჯაოს ხანის ძეგლებიც. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ თანამედროვე თბილისის ტერიტორია ჯერ კიდევ 6-5 ათასი წლის წინათ დასახლებულა და რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ცხოვრება კი არ განელებულა არამედ პირიქით განივრცო და გაძლიერდა.

თბილისის - როგორც ქალაქის აღმოცენებას წინ უძღოდა ანტიკური ქალაქების წარმოქმნა. თბილისის წარმოშობა ხალხმა ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა. მეფე ვახტანგ გორგასალმა ქართლის დედაქალაქი გადმოიტანა მცხეთიდან - თბილისში. თბილისი ხდება ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი და სატახტო ქალაქი. მცხეთა დარჩა საკათოლიკოსო ქალაქად. ვახტანგ გორგასალმა დაიწყო თბილისის ზღუდის მშენებლობა. ხოლო მისმა ძემ, დაჩი-უჯარმელმა განავრცო ქალაქი და „განასრულა ზღუდენი ტფილისისანი“.

არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები, აგრეთვე შემთხვევითი აღმოჩენები ცხადყოფენ, რომ ქალაქი და მისი ახლომდებარე მიდამოები უძველესი ხანიდან ყოფილა დასახლებული. ადრეული კულტურა და საზოგადოებრივი ცხოვრება მსოფლიო ცივილიზაციის კვალდაკვალ ვითარდებოდა. ფეოდალური ხანის თბილისი არქეოლოგიური თვალსაზრისით არ არის სრულყოფილად შესწავლილი. გათხრები კვლავ მიმდინარეობს. მნიშვნელოვანი ობიექტი, სადაც არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა, არის მთავარი თავდაცვითი ნაგებობა - დედა-ციხე, რომელიც წყაროებში ,,კალას“, ,,შურისციხის’, ,,ნარიყალას“ და ,,ქალაქის ციხის“ სახელითაც არის ცნობილი. საუკუნეთა მანძილზე თბილისი და მისი დედაციხე მრავალჯერ დაანგრია მტერმა, ასევე მრავალჯერ აღდგა იგი და, ცხადია, დანგრეულ ძველ ნაგებობათა ადგილზე იგებოდა ახალი, რის შედეგად, ზოგჯერ მთლიანად ისპობოდა ძველი შენობის კვალი. ნარიყალაზე ადრეული ხანის ნაგებობებიდან მხოლოდ ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი კოშკია შემორჩენილი, რომელიც თლილი, კვადრატული ქვებით არის ნაგები და ვახტანგ გორგასლის ეპოქით თარიღდება. XIX საუკუნის შუა წლებიდან, როდესაც ახალმა აზროვნებამ ახლებური მეცნიერული მოთხოვნები დააყენა, გამოჩნდნენ წარსულის ეკონომიკური განვითარების საკითხებით დაინტერესებული მკვლევარები, რომლებიც განიხილავდნენ ქალაქის მოსახლეობას, ხელოსნობას, ვაჭრობას, ციხე-სიმაგრეებს, ეკლესია-მონასტრებს და სხვა... ყველა დიდი საქმე , როგორც წესი სათანადო მასალის ძიებით იწყებოდა, და მათმა მეცნიერულმა კვლევებმა უდიდესი როლი შეასრულა შემდგომი კვლევების და ძიების საქმეში. ნარიყალას კომპლექსი დღემდე აქტუალურია და მნიშვნელოვან აღმოჩენებს გვთავაზობს.

ქალაქის სახელწოდებისთვის

თბილისი ქართულ საისტორიო წყაროებში თავდაპირველად მოხსენიებულია IV საუკუნის 60-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით, როდესაც

სასანიანთა ირანის სახელმწიფო ქართლში პოლიტიკური ბატონობის გამტკიცებისთვის იბრძოდა. ეს ცნობა საისტორიო თხზულების „მოქცევაი ქართლისაი“-ს ანონიმ ავტორს ეკუთვნის, რომლის მოღვაწეობის ხანა VII საუკუნით თარიღდება. ფეოდალური საქართველოს საისტორიო წყაროები ჩვენს დედაქალაქს ტფილისს უწოდებს. „ტფილი“, რომელიც საფუძვლად უდევს თბილისის სახელს და ნიშნავს თბილს, ძირეული ქართული სიტყვაა და მას შესატყვისები მოეძებნება ჭანურ, მეგრულსა და სვანურში (ა.შანიძე „საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის“). ქართველი მემატიანის ცნობას, რომ ამ პუნქტს IV საუკუნეში უკვე ეწოდებოდა ,,ტფილისი'', რამდენადმე მხარს უჭერს IV საუკუნის მეორე ნახევრის საგზაო რუკა, რომელიც შეადგინა რომაელმა გეოგრაფმა **კასტორიუსმა.** აღნიშნულ რუკაზე დატანილია ამიერკავკასიაზე და კერძოდ საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზები. ამ გზებს შორის ერთი, რომელიც სომხეთის მაშინდელ დედაქალაქ არტაშატიდან იწყება, საქართველოზე გადის. ამ გზის ერთ მონაკვეთზე - რუსთავსა და არმაზციხეს შორის - აღნიშნულია სადგური , რომლის სახელწოდება რუკის სხვადასხვა ხელნაწერებსა და ვარიანტებში მოცემულია ფორმით - ფილადო ან ტილადა. ვარაუდობენ რომ ამ პუნქტის სახელწოდება უნდა ყოფილიყო ფორმით ,,ტფილადო'', რაც თბილისს უნდა გულისხმობდეს. (ნ. ლომოური „უძველესი უცხოური ცნობა თბილისის შესახებ კრებულში - ,,თბილისის 1500“). ბიზანტიურ წყაროებში თბილისი VI საუკუნიდან იხსენიება, როგორც „ტიფლის“(ს. ყაუხჩიშვილი „გეორგიკა- ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“). დასავლურ ქართული ტომები მეგრელები, სვანები თბილისს ქართს უწოდებენ. ქართი ანუ ქართლი - ძველი იბერიის სამეფოს დედაქალაქის ციტადელს ერქვა და რადგან შემდეგ ქართლის სამეფოს დედაქალაქმა თბილისში გადაინაცვლა, მეგრელებმა და სვანებმა ახალ დედაქალაქზე გადაიტანეს ძველი დედაქალაქის სახელი და თბილისს ქართი შეარქვეს. (გ. მელიქიშვილი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ ტ.1). ზოგიერთი სომხური საისტორიო წყარო თბილისს **ფაიტაკარანსაც** უწოდებს, რადგან სომხური „ფაიტ“ ხეს, ძელს ნიშნავს, ხოლო X საუკუნის ისტორიკოსები თბილისის აღწერისას აღნიშნავენ, რომ თბილისში სახლები და სხვა შენობები ხისგანაა ნაგები. ამის გამო ზოგიერთი მკვლევარის აზრით ფაიტაკარან ხის ქალაქს შეიძლება ნიშნავდეს. დედაქალაქის სახელწოდება - თბილისი, რაც ძველი ქართული ფორმის ტფილისს უდრის, მომდინარეობს იმ თბილი წყაროებიდან, რომლებიც ქალაქში ბლომად მოიპოვება.

თბილისის ქართლის სამეფოს დედაქალაქად გადაქცევასთან დაკავშირებით ქართველმა ხალხმა საინტერესო და ლამაზი ლეგენდა შექმნა. ამ ლეგენდის სხვადასხვა ვარიანტები არსებობს. ლეგენდის ერთი ვერსიის მიხედვით, ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი ამალასათან ერთად მცხეთიდან სანადიროდ გავიდა. მეფის შევარდენი ხოხობს დააცხრა და ნადავლიანად წყალში ჩავარდა. მეფის მხლებლებმა შევარდენი და მისი ნადავლი წყლიდან დათუთქულები ამოიყვანეს. ლეგენდის მეორე ვერსიის თანახმად, მეფემ შველი დაჭრა, დაჭრილმა შველმა წყალთან მიირბინა, ჭრილობა მოიბანა და განკურნებული გაიქცა. როდესაც მეფეს მომხდარის თაობაზე მოახსენეს, მან არემარე დაათვალიერა და აღმოაჩინა, რომ იქ მრავლად მოედინებოდა თბილი წყაროები, მოეწონა ეს მიდამო და ქალაქის აშენება ბრძანა, რომელსაც თბილწყაროთ გამო თბილისი ეწოდა. თბილისის დედაქალაქად გადაქცევა ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება და ეს ლეგენდაც ამ მოვლენის ანარეკლია. მიუხედავად ამისა ქალაქის დაარსების თარიღს,- V საუკუნის II ნახევარს,- როდესაც ვახტანგ გორგასალი მოღვაწეობდა, დასაბუთება სჭირდება. ჩვენს მიერ ნახსენებ კასტორიუსის რუკაზე ყველა მნიშვნელოვან პუნქტს თავისი პირობითი ნიშნი აქვს. რომის იმპერიის დიდ სახელმწიფოთა დედაქალაქები ორი დიდი კოშკითაა აღნიშნული, რომელთა შორის კარიბჭეა გამოხატული, ხოლო ჩვეულებრივი ქალაქები - ორი მცირე ზომის კოშკით. უბრალო სადგურებს არავითი პირობითი ნიშანი არ აქვთ. ისინი გზის ტეხილებით არიან ასახულნი. მაგალითად თბილისის სამხრეთით მდებარე პუნქტი, რომელიც ამ რუკაზე ქალაქის გამომსახველი ორი კოშკითაა ნაჩვენები, რუსთავი უნდა იყოს. მცხეთა დედაქალაქის ნიშნითაა გამოსახული, ხოლო თბილისი - გზის ტეხილით. ასე რომ რუკის მონაცემების თანახმად, თბილისი - სოფელი სადგური შეიძლება იყოს(თბილისი არაა დატანილი მეორე საუკუნის რომაელი გეოგრაფის კლავდიუს პტოლემაიოსის რუკაზე). IV საუკუნის

თბილისის სტატუსის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება „მოქცევაი ქართლისაი“-ს ცნობებს. ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით მოტანილ თხრობაში მემატიანე არ ახსენებს თბილისს. ნინოს სიკვდილზე კი წერს : „მაშინ შეიძრნენ ორნი ესე ქალაქნი მცხეთა და უჯარმა და ყოველი ქართლი სიკვდილისა მისისათვის.“ („ძვ ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები”) თბილისი ამ წყაროში პირველად იხსენიება IV საუკუნის 60-ანი წლების მოვლენებთან დაკავშრებით.

ა/კ ში სასანიანთა ირანის გაძლიერება ქართლში მათი ლაშქრის გამოგზავნით და მოხელეების დანიშვნითაც აღინიშნება. აქ ირანელი პიტიახში მოდის. „მოქცევაი ქართლისაი“ გვაუწყებს: „მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორ ზარდ, სპარსთა მეფის პიტიახში ტფილისად, ქალაქად, ციხედ და ქართლი მისსახარკსაშედგა.“(„ძვქართულიჰაგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები”). ამის მიხედვით თბილისი იმ დროს იყო „ციხე-ქალაქი“. ქალაქი თავდაპირველად ქართულ ენაში გამაგრებულ ადგილს ნიშნავდა. (ი. ჯავახიშვილი - „ქართველი ერის ისტორია”). მემატიანის ციხე-ქალაქიც გამაგრებული ადგილია. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს - „მაშასადამე თავდაპირველად ტფილისი ირანელი პიტიახშის საჯდომად ქცეულა. ამ დროისათვის ეს პუნქტი ქალაქად ჯერ კიდევ არ ითვლება”.(ს. ჯანაშია „შრომები“). „მოქცევაი ქართლისაის“ ჭელიშურ ვარიანტში ეს ფრაგმენტი ასე ჟღერს: „მაშინ მოვიდა ხუარ... ტფლის და კდ ციხედ“ - ანუ ს. ჯანაშიას აზრით მოვიდა „ტფილისს და კალად ციხედ“. „კალა“ აქ ციხეა, საკუთრი გეოგრაფიული სახელი, რომელიც არაბულ სიტყვას ჰგავს. ხელსაყრელ სტრატეგიულ ადგილას მდებარე თბილისის ციხე, როგორც ჩანს ირანიდან შაჰის მიერ გამოგზავნილ მოხელეს სარეზიდენციოდ აურჩევია. აქედან იწყება თბილისის სწრაფი ურბანიზაციის პროცესიც. თუმცა გ. ლომთათიძე თბილისის ურბანიზაციას არქეოლოგიური მონაცემებით უფრო ადრინდელ ხანას უკავშირებს და გამოთქვამს ვარაუდს თბილისის ქალაქური მოსახლეობის ახ.წ I-II საუკუნეში წარმოშობას. (გ. ლომთათიძე „თბილისი არქეოლოგიური შესწავლილობისათვის”).

დასკვნა

თბილისის წარსულის ამსახველი არქეოლოგიური ძეგლები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. მათი გეგმაზომიერი გათხრები დედაქალაქის ძველი უბნების მჭიდროდ დასახლების გამო თითქმის შეუძლებელია. თბილისის ყველა არქეოლოგიური ძეგლი შემთხვევითაა გამოვლენილი. ამ აღმოჩენებს შეძლებისდაგვარად თან სდევდა მცირე მასშტაბის გათხრები. უკანასკნელ წლებში დედაქალაქის ძველ უბნებში ინტენსიური მშენებლობის წყალობით ხშირად ჩნდება და სამწუხაროდ ხშირად ნადგურდება კიდეც არქეოლოგიური ძეგლები.

თბილისი უმნიშვნელოვანეს ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება. ძველი თბილისი აღარ არსებობს, ამიტომ მისი გამაგრების სისტემაზე სრული წარმოდგენა შეუძლებელია. ქალაქმა ძველი იერსახე განსაკუთრებით დაკარგა XIX საუკუნეში, როდესაც მის დაცვით კედლებს დაეკარგათ ფუნქცია. თბილისი საკმაოდ გამაგრებული პუნქტი იყო, მის დაცვაზე აქტიურად ზრუნავდნენ ქალაქის არსებობის ყველა დროში. გარდა თავდაცვისა აქ ზრუნავდნენ მის ეკონომიკურ, სოციალურ და ესთეტიურ განვითარებაზეც. ქვეყნის სატახტო ქალაქს უფრო მეტი მოეთხოვებოდა, ვიდრე რიგითს. ქალაქის შესწავლაში მკვლევარებს განსაკუთრებულ დახმარებას უწევს XVIII საუკუნის დროინდელი გრაფიკული მასალა. არქეოლოგიური მასალის კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს ახლებურად გავიაზროთ და შევაფასოთ თბილისის თავდაცვითი სისტემა, ყურადღებით გავეცნოთ არსებულ მოპოვებულ მასალას და ისტორიულ წყაროებს, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ კიდევ ერთხელ შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ჩვენ ხელთ არსებული მასალა ისტორიულ -არქეოლოგიურ ჭრილში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. მელიქიშვილი - საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.1
2. ი. ჯავახიშვილი - ქართველი ერის ისტორია
3. ს. ჯანაშია - შრომები
4. გ.ლომთათიძე - თბილისი არქეოლოგიური შესწავლილობისათვის
5. ნ. ბერძენიშვილი - საქართველოს ისტორიის საკითხები 1975
6. ლ. ჭილაშვილი - ქალაქები ფეოდალურ საქართველოში 1970
7. ქართლის ცხოვრება
8. შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ა.სურგულაძე - თბილისის ისტორია
9. ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი - თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები 1961
10. ნ. ლომოური - უძველესი უცხოური ცნობა თბილისის შესახებ კრებულში - ,,თბლისის 1500''
11. „მოქცევაი ქართლისაი“
12. ო. ტყეშელაშვილი - არქეოლოგიური დაზვერვები თბილისსა და მის მიდამოებში
13. დ. ქორიძე თავის ნაშრომში -თბილისის არქეოლოგიური ძეგლები - 1955 წ
14. რ. აბრამიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი ნ. ოქორპირიძე - დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიცია, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში
15. ო. ჯაფარიძე - განჯის კარი- 1948
16. გ. ლომთათიძე, ი. გძელიშვილი - ახალი მასალები თბილისის არქეოლოგიისთვის

Raising Tbilisi and turning it into the political center of the Kingdom of Kartli

Lali Tsikarishvili, doctoral student
Georgian Technical University

Summary

Tbilisi is a historical center of Caucasus, it held an important place in the region. It's located on a road that connects Georgia to southern and eastern countries through Mtkvari valley. Mountains and rocky river banks located to the west of Tbilisi easily blocked roads going beside Mtkvari river. All this helped founding of the city.

Tbilisi had extremely important location. Because of such convenient location, population should have developed here very early, but our historical writings tell us nothing about this, however physical cultural resources and archeological evidence can help us.

It should be mentioned that Tbilisi is densely populated city and frequent archeological work is not possible. Because of this, discoveries that tell us about the lives of our ancestors are usually found accidentally. The research of historical monuments in Georgia has revealed, that people living here had been working on strengthening the settlement since third millennia BC. and we have proof of this all across the country. Archeological data proves that territory of Tbilisi had been settled 6-5 thousand years ago and throughout this time life has not slowed down, but on the contrary it kept accelerating and growing.

Founding of Tbilisi as a city was preceded by creation of ancient cities. Founding of Tbilisi is connected to Vakhtang Gorgasali. King Vakhtang Gorgasali moved capital of Kartli from Mtskheta to Tbilisi. Tbilisi became political center of the country and royal city. Mtskheta remained religious city. Vakthtang Gorgasali began building the wall of Tbilisi and his son Dachi of Ujarma finished the city. Archeological surveys and dig sites show clearly, that the city and its surroundings were populated since ancient times. Early culture and society evolved side-by-side with world civilizations. Important part of Tbilisi is its defensive structure – mother-fortress – "Narikala". For centuries Tbilisi and its fortress had been demolished many times by enemies, but it has been rebuilt every time. From the mid-nineteenth century, when new way of thinking created new scientific demands, researchers interested in the economic development of the past appeared, who discussed the population of the city, craftsmanship, trading, castles and fortresses, churches-monasteries and etc. All great work usually began with the search of relevant materials and their scientific research played a major role in further research and exploration. The Narikala complex is still relevant today and offers important discoveries.

ჯავშანჭილეტის განვითარების ეტაპები

დათო ქარაზანიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

უძველესი დროიდან თავდასხმის იარაღის გაუმჯობესებასთან ერთად დაიხვეწა თავდაცვის საშუალებები (აბჯარი, ფარი, ჯაჭვის პერანგი, ჩაფხუტი და სხვ.). შემუშავდა დამცავი მასალები ცხოველის მტკიცე ტყავით დაწყებული, ფოლადისა და კომპოზიციური ნაკეთობებით დამთავრებული. ამ საქმის ერთ-ერთი პიონერები იყვნენ შუმერი და ბერძენი ხელოსნები, რომელთა მიერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დამზადებული ორიგინალური კონსტრუქციები ტექნიკური თვალსაზრისით ახლაც უმაღლესი ხელოვნების ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს. ცივილიზაციების პერიოდის დასაწყისში აღინიშნა სახელმწიფოებს შორის ომების ეპოქა და არმიის, როგორც ორგანიზაციის წარმოქმნა. ადამიანებმა ისწავლეს ქსოვილის, ლითონის, ტყავის დამუშავება და ამიტომაც იმ ეპოქაში შესაძლებელი იყო შეექმნათ ჯავშანი, რომელიც ნამდვილ დაცვის საშუალებას იძლეოდა. ტყავის ჯავშანი, ისევე როგორც ქსოვილი, მებრძოლისთვის პირველი გახდა ჯავშანტექნიკის წარმოების განვითარების გზაზე.

პირველად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები სამხედრო- საომარი მოქმედებების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გამოჩნდა. ომი და შესაბამისად ჯარისკაცები და ჯარი, გაცილებით გვიან წარმოიშვა და შეიქმნა. პრიმიტიული სახით ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მანამდე არსებობდა, მართალია დაცვა მარტივი იყო, მაგრამ მოწინაღმსეგეც არ იყო ძლიერად შენიღბული. ქვის ხანის ადამიანებმა პირველად ისწავლეს ცხოველების ტყავისგან მარტივი ჯავშანის დამზადება. ჯავშანი ხშირად ასოცირდება რაღაც მეტალთან, მაგრამ ადრეულ პერიოში ტყავი და ქსოვილი ბევრად უფრო გავცელებული მასალა იყო მათი დასამზადებლად. ტყავი გახდა პირველი ქსოვილის ჯავშანის პროტოტიპი. ტყავისგან დამზადებული ჯავშანი ნადირობის დროს იცავდა პირველყოფილ ადამიანებს. რა თქმა უნდა, ასეთმა ჯავშანტექნიკამ ვერ აარიდა ადამიანს სერიოზული ჭრილობები, რადგან სიმტკიცის მისაცემად საჭირო იყო ტყავის დამუშავება. ასეთი ტექნოლოგიები მხოლოდ ათასწლეულების შემდეგ გაჩნდა. ადრეული პერიოდის საბრძოლო ჯავშანი სუსტი და გამოუსადეგარი იყო ომისთვის, მაგრამ მაშინ იარაღები უკიდურესად მარტივი, ხოლო შეტაკებები იშვიათი იყო.

საკვანძო სიტყვები: ჯავშანჭილეტი, ლინოთორაქსი,ლორიკა ჰამატა.

შესავალი

ადამიანებმა ლითონის დამუშავება უძველეს დროში ისწავლეს, მაგრამ ძლიერი ჯავშანი მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში გამოჩნდა, ამიტომ ქსოვილი და ტყავი დიდი ხნის განმავლობაში წინა პლანზე რჩებოდა დაცვის სასუალებად. საბრძოლო ჯავშანტექნიკის ისტორია წარმოადგენს კაცობრიობის მთელი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაწილს. ახალი ინოვაციებით გაფართოებამ მოახერხა მნიშვნელოვნად შეეცვალა ბრძოლის ველზე იერსახე. ტექნიკისა და მასალების მუდმივი განვითრება ხდებოდა საუკუნეების მანძილზე და ახალი ცოდნა გადადიოდა ერთი საუკუნიდან მეორეში.

შუა საუკუნეებში დამცავი კონსტრუქციები მოიცავდა მეომრის მთელი სხეულის თავიდან ფეხებამდე ნაწილის საიმედო ჯავშანდაცვას, რაც მის უსაფრთხოებასა და ბრძოლის უნარიანობას მნიშვნელოვნად ზრდიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, როცა ცხენი დაიჭრებოდა და მებრძოლი მიწაზე გადმოვარდებოდა[რადგან აღჭურვილობა და კონსტრუქცია მოუქნელი იყო სიმძიმის გამო] სხვისი დახმარების გარეშე შეუძლებელიყო მისი წამოყენება. შესაბამისად მებრძოლის განადგურება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამ გარემოებამ გამოიწვია ცხენების სიცოცხლის უნარიანობის დაცვის მოთხოვნების გაზრდა და შესაბამისად, ორიგინალური ჯავშანდამცავი კონსტრუქციების შექმნა.

ძირითადი ტექსტი

ძველი საბერძნეთი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ჯავშანტექნიკის ერთგვარ დაბადების

ადგილად. საბერძნეთში **ჰოპლიტები** მძიმე ქვეითი მებრძოლები არიან, ხოლო მსუბუქ ქვეითებს **პელტასტებს** ეძახდნენ. მათი სახელები მომდინარეობს მათ მიერ გამოყენებული ფარების ტიპებიდან: ჰოპლონი და პელტი. მოცემული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ჯავშანჟილეტიანი მეომარი ომში არანაკლებ დაცულები იყვნენ, ვიდრე ცხენით მბროლელი ჯავშნით გამოწყობილი რაინდები. ბერძნული სახელმწიფო პოლიტიკის მიხედვით საუკეთესო არმია შედგებოდა მდიდარი მოქალაქეებისგან. საბერძნეთსი არსებობდა ძლიერად შეიარაღებული ქვეითთა სისტემა რომელსაც „ფალანქსი“ ეწოდებოდა და მისი წევრი უნდა ეყიდა საკუთარი აღჭურვილობა, რაც დიდი ფული ჯდებოდა. დაცვის მთავარი საშუალება, რა თქმა უნდა, იყო დიდი მრგვალი ფარი – **ჰოპლონი,** რომელიც დაახლოებით 8 კგ-ს იწონიდა და სხეულს კისრიდან მუხლებამდე იცავდა. ამ წარმონაქმნის წყალობით, ჰოპლიტს, ზოგადად, არ სჭირდებოდა სხეულის დაცვა, სხეული ყოველთვის ფარის უკან იმალებოდა.

საბრძოლო ჯავშანის ერთერთი სახეობაა **ლინოთორაქსი** - ჯავშანი, რომელიც დამზადებულია მკვრივი ქსოვილის რამდენიმე ფენისგან, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებენ ჰოპლიტები, ასევე მსუბუქი ქვეითი და კავალერია. ჯავშანი მოძრაობას არ აფერხებდა და სასიამოვნო სატარებელი იყო ჯარისკაცისთვის.

რომაული არმია კი არის ფალანგის იდეების ერთგვარი გაგრძელება და განვითარება. ამ დროს იწყება რკინის ხანა. ბრინჯაოსა და ქსოვილის საბრძოლო ჯავშანი შეიცვალა რკინით. რომაული ლეგიონები ადაპტირებენ თანამედროვე მასალებს. ბრინჯაოს ხანაში ხმლის გამოყენება არაეფექტური იყო, ვინაიდან საჭირო იყო მტერთან მიახლოება და წყობის გატეხვა. ბრინჯაოს ხანის შესანიშნავი ხმლებიც კი ძალიან მოკლე და სუსტი იყო. შუბი იყო ამ დროის ჰოპლიტისა და მრავალი ჯარის იარაღი. რკინის ხანაში ხმალი უფრო გამძლე და გრძელი ხდება. ყოველივე ამის ფონზე საჭირო იყო ისეთი **ჯავშანის შექმნა,** რომელიც ეფექტურად შეაჩერებს დარტყმას. ასე რომ ჰოპლიტის მძიმე ჯავშანს ცვლის ჯაჭვის ჯავშანი, რომელსაც ეწოდებოდა **ლორიკა ჰამატა.** რომაელი ლეგიონერები შეიარაღებულნი იყვნენ ძირითადად მოკლე მახვილით და ხელშუბებით. თავდაცვის საშუალება იყო ხელშუბი, ფარი, აბჯრი და მუზარადი. განვიხილთ თითეული მათგანი. ხელშუბი - რომელსაც ეწოდებოდა პილუმი, წონით იყო 2-დან 5 კილოგრამამდე. პილუმს ისროდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგეს ახლო მანძილზე მოუახლოვდებოდა ლეგიონერერთა რიგებს; ფარი - რომელსაც სკუტუმი ეწოდებოდა და დაახლოებით 8-10 კილოგრამს იწონიდა. ფარი უდიდეს როლს თამაშობდა რომაელთა ტაქტიკურ და სტრატეგიულ საბრძოლო მოქმედებებში; ამავდროულად რომაელებს ქონდათ ე.წ. მომაკვდინებელი მახვილი **გლადიუსი,** რომელიც დაახლოებით ერთ კილოგრამამდე იწონიდა და რომლის გამოყენება რომაელებმა ესპანეთში შეჭრის შემდეგ დაიწყეს ძველი წელტააღრიცხვის მე-3 საუკუნეში. აბჯარი რომელსაც **ლორიკა ჰამატა** ეწოდებოდა და იწონიდა 12-15 კილოგრამს; მუზარადი, რომელსაც ეწოდებოდა გალეა და სავარაუდოდ იწონიდა 1-3 კილოგრამს. ასეთი მუზარადების გამოყენება რომაელებმა კელტების მიბაძვით დაიწყეს. მთლიამად ჯამში ლეგიონერის აღჭურვილობა დაახლოებით გამოდიოდა 22-დან 31 კილოგრამამდე.

მჭედლობის განვითარებასთნ და მის ევოლუსიასთან ერთად ერთად მოდის ჯავშანტექნიკის ევოლუცია. **Lorica segmentata** -ეს იყო თეფშიანი ჯავშანი, რომაელითც რომაელ მეომრებს გამოარჩევდი სხვა მეომრებისგან ამ კონკრეტული ჯავშნით. ამ საბრძოლო ჯავშანტექნიკამ ჩაანაცვლა ჯაჭვის ჯავშანი, რომელიც დროთა განმავლობაში არაეფექტური გახდა, კონკრეტულად გერმანული გრძელი ხმლების წინააღმდეგ. მეომარს მკერდზე წყვილ-წყვილად დამაგრებული ფირფიტები და მხრის ბალიშები უფრო მეტ დაცვას აძლევდა, ვიდრე ჯაჭვის ჯავშანი. ქსოვილისგან დამზადებული ჯავშნის უფრო მოწინავე ვერსია იყო სხვადასხვა ზომის ლითონის ფირფიტებიგან შეკერილი ჯავშანში. ასეთი ჯავშანი ძირითადად უფრო შემდგარ ჯარისკაცებს ეცვათ. პოსტრომაულ ეპოქაში იწყება საკმაოდ სწრაფი გადასვლა ჯაჭვურ პერანგზე. გერმანული და სლავური ტომები იწყებენ ჯაჭვის პერანგის ტარებას. იმ ეპოქაში იარაღი და სამხედრო სტრატეგია იშვიათად მოიცავდა ორგანიზებულ ფორმირებაში, ამიტომ ასეთი დაცვა უკიდურესად საიმედო იყო. შემდგომში, თითქმის 600 წლის განმავლობაში, ჯავშანი არ შეცვლილა, მხოლოდ ჯაჭვის პერანგის სიგრძე გაიზარდა, რომელიც მე-13 საუკუნეში თითქმის მთელ სხეულს

ფარავდა. თუმცა, ამ პერიოდში ჯაჭვის ჯავშანის ხარისხი, თუმცა ადრინდელ ჯაჭვის ჯავშანზე მაღლა დგას, მაგრამ მაინც მაინც ჩამორჩებოდა იარაღის ხარისხს. ჯაჭვის ჯავშანი უკიდურესად დაუცველი იყო შუბების, სპეციალური წვერით ისრების, მძიმე დარტყმისა და მსგავსი იარაღის მიმართ, მძიმე ხმლებსაც კი შეეძლო მეომრის სასიკვდილო დაზიანება. ამ პრობლემების გადაჭრა მოხდა მე-13 საუკუნის ბოლოდან ევროპაში ფართოდ გავრცელდა თეფშიანი ჯავშანი - ეს იყო შუა საუკუნეების მჭედლობის გვირგვინი, მსოფლიოში ყველაზე გამძლე ჯავშანი. ჯავშანი დამზადებული იყო ფოლადის ფურცლებისგან და ისინი ჯერ სხეულს ფარავდნენ. მცირე ხნის შემდეგ კი მოხდა ხელებსა და ფეხების დაფარვა და ბოლოს მეომარს მთლიანად ფოლადში ახვევდნენ. მხოლოდ რამდენიმე პუნქტი დარჩა ღია იმისთვის, რომ საერთოდ გადაადგილება ყოფილიყო შესაძლებელი, მაგრამ შემდგომში მათ დახურვაც დაიწყეს. ეს იყო **მძიმე კავალერიის ოქროს ხანა,** რომლის ხილვამ პანიკა გამოიწვია ქვეითებში. რაინდების ლეგენდარული ჯავშანი, დამზადებული მაღალი ხარისხით, პრაქტიკულად შეუღწევადი იყო მაშინ არსებული საბრძოლო იარაღისთვის. ფაქტებით დგინდება, რომ რაინდი, რომელიც თავდასხმის დროს ცხენიდან ჩამოაგდეს, უბრალოდ ვერ გაანადგურეს. რა თქმა უნდა, ასეთი ჯავშნის ნაკრები ძალიან ძვირი ღირდა, ვიდრე და ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ არისტოკრატიისა და რაინდთა კლასისთვის

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://web.wpi.edu/academics/me/IMDC/IQP%20Website/EuropeFiles/600bc-200bcFiles/greece-600bc-200bc.html
2. www.metmuseum.org/toah/hd/deca/hd_deca.htm
3. https://avalonsibyl.com/l
4. https://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=123&info_id=11512
5. https://www.worldhistory.org/article/1244/the-armour-of-an-english-medieval-knight/

Stages of armor development

Dato Karazanishvili, PhD student

Georgian Technical University

Summary

From ancient times the defenses of the attack (armor, shield, chain shirt, helmet, etc.) have been refined with the improvement of the weapon of attack. Protective materials have been developed ranging from durable animal skins to steel and composite articles. One of the pioneers of this work was Sumerian and Greek craftsmen, whose original constructions made before our era can still be considered as superior works of art from a technical point of view. The beginning of the period of civilizations marked the era of wars between states and the emergence of the army as an organization. People learned to process fabric, metal, leather, and so in that era it was possible to create armor that provided real protection. Leather armor, as well as fabric, became the first for the fighter on the development path of armor production.

The first means of personal protection appeared long before the start of hostilities. War, and consequently soldiers and armies, arose and was created much later. Primitive means of individual protection existed before, although protection was simple, but even the opposite was not strongly disguised. Stone Age people first learned to make simple armor from animal skins. Armor is often associated with some metal, but in the early period leather and fabric were much more common materials for their manufacture. Leather became the prototype of the first fabric armor. Armor made of leather protected primitive humans during hunting. Of course, such armor could not prevent a person from suffering serious wounds, as leather processing was required to give it strength. Such technologies only emerged millennia later. The armor of the early period was weak and useless for war, but then the tools were extremely simple, and clashes were rare.

Keywords: Armor, Lynothorax, Lorika Hamata.

საერთაშორისო ურთიერთობები

INTERNATIONAL RELATIONS

მსოფლიო ტრაგედია და ტოტალიტარიზმის სრული მოდელი

ნუგზარ დურმიშიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია რუსული ტოტალიტარიზმის თავისებურებები, მისი ბუნება უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, რომელსაც პუტინის რეჟიმი აწარმოებს ამ ქვეყნის სრულად დამორჩილების და თავის სატელიტად გადაქცევის მიზნით. თუმცა ამ მიმართებით წარმატებებს ჯერჯერობით ვერ აღწევს. გაკეთებულია ზოგადად ტოტალიტარიზმის მიმოხილვა და რუსული ტოტალიტარიზმის შედარებითი ანალიზი აქამდე არსებულ მსგავს რეჟიმებთან.

განხილულია ასევე როგორც ომის რაც შეიძლება სწრაფი დამთავრების და მისი დიპლომატიურ მოლაპარაკებათა ჭრილში გადაყვანის, ისე რუსეთის ნეოიმპერიალისტური სისტემის შემდგომი ნეიტრალიზაციის ოპტიმალური გზები და საშუალებები.

ალბათ, ყველანი ვთანხმდებით იმაში, რომ რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესია უკრაინაში შორს გასცდა ლოკალურ და რეგიონულ საზღვრებს და გლობალური ხასიათი შეიძინა. მან უდიდესი გავლენა მოახდინა ზოგადად, მსოფლიო თანამეგობრობის, ადამიანების და არა მარტო პოლიტიკოსთა აზროვნებაზე, ხედვაზე და რომ იტყვიან, მრავალი ფასეულობა გადააფასა. მსოფლიო აღარასდროს იქნება ისეთი, როგორიც აქამდე იყო. და ყოველივე ამის კატალიზატორი შეიქმნა მიმდინარე ომი უკრაინაში, ევროპის ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოში, რომელიც კიდევ უფრო დიდი და მტაცებელი მეზობლის, რუსეთის ტოტალური აგრესიის მსხვერპლი გახდა. წინამდებარე პუბლიკაციის მიზანი არ გახლავთ საომარ მოქმედებათა პერიპეტიების განხილვა, არც უკრაინელი ხალხის უმაგალითო გმირობის შეფასება და რუსი ოკუპანტების ბარბაროსობის „ხარისხის“ განსაზღვრა (ეს ისედაც ყველასთვის ცხადია, ვინც შეგნებულად თავს არ იბრმავებს), არც შემდგომი მოვლენების პროგნოზირება. პუბლიკაცია მხოლოდ აგრესიის მიზეზთა იდეურ-პოლიტიკური, ისტორიული, ეთნოფსიქოლოგიური და მენტალური ასპექტების ანალიზის მოკრძალებულ მცდელობას ისახავს მიზნად.

საკვანძო სიტყვები: ტოტალიტარიზმი, ისტორიული ასპექტები, ლიდერი, ნეოიმპერიალისტური, ტოტალური აგრესია, ბოლშევიკური რუსეთი, ფაშისტური იტალია, მაოისტური ჩინეთი.

შესავალი

ტოტალიტარიზმი. რაობა და ისტორიული ასპექტები

რა არის ტოტალიტარული სახელმწიფო? ისტორიის განვითარების პროდუქტია თუ მავანი პოლიტიკური ავანტიურისტის ან ქარიზმატული ლიდერის ახირებული ნების რეალიზაცია? რა ნიშნებით ხასიათდება და რით განსხვავდება სხვა მასზე ადრე არსებული მსგავსი სისტემებისგან?

XX საუკუნე ისტორიაში შევიდა, როგორც ტოტალიტარიზმის საუკუნე (სხვა მრავალ მახასიათებელთან ერთად). მსოფლიოს ისტორიული ევოლუციის ის პოტენციალი, რაც ვლინდებოდა

სხვადასხვა ეპოქებში ახალი, რადიკალურად განსხვავებული შინაარსისა და პრინციპების სახელმწიფოებრივი იდეის რეალიზაციისას, თავისი დასრულებული სახით მხოლოდ XX საუკუნეში გაცხადდა. დასავლელი პოლიტოლოგ-ექსპერტები ტოტალიტარულ სახელმწიფოთა რიგში აყენებენ სხვადასხვა ცივილიზაციური კუთვნილების და იდეურ-პოლიტიკური დოქტრინის მქონე ისეთ ქვეყნებს, როგორიც იყვნენ (და ზოგი დღესაც არის) ნაცისტური გერმანია, ბოლშევიკური რუსეთი, ფაშისტური იტალია, მაოისტური ჩინეთი, კუბა, ჩრდილოეთ კორეა და ა.შ. ასევე ცივი ომისდროინდელ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის კომუნისტურ სახელმწიფოებს.[1]

მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა დასავლეთში (ხანა არენდტი, კარლ ფრიდრიხი, ზბიგნევ ბჟეზინსკი) ადვილად შეამჩნიეს რა განსხვავებებიც არსებობს კომუნიზმსა და ფაშიზმს, შესაბამისად მათ უკიდურეს გამოვლინებებს - ბოლშევიზმსა და ნაციზმს შორის, რომელთაგან ერთი ნაციონალურ და რასობრივ სიძულვილსა თუ გამორჩეულობას ეფუძნება, მეორე კი - კლასობრივს. მაგრამ აქ საკვანძო და დამაკავშირებელი სიტყვა „სიძულვილი“ გახლავთ. მსოფლიო ჰეგემონიას კი ორივე ესწრაფის. არსებობს კიდევ მესამე სახის ტოტალიტარიზმი, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს იშვა; ესაა რელიგიური, ჯერჯერობით მხოლოდ ისლამური ფუნდამენტალიზმი, რომლის საფუძველს რელიგიური შეუწყნარებლობა წარმოადგენს და სხვა აღმსარებლობისა და ცივილიზაციის წარმომადგენელთა მიმართ უკიდურესი აგრესიით გამოირჩევა. და უნდა ითქვას, რომ ყველა ამ მიმდინარეობას შორის მსგავსება ბევრად მეტია, ვიდრე განხვავება. ესენია:

1. ერთიანი, ყოვლისმომცველი იდეოლოგია, რომელსაც ემყარება საზოგადოების პოლიტიკური სისტემა;
2. ერთპარტიული რეჟიმი „ბელადით“ სათავეში, სადაც პარტია ერწყმის სახელმწიფო სტრუქტურებს და რეალურად ყველაფერს ის ხელმძღვანელობს;
3. მტრული, შეურიგებელი დამოკიდებულება დასავლური ლიბერალური დემოკრატიის და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მიმართ და გამოხატვის თავისუფლების აბსოლუტური არარსებობა, ადამიანის უფლებათა სრული იგნორირება;
4. უმკაცრესი ცენზურა როგორც საინფორმაციო საშუალებებზე, ისე სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაზე;
5. ცენტრალიზებული, გეგმიური ეკონომიკა;
6. სახელმწიფოს სრული, ტოტალური კონტროლი ადამიანის აზროვნებასა და ცხოვრების ყველა სფეროზე;
7. „ახალი საზოგადოების აშენების და ახალი ადამიანის აღზრდის“ ინტენსიური და უწყვეტი პროპაგანდა, საკუთარის გარდა, ნებისმიერი სხვა იდეოლოგიის მტრულად და ცალსახად მიუღებლად გამოცხადება, მტრის ხატის შექმნა;
8. პერმანენტული მასობრივი რეპრესიები „ხანმოკლე შესვენებებით;“
9. ექსპანსიურ-აგრესიული დამოკიდებულება მეზობელი, სუსტი სახელმწიფოების მიმართ და მათ ხარჯზე ტერიტორიული გაფართოების დაუოკებელი სურვილი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კომუნიზმი და ფაშიზმი თავიანთი უკიდურესი მიმდინარეობებით (ბოლშევიზმი და ნაციზმი) და რელიგიური ფუნდამენტალიზმი უაღრესად მონათესავე იდეოლოგიებია და მათ ძალიან კარგად „ესმით ერთმანეთის.“ ხოლო მათ შორის ნებისმიერი უთანხმოება თუ დაპირისპირება ყოველთვის გეოპოლიტიკურ პრობლემებს, ანუ გავლენის სფეროთა გადანაწილებას უკავშირდება და არა ღირებულებათა კონფლიქტს.

ტოტალიტარიზმის რუსული მოდელი

როგორც ზემოთაც არინიშნა, ტოტალიტარიზმი უპირველეს ყოვლისა იდეოლოგიური სისტემაა, რომლის მთავარი მიზანი ახალი საზოგადოების აშენებადათვისობრივადახალიადამიანისაღზრდაა, რომელიც სრულად თავსდება მის იდეალში. ამიტომ ტოტალიტარული რეჟიმი არა მარტო ცხოვრების ყველა სფეროში ერევა, ის სრულად აკონტროლებს ადამიანის აზროვნებას და სავსებით ბუნებრივ სურვილებსაც კი. არავის უნდა სურდეს ის, რაც არ სურს რეჟიმს. სწორედ ამით განსხვავდება იგი ავტორიტრიზმისაგან, რომელიც თავისი ხასიათით ერთი პიროვნების ავტოკრატიული მმართველობა ან პიროვნებათა ჯგუფის კლანური დიქტატურაა, რომლის მთავარი ამოცანა ხელისუფლების მაქსიმალურად გახანგრძლივება და განმტკიცებაა

და მიზნად არ ისახავს ახალი საზოგადოების და ადამიანის შექმნას [1]. ის არ ერევა ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში. მისთვის მთავარია ქვეშევრდომები ემორჩილებოდნენ და პრობლემებს არ უქმნიდნენ და ნაკლებად აინტერესებს თუ ვინ რას ფიქრობს და რას სცემს პატივს. ასეთი რეჟიმების მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფრანკოს ესპანეთი, პინოჩეტის ჩილე, „შავი პოლკოვნიკების“ დროინდელი საბერძნეთი და ა.შ. და რათქმაუნდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობა. ტოტალიტარული სახელმწიფო იყო საბჭოთა კავშირი, მაგრამ რომელ ტიპს მიეკუთვნება პოსტსაბჭოთა რუსეთი პუტინის მმართველობის პირობებში. მისი წინამორბედი ელცინის მმართველობა ალბათ უფრო ანარქიულ-ოლიგარქიული ხასიათის იყო.

დღევანდელი რუსეთი ერთი შეხედვით უფრო ავტორიტარულ რეჟიმს წარმოადგენს, ფოკუსირებულს პრეზიდენტ ვ. პუტინსა და მის გარემოცვაზე. მას თითქოს მწყობრი, ჩამოყალიბებული რევოლუციური იდეოლოგია არც გააჩნია და მხოლოდ ძალაუფლების განმტკიცებას და მოქალაქეთა მორჩილების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. არც რომანოვების მონარქია იყო კლასიკური გაგებით ტოტალიტარული, მაგრამ ასეა სინამდვილეში? სწორედ ღრმა ფესვებიდან მომდინარე ტოტალიტარული წარსული განაპირობებდა და განაპირობებს როგორც XVIII-XIX საუკუნეების იმპერიის, ისე საბჭოთა კავშირისა და თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის ხასიათს. ამდენად, ალბათ აქტუალურია წინამდებარე ნაშრომში რუსული ტოტალიტარიზმის ფენომენის განხილვა.[2]

მეცხრამეტე საუკუნის და მეოცის პირველი ნახევრის მოაზროვნეებსა და მწერლებში პოპულარული იყო თემა „გამოუცნობ რუსულ სულზე“ და განსაკუთრებულ „გენეტიკურ კოდზე,“ რომელიც პერიოდულად არცთუ პოზიტიურ ასპექტში შეახსენებდა თავს მსოფლიოს ხან სისხლიანი აჯანყებებით და რევოლუციების „კასკადით,“ ხანაც იმით რომ მუდამ „ევიწროვებოდა“ საკუთარი საზღვრები.[2]

ცარისტული იმპერიის პირობებში მსჯელობა მაინც შეიძლებოდა ქვეყნის, საზოგადოების განვითარების გზებს და პერსპექტივებზე. თავიანთ შეხედულებებს გამოთქვამდნენ სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური ორიენტაციის მოაზროვნეები, ინტელექტუალები ა. გერცენი, პ. ჩაადაევი, ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი ნ. დანილევსკი, ვ. ხომიაკოვი, კ. ლეონტიევი და სხვები. [3] თითქოს არცთუ ისე ტოტალიტარული უნდა ყოფილიყო მეფის რუსეთი. საბჭოეთთან და პუტინის რუსეთთან შედარებით, შეიძლება დემოკრატიულ საზოგადოებადაც კი მოგვეჩვენოს. მაგრამ არის და ყოველთვის იყო ამ ერში რაღაც ისეთი, რაც ბოლოს მაინც ტოტალიტარიზმის ჩარჩოებში აქცევდა და არ აძლევდა სხვაგვარად აზროვნების საშუალებას. ეს არის ტრადიციული და ჯერჯერობით „მარადიული,“ თაობათა გონებასა და სულში საბედისწეროდ გამჯდარი რუსული მესიანიზმი, რომელსაც საუკუნეებიც კი ვერ ცვლის. სხვა იდეოლოგიებისაგან განსხვავებით იგი ყველაზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

რუსული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებელმა კიევის რუსეთმა ქრისტიანობა მე-10 საუკუნეში მიიღო ბიზანტიისგან და საკუთარი ავტოკეფალური ეკლესიაც დააარსა. მაგრამ ის არ ყოფილა მესიანისტური იდეოლოგიის სახელმწიფო. არც სხვა რუსული სამთავროები. ყველაფერი თათარ-მონღოლთა შემოსევამ და მათ მიერ რუსეთის დაპყრობამ შეცვალა. კიევის რუსეთი, ანუ თანამედროვე უკრაინის ტერიტორია ყველაზე ადრე განთავისუფლდა მონღოლების ბატონობისგან, მე-14 საუკუნის დასაწყისში, რაშიც ხალხის ეროვნულ-განმათავისურლებელი ბრძოლის გარდა დიდი როლი შეასრულა ლიტვის და პოლონეთის ექსპანსიამ აღმოსავლეთით, რომელმაც ობიექტურად უკრაინის განთავისუფლება განაპირობა. ძველი კიევის რუსეთის მიწაზე კაზაკთა სამხედრო დემოკრატია დამყარდა, სადაც წინამძღოლს, ჰეტმანს ხალხი ირჩევდა, რომელიც ანგარიშვალდებული გახლდათ სახალხო კრების წინაშე და მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთ-ლიტვის ვასალი იყო, ქვეყანა მუდამ ინარჩუნებდა პოლიტიკურ თვითმმართველობას. ასე გრძელდებოდა დიდხანს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილის მოსკოვის სამეფოსთან გაერთიანების შემდეგ (1657)და მხოლოდ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, დეოფალ ეკატერინე II-ს მმართველობის დროს მოხდა მისი სრული ანექსია. ასე რომ, უკრაინელ ხალხს, კიევის რუსეთის პირდაპირ მემკვიდრეს, „ჩრდილოელი ძმებისაგან“ განსხვავებით, დემოკრატიის საკმაო ისტორიული გამოცდილება აქვს [2].

რუსული მესიანიზმის დასაწყისი მონღოლებისაგან განთავისუფლებას, ანუ XV საუკუნის ბოლოს და XVI დამდეგს, უკავშირდება. ეს არის კონსტანტინოპოლის დაცემის და ბიზანტიის იმპერიის გაქრობის შემდგომი პერიოდი, როდესაც ასევე თურქ-ოსმანების მიერ დაპყრობილი მართლმადიდებელი სამყარო „უპატრონოდ," ანუ ლიდერის გარეშეა დარჩენილი და ვინმეს ხომ უნდა „ეზრუნა" მასზე, ვიღაცას ხომ უნდა შეესრულებინა დაცემული „მეორე რომის" როლი და მისი მემკვიდრეობა ეკისრა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალ მესიას ელოდა მძიმე მდგომარეობაში მყოფი მართლმადიდებელი სამყარო და კიდეც გამოჩნდა ამ ფუნქციის შესრულების მსურველი მოსკოვის სამეფოს სახით; რომელიც ამ გზით ცდილობდა თავის დამკვიდრებას საერთაშორისო არენაზე. არსებობს ამის დამადასტურებელი ისტორიული დოკუმენტი. ეს არის ფსკოვის ელეაზარის მონასტრის ბერის ფილოფეისის ცნობილი წერილი მოსკოვის დიდ მთავარ ვასილის მიმართ, სადაც რუსეთის მომავალ პოლიტიკურ-რელიგიურ მისიას უხსნიდა მონარქს, რომელიც დაეკისრა ბიზანტიის თურქ-ოსმალთაგან დაპყრობის შემდეგ: „ძველი რომის ეკლესიები დაეცნენ აპოლინარიების მკრეხელური ურწმუნოების გამო; მეორე რომის, ქალაქ კონსტანტინოპოლის ეკლესიათა კარები აგარის შვილიშვილებმა ჩუგლუგით გააპეს; როგორც ადრე გწერდი, ახლაც მსგავსად გეუბნები: გახსოვდეს და მისმინე ღვთისმოსავო მეფევ - ყველა ქრისტიანული სამეფო შენსაში გაერთიანდა. ორი რომი დაეცა, ხოლო მესამე დგას და მეოთხე არ იქნება, შენს ქრისტიანულ სამეფოს სხვა არ ჩაენაცვლება." (Шмурло, 2010) [2] ყურადღება მივაქციოთ სიტყვებს „ყველა ქრისტიანული სამეფო შენსაში გაერთიანდა" და ასევე „ორი რომი დაეცა, მესამე დგას და მეოთხე არ იქნება, შენს ქრისტიანულ სამეფოს სხვა არ ჩაენაცვლება." ეს ხომ პირდაპირ გამზადებული საგარეო პოლიტიკური დოქტრინაა სასულიერო წრეებიდან მიწოდებული (არავინ იცის მხოლოდ ბერი ფოლოფეისი იყო თუ არა მისი ავტორი), რომლის მისაღებადაც, როგორც ჩანს, სავსებით მზად იყო მონღოლთა უღლისაგან ახლად განთავისუფლებული ქვეყნის მონარქი - დიდი მთავარი ვასილი. ხოლო მისმა შვილმა, უკვე სრულიად რუსეთისა და მოსკოვის მეფე („ცარი") ივანე IV-მ, მრისხანედ წოდებულმა და რიურიკთა დინასტიის ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ეს დოქტრინა სახელმწიფოს ერთადერთ იდეოლოგიად, მთავარ სახელმძღვანელო პრინციპად გახადა და ყველანაირად განავითარა.

ამავე პრინციპს ემსახურებოდა საზღვრების პერმანენტული გაფართოვება, ე.წ. „მიწების შემოკრება" რომელიც ასევე ივანე მრისხანეს დროიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება; მისივე მიხედვით „წმინდა რუსეთს" არ გააჩნია სამუდამოდ დადგენილი საზღვრები, ის გაფართოვდება იქამდე, სადამდეც „საჭიროდ ჩათვლის" (წაიკითხე „სანამ არ შეაჩერებენ" ნ.დ.). ამ იდეოლოგიას ემსახურებოდა და ემსახურება და მის ინტენსიურ პროპაგანდას ეწევა რუსული სახელმწიფოს ყველა შემდგომი ხელისუფლება სხვადასხვა ფორმით თუ საფარველით. ამას აკეთებდა რომანოვების მონარქია, საბჭოთა კავშირი („წითლად მოდერნიზებული" იმპერია) და დღევანდელი რუსეთის ფედერაცია. „მესამე რომის" მანიაკალური იდეა არ იხსნება დღის წესრიგიდან. ამას საუკუნეები და რევოლუციური კატაკლიზმებიც ვერ ცვლის. მაგრამ არის კი რეალურად რუსეთი „მესამე რომი" ანუ ბიზანტიის მემკვიდრე არა მხოლოდ დეკლარაციული, არამედ ღირებულებების თვალსაზრისით? მენტალურად და ეთნოფსიქოლოგიით ის ალბათ უფრო ოქროს ურდოს მემკვიდრეა, რომლისგანაც თითქმის 300-წლიანი მონობის შემდეგ განთავისუფლდა და სავარაუდოდ სწორედ მისგან მიიღო ის „განსაკუთრებული გენეტიკური კოდი," რომელიც პერიოდულად შეახსენებდა თავს კაცობრიობას ხან სასტიკი აჯანყებებით, რომელსაც სოციალური პროგრესის მიღწევის მცდელობასთან საერთო არაფერი ჰქონდა, ხან რევოლუციებით, ხანაც საგარეო ექსპანსიით, რადგან მუდამ ევიწროებოდა „ევროპული ხიფთანი." მაგრამ ორი რამ იყო მუდამ ხელშეუხებელი სიწმინდე: ღმერთი და მეფე, როგორც ღვთის მიერ ამქვეყნიურ მმართველად მოვლენილი გვირგვინოსანი. ხალხის მასების უმრავლესობა მათ უჭერდა მხარს უპირობოდ და მიაჩნდა, რომ ყველა უბედყრების სათავე „ბოროტი ჩინოვნიკების" მიერ მეფის მოტყუება იყო. და არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა რას ამბობდნენ ცნობილი რუსი მოაზროვნე-განმანათლებლები თუ რევოლუციონერ-დემოკრატები. ასეთი ხალხის რუსეთში არასდროს ესმოდათ. მხოლოდ

ბოლშევიკებმა შეძლეს რეჟიმის შეცვლა და საკითხავია როგორ?

ბოლშევიკური რევოლუცია რუსეთში გენეტიკური იყო თუ შემთხვევითი ან თავსმოხვეული? გამოჩენილი რუსი მოაზროვნე ნიკოლაი ბერდიავი წერს: „რევოლუციურობა, ეს არის ტოტალიტარობა, მთლიანობა ცხოვრების ყველა აქტის მიმართ. უნდა გამომუშავებულიყო რუსული მარქსიზმი, რომელიც მთლიანად შეეხამებოდა ამას, ტოტალიტარულ ინსტინქტს. ეს კი ლენინი და ბოლშევიკებია. არა რევოლუციურმა ხალხოსნობამ, არამედ სწორედ ტოტალიტარულმა მარქსიზმმა შეძლო განეხორციელებინა რევოლუცია, რომელმაც რუსეთს მისცა შესაძლებლობა გადამხტარიყო კაპიტალისტური განვითარების სტადიაზე და სწორედ ეს აღმოჩნდა თანმხვედრი რუსულ ტრადიციებსა და ხალხის ინსტინქტებთან. ამ დროს დაიმსხვრა მითი გლეხი ხალხის შესახებ. საჭირო გახდა ახალი რევოლუციური მითი და იდეა ხალხზე შეიცვალა იდეით პროლეტარიატზე. ბოლშევიკები უფრო მეტად ტრადიციულები არიან ვიდრე ზოგიერთები ფიქრობენ. ის ეთანაწყობა რუსეთის ისტორიული პროცესის თავისებურებებს; მოხდა მარქსიზმის რუსიფიკაცია, ე.ი. აღმოსავლეთის კულტურულ ტრადიციებთან შეთავსება.“ [3]. აი ესეც „ოქროს ურდოს“ ძლიერი ისტორიული გავლენა, ყბადაღებული ევრაზიონიზმი წარსულში ნ. ტრუბეცკოის და პ. სავიცკის, დღეს კი ა. დუგინის შესრულებით.

რუსეთში ვერასდროს ხერხდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუცია მისი „თანდაყოლილი“ ინერტულობის გამო; მას მუდამ სჭირდებოდა ძლიერი ბიძგი რათა საბოლოოდ არ „ჩასძინებოდა.“ [2]. ამის მიზეზი კი არის სავსებით აღმოსავლური, ისტორიული და უპირობო ერთგულება ჯერ თითმპყრობელობის, შემდეგ კომუნიზმის „ნათელი მომავლის“ და დღეს ნეოიმპერიული იდეისადმი, რაც რუსეთის „ძველი დიდების“ ანუ „დიდი რუსეთის“ აღდგენაში და ვლადიმირ პუტინის, როგორც „ერის მეთაურის“ სრულ მხარდაჭერაში დგომარეობს. ანუ როგორც ალექსანდრ დუგინი იტყოდა, იმპერიის გარეშე რუსული სახელმწიფო არ არსებობს; მისი სიტყვებით „რუსეთი ან იქნება იმპერია, ან არ იქნება საერთოდ.“ ასევე რუსი ერის უმნიშვნელოვანესი გენეტიკური თვისება: პიროვნების, ადამიზნის, ინდივიდუუმის როლის აბსოლუტური იგნორირება სახელმწიფოს და „ბელადის“ სასარგებლოდ. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ა. გერცენი „ანგლოსაქსმა ხალხებმა გაათავისუფლეს პიროვნება უარყვეს რა საზოგადოებრივი საწყისი, გააცალკევეს ადამიანი; რუსმა ხალხმა კი შეინარჩუნა საზოგადოებრივი საწყისი, უარყო პიროვნება და ჩაყლაპა ადამიანი.“ [2]. ამდენად, ბოლშევიზმი, ეს რუსული რადიკალიზმის გენეტიკური გაგრძელებაა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საგულისხმოა, რომ ბოლშევიკები, რომლებიც სოციალ-დემოკრატიის ულტრამემარცხენე რადიკალურ ფრთას წარმოადგენდნენ, თანმიმდევრულად ამხელდნენ დესპოტურ თვითმპყრობელობას, პიროვნული თავისუფლების უგულებელყოფას, ეროვნული უმცირესობების ჩაგვრას, მოითხოვდნენ სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, დაპყრობილი ხალხებისათვის ეროვნული თვითგამორკვევის უფლების მიცემას, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის, განსაკუტრებით კი სამოქალაქო ომის მოგების შემდეგ სრულიად შეიცვალნენ და ყველა დაპირება დაივიწყეს. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი სავარაუდოდ არის იდეოლოგიური დოგმა, რომ კომუნისტები არიან მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის ინტერესების ყველაზე უკეთესი დამცველები და სწორია და სამართლიანია მხოლოდ ის, რასაც ისინე აკეთებენ, რაც მიმართულია „ნათელი მომავლის“ დამკვიდრების და მისი საუკუნოვანი სუფევისაკენ. ამიტომ ყველა, ვინც ამ იდეას არ იზიარებს, არის მტერი და უპირობოდ ექვემდებარება განადგურებას.[4].

ასე რომ, როგორც ვხედავთ, დროთა მანძილზე, სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების კვალდაკვალ, შეიძლება შეიცვალოს და ისიც ნაწილობრივ და ფორმალურად, რუსული მესიანიზმის მიმართულება, მაგრამ თვით მესიანიზმი, როგორც სახელმწიფო იდეოლოგია, რომ იტყვიან, არსად მიდის. რიურიკების და რომანოვების „მესამე რომის“ იდეა საბჭოთა კავშირში პროლეტარულმა მესიანიზმმა ჩაანაცვლა. საბჭოთა სახელმწიფო მსოფლიოს ყველა მშრომელის კლასობრივ მფარველად და პატრონად გამოცხადდა და ეს იდეოლოგია მუშაობდა მთელი ცივი ომის მანძილზე. დღეს კი რუსული ნეოიმპერიალიზმის ეპოქაში, პუტინის ე.წ. სუვერენული დემოკრატიის პირობებში [2] თვითმპყრობელობის პრინციპების და ასევე

„მესამე რომის“ თითქოსდა მივიწყებული იდეის რეინკარნაცია მოხდა. დაემატა კიდევ ახალი კლიშე: „რუსული სამყარო.“ მაგრამ ეს არაფერი არ იქნებოდა ხალხის უმრალესობის მხარდაჭერის (და არა მხოლოდ იძულებითი მორჩილების) გარეშე. აქტიურად ხდება ე.წ. რბილი ძალის გამოყენებაც, „ტრადიციული კულტურული კავშირების და საუკუნოვანი თანაცხოვრების“ პროპაგანდა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში, გავლენის აგენტურის და მეხუტე კოლონის ფორმირება; კვლავ წამოიწია „ერთმორწმუნეობის“ საუკუნოვანმა მითმა მართლმადიდებელ ქვეყნებში [5]; ხოლო სადაც რბილი ძალა „არ ჭრის,“ ხდება ის, რაც ახლა მიმდინარეობს უკრაინაში და რაც იყო საქართველოში 2008 წელს. ამ პროგრამის რეალიზაციას ემსახურებოდა ასევე ეთნოკონფლიქტების პროვოცირება და სეპარატისტების მხარდაჭერა.

დღეს რუსეთის არმია გაუგონარ სისასტიკეს და ბარბაროსობას ჩადის უკრაინაში, სადაც უკრაინელი ერის გმირულ წინააღმდეგობას აწყდება და ამას სწორედ ხალხის მაქსიმალურად დასაშინებლად აკეთებს, რათა პანიკით შეპყრობილმა მოსახლეობამ ზეწოლა მოახდინოს თავის ხელისუფლებაზე და აიძულოს შეწყვიტოს ბრძოლა, მაგრამ ესეც არ გამოსდის. ოკუპანტებს ებრძვის და უკან არ იხევს არა მარტო უკრაინული არმია, არამედ ქვეყნის მთელი მოსახლეობა ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. სწორედ ეს ვერ გათვალა ვ. პუტინის რეჟიმმა დასავლეთის ერთსულოვნებასთან ერთად, რაც მართლაც იშვიათი მოვლენაა.

ისმის კითხვა: ვინ არის დამნაშავე? მხოლოდ ვ. პუტინი და მისი გენერალიტეტი? განა ისინი ამდენს გაბედავდნენ მყარი საზოგადოებრივი საყრდენის გარეშე? ფაქტია, რომ ვერცერთი ტოტალიტარული რეჟიმი დიდხანს ვერ ძლებს მოსახლეობის უმრავლესობის ნებაყოფლობითი მხარდაჭერის გარეშე. ასე იყო მუდამ და ასეა ახლაც. შუა საუკუნეების კათოლიკურ ევროპაში, როდესაც ინკვიზიცია „კუდიანებზე ნადირობით“ იყო დაკავებული, „აუტოდაფეს“ მოედანზე შეკრებილი ფანატიკოსები მთელი გულით მიესალმებოდნენ „ერეტიკოსების“ კოცონზე დაწვას რიტმული შეძახილით „Anathema sit, mizerere mei” (ლათ. “შეაჩვენე ის, შემიწყალე მე.“), მესამე რაიხის წლებში გერმანელი ხალხის უმეტესი ნაწილიც ასევე ანთებული თვალებით და წინ გაშვერილი ხელით და „ჰაილ ჰიტლერის“ყვირილით ესამებოდა თავის ფიურერს, ასევე იყო საბჭოეთში 20-ანი და 30-ანი წლების მასობრივი რეპრესიების დროს, როდესაც მიტინგზე შეკრებილი ეგზალტირებული ბრბო მთელი ხმით გაჰყვიროდა „სიკვდილი ხალხის მტრებს!“ ასეა ახლაც, თანამედროვე რუსეთში. რაც არ უნდა მოიმოქმედოს ნეოფაშისტურმა ხუნტამ, ხალხის უმრავლესობა უპირობოდ უჭერს მხარს, პუტინს კი ერის მეთაურს ეძახის, რომელიც „უსამართლოდ წართმეულ მიწებს აბრუნებს“ ხოლო ვინც ასე არ ფიქრობს, უბრალოდ ლიკვიდაციას ან, უკეთეს შემთხვევაში, ხანგრძლივ პატიმრობას ექვემდებარება.[6] ასე რომ, იმაში რაც დღეს ხდება, მარტო პუტინი და მისი გარემოცვა არ არის დამნაშავე, ისევე როგორც მესამე რაიხის დანაშაულებში მხოლოდ ჰიტლერი და მისი პარტია არ არიან ბრალეული, არამედ პასუხისმგებლობა თანაბრად ნაწილდება იმ ხალხზეც, რომელმაც მათ ხელისუფლებაში დიდხანს დარჩენის და არაადამიანურ სისასტიკეთა ჩადენის საშუალება მისცა. აქ საუბარია უფრო მორალურ პასუხისმგებლობასა და ამის სრულად გაცნობიერებაზე, თორემ მთელ ხალხს ხომ ვერ გაასამართლებ და დასჯი. ხალხმა ბოლომდე უნდა შეიგნოს თავის შეცდომა და შეეცადოს მსგავსი აღარ დაუშვას. ეს კი ხშირ შემთხვევაში გარედან „დახმარების“ გარეშე ვერ ხერხდება.

და ბოლოს, დასკვნის სახით:

ისმება კითხვა: რა უნდა გაკეთდეს რუსული ტოტალიტარიზმის და ნეოიმპერიალიზმის და არა ზოგადად რუსული სახელმწიფოს დასასრულებლად? რიგ დასავლურ და ზოგ ჩვენს პოლიტიკურ წრეებში გამოითქმის მოსაზრება, რომ ამისთვის რეჟიმის სრული დამრცხებაა საჭირო. მარტო წარუმატებელი უკრაინული კამპანია არ არის საკმარისი; მით უფრო რომ უკრაინიდანაც მთლად „ნადავლის“ გარეშე არ წავა, რაღაცას მაინც წაიღებს და ამასაც გამარჯვებად ჩათვლის თავისი ხალხის წინაშე. იმპერიის დასასრულებლად ცივი ომის წაგება და სსრ კავშირის დაშლაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი და უკრაინული მარცხი იკმარებს? ამიტომ პუტინსაც იგივე უნდა დაემართოს, რაც თავის დროზე ჰიტლერს დაემართა, რის შემდეგაც გერმანელმა ხალხმა გადააფასა ფასეულობები და უარი თქვა ნაცისტურ წარსულზე. მაგრამ ამ

ორ ფენომენს შორის საკმაო წინააღმდეგობაა: ჰიტლერმა II მსოფლიო ომი დაიწყო და მსოფლიოს მიერვე დაისაჯა; თან იმ დროს ბირთვული იარაღიც არ იყო „შესული ექსპლოატაციაში“ და პლანეტის განადგურების საფრთხე არ არსებობდა. პუტინი კი, დიდი ალბათობით მსოფლიო ბირთვულ ომს არ დაიწყებს რაც NATO-ს წევრ რომელიმე ქვეყანაზე თავდასხმას შეიძლება მოჰყვეს (იმდენი გონიერება კი ეყოფა რომ თვითმკვლელობაზე არ წავიდეს) და ალბათ არც გარემოცვა მისცემს ამის უფლებას, როგორც თავის დროზე ხრუშჩოვს არ მისცეს. სხვანაირად კი ამ ქვეყანას ფიზიკურად ვერავინ შეეხება. პრობლემა სხვა გზებით უნდა მოგვარდეს.

უკრაინაში წარუმატებლობის და ამხელა მსხვერპლის და მატერიალური ზარალის შემდეგ ძნელი საფიქრებელია პუტინის რეჟიმმა უახლოეს მომავალში ახალი ფართომასშტაბიანი სამარი კამპანია წამოიწყოს რომელიმე მიმართულებით; საამისოდ რესურსი არ ეყოფა. ამიტომ ალბათ აჯობებს დასავლეთი ამ პერიოდში ყველანაირად უნდა შეეცადოს უსაფრთხოების მაქსიმალური გარანტიებით უზრუნველყოს ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრიანების ასპირანტი ქვეყნები - უკრაინა, საქართველო და მოლდოვა, რასაც რამდენადაც ვიცით, გეგმავს კიდეც ხოლო უკრაინის და საქართველოს (შესაბამისად კავკასიის) გარეშე „ძველი იმპერიის“ აღდგენაზე ფიქრიც კი არასერიოზულია. ასევე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეწყვიტოს ან შეარბილოს რუსეთის პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური იზოლაცია, ანუ სანქციების რეჟიმი რათა არა მარტო ხელისუფლებამ, მოსახლეობამაც სერიოზული დისკომფორტი იგრძნოს და რეალური მასობრივი პრეტენზიები გაუჩნდეს მმართველი გუნდის მიმართ. თან დასაკარგიც ბევრი არაფერი ჰქონდეს. თანაც უკრაინაში წარუმატებელი კამპანიის შემდეგ პუტინს ხელმოცარული მთავარსარდლის იმიჯი შეექმნება (უკვე ახლაც კი გაისმის საყვედურები კიევიდან უკან დახევის გამო) და ვეღარ იქნება თავისი ხალხისთვის ისეთი ქარიზმატული ლიდერი, როგორიც აქამდე იყო. დიდი ალბათობით ეს მოხდება, რადგან თუ რუსეთის ისტორიას გადავხედავთ, არაერთ ასეთ ფაქტს აღმოვაჩენთ. საერთოდ ამ ქვეყანაში რევოლუციები და გადატრიალებები ძირითადად წაგებული ომების შემდეგ ხდებოდა. 1856 წელს, ყირიმის ომის წაგების შემდეგ იმპერატორი ნიკოლოზ I ერთობ საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა, ისეთი ვერსიაც არის, რომ თავი მოიკლა. ამას კი სულ მალე ბატონყმობის გაუქმება მოჰყვა. 1905 წლის არშემდგარი რევოლუცია იაპონიასთან ომის წაგების შემდეგ მოხდა და ხელისუფლება იძულებული გახდა სერიოზულ დათმობებზე წასულიყო, ხოლო 1917 წლის ორივე რევოლუცია გერმანიასთან აშკარად წარუმატებელი ომისა და ქვეყნის ეკონომიკის გაპარტახების პირდაპირი შედეგი გახლდათ. რაც შეეხება სსრ კავშირის დაშლას, ანუ მეორე იმპერიის დანგრევას, ის დასავლეთთან ცივი ომის წაგებას და სამარცხვინოდ დასრულებულ ავღანურ კამპანიას მოყვა. ამგვარად, არც პუტინის რეჟიმია ასეთი პერსპექტივისგან დაზღვეული, თუ რათქმაუნდა, მეორე მხარე ყველაფერს სწორად გააკეთებს და ძველ შეცდომებს აღარ გაიმეორებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ენდრიუ ჰეივუდი - „პოლიტიკური იდეოლოგიები,“ ლოგოპრესი, თბილისი, 2004;
2. არჩილ სიხარულიძე - „რუსეთი,“ თბილისი, 2014;
3. ალექსანდრ მენი - „რუსული რელიგიური აზროვნება,“ Carpe Diem,” თბილისი, 2015;
4. ზბიგნევ ბჟეზინსკი - „დიდი საჭადრაკო დაფა,“ თბილისი, „არტანუჯი,“ 2014;
5. გუსტავ ლე ბონი - „ერების, ბრბოს ფსიქოლოგია,“ თბილისი, „მთაწმინდელი,“2013;
6. ანნა პოლიტკოვსკაია - „პუტინის რუსეთი,“ თბილისი, „არტანუჯი,“ 2014;
7. სალომე სამადაშვილი - „რუსეთის ფარული ომი,“ თბილისი, „არტანუჯი,“ 2019

World tragedy and the full model of totalitarianism

Nugzar Durmishidze Associated Professor
Georgian Technical University

Summary

This paper discusses and analyzes the peculiarities of Russian totalitarianism, its nature in the context of the ongoing war in Ukraine, which the Putin regime is waging in order to completely subjugate this country and turn it into its own satellite. However, it has not been successful in this regard yet. A review of totalitarianism in general and a comparative analysis of Russian totalitarianism with similar regimes to date has been made.

The optimal ways and means of ending the war as soon as possible and turning it into a diplomatic negotiation, as well as the optimal neutralization of the Russian neo-imperialist system are also discussed.

Probably, we all agree that Russia's full-scale aggression in Ukraine has gone far beyond local and regional borders and has acquired a global character. He had a great impact on the thinking and vision of the world community in general, people and not only politicians, and to say the least, re-evaluated many values. The world will never be the same again. And the catalyst for all this was the ongoing war in Ukraine, one of Europe's largest states, which fell victim to the total aggression of an even bigger and predatory neighbor, Russia. The purpose of this publication is not to discuss the vicissitudes of hostilities, nor to assess the unparalleled heroism of the Ukrainian people, nor to determine the "degree" of barbarism of the Russian occupiers (this is obvious to anyone who does not deliberately blind themselves), nor to predict future events. The publication aims only at a modest attempt to analyze the ideological-political, historical, ethnopsychological and mental aspects of the causes of aggression.

Keywords: totalitarianism, historical aspects, leader, neo-imperialist, total aggression, Bolshevik Russia, fascist Italy, Maoist China.

ნატოს თანამედროვე პოლიტიკა და რუსეთის უსაფრთხოების პრობლემები

ლევან ოსიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მერაბ კილაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების გზაზე თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა და რუსეთის უსაფრთხოების პრობლემები, იმ მოვლენების ფონზე, რომელიც ვითარდება ოფიციალურ მოსკოვსა და კიევს შორის, ვგულისხმობთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ 2022 წლის 24 თებერვალს გამოცხადებული უკრაინის სუვერენულ სახელმწიფოში ,,სპეციალური სამხედრო ოპერაციის" ჩატარების თაობაზე მოვლენებს, ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგანაც უკანასკნელი დღეების მოვლენები, რომელიც ფინეთისა და ნორვეგიის ნატოში გაწევრიანების მოთხოვნას მოიცავს, კიდევ უფრო მეტად ძაბავს სიტუაციას და ორმხრივი დათმობების გარეშე შეიძლება გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიიყვანოს მსოფლიო, მითუმეტეს დღეს, როდესაც ნატოს მესვეურთა მიერ აღებულმა კურსმა რუსული პოზიციების შესუსტება და საომარი მოქმედებების ესკალაცია გამოიწვია.

ნატოსა და უკრაინის ურთიერთობა 1991 წლიდან იწყება, როდესაც ქვეყანა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის (North Atlantic Cooperation Council) შემდგომში კი ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში (Euro-Atlantic Partnership Counci) გაწევრიანდა, 1994 წელს კი შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისთვის" (PfP) ნატოსთან ურთიერთობები. „გამორჩეული პარტნიორობის შესახებ ქარტიის" ფარგლებში 1997 წელს შეიქმნა ნატო-უკრაინის კომისია, რომლის მიზანსაც რეფორმების ძალისხმევის, მჭიდრო პოლიტიკური დიალოგის გამართვა და ევროატლანტიკური მისწრაფების მხარდაჭერისთვის თანამშრომლობას წარმოადგენს.

აშშ-ის პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის კაბინეტის შიგნით უკრაინის მიმართ დადებითი განწყობებისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა კიევის დიპლომატიამ. საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება პუბლიკაციებსა და ინტერვიუებში ყველაფერს თავის სახელს არქმევდა. ვაშინგტონზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა სიტყვებმა: „თუკი დასავლეთი აირჩევს დაყვავების გზას, ჩვენ დავიცავთ საკუთარ თავს... გვაქვს არსებობის უფლება და თავად ვირჩევთ ჩვენს მომავალს".

სავარაუდოდ, ევროპისა და მსოფლიოს პოლიტიკური ლანდშაფტი იმ შემთხვევაში, თუკი მთლიანი ლიბერალური სამყარო გააგრძელებს ორკესტრირებულ შეტევას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ეს მათი სახელმწიფოს ერთიანობის წინააღმდეგ გადადგმული ახალი სახიფათო ნაბიჯებია. წარმოშობილმა უთანხმოებამ რუსეთის მხრიდან ეროვნული უსაფრთხოების დარღვევა-გაღიზიანება და საომარი მოქმედებების ესკალაცია და ბირთვული ომის საფრთხე გამოიწვიოს, რამაც შესაძლოა ძირფესვიანად შეიცვალოს მსოფლიოს გეოპოლიტიკური რუკა და მიწების ხელახალი სისხლიანი გადანაწილების წინაშე აღმოვჩნდეთ, მითუმეტეს ამ ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების ანალიზი კიდევ უფრო ცხადყოფს ჩვენი დასკვნების სისწორეს და გვიმყარებს პოზიციებს ამ თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები ნატო, რუსეთი, კიევი, აღმოსავლეთით გაფართოება, სპეციალური სამხედრო ოპერაცია, ეროვნული უსაფრთხოება, პოლიტიკური ლანდშაფტი, ბირთვული ომის საფრთხე, პოლიტკური დიალოგი, ლენდ ლიზის აქტის ამოქმედება.

შესავალი

ჩვენი სამეცნიერო კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მიერ აღმოსავლეთით გაფართოების გზაზე შემოთავაზებული თანამედროვე პოლი-

ტიკა და რუსეთის უსაფრთხოების პრობლემები, იმ მოვლენების ფონზე, რომელიც ვითარდება ოფიციალურ მოსკოვსა და კიევს შორის, ვგულისხმობთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ 2022 წლის 24 თებერვალს გამოცხადებული უკრაინის სუვერენულ სახელმწიფოში ,,სპეციალური სამხედრო ოპერაციის" ჩატარების თაობაზე, ამ ფორმატში ვაანალიზებთ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას და რუსეთის უსაფრთხოების პრობლემებს.

ძირითადი ნაწილი

უკრაინის ნატოში ინტეგრაცია უკრაინის სახელწმიფოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს, მითუმეტეს დღევანდელ საომარი მოქმედებების ფონზე, როდესაც ფინეთი და შვედეთი ოფიციალურად აცხადებენ ნატოში შესვლაზე თანხმობას. „ევროპის კავშირსა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენ მისწრაფება უკრაინის კონსტიტუციის 2019 წლის რედაქციაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი, 2021 წლის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (International Republican Institute-ს) გამოკითხვით, უკრაინის სახელმწიფოს ნატოში გაწევრიანებას უკრაინის მოსახლეობის 48%-იანი მხარდაჭერა აქვს. ეს ნიშნული 2014 წლიდან მოყოლებული 34-53%-ს შორის მერყეობდა. ნატოში ინტეგრაციის მხარდაჭერა მაღალია დასავლეთ და ცენტრალურ უკრაინაში, სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში კი ნატოში გაწევრიანების მოწინააღმდეგეთა რაოდენობა ჭარბობდა, სანამ 2022 წლის 24 თებერვლის მოვლენები დაიწყებოდა.

უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და კონცეფცია, ქვეყნის ნატოში ინტეგრაციისა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენაა მიმართული. თუმცა, საბოლოო წევრობის პერსპექტივა ჯერ არ გამოჩენილა.

ნატოსა და უკრაინის ურთიერთობა 1991 წლიდან იწყება, როდესაც ქვეყანა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის (North Atlantic Cooperation Council) შემდგომში კი ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში (Euro-Atlantic Partnership Counci) გაწევრიანდა, 1994 წელს კი შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისთვის" (PfP). ნატოსთან ურთიერთობები. „გამორჩეული პარტნიორობის შესახებ ქარტიის" ფარგლებში 1997 წელს შეიქმნა ნატო-უკრაინის კომისია, რომლის მიზანსაც რეფორმების ძალისხმევის, მჭიდრო პოლიტიკური დიალოგის გამართვა და ევროატლანტიკური მისწრაფების მხარდაჭერისთვის თანამშრომლობას" წარმოადგენს. მოლოდინის მიუხედავად, ნატოს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე უკრაინას გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (Membership Action Plan) არ გადაეცა, თუმცა გადაწყდა, რომ უკრაინა გახდებოდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი, რაც მთავარი მამოძრავებელი დოკუმენტი გახდა, მაგრამ როდის შეეხება ალიანსის გაფართოება უკრაინას, არ დაკონკრეტებულა. ფაქტია, რომ მიმდინარე საომარი მოქმედებები სათავეს იღებს 2014 წლიდან. რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე შეჭრის შემდეგ ნატო განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებს ქვეყანასთან საზღვაო თანამშრომლობის გაძლიერებას და შავი ზღვის უსაფრთხოებას 2008-2009 წლებიდან მოყოლებული ყოველწლიურად ასრულებენ წლიურ ეროვნულ პროგრამას (ANP). ნატო-საქართველოს წლიურ ეროვნულ პროგრამის მსგავსად,

2016 წლის 8-9 ივლისის ვარშავის სამიტმა სათავე დაუდო ყოვლისმომცველი დახმარების პაკეტის (CAP) შექმნას და ჰიბრიდულ ომთან ბრძოლის ნატო-უკრაინის პლატფორმის შექმნას. უკრაინა ჩართული იყო ავღანეთში ნატოს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში (RSM), ერაყის მისიაში (NMI), ოპერაცია ზღვის მცველში (Operation Sea Guardian). მას შეაქვს წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში. 2020 წლიდან უკრაინა ავსტრალიასთან, იორდანიასთან, ფინეთსა და შვედეთთან ერთად „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორი" (EOP) გახდა. შედეგად, უკრაინამ ალიანსთან „თანამშრომლობის გაფართოებული შესაძლებლობების" მიღება დაიწყო, ხოლო ფინეთმა და შვედეთმა 2022 წელს დაჩქარებული წესით გააკეთეს განაცხადი და გაიარეს პროცედურები ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გასაწევრიანებლად. 2020 წელს ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის მიერ შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა ანგარიში „ნატო 2030", „ღია კარის პოლიტიკის" გაძლიერებისკენ მიმართული. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლით, ნატოს წევრებს „კონსენსუსის გზით შეუძლიათ მოიწვიონ ალიანსში ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც შესწევს

უნარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებას შეუწყოს ხელი და შეიტანოს წვლილი ჩრდილო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. „ღია კარის პოლიტიკა“ 1949 წლიდან მოყოლებული გაფართოების რვა რაუნდის შემდეგ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის კონტინგენტი 12-დან 30 ქვეყნამდე გაიზარდა. 2017 წელს მონტენეგროს, 2020 წელს კი ჩრდილოეთ მაკედონიის მიღებით ნატოს ასპირანტ ქვეყნებად რჩებიან ბოსნია-ჰერცოგოვინა, საქართველო და უკრაინა. ბოსნია-ჰერცოგოვინამ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) 2010 წელს მიიღო, საქართველო და უკრაინა კვლავ MAP-ის მოლოდინში არიან. მართალია, წესდებით MAP ნატოში ავტომატურად გაწევრიანებას არ ნიშნავს, მაგრამ ესაა „კონსულტაციების, დახმარებისა და პრაქტიკული მხარდაჭერის პროგრამა და საგზური.

ნატო წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შესრულების საშუალებას მხოლოდ MAP-ის მქონე სახელმწიფოებს აძლევს, თუმცა „MAP-ზე პოლიტიკური გადაწყვეტილების გარეშე“ მისი განხორციელების უფლება მიიღო საქართველომ და უკრაინამ, რაც მოიცავდა ერთი წლის განმავლობაში შესასრულებელ ღონისძიებებს პოლიტიკის, ეკონომიკის, თავდაცვის, რესურსების, უსაფრთხოებისა და სამართლებრივ საკითხებში. 1995 წლის კრიტერიუმებით (1995 Study on Enlargement): სახელმწიფო „სამართლიანად უნდა ეპყრობოდეს უმცირესობებს“, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს „ნატოს ოპერაციებში სამხედრო წვლილის შეტანის უნარი და სურვილი“, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს „საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული მოქმედი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა“, სახელმწიფო „მშვიდობიანად უნდა აგვარებდეს კონფლიქტებს“, სახელმწიფო უნდა ინარჩუნებდეს „დემოკრატიულ სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებსა და ინსტიტუციურ სტრუქტურებს“. როგორც ატლანტიკური საბჭო აღნიშნავს, ალიანსში ქვეყნის მიწვევა ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს პრეროგატივაა და მოკავშირეებს შორის „კონსენსუსს ეფუძნება“, რაშიც „არც ერთ მესამე ქვეყანას“ არ აქვს ჩარევის უფლება. თუკი ალიანსის 2021 წლის ბრიუსელის სამიტის კომუნიკეს გავაანალიზებთ, აქ კვლავ მეორდება ბუქარესტის 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილებისადმი ერთგულება, რომ უკრაინა „ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება და ამ გაწევრიანების პროცესის განუყრელი ნაწილია სამოქმედო გეგმა (MAP)“. აქვე გამოხატულია, რომ წლიური ეროვნული პროგრამა (ANP) ნატოსთან თანამშრომლობის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ალიანსი აფასებს თითოეული პარტნიორი ქვეყნის „არსებით კონტრიბუციას ნატოს ოპერაციებში“. საქართველოს შემთხვევაში, საინტერესოა, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი ეხმაურება ევროპული საბჭოს ლიდერის შარლ მიშელის მედიაციით მიღწეულ პოლიტიკურ შეთანხმებას ძირითად უმრავლეს და ოპოზიციურ პარტიებს შორის (Way Ahead for Georgia) და ალიანსში გაწევრიანების პროცესში გასატარებელი რეფორმების მხრივ მის შესრულებას საგულისხმო როლს აკისრებს. აქვე აღნიშნულია, რომ საქართველომ „მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა რეფორმების“ თვალსაზრისით, რამაც მისი „თავდაცვითი შესაძლებლობები და ალიანსთან ფუნქციური თავსებადობა გააძლიერა“. ნათქვამია ისიც, რომ საქართველოს „ურთიერთობა ნატოსთან საბოლოო გაწევრიანებისთვის ყველა ინსტრუმენტს მოიცავს“, რაც უკრაინასთან დაკავშირებით არაა დაკონკრეტებული, უკრაინის სახელმწიფოს შემთხვევაში გამოყოფილია რიგი რეფორმების საჭიროება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბრძოლა კორუფციასთან, პოლიტიკური პროცესების ინკლუზიურობის გაზრდა, უსაფრთხოების სამსახური და დეცენტრალიზაცია.

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მიესალმება უკვე მიღწეულ პროგრესს და მზადაა, ყოვლისმომცველი დახმარების პაკეტის (CAP) ფარგლებში გააგრძელოს უკრაინის მხარდაჭერა. ნატო „რუსეთის დესტრუქციული ქმედებების პასუხად“ რომელსაც იგი ახორციელებს ოფიციალური კიევის მიმართ ღია და აშკარა ოკუპაციისა და აგრესიის სახით, გრძელდება საქართველოსთან „თანამშრომლობა შავი ზღვის რეგიონში“ და მიესალმება ნატო-საქართველოს ახალი არსებითი პაკეტის შესრულებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. ალიანსი მზაობას გამოთქვამს ორივე ქვეყნის მხარდაჭერისთვის „ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ“. ალიანსი აგრეთვე მიესალმება გასული 2021 წლიდან უკრაინის მიერ გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორის სტატუსის მიღებასა და თანამშრომლობას შავი

ზღვის რეგიონში. ამასთანავე, ამ ყველაფრის ხელშეწყობისათვის არის დასახული ლიეტუვურ-პოლონურ-უკრაინული ბრიგადა. რაც მთავარია, ალიანსი კვლავ მხარდაჭერას უცხადებს უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ განხორციელებულ და დაგეგმილ პროგრამასა თუ მისიაში მონაწილეობას, ისევე როგორც ნატოს უახლესი სამიტის დეკლარაციის გზავნილები იმაზე მიუთითებს, რომ უკრაინასა და საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები აქვთ გადადგმული. ბრიუსელის სამიტის კომუნიკე, შესაძლებელია ახალს არაფერს ამბობდეს და გარკვეულწილად წინამორბედი დეკლარაციების მსგავს გზავნილებსაც იმეორებს, თუმცა იგი აშკარად ცხადყოფს, რომ ალიანსი საქართველოსთან და უკრაინასთან გამორჩეულ ურთიერთობას ინარჩუნებს და ინტეგრაციის პროცესში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმებისა და თავდაცვისუნარიანობის პროგრესი ცალსახაა. ეს უფრო შეიძლება ითქვას ქართულ მხარეზე, რომელიც, მიუხედავად უკრაინის შედარებით მსხვილი გეოპოლიტიკური წონისა, ნატოსთან თავსებადობის თვალსაზრისით უფრო წინაა. ფაქტია, ალიანსში გაწევრიანების კრიტერიუმებს ორივე ქვეყანა რთული გზის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს და ორივე ძლიერ ცდილობს ალიანსში ინტეგრაციის მაღალ ნიშნულზე აყვანას, თუმცა ამ ძალისხმევისა და ნატოს „ღია კარის პოლიტიკის“ მიუხედავად, ალიანსში შესვლის საბოლოო ეტაპის ვადები კვლავ უცნობია. გაწევრიანების ვადები მეტი კითხვის ქვეშ დადგა დღეს. რა უშლის ხელს საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანებას? ამისათვის შეგვიძლია მოვიშველიეოთ ნატოს, უკრაინის, საქართველოს, ალიანსის სხვა მაღალი თანამდებობის პირების და საერთაშორისო ექსპერტების თანმიმდევრული განცხადებები, რომელიც 2022 წლის 24 თებერვლამდე კეთდებოდა და მის შემდეგ, რომელიც აშკარად განსხვავდება მანამდე გაკეთებული განცხადებებისა თუ გადადგმული ნაბიჯებისაგან. რუსეთის მიერ სრულმაშტაბიან შეჭრამდე გერმანიის ოპოზიციის ლიდერმა ფრიდრიხ მერცმა მოუწოდა გერმანიის მთავრობას არ დაბლოკოს უკრაინისათვის იარაღის მიწოდება, ვინაიდან უკვე არსებობდა სხვადასხვა ქვეყნის სადაზვერვო მონაცემები, რომ ღია აგრესია გარდაუვალი იყო. უკრაინის თავდაცვის მინისტრ ოლექსი რეზნიკოვის აზრით, 2022 წლის 23 იანვარს უკრაინამ მიიღო ამერიკული სამხედრო დახმარების კიდევ ერთი ნაწილი, კიევში მეორე თვითმფრინავით ჩაიტანეს 80 ტონაზე მეტი შეიარაღება, რომელიც ამერიკელმა მეგობრებმა უკრაინას გაუგზავნეს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. რუსეთის მხრიდან აგრესიის გაზრდილი საფრთხის ფონზე, 2022 წლის 20 იანვარს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დმიტრო კულებამ განაცხადა, რომ უკრაინა თავდაცვისუნარიანობის გასაზრდელად აშშ-ისგან მიიღებს დამატებით 200 მილიონი დოლარის საშუალებებს, მათ შორის ლეტალურ იარაღს, ამერიკული სამხედრო დახმარების პირველი ნაწილი კიევმა 2022 წლის 22 იანვარს მიიღო. დაძაბულობის მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობა რუსეთის მიერ, სამხედრო სწავლებების მოტივით, უკრაინის საზღვრებთან და ანექსირებულ ყირიმში 100 ათასამდე სამხედროს განთავსებამ, რასაც კიევი და დასავლეთის სახელმწიფოები განიხილავდნენ უკრაინაში შეჭრისთვის მზადებად, რასაც რუსეთი თავიდან უარყოფდა, თუმცა, აშშ-ისა და ნატოსგან მოითხოვდა „უსაფრთხოების გარანტიებს". კრემლის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ნატოს უარი ეთქვა ალიანსში უკრაინისა და საქართველოს მიღებაზე. 2022 წ. 21 იანვარს უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმერ ზელენსკიმ ვაშინგტონ პოსტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინა მზად არის ომისათვის და პირველი შეიძლება მოხდეს ქალაქი ხარკოვის ოკუპაცია, რომელიც ახლოს არის რუსეთის საზღვართან. ყოველი უკრაინელი მზად არის ომისათვის და თავისი მიწის დასაცავად. პრეზიდენტის მთავარი გზავნილი მიმართული იყო შეერთებული შტატებისაკენ, თუ რატომ არ უწესებდა სანქციებს ამ დრომდე. 19 იანვარს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შეიჭრება სუვერენული უკრაინის ტერიტორიაზე, ამ ფაქტს წინ უსწრებდა ამერიკა-რუსეთ-ნატოს მოლაპარაკებები, სადაც ვერ შეთანხმდნენ ამ დაძაბული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში, ამის ნაცვლად რუსეთი თხოვდა შეერთებულ შტატებს და ალიანს რომ შეეჩერებინათ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება, მაგრამ არც ალიანსის

ხელმძღვანელობა და პრეზიდენტი ბაიდენმი ამაზე არ დათანხმდა, მაგრამ ბაიდენმა აღუთქვა რომ ამერიკელ სამხედროებს არ გაგზავნიდა უკრაინაში. ამასთან, ამერიკა ემუქრებოდა რუსეთს სანქციებით, მაგრამ თუ განხორციელდებოდა მცირედით შეჭრა, ორჭოფობდა სანქციების პაკეტის ამოქმედებაზე, რაც ნიშნავდა, რომ უკრაინა რჩებოდა ერთი-ერთზე აგრესორთან. პრეზიდენტმა ზელენსკიმ მოაყოლა პასუხი, რომელიც ტვიტერზე განათავსა: „ჩვენ გვინდა შევახსენოთ დიდ ძალებს, რომ არ არსებობს მცირე შემოსევები და პატარა ერები, ისევე, როგორც არ არის პატარა მსხვერპლი და მცირე მწუხარება საყვარელი ადამიანების დაკარგვისგან. მოგვიანებით ბაიდენმა 20 იანვარს თქვა, რომ თუ „ნებისმიერი ორგანიზებული რუსული ქვედანაყოფები გადაკვეთენ უკრაინის საზღვარს“, ეს იქნება შეჭრა, რომელსაც მოჰყვება „მკაცრი და კოორდინირებული ეკონომიკური პასუხი“. ამის პარალელურად უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ოლექსი რეზნიკოვმა 25 იანვარს უმაღლესი რადას სხდომაზე განაცხადა, რომ მსოფლიომ უნდა მისცეს უკრაინას საკუთარი არმიის შეიარაღების შესაძლებლობა და დახმარება საკუთარი თავდაცვა უზრუნველსაყოფად, ამასთან, მესამე პარტია სამხედრო დახმარება იარაღი მოდის შეერთებული შტატებიდან, რომელიც გააძლიერებს უკრაინის თავდაცვის სფეროს და რომლის ღირებულებაც 200 მილიონი დოლარი იქნება.

2022 წლის პირველ თებერვალს დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ბორის ჯონსონი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა უკრაინის დედაქალაქს და შეხვდა ზელენსკის. პრემიერმა განაცხადა, რომ „დიდი ბრიტანეთი უკრაინის გვერდით დგას და რუსეთს მოუწოდებს პასუხისმგებლობისაკენ რეგიონში მისი დეესკალაციისაკენ და დესტაბილიზაციის თავის არიდებისაკენ“. პარალელურად, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ესაუბრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს, რათა განიხილონ შეერთებული შტატების წერილობითი პასუხი რუსეთის მიერ უსაფრთხოების მოთხოვნის წინადადებებზე. რუსეთი გამუდმებით უარყოფდა უკრაინაში შეჭრის გეგმებს და ამტკიცებდა, რომ მას აქვს უფლება გადაადგილოს ჯარები თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ეროვნული უსაფრთხოების მიზნით.

რუსი პოლიტიკური მოღვაწის ანდრეი პიანტკოვსკის მიერ ,,ეხო მოსკვისათვის“ მიცემულ ინტერვიუში დასმულ შეკითხვაზე, თუ რისი მიღწევა სურდა პუტინს უკრაინისა და დასავლეთისგან გაწელილი, მრავალშრიანი შანტაჟით, აღარ იყო აქტუალური, მაგრამ მას რადიოსადგურისათვის ლიცენზიის გაუქმება მოჰყვა. ბაიდენის კაბინეტის შიგნით უკრაინის მიმართ დადებითი განწყობებისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა კიევის დიპლომატიამ. საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება პუბლიკაციებსა და ინტერვიუებში ყველაფერს თავის სახელს არქმევდა. ვაშინგტონზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ტვიტმა: „თუკი დასავლეთი აირჩევს დაყვავების გზას, ჩვენ დავიცავთ საკუთარ თავს... გვაქვს არსებობის უფლება და თავად ვირჩევთ ჩვენს მომავალს“. კულებას ფრაზა დასავლეთში ჩერჩილის ფრაზის ერთგვარად პარაფრაზად აღიქვეს, რომელიც უკანასკნელმა ბრიტანეთისთვის ბრძოლის დაწყების წინ წარმოათქვა: „ჩვენ დავიცავთ ჩვენს კუნძულს რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. ჩვენ არასოდეს დავნებდებით“. რუსეთის შანტაჟი დასრულდა. კრემლში წინასწარ იცოდნენ, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჟენევასა და ბრიუსელში თავის საუკეთესო საგარეო ,,ბულდოგებს“ აგზავნიდნენ არა სამშვიდობო მოლაპარაკებების, არამედ ბრძოლის დაწყების ინტერპრეტაციისთვის. უკრაინის წინააღმდეგ ომი 2014 წლის 20 თებერვალს დაიწყო. რიაბკო-გრუშკო-ლავროვის ბრიფინგებიდან გვესმოდა: „არ იფიქროთ, რომ ეს მხოლოდ უკრაინის გამო ხდება, ეს ყველაფერი მთელ დასავლეთს ეხება. ნატოს იძულებულს გავხდით უკან დაიხიოს, მინიმუმ 1997 წლის საზღვრებში“. ეს ადამიანები ელოდებდნენ მხოლოდ ვაშინგტონის წერილობით უარს, რათა ფორმალურად გამოეცხადებინათ ომი ნატოსთვის, რომელზეც ისინი მინიმუმ 2014 წლიდან ოცნებობდნენ და გეგმავდნენ. რა ინსტრუმენტები შეეძლო ჩაერთო კრემლს ნატოს ბლოკთან წარმატებული კონფრონტაციისა და მასში შემავალი წევრი სახელმწიფოების ანექსიისთვის, რომელთაც რუსეთი ეკონომიკურად მრავალგზის ჩამორჩება როგორც სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარებით და ასევე კონვენციური შეიარაღებული ძალების პოტენციალით. რუსეთის ხელმძღვანელობამ არა უნივერსალური „გარანტირებული ურთიერთგანადგურების დოქტრინა“ შესთავაზა ბირთვულ

ომის გამორიცხვით. არსებული სტატუს-კვოს შესაცვლელად უნდა გააჩნდეს პოლიტიკური ნება. რუსეთის პრეზიდენტის დღის წესრიგი მსოფლიო ომისთვის მიზნად არ ისახავდა მისთვის საძულველი შეერთებული შტატების განადგურებას. მოკრძალებული დღის წესრიგი ასეთი იყო: რუსული სამყაროს მაქსიმალურად გაფართოება, ნატოს ბლოკის დაშლა, შეერთებული შტატების, როგორც დასავლური სამყაროს უსაფრთხოების გარანტორის დისკრედიტაცია და დამცირება. მთლიანობაში ეს უნდა ყოფილიყო რევანში საბჭოთა კავშირის დამარცხებისთვის ცივ ომში.

2022 წლის 07 თებერვალს პოლონეთის პრეზიდენტმა ანჟეი დუდამ განაცხადა, რომ აუცილებლობად მიიჩნევს სახელმწიფო მეთაურთა დონეზე ნატო-საქართველოსა და ნატო-უკრაინის შეხვედრების გამართვას. ამის შესახებ პოლონეთის პრეზიდენტმა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „მე, ცოტა ხნის წინ ჩინეთისკენ მიმავალი, გზად ვესაუბრე საქართველოს პრეზიდენტს და განვიხილეთ მისი თვალით დანახული სიტუაცია. ვფიქრობ, ჩვენ უნდა ჩავატაროთ საქართველო-ნატოს შეხვედრა სახელმწიფო მეთაურების დონეზე და ასევე შეხვედრა ნატო-უკრაინის ფორმატში, რათა ჩვენი სოლიდარობა დავანახოთ ამ ქვეყნებს, რომლებიც ყოველთვის იყვნენ ალიანსის საიმედო მოკავშირეები“. ნატოს გენერალურმა მდივანმა გაიმეორა, რომ ალიანსი დაინტერესებულია უკრაინის გარშემო ვითარების დეესკალაციით და მზად არის რუსეთთან დიალოგის გასაგრძელებლად, მაგრამ ალიანსი არ აპირებს „საკუთარი ძირითადი პრინციპების სანაცვლოდ კომპრომისზე წასვლას“ და პატივს სცემს ყველა სუვერენული სახელმწიფოს უფლებას, „აირჩიოს მისთვის მისაღები ალიანსები“.

2022 წლის, 18 თებევალს, მიუნხენში გამართულ უსაფრთხოების კონფერენციაზე მსოფლიო ლიდერები განიხილავდნენ უკრაინაზე თავდასხმის საფრთხეებისა და ესკალაციის განმუხტვის დიპლომატიურ გზებს. **ბორის ჯონსონმა 19 თებერვალს გამოსვლისას რუსეთის მიერ უკრაინაში შესაძლო შეჭრის საკითხს დაუთმო ყურადღება. 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმით, უკრაინას, რომელმაც ბირთვულ იარაღზე უარი თქვა, ხოლო ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები სწორედ დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა და რუსეთმა მისცეს.** ჩვენ, დიდ ბრიტანეთში კვლავაც იმედი გვაქვს, რომ დიპლომატია და დიალოგი შედეგს მოიტანს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დღეს არსებულ ვითარებას თვალი არ უნდა გავუსწოროთ. როდესაც 130 ათას კაციანი რუსული ჯარი შეკრებილა უკრაინის საზღვრებზე, როდესაც ასზე მეტი ბატალიონ-ტაქტიკური ჯგუფი ემუქრება ამ ევროპულ ქვეყანას, ჩვენ ერთიანნი უნდა ვიყოთ ამ საფრთხის წინაშე, რადგან ეჭვიც კი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, თუ რა დევს დღეს სასწორის პინაზე: თუკი უკრაინაში შეიჭრებიან და იგი დაეცემა, ჩვენ დემოკრატიული სახელმწიფოს განადგურების მოწმენი გავხდებით, ქვეყნისა, რომელიც უკვე ერთი თაობაა თავისუფალია, რომელსაც არჩევნების ჩატარების სასიქადულო გამოცდილება გააჩნია. ყოველთვის, როცა კი დასავლელი მინისტრები კიევში ჩავსულვართ, ჩვენ ვარწმუნებდით უკრაინელ ხალხს და მათ ლიდერებს, რომ მტკიცედ ვიდექით მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის სადარაჯოზე. რაოდენ ფუყე, რაოდენ უშინაარსო, რაოდენ შეურაცხმყოფელი გამოჩნდება ეს სიტყვები, თუკი მაშინ, როცა მათი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა საფრთხეშია, ჩვენ უკრაინას თვალს ავარიდებთ. თუკი უკრაინაში შეიჭრებიან, ამ დარტყმის ექო მსოფლიოს შემოივლის. მას გაიგონებენ აღმოსავლეთ აზიაში, მას იგრძნობენ ტაივანში. როდესაც მიმდინარე კვირის განმავლობაში იაპონიისა და ავსტრალიის პრემიერებს ვესაუბრე, ვნახე, რომ მათ ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ამ მოვლენით გამოწვეულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შოკს დედამიწის მეორე მხარესაც შეიგრძნობენ. ბრიტანეთმა ევროკავშირთან და შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობით სანქციების უპრეცედენტოდ მძიმე და ძლიერი პაკეტი შეიმუშავა. ცოტა ხნის წინ პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენსაც ვესაუბრე და განვიხილეთ ის ნაბიჯები, რომლებსაც ევროკავშირი გეგმავს და რომლებიც მჭიდროდაა კოორდინირებული ჩვენს ნაბიჯებთან და თუკი რუსეთი შეიჭრება მეზობელ სახელმწიფოში, ჩვენ სანქციებს დავადებთ რუსული სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ინდივიდებსა და კომპანიებს, ჩვენ შეუძლებელს გავხდით მათთვის, ფინანსები მოიზიდონ ლონდონის საფონდო ბაზრებზე და ჩვენ დავშლით რუსული კომპანიების [ანონიმურად ფლობისათვის] შექმნილ

„მატრიოშკებს“, რათა მათი მფლობელების ვინაობა გამოაშკარავდეს. თუკი პრეზიდენტი პუტინი ფიქრობს, რომ ამგვარი მოქმედებით **ნატოს** უკან დაახევინებს ან შეაშინებს, ის მალე დაინახავს, რომ სრულიად საპირისპირო რამ მოხდება. უკვე დღეს, დიდი ბრიტანეთი და მისი მოკავშირეები **ნატოს აღმოსავლეთი** ფლანგის დაცვას აძლიერებენ. ჩვენ გავზარდეთ მონაწილეობის მასშტაბი წვრთნებში „ცივი პასუხი“ და იქ ჩვენი უახლესი ავიამზიდი HMS Prince of Wales და მესამე სპეცდანიშნულების ბრიგადა მივავლინეთ. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში პირველად შეიჭრა და 2014 წელს ყირიმის ანექსია მოახდინა, ჩვენ მუდმივად ვეხმარებით უკრაინას – 22 ათასი სამხედრო გავწვრთენით და უკანასკნელი თვეების განმავლობაში, ახალი საფრთხის გამოჩენისას, ჩვენ იმ ქვეყანათა შორის ვართ, რომლებიც თავდაცვით იარაღს აწვდიან კიევს – მათ შორის, ორი ათასი ანტი-სატანკო რაკეტის სახით. მე კმაყოფილი ვარ, რომ ამ საქმეში აშშ, პოლონეთი და ბალტიის სახელწიფოები შემოგვიერთდნენ და რომ ბევრი სხვა სახელმწიფო, ისევე როგორც ევროკავშირი, უკრაინას ეკონომიკის გაძლიერებაში ეხმარება. უკრაინის შესახებ ყალბი ცნობების კასკადი დაიწყება, რომლის მიზანიც დაბნეულობის შექმნა იქნება. უკვე ახლა იგეგმება და ხორციელდება დადგმული მოვლენები, სიყალბის ქსოვილი იკერება, რისი მიზანიც რუსული შეტევის [უკრაინულ] პროვოკაციაზე პასუხად წარმოჩენა იქნება. თუკი დღეს **ნატოს ძალები** რუსეთის საზღვართან უფრო ახლოს არიან, ეს მხოლოდ მისი გადაწყვეტილებების საპასუხოდ ხდება იმიტომ, რომ ჩვენს მოკავშირეებს მისი საქციელი გამართლებულად აშფოთებს. სწორედ ამიტომ, **ნატომ** კარი 14 ქვეყანას გაუხსნა 1999 წლის შემდეგ და ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, ეს კარი მიაჯახუნოს. თუკი დიალოგი შედეგს არ მოიტანს, და თუკი რუსეთი აირჩევს ძალა გამოიყენოს უკრაინის უდანაშაულო და მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ, უარყოს ქვეყნებს შორის ცივილიზებული ქცევის ნორმები, უარყოს გაეროს ქარტია, მაშინ ამ კონფერენციაზე დამსწრენი დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ ჩვენს კოლექტიურ ინტერესებში, რომ რუსეთი დამარცხდეს ისე, რომ ეს აშკარა გახდეს ყველასთვის. მტკიცედ მწამს, რომ უკრაინაში შეჭრისათვის მზადება პრეზიდენტ პუტინისა და მისი გარემოცვის მწარე შეცდომაა — უკრაინა ამაყი ქვეყანაა, რომლის სამხედრო ძალები 200 ათას კაცს აღემატება, რომელიც დღეს ბევრად უკეთაა მზად ბრძოლისათვის, ვიდრე 2014 წელს. მიუხედავად კონფერენციის მონაწილე ქვეყნების მცდელობისა, დაძაბულობა განემუხტათ, ვერ განხორციელდა და 2022 წლის 24 თებერვალს, საქართველოს დროით დილის 06 საათზე, რუსეთის რეგულარურმა არმიამ გადაკვეთა სუვერენული უკრაინის საზღვრები დ მრავალმხირვი ცეცხლი გაუხსნა უკრაინის სახელმწიფოს როგორც სამხედრო ობოექტებს, ასევე სამოქალაქოს, საავადმყოფოებს, სკოლებს, ბაღებს და სრულმასშტაბიანი ომის სურათი დაიხატა, რომელსაც წინ ვლადიმერ პუტინის ტელემიმართვა უსწრებდა, რომ ეს აუცილებლად ჩასატარებელი ოპერაცია იყო. ციტირება: „გარემოებები მოითხოვს ჩვენგან გადამწყვეტი და დაუყოვნებელი ზომების მიღებას... სახალხო რესპუბლიკებმა დახმარების თხოვნით მიმართა რუსეთს. ამასთან დაკავშირებით, გაეროს წესდების 51-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ფედერაციის საბჭოს სანქციით და ფედერალური ასამბლეის მიერ რატიფიცირებული, დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებთან მეგობრობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებების შესაბამისად გადავწყვიტე ჩავატარო სპეციალური სამხედრო ოპერაცია“, - განაცხადა სატელევიზიო მიმართვაში და განხორციელდა ღია აგრესია სუვერენული უკრაინის სახელმწიფოს მიმართ, თითქოს რუსეთის ფედერაციის მიერ უსაფრთხოების გარანტიების მიზეზით, რომელიც უკავშირდებოდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, უკრაინის სახელწმიფოს და მისი მოქალაქეების ურყევი ნება გამოხატულია და უკრაინა გახდება ალიანსის წევრი, ამის კიდევ ერთი დასტური უმაღლესი რადას თავმჯდომარის რუსლან სტეფანჩუკის მიმართვაა, სადაც მკაფიოდ გამოხატა უკრაინელი ხალხის ნება, რომ უკრაინის ნატოში გაწევრიანება კონსტიტუციური ჩანაწერია და ის ადრე თუ გვიან შესრულდება. რუსეთის მხრიდან ღია აგრესიას მოყვა რეაგირება. ამუშავდა მძიმე სანქციები რუსეთის ფედერაციის მიმართ, პარალელურად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა 9 მაისს „უკრაინის დემოკრატიის დაცვის ლენდ-ლიზის აქტს“ მოაწერა ხელი: „ხელს ვაწერ კანონპროექტს, რომელიც წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, მხარი

დავუჭიროთ უკრაინის მთავრობას და უკრაინელ ხალხს თავიანთი ქვეყნისა და დემოკრატიის დასაცავად ბრძოლაში პუტინის სასტიკი ომის წინააღმდეგ და ეს არ არის სისასტიკე. მანამდე 417 მომხრე, 10 წინააღმდეგი - კენჭისყრის შედეგებით 28 აპრილს წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ აქტს. აპრილის ბოლომდე, აშშ-მ უკრაინას 3.4 მილიარდი დოლარის ღირებულების დახმარება გაუწია. ვაშინგტონმა და დასავლელმა მოკავშირეებმა, რუსეთის წინააღმდეგ უპრეცედენტო ხასიათის სანქციები აამოქმედა.

პრობლემის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ცივილური საზოგადოებისათვის. მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოძიებული მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არსებობს ბევრი ავტორის შეხედულება ამ პროცესის ეფექტურობის თაობაზე. ეს, ჩვენი აზრით, რუსეთისთვის მიცემული გარკვეული სიგნალია იმისა, რომ ნატო გახდება მომავალი შემაკავებელი ფაქტორი მოსკოვის შემდგომი აგრესიული ქმედებების გზაზე, მითუმეტეს, ფაქტია, რომ ამ ეტაპზე რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებულმა სანქციურმა პოლიტიკამ გარკვეული მაგრამ საბოლოოდ არაეფექტური შემაკავებელი ფაქტორის როლი ითამაშა და ნეგატიური ეკონომიკური ეფექტიც მოიტანა, თუმცა ნატოს გაფართოების საბოლოო მიზანი მიღწეული იქნება მაშინ, როდესაც იგი რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებასაც გამოიწვევს და ბევრი ლიბერალი მკვლევარის აზრით, რუსეთი იძულებული გახდება უარი თქვას აგრესიულ პოლიტიკაზე. ამისათვის საჭიროა, ნატოს მხრიდან თანმიმდევრული შეკავებული კარგად მოფიქრებული, გააზრებული და შესაბამისად პრაქტიკაში გონივრულად განხორციელებული ნაბიჯები.

პროფესორ რევაზ მიშველაძის ნაშრომში „საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო“ და დოქტორანტ მ. ჯუგაშვილის სადოქტორო დისერტაციაში „რუსეთის პოლიტიკა საერთაშორისო სანქციების პირობებში“, საუბარია თანამედროვე რუსულ პოლიტიკასა და მის მიერ განხორციელებულ აგრესიულ ნაბიჯებზე (მათ შორის საქართველოში) და გვთავაზობენ რამდენადმე უკუპროპორციულ მოსაზრებას და ცალმხრივ რეკომენდაციებს, რასაც შემოკლებით გთავაზობთ: 1) უნდა შეავიწროვონ რუსეთი იარაღის ბაზარზე, საიდანაც შემოსული მოგება წარმოადგენს ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს და იგი უნდა ჩაანაცვლოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც შედარებით იაფად მიაწვდის თავის ახალ იარაღს და ამით ძლიერ დარტყმას მიაყენებს რუსეთის ეკონომიკას. 2) მსოფლიო ბაზარზე შეუმცირონ სესხები, რასაც ავტომატურად მოჰყვება რუსული მანეთის გაუფასურება. 3) სიახლე არ არის, რომ რუსეთი ჩამორჩება ტექნოლოგიების თვალსაზრისით განვითარებულ ევროპას, ამერიკას და იაპონიას. მისთვის უდიდესი დარტყმა იქნება, თუ მას გადაუკეტავენ ახალი ტექნოლოგიების შედინების ჭიშკარს. 4) დასავლეთმა მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი „ტვინების გადინების“ პროცესს, რითაც რუსეთი მეცნიერული გაყინვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. 5) დასავლეთი უნდა დაეხმაროს რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ მცირე ერებს თვითგამორკვევისაკენ სწრაფვაში, მაგ. ჩრდილო კავკასიელ ხალხებს, რითაც დაჩქარდება რუსეთის იმპერიის რღვევის პროცესი, რაც უარს ათქმევინებს აგრესიულ პოლიტიკაზე საერთაშორისო არენაზე. 6) დასავლეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მიაღწიოს რუსეთისგან სრულ ენერგოდამოუკიდებლობას და მხარი დაუჭიროს ისეთ პროექტებს, როგორიცაა „ნაბუქო“, სამხრეთ-აღმოსავლეთის გაზსადენი და ა.შ, რაც საშუალებას მისცემს მათ უფრო ქმედითად იმოქმედონ და გამოიყენონ ზემოქმედების ყველა ბერკეტი. 7) საერთაშორისო სასამართლომ ყველა დანაშაულზე პასუხი აგებინონ რუსეთს, რათა მიხვდეს, რომ დაუსჯელი არ დარჩება უკანონო ნაბიჯები. 8) დროებით უნდა მიჩუმათდეს სასაზღვრო დავები რუსეთსა და ჩინეთს, ვიეტნამს, იაპონიას შორის. 9) ლარსის გამშვები პუნქტი უნდა გახდეს რუსეთზე ზეწოლის ბერკეტი. თუ ჩაიკეტება სომხეთთან დამაკავშირებელი გზა, ადვილად შეიძლება რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში დათმობაზე წამოვიდეს. 10) რუსეთს უნდა გაუაქტიურონ საგარეო ვალები, რაც აიძულებს მას, წიაღისეული გაყიდოს ნახევარ ფასად, რაც გამოიწვევს მის ეკონომიკურ კრიზისს. 11) ამერიკამ ყველა სტრატეგიულ წერტილში, მათ შორის საქართველოში უნდა ჩააყენოს ჯარი, რუსული ბაზების საპირწონედ. 12) ამერიკამ დახმარება უნდა გაუწიოს რუსეთის მიერ დაპყრობილი

ხალხების პარტიზანულ ბრძოლებს. [19-18] მიუხედავად ჩვენი კეთილი განწყობისა ავტორთა მიმართ, ვფიქრობთ, ტენდენციური და ცალმხრივი წინადადებებია შემოთავაზებული, რადგან ერთი მხარის პოზიციების წინააღმდეგაა გატარებული და გამორიცხავს ორმხრივ და თანასწორუფლებიან თანამშრომლობას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხი მხარეთა დიდი სურვილის მიუხედავად, ამჟამინდელი რუსეთის ფედერაციის ფაქტორის გაუთვალისწინებლად და დიდი სახელმწიფოების ქმედითი და უფრო აქტიური მხარდაჭერის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია, რადგან არაერთგზის გამოვცადეთ, რომ შენი სახელმწიფოს სუვერენული ინტერესების დასაცავად საგარეო პოლიტიკურ ავანსცენაზე ზედმეტ პრობლემებს არავინ გაიჩენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ. 27.04.2016 წელი.
2. ოსიძე ლ., თანამედროვე ამერიკული დემოკრატიის გამოწვევები, თბ., 2021
3. https://www.radiotavisupleba.ge/a/31350051.html რადიო თავისუფლება
4. https://1tv.ge/news/jeims-apaturais-eqskluziuri-interviu-saqartvelos-pirvel-arkhtan-video/ პირველი არხი, ინტერვიუ ჯეიმს აპატურაისთან.
5. Федеральный конституционный закон от 21.03.2014 N 6-ФКЗ (ред. от 04.04.2020) "О принятии в Российскую Федерацию Республики Крым и образовании в составе Российской Федерации новых субъектов - Республики Крым и города федерального значения Севастополя".
6. https://1tv.ge/news/luk-kofi-nato-shi-gawevrianebas-map-ar-schirdeba-saqartvelos-map-ar-schirdeba/ ლუკ კოფი - ნატო-ში გაწევრიანებას MAP-ი არ სჭირდება.
7. https://1tv.ge/news/luk-kofi-droa%e2%80%8b-nato-m-gaitvaliswinos-turqetis-rcheva-da-saqartvelos-wevroba-mianichos/ ლუკ კოფი - ნატომ გაითვალისწინოს თურქეთის რჩევა და საქართველოს წევრობა მიანიჭოს
8. ოსიძე ლ., ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელები, თბ., 2021
9. https://base.garant.ru/70830556/ - Военная доктрина Российской Федерации (утв. Президентом РФ 25 декабря 2014 г. N Пр-2976)
10. გუგუშვილი ა., დისერტაცია ,,ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა პოსტ-საბჭოთა სივრცეში“ (საქართველო-უკრაინა) (თბ., 2020)
11. გვიშიანი ვ., დისერტაცია ,,რუსეთი და და აშშ-ს პოლიტიკური ინტერესები საქართველოში”. (2001-2012) (თბ., 2020)
12. https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan (ბოლო გადამოწმება 09.05.2022)
13. https://1tv.ge/news/jeims-apaturai-nato-ukve-ekhmareba-saqartvelos-koronavirustan-brdzolashi-da-vecdebit-gavaketot-meti/ .
14. მიშველაძე რ., „საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო“, თბ., 2018
15. ჯუგაშვილი მ., რუსეთის პოლიტიკა საერთაშორისო სანქციების პირობებში, სადოქტორო დისერტაცია, (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), თბ., 2021
16. https://1tv.ge/news/jeims-apaturai-nato-ukve-ekhmareba-saqartvelos-koronavirustan-brdzolashi-da-vecdebit-gavaketot-meti/ ჯეიმს აპატურაი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი
17. მაისურაძე დ., დისერტაცია სტუ, ,,ნატო-რუსეთი და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“, (თბ., 2020)

18. https://www.interfax.ru/russia/824020 საინფორმაციო სააგენტო ინტერფაქსის მიერ გამოქვეყნებული რუსეთის პრეზიდენტის 2022 წლის 24 თებერვლის მიმართვა ,,სპეციალური სამხედრო ოპერაციის" ჩატარების შესახებ, ტექსტური ვერსია, მიმართვამ ნახევარი საათი გასტანა 28.04 წუთი;
19. Верховна Рада України, Конституція України (1996).
20. IRI, Public Opinion Survey of Residents of Ukraine (2021): p. 56.
21. Президент України, Стратегія національної безпеки України (2020).
22. NATO, Relations with Ukraine (2021).
23. Mission of Ukraine to NATO, Ukraine's participation in Alliance-led operations (2021).
24. ნატო, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება (1949).
25. NATO, Enlargement (2020).
26. NATO, Membership Action Plan (2020).
27. https://www.friedrich-merz.de/merzmail?fbclid=IwAR1qPT ფრიდრიხ მერცის ოფიციალური გვერდი 25.01.2022
28. https://www.radiotavisupleba.ge/a/31668186.html?fbclid=IwAR0NzM რადიო თავისუფლება 24.01.2022
29. https://www.washingtonpost.com/outlook/2022/01/20/ukraine-russia-zelensky-interview/ ვაშინგტონპოსტის ოფიციალური გვერდი 20.01.2022
30. https://24tv.ua/ukrayinu-pribude-tretiy-bort-zi-zbroyeyu-zi-ssha-ukrayina novini_n1850689?fbclid=IwAR2kl5EUosOxxnH-rKkQxiVe-WzRVC793MLUxr7FXbnz6MtJqvRSwn2PXuo ტელეარხი 24 ოფიციალური გვერდი 25.01.2022
31. https://www.youtube.com/watch?v=gnlCAhCl9c4 The Independent -ის ოფიციალური იუთუბ არხი - 01.02.2022 პრემიერ ბორის ჯონსონის ვიზიტი
32. https://www.ndtv.com/world-news/united-kingdom-prime-minister-boris-johnson-meets-ukrainian-president-volodymyr-zelenskyi-in-kyiv-amid-tensions-with-russia-2743791 ოფიციალური გვერდი
33. https://www.radiotavisupleba.ge/a/31691763.html?fbclid=IwAR2HcwQEka2YywaAsUevTpV5LT0Lgeun2CSQxr_U0Zu7H-rFI3677Yv4WKc - პოლონეთის პრეზიდენტის ანჟეი დუდას განცხადება.
34. https://www.gov.uk/government/speeches/pm-speech-at-the-munich-security-conference-19-february-2022 - გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ოფიციალური გვერდი - მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია - 18-20 თებერვალი, 2022.
35. https://www.youtube.com/watch?v=Pa5vbH-urtI - მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია - 18-20 თებერვალი 2022.
36. http://kremlin.ru/events/president/news/67843 რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალური გვერდი - რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიმართვა - ე.წ. ,,სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესახებ - 24.02.2022
37. https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2022/05/09/remarks-by-president-biden-at-signing-of-s-3522-the-ukraine-democracy-defense-lend-lease-act-of-2022/?fbclid=IwAR2AzPdRtrf8oKiVfmcL--B4uHlMuJ2NxhmCYdfUKipy_VCXxjcn2J0p_30 - თეთრი სახლის ოფიციალური გვერდი - ლენდ ლიზის აქტის ამოქმედება 09.05.2022
38. https://www.amerikiskhma.com/a/6563804.html?fbclid=IwAR13qc6ILH8qfeJbne6XktH5beYh4-f9b-0jg3WZ3ySIZQzeYYsCX-QHUAo - ამერიკის ხმის ოფიციალური გვერდი - ლენდ ლიზის აქტის ამოქმედება 09.05.2022

NATO Modern Policy and Russia's Security Problems

Levan Osidze, Asociated professor
Georgian Technical University

Merab Kiladze, PhD student
Georgian Technical University

Summary

Contemporary world politics and Russia's security problems on the path to the expansion of the North Atlantic Alliance in the light of the events unfolding between official Moscow and Kiev, meaning the "special military operation" in sovereign country Ukraine declared by the President of the Russian Federation Vladimir Putin on February 24, 2022, which is very significant and important problem, because the recent events, which include the demand for Finland and Norway to join NATO, further aggravates the situation and without bilateral concessions can lead to unintended consequences for the world, especially today due to the fact that the course taken NATO leads to the weakening of Russian positions and the escalation of hostilities.

NATO-Ukraine relationship dates back to 1991, when the country joined the Euro-Atlantic Partnership Council following the North Atlantic Cooperation Council, and in 1994 joined the Partnership for Peace program (PfP) Relations with NATO. The NATO-Ukraine Charter on Distinguished Partnership established the NATO-Ukraine Commission in 1997 with the aim of pursuing reform efforts, closer political dialogue, and cooperation in support of Euro-Atlantic aspirations.

Kiev diplomacy has played a key role in the fight for a positive attitude towards Ukraine inside the office of US President Joseph Biden. Foreign Minister Dmitry Kuleba called everything by his name in publications and interviews. Washington was impressed by his words: "If the West chooses the path of prosperity, we will defend ourselves ... we have the right to exist and we choose our own future."

Most likely, the political landscape of Europe and the world in the event that the entire liberal world continues to orchestrate the attack on the Russian Federation, who believe that these are new dangerous steps taken against the unity of their state. Disagreements on the part of Russia have led to a breach of national security, escalation of hostilities, and the threat of nuclear war, which could radically change the world geopolitical map and lead to bloody redistribution of lands, especially events that has happened in recent days Strengthens our positions in this regard.

Terms used in the topic: NATO, Russia, Kiev, enlargement to the east, special military operation, national security, political landscape, threat of nuclear war, political dialogue, enactment of the Lend-Lease Act.

რუსეთ-უკრაინის ომი: გამოწვევები ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებისთვის

ნატა გარაყანიძე
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს რუსეთ-უკრაინის ომით შექმნილი გამოწვევები ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებისთვის. ამ კონტექსტში საუბარია რუსულ ენერგორესურსებზე ევროკავშირის ამჟამინდელ დამოკიდებულებაზე და მიმოხილულია ევროკომისიის მიერ ბოლო პერიოდში შემუშავებული გეგმა, რომლითაც უნდა მოხდეს მიწოდების დივერსიფიკაცია და რუსეთზე დამოკიდებულებისგან „განთავისუფლება". ასევე განხილულია ის პრობლემები, რაც ამ გეგმის წარმატებით და დროულად შესრულებას უშლის ხელს. ამ ყველაფრის შედეგად, ნაშრომი პასუხობს მთავარ შეკითხვას - **რამდენად აქვს ევროკავშირს რეალური შესაძლებლობა იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში (2030 წ.) გათავისუფლდეს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისგან?**

ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ უახლოეს მომავალში ევროკავშირის განთავისუფლება რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულებისგან ნაკლებად რეალურია. ეს, გარკვეულწილად, გამოწვეულია რეალური ალტერნატივის არარსებობით (სხვა მიმწოდებლების არასაკმარისი შესაძლებლობები), თავად ევროპის დაგვიანებული რეაქციით (რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიამდე ევროკავშირს არც ერთი რეალური ნაბიჯი არ გადაუდგამს მოსკოვზე ენერგოდამოკიდებულების შესამცირებლად, უფრო მეტიც, ბოლო წლებში რუსეთთან ერთად განხორციელდა ახალი მილსადენის პროექტიც), რთული ფინანსური და ინფრასტრუქტურული საკითხებით, რომელთა გადაწყვეტა მოკლევადიან პერსპექტივაში წარმოუდგენელი ჩანს. ამ ყველაფერს ემატება ევროპის „ერთი ხმით საუბრის" პრობლემაც (წევრო ქვეყნების ეროვნული ინტერესების უპირატესობა „კოლექტიური სარგებლის" ნაცვლად), რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ეფექტური სანქციების დაწესებას და ენერგოდამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას ხელს უშლის. ყოველივე ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ნათელია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ევროკავშირი დადგა ენეგოუსაფრთხოების ისეთი გამოწვევების წინაშე, რომელთა გადაჭრა პრობლემატურია და დიდი დრო სჭირდება.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, რუსეთი, ენერგოუსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა.

შესავალი

2022 წ. თებერვლიდან რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების ფონზე ევროკავშირმა აშშ-სთან, კანადასთან და განვითარებული სამყაროს სხვა ქვეყნებთან ერთად მკაცრი ეკონომიკური და ფინანსური სანქციები დაუწესა მოსკოვს. თუმცა, შეზღუდვების მიუხედავად, რუსეთის ეკონომიკას ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანი ზარალი არ განუცდია. არც საომარი მოქმედებები შეჩერებულა. ეს, პირველ რიგში, იმიტომ ხდება, რომ მოსკოვი ყოველდღიურად ჯერ კიდევ მილიონობით ევროს იღებს საკუთარი გაზისა და ნავთობის ექსპორტის შედეგად. ამდენად, დასავლეთისთვის ამჟამად ყველაზე რთულ და მნიშვნელოვან პრობლემად რჩება რუსეთისთვის შემოსავლის მთავარი წყაროს - ენერგორესურსების ექსპორტის - შეზღუდვა. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის, ვინაიდან ის აღმოჩნდა ერთგვარი დილემის წინაშე - ერთი მხრივ, შეუწყვიტოს რუსეთს ომის წარმოებისთვის აუცილებელი შემოსავლებიის მიღება, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან აირიდოს ენერგოკრიზისი საკუთარ საზღვრებში, მით უფრო, რომ რუსეთ-უკრაინის დაძაბული ურთიერთობების გამო 2006-2009 წწ. ევროპა უკვე აღმოჩდნა ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტის საფრთხის წინაშე.

რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმიდან თითქმის ორ კვირაში ევროკომისიამ წარმოადგინა რუსული ენერგორესურსებისგან განთავისუფლების კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვითაც,

2030 წლისთვის ევროკავშირმა უნდა მოახერხოს რუსულ გაზზე, ნავთობზე და ქვანახშირზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება. აღნიშნული პროექტი პრობლემატური ჩანს, თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის რუსეთზე ამჟამინდელ დამოკიდებულებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ, ტრადიციულად, ენერგოუსაფრთხოება ის სფეროა, სადაც „ევროპის ერთი ხმით საუბრის“ პოლიტიკა ხშირად დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. ამდენად, იბადება მნიშვნელოვანი შეკითხვა: **რამდენად აქვს ევროკავშირს რეალური შესაძლებლობა იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში (2030 წ.) გათავისუფლდეს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისგან?**

დამოკიდებულება რუსულ ენერგორესურსებზე რუსეთისთვის შემოსავლის მთავარი წყაროს შემცირების მიზნით აშშ-მ უკვე ოფიციალურად განაცხადა რუსული გაზის, ნავთობის და ქვანახშირის იმპორტის შეწყვეტის შესახებ; დიდმა ბრიტანეთმა კი რუსული ენერგორესურსების ემბარგოს განხორციელება 2023 წლიდან უნდა დაიწყოს (Politi, McCormick, Pickard, 2022). ორივე ქვეყნისათვის ამ ნაბიჯების გადადგმა ნაკლებად პრობლემატურია, ვინაიდან რუსული რესურსების ხვედრითი წილი აშშ-სა და ბრიტანეთს მთლიან იმპორტში ნაკლებია. თუმცა, იგივე არ ეხება ევროკავშირს, რომელიც საკუთარი მოხმარების თითქმის 90%-ს იმპორტირებული ენერგორესურსებით უზრუნველყოფს. ამათგან, გაზის მთლიანი იმპორტის 45%, ასევე ნავთობის 26% და ქვანახშირის 41% რუსეთზე მოდის (იხ. სურათი N1, სურათი N2, სურათი N3).

ევროკავშირის დამოკიდებულება რუსულ გაზზე:

სურათი N1. ევროკავშირის გაზის იმპორტი 2021 წ.

წყარო: ევროკომისია

ევროკავშირის დამოკიდებულება რუსულ ნავთობზე:



სურათი N2. ევროკავშირის ნავთობის იმპორტი 2020 წ.

წყარო: ევროკომისია

ევროკავშირის დამოკიდებულება რუსულ ქვანახშირზე:



სურათი N3. ევროკავშირის ქვანახშირის იმპორტი 2017 წწ.

წყარო: ევროკომისია, EUROSTAT

2021 წელს ევროკავშირმა რუსეთისგან 155 მილიარდი კუბ. მეტრი გაზი მიიღო (European Commission, 2022), ამავე წელს ყოველდღიურად რუსეთიდან ევროკავშირის ქვეყნებში 2.4 მილიონი ბარელი ნავთობის ექსპორტი ხორციელდებოდა (IEA, 2022); 2021 წელს რუსეთიდან ევროკავშირში იმპორტირებული ქვანახშირის საერთო რაოდენობა კი 69 მილიონ ტონამდე გაიზარდა (IEA, 2022). ეს რიცხვები ცხადყოფს, რომ ევროპისთვის რუსული ენერგორესურსებისაგან ერთიანად განთავისუფლება მოკლევადიან პერსპექტივაში რთული უნდა იყოს.

ევროკავშირის 2022 წ. გეგმა

2022 წ. 8 მარტს ევროკომისიამ წარმოადგინა ახალი გეგმა სახელწოდებით „REPowerEU: Joint European action for more affordable, secure and sustainable energy“ - „ევროპის ერთიანი ქმედება უფრო ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და მდგრადი ენერგიისთვის“. აღნიშნული ინიციატივა რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმისა და ენერგორესურსებზე ფასების რეკორდული ზრდის პასუხია. განსაკუთრებით ხაზგასმულია რუსული აგრესიის ფაქტორი, ვინაიდან ის უშუალოდ ქმნის ევროპისთვის ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოების პრობლემას. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ევროკავშირმა გადაწყვიტა, დაჩქარებული ტემპებით მოახდინოს მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია და განახლებადი ენერგიის სექტორში ინვესტიციების ზრდა.

ევროკავშირის გეგმაში გაწერილია კონკრეტული მოკლევადიანი (2022-2030 წწ.) მიზნები: **2022 წ. შემოდგომისთვის ევროკავშირის ქვეყნებში გაზის საცავები 80%-მდე უნდა შეივსოს (მომდევნო წლებში 90%-მდე), რაც ზამთრისთვის რესურსების დეფიციტის პრობლემას აღმოფხვრის. გაზის მიღება უნდა მოხდეს გაზის გამათხევადებელი ტერმინალებითა და რუსეთის გარდა სხვა მიმწოდებლებისგან მილსადენებით; 2030 წლისთვის უნდა მოხდეს ყოველწლიურად 35 მილიარდი კუბ. მეტრი ბიომეთანისა და დამატებით 15 მილიონი ტონა ჰიდროგენის წარმოება; მზისა და ქარის ენერგიის წარმოება უნდა გაორმაგდეს (ასევე ევროკავშირის „მწვანე შეთანხმების“ ნაწილი).**

ყოველივე ზემოთ თქმულის შედეგად, ევროკომისია ვარაუდობს, რომ რუსულ რესურსებზე დამოკიდებულება უკვე მიმდინარე წლის ბოლომდე ორი მესამედით შემცირდება. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს ევროპის მხოლოდ ერთ მიმწოდებელზე

დამოკიდებულების გაუქმებას. გეგმაში ასევე აღნიშნულია, რომ ევროპაში ყოველწლიურად უნდა შემცირდეს სასარგებლო წიაღისეულის (გაზი, ნავთობი, ნახშირი) მოხმარება ისე რომ, 2030 წლისთვის 30%-ით ნაკლები რესურსი იყოს დახარჯული, ვიდრე - დღეს. ეს დაახლოებით 155 მილირადი კუბ. მეტრია წელიწადში, ე.ი. ის რაოდენობა, რასაც ევროკავშირი დღეისათვის რუსეთისგან იღებს (European Commission, 2022).

მართალია, ევროკომისიის 2022 წ. 8 მარტის გეგმა ოპტიმალურ მომავალს აღწერს, თუმცა, მის წარმატებით განხორციელებასთან არაერთი პრობლემაა დაკავშირებული. ეს განსაკუთრებით გაზის საკითხს ეხება. ქვემოთ განხილულია რამდენიმე მათგანი.

ევროკავშირის 2022 წ. გეგმის პრობლემები

საცავების შევსება

ევროკავშირის გეგმის მიხედვით, მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა მოხდეს გაზის საცავების შევსება. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე ევროკავშირის ქვეყნები რუსულ გაზს ძირითადად ტრადიციული გზით - მილსადენების საშუალებით იღებენ. ეს კი განსაკუთრებით პრობლემატური ხდება ამჟამინდელი ომის პირობებში, ვინაიდან რუსეთიდან გაზი სწორედ უკრაინის ტერიტორიის გავლით („ძმობისა“ და „კავშირის“ მილსადენები) ხვდება ევროპაში. ამდენად, არსებობს მიწოდების შეწყვეტის რეალური საფრთხე. 2022 წ. მაისში უკვე ცნობილი გახდა, საომარი მოქმედებების შედეგად, რუსეთის მიერ უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული გაზის გამანაწილებელი სადგურის დაზიანების შესახებ, რასაც შესაძლოა ტრანზიტის მესამედის დაკარგვა მოყვეს (Polityuk and Twidale, 2022). გარდა ამისა, რუსული სახელმწიფო კომპანია „გაზპრომის“ განცხადებით, „არამეგობრული“ ევროპული ქვეყნები, რომლებიც უარს ამბობენ გაზის საფასურის რუბლში გადახდაზე, ვეღარ მიიღებენ რუსულ გაზს. ამ გადაწყვეტილების აღსრულება დაიწყო 2022 წ. აპრილის ბოლოს, როდესაც „გაზპრომმა“ მართლაც შეუწყვიტა გაზის მიწოდება პოლონეთს და ბულგარეთს, რომლებმაც რუბლში გადახდაზე უარი განაცხადეს (Islam, 2022). ამ რეალობის გათვალისწინებით, ნათელია, რომ გაზსაცავების რუსული გაზით შევსების შესაძლებლობა ბოლომდე რეალური ვერ იქნება.

თხევადი გაზი

ევროკავშირის გეგმაში აღნიშნულია, რომ რუსეთზე დამოკიდებულებისგან თავდასაღწევად ერთ-ერთი გამოსავალია გათხევადებული გაზის იმპორტის გაზრდა. იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი მართლაც უარს იტყვის საკუთარი ენერგორესურსების ევროპაში ექსპორტზე, ან თუ დაზიანდება მილსადენები, ევროპის ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ გაზის გათხევადებული სახით მიღება. აღსანიშნავია, რომ ნავთობის და ქვანახშირის შემთხვევაში ტრანსპორტირების პრობლემა ნაკლებად აქტუალურია, ვინაიდან მათი გადატანა ხდება ტანკერებითაც, რკინიგზითაც და სატვირთო ავტომობილებითაც. გარდა ამისა, არ არსებობს რუსული ნავთობისა და ქვანახშირის ალტერნატივებით ჩანაცვლების დიდი სირთულეც - ევროპულმა კომპანიებმა უკვე დაიწყეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (საუდის არაბეთ, ემირატები, ერაყი) ნავთობის იმპორტის ზრდა, ხოლო 2022 წ. 7 აპრილს კი გადაწყდა, რომ ა.წ. 10 აგვისტოდან ევროპა სრულად იტყვის უარს რუსულ ქვანახშირზე (ევროკავშირი ისედაც მიიჩნევს ქვანახშირს „ბინძურ“ რესურსად და მკვეთრად ამცირებს (დაახლოებით 13%) მის გამოყენებას ელექტროენერგიის წარმოებაში) (Eddy, 2022). თუმცა, იგივე არ ეხება გაზს. თხევადი გაზის ტრანსპორტირება მილსადენების ნაცვლად ხორციელდება სპეციალური ტანკერებით, რომლებიც გაზის თხევად მდგომარეობაში შენახვას დაახლოებით -160 გრადუს ტემპერატურაზე უზრუნველყოფენ. დანიშნულების ადგილზე მიღწევის შემდეგ ხდება გათხევადებული გაზის რეგაზიფიკაცია. ამას კი სპეციალური ტერმინალი სჭირდება, რომლის მშენებლობის საფასური აშშ-ში დღეისათვის მილიარდ დოლარს აღწევს. თხევადი გაზის მიღების უზრუნველყოფა ტექნიკურადაც და ფინანსურადაც უფრო რთული პროცესია. სწორედ ამიტომ წლების მანძილზე ევროკავშირმა არაერთხელ უარყო აშშ-ს შეთავაზება, რუსული მილსადენის გაზის ნაცვლად ამერიკული თხევადი გაზი შეეძინა.

ამჟამად რეგაზიფიკაციის ტერმინალები ევროკავშირის მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს აქვს. ისინი მხოლოდ მცირე რაოდენობის გაზის იმპორტს უზრუნველყოფენ (იხ. სურათი N4). მათ რიცხვში არ არის გერმანია - რუსული გაზის ყველაზე მსხვილი

იმპორტიორი. გერმანიამ თხევადი გაზის პირველი ტერმინალის მშენებლობის შესახებ მხოლოდ 2022 წ. მაისში განაცხადა. ცნობილია, რომ მისი მეშვეობით გერმანიას ყოველწლიურად 8 მლრდ. კუბ.მეტრი გაზის მიღება შეეძლება მაშინ, როდესაც ყოველ წელს ქვეყანა დაახლოებით 70 მლრდ. კუბ. მეტრი რუსული გაზის იმპორტს ახორციელებს (Jelinnek, 2022). ამდენად, თხევადი გაზის ალტერნატივა ახლო მომავალში გერმანიის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების გათავისუფლებას ვერ უზრუნველყოფს.

2021 წელს ევროკავშირის ქვეყნების მიერ თხევადი გაზის ტერმინალებით განხორციელებული გაზის იმპორტი (მლრდ. კუბ.მეტრი):



სურათი N4. ევროკავშირის ქვეყნების მეირ თხევადი გაზის იმპორტი 2021 წწ.

წყარო: ING Research

დღეისათვის არც აშშ-ში (მხოლოდ 7 ტერმინალი) და არც ევროპაში (28 მცირე ზომის ტერმინალი) არ არის საკმარისი ტერმინალები და ტანკერები იმისათვის, რომ ამერიკულმა თხევადმა გაზმა მთლიანად ჩაანაცვლოს რუსული მილსადენის ბუნებრივი აირი ევროპაში. ახალი ტერმინალების მშენებლობას მილიონობით ევრო და ათწლეულები დასჭირდება (მათ შორის საჭირო ნებართვისა და ლიცენზიის მიღების პროცედურების ვადები). ამდენად, დღეისათვის ერთადერთი მოკლევადიანი გამოსავალი იქნებოდა ამერიკული ტანკერების აზიის ქვეყნების ნაცვლად (თხევადი გაზის ექსპორტი აშშ-დან ძირითადად აზიაში ხდება) ევროპისკენ გადამისამართება. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა იაპონია, ან სამხრეთ კორეა უარს იტყვიან საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მათთვის კუთვნილ გაზს ევროპას დაუთმობენ.

2022 წელს აშშ ევროპას მხოლოდ 15 მილიარდ კუბ. მეტრი გაზის მიწოდებას ჰპირდება, რაც ევროპაში რუსული გაზის წლიურ იმპორტს (155 მლრდ.) მნიშვნელოვნად ჩამორჩება. იგივე პრობლემაა თხევადი გაზის სხვა მსხვილ მწარმოებლებთან - ავსტრალიასა და ყატართან. მათი ძირითადი მომხმარებლები აზიის ქვეყნები არიან, მათ შორის, ჩინეთი - კონტინეტის ყველაზე მზარდი ეკონომიკა. ამდენად, რთული სავარაუდოა, რომ თხევადი გაზის მწარმოებლებს ექნებათ დამატებითი გაზის რაოდენობა, რომელსაც ევროპის ენერგოკრიზისის აღმოფხვრა შეეძლება.

ალტერნატიული მილსადენის გაზი

თხევადი გაზის იმპორტის ზრდასთან ერთად ევროკავშირის გეგმაში ხაზგასმულია მილსადენის გაზის ალტერნატიული მიმწოდებლებისგან შეძენის მნიშვნელობაც. ასეთ ალტერნატივებად მოხსენიებულია აზერბაიჯანი, ალჟირი და ნორვეგია. ქვემოთ განხილულია თითოეული მათგანის პერსპექტივები.

აზერბაიჯანის მდიდარი ენერგორესურსები

დასავლეთისთვის ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისიდანაა საინტერესო. ამ პერიოდში გაფორმდა ე.წ. „საუკუნის კონტრაქტი“, რომლის მიზანიც კასპიის ზღვის ენერგორესურსების ათვისებაში დასავლეთის აქტიურ ჩართულობას ითვალისწინებდა. აშშ-ცა და ევროკავშირიც ათწლეულების მანძილზე განიხილავენ აზერბაიჯანს, როგორც რუსული გაზის ალტერნატივას. ამ მიზნით შემუშავდა „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტიც (2008 წ.): „სამხრეთ კავკასიის“ (SCP), „ტრანს-ანატოლიური“ (TANAP) და „ტრანს-ადრიატიკის“ (TAP) მილსადენები ემსახურებიან აზერბაიჯანის „შაჰ დენიზის“ საბადოს გაზის საქართველოსა და თურქეთის გავლით ევროპაში (საბერძნეთი, ალბანეთი, იტალია) ექსპორტს. გარდა ამისა, შენდება TAP მილსადენთან დაკავშირებული საბერძნეთისა და ბულგარეთის დამაკავშირებელი მილსადენი (IGB), რომლის მეშვეობით ბულგარეთი შეძლებს ყოველწლიურად დაახლოებით 1 მლრდ. კუბ. მეტრი აზერბაიჯანული გაზის მიღებას (Tsolova, 2022). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს რაოდენობა ბულგარეთის მოთხოვნის (დაახლოებით 3 მლრდ. კუბ. მეტრი წელწადში) ნახევარსაც ვერ დაფარავს. ეს საკითხი აქტუალურია განსაკუთრებით ახლა, როდესაც რუსეთმა უკვე შეუწყვიტა გაზის მიწოდება სოფიას. იგივე პრობლემაა ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც. აზერბაიჯანის გაზი ვერ შეძლებს 155 მლრდ. კუბ. მეტრი რუსული გაზის ჩანაცვლებას. შედარებისთვის: 2021 წ. აზერბაიჯანის მიერ ევროკავშირში ექსპორტირებული გაზის რაოდენობა მხოლოდ 7 მლრდ. კუბ.მეტრი იყო (IEA, 2022). ამ რაოდენობის გაზრდა მხოლოდ 10 მილიარდამდეა შესაძლებელი.

დღეისათვის ევროკავშირში იმპორტირებული გაზის დაახლოებით 13% ალჟირზე მოდის. ეს ქვეყანა განიხილება როგორც მიწოდების დივერსიფიკაციის ერთ-ერთი წყარო. ალჟირის გაზის ექსპორტის 80%-ზე მეტი სწორედ ევროპის ქვეყნებში ხორციელდება. კერძოდ, არსებობს ორი მოქმედი მილსადენი - წყალქვეშა „ტრანსმედი“, რომელიც იტალიას უკავშრდება და მისი გამტარუნარიანობა 32 მლრდ. კუბ. მეტრია წელიწადში (ამჟამად იგი ყოველწლიურად 22 მლრდ. კუბ. მეტრი გაზის ექსპორტს უზრუნველყოფს) და „მედგაზი“, რომელიც ალჟირსა და ესპანეთს ერთმანეთთან აკავშირებს; მისი გამტარუნარიანობა 8 მლრდ. კუბ. მეტრია წელიწადში (Fakir, 2022). ამდენად, დღეისათვის ევროკავშირის მიერ ალჟირიდან მიღებული გაზის ყოველწლიური რაოდენობა 30 მლრდ. კუბ. მეტრს არ აღემატება. უახლოეს მომავალში ამ რაოდენობის გაზრდა ძნელი წარმოსადგენია, ვინაიდან ალჟირის საბადოების განვითარებას და წარმოების გაზრდას ახალი ინვესტიციები და დრო დასჭირდება. ეს კი მარტივი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში არსებულ კორუფციას და არასახარბიელო საინვესტიციო გარემოს. გასათვალისწინებელია ასევე ამ ქვეყნის შიდა მოთხოვნის სწრაფი ზრდა, რაც დამატებით წარმოებული გაზის, პირველ რიგში, ქვეყნის საზღვრებში მოხმარებას ნიშნავს. ყოველივე ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ძნელი სავარაუდოა, რომ 2030 წლისთვის ალჟირმა შეძლოს ევროპისთვის რუსული გაზის ჩანაცვლების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

ევროკავშირი გეგმავს ასევე ნორვეგიული გაზის იმპორტის ზრდას. ამჟამად ეს ქვეყანა მთლიანი იმპორტის დაახლოებით 24%-ს (ყოველწლიურად დაახლოებით 113 მლრდ. კუბ. მეტრი მილსადენის გაზი) უზრუნველყოფს. რუსეთის შემდეგ ის ევროკავშირის ყველაზე დიდი მომმარაგებელია. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ნორვეგიის მთავრობამ დამატებით ლიცენზიები გასცა გაზის წარმოების გასაზრდელად. შედეგად, მიმდინარე წლის ბოლოსთვის იგეგმება „ოსებერგის“ საბადოდან წარმოებული გაზის ექსპორტის 1 მლრდ. კუბ. მეტრით, ხოლო „ჰეიდრუნის“ საბადოდან 0.4 მლრდ. კუბ. მეტრით გაზრდა (Adomaitis and Buli, 2022). ასევე სრულდება „ბალტიის მილსადენის“ მშენებლობაც, რომლითაც პოლონეთმა ყოველწლიურად დაახლოებით 10 მილიარდი კუბ. მეტრი ნორვეგიული გაზი უნდა მიიღოს. თუმცა, ეს მხოლოდ პოლონეთის მოხმარების ნახევარს უზრუნველყოფს. ქვეყანას კი გაზის მიწოდება უკვე სრულად შეუწყვიტა რუსეთმა და მას სასწრაფოდ ესაჭიროება ალტერნატივა.

ბუნდოვანია, როგორ უნდა მოხდეს ნორვეგიაში წარმოების ისე გაზრდა, რომ 8 წელიწადში (2030 წლისთვის) მან რუსული გაზის ჩანაცვლება შეძლოს. თუ ნორვეგიაში გაზის წარმოება ყოველწლიურად თუნდაც 1.5 მლრდ. კუბ. მეტრით გაიზრდება (როგორც ეს 2022 წლის ბოლოს მოხდება), 2030 წლისთვის შესაძლებელი გახდება დამატებით დაახლოებით 12 მლრდ. კუბ. მეტრი ნორვეგიული

გაზის ექსპორტირება. ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულებისგან გასათავისუფლებლად ეს არასაკმარისი იქნება.

განახლებადი ენერგია

ევროკომისიამ „მწვანე", განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების აუცილებლობაზე საუბარი რუსეთ-უკრაინის ომამდე დაიწყო. თუმცა, დღემდე ვერც ბიომეთანის, ვერც ჰიდროგენის და ვერც ქარისა და მზის ენერგიის ათვისება მოხდა იმ დონეზე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ტრადიციული სასარგებლო წიაღისეულის ჩანაცვლება (მაგალითად, ამჟამად ევროკავშირში ყოველწლიურად მხოლოდ 3 მლრდ. კუბ. მეტრი ბიომეთანის წარმოება ხდება). ექსპერტთა შეფასებით, ევროკავშირის „მწვანე" ენერგიაზე გადართვა ათწლეულების საქმეა და მისი საფასური საკმაოდ დიდია. ევროპამ უნდა მოახდინოს მზისა და ქარის ენერგიის წარმოების თითქმის გამორმაგება 2016-2020 წწ. მაჩვენებლებთან შედარებით; შემდეგ კი ამ გაორგმაგებულ მაჩვენებელს დაახლოებით 60%-80% დაუმატოს 2026-2030 წლებში. უნდა მოხდეს არსებული თერმული ელექტროსადგურების ჰიდროგენზე გადაწყობა, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. წინასწარი გათვლებით 2050 წლამდე ევროკავშირმა ქარისა და მზის ენერგიის პროექტებში 3 ტრილიონ დოლარზე მეტი უნდა დახარჯოს; გარდა ამისა, 1.5 ტრილიონი დოლარი დასჭირდება ჰიდროგენის წარმოებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნას (BloombergNEF, 2022). ასეთი თანხების მცირე დროში მობილიზება არარეალურია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში ევროკავშირს ჯერ პანდემიის, შემდეგ კი რუსეთ-უკრაინის ომის და სანქციების გამო უკვე შეექმნა ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები.

დროულობის პრობლემა

ევროკავშირის გეგმის კიდევ ერთი მთავარი პრობლემა მისი აღსრულების დაგვიანებაა. მართალია, აშშ ათწლეულების მანძილზე აფრთხილებდა ევროკავშირს, მიეღოთ გადამწყვეტი ზომები რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შესამცირებლად, თუმცა, 2022 წლამდე რეალური ნაბიჯები ამ კუთხით არ გადადგმულა. ევროპის დიდი ქვეყნების ლიდერები (განსაკუთრებით, გერმანია) ცდილობდნენ რუსეთთან „პრინციპული პრაგმატიზმის" (2016 წელს ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში - ფედერიკა მოგერინიმ - „პრინციპული პრაგმატიზმი" ევროკავშირის ოფიციალურ სტრატეგიად გამოაცხადა) პოლიტიკით ეხელმძღვანელათ. ევროპის ქვეყნები აპირებდნენ, შეენარჩუნებინათ ამერიკულ თხევად გაზზე თითქმის 40%-ით უფრო იაფი და გეოგრაფიულად მეტად ხელმისაწვდომი რუსული გაზი, სანამ უკრაინის ომის გამო რეალურად არ აღმოჩნდნენ მიწოდების შეწყვეტის საფრთხის წინაშე. უფრო მეტიც, აშშ-ს უარყოფითი დამოკიდებულების და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, რუსეთ-გერმანიის დამაკავშირებელი ახალი გაზსადენი - „ჩრდილოეთის ნაკადი 2" 2021 წელს მაინც აშენდა. აღნიშნული მილსადენით გერმანიას დამატებით 55 მილიარდი კუბ. მეტრი რუსული გაზი უნდა მიეღო. ეს კი ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულების გაღრმავებას ნიშნავდა. საბოლოოდ პროექტი უკრაინის მოვლენების გამო შეჩერდა, თუმცა, ევროკავშირის მიერ მისი დაშვება ნათელი მაგალითია 2022 წლამდე რუსეთთან აქტიური თანამშრომლობის პოლიტიკისა. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ ევროკავშირმა რუსეთის ენერგორესურსებისგან განთავისუფლებისთვის რეალური ნაბიჯების გადადგმა მხოლოდ მიმდინარე წელს დაიწყო. მის წინაშე კი ურთულესი და გრძელვადიანი ამოცანებია, რომლებმაც მიწოდების დივერსიფიკაცია და „მწვანე" ენერგიაზე გადართვა უნდა უზრუნველყონ.

„ერთი ხმით საუბრის" პრობლემა

2022 წლის მაისის დასაწყისში ევროკომისიამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალ პაკეტში ნავთობის ემბარგოს საკითხის დამატება გადაწყვიტა. თუმცა, მისი დამტკიცება 27 წევრი სახელმწიფოს მხრიდან ჯერაც არ მომხდარა. ტრადიციულად, ენერგოუსაფრთხოება ის სფეროა, სადაც წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესების სხვადასხვაობა ხშირად იჩენს თავს. ამ დროს ევროპული სახელმწიფოები „კოლექტიურ სარგებელზე" ფიქრის ნაცვლად საკუთარი ეროვნული ინტერესების მიხედვით მოქმედებენ (ამის მაგალითია გერმანიის ენერგოპოლიტიკაც რუსეთთან მიმართებაში). გამონაკლისი არც 2022 წ.

ნავთობის ემბარგოს საკითხი აღმოჩნდა. მისი მოწინააღმდეგები - უნგრეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი - კონკრეტულ ნაბიჯებს ითხოვენ ევროკომისიისაგან, რათა უმტკივნეულოდ შეძლონ რუსული ნავთობის იმპორტის ჩანაცვლება. ეს ქვეყნები არარეალურად მიიჩნევენ უახლოეს 6 თვეში რუსულ ნავთობზე, ხოლო რუსულ ნავთობპროდუქტებზე - მიმდინარე წლის ბოლომდე სრულად უარის თქმას. უნგრეთის პრემიერის - ვიქტორ ორბანის - თქმით, ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც შეეხება რუსულ ნავთობსა და გაზს, აუცილებლად დაიბლოკება მისი ქვეყნის მიერ, ვინაიდან რუსულ ენერგორესურსებზე უარის თქმას უნგრეთის ეკონომიკაზე „ატომური ბომბის" ეფექტი ექნება; ქვეყანას იმპორტირებული გაზის 85% და ნავთობის 60%-ზე მეტი რუსეთიდან მიეწოდება (AlJazeera, 2022). უნგრეთისთვის, ჩეხეთისთვის და სლოვაკეთისთვის, რომელთაც ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნიათ და, შესაბამისად, ნავთობს საზღვაო ტანკერებით ვერ მიიღებენ, მცირე დროში რუსული მილსადენის ნავთობის ახალი ალტერნატივით ჩანაცვლება მარტივი საკითხი არ არის. ამიტომ ევროკომისია ამ ქვეყნებისთვის განსხვავებული პირობების დაწესებაზე იმუშავებს, თუმცა, კონკრეტული დეტალები ჯერ ცნობილი არ არის. უნგრეთს, მაგალითად, შესაძლებელია გაუჩნდეს საშუალება, ნავთობზე ემბარგოს სანაცვლოდ ევროკავშირის „კოვიდ ფონდიდან" იმ თანხების დაბრუნება მოითხოვოს, რომელიც „დემოკრატიული პრინციპების" შეზღუდვის (ლგბტ ადამიანების უფლებების შეზღუდვა) გამო ევროკომისიამ გაუყინა.

დასკვნა

ნაშრომის მიზანი იყო, გაეანალიზებინა რუსეთ-უკრაინის ომით შექმნილი გამოწვევები ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებისთვის და პასუხი გაეცა მთავარი შეკითხვისთვის - **რამდენად აქვს ევროკავშირს რეალური შესაძლებლობა იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში (2030 წ.) გათავისუფლდეს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისგან?**

წარმოდგენილი ანალიზის შედეგად, გაირკვა, რომ უახლოეს მომავალში ევროკავშირის რუსულ ენერგორესურსებზე განთავისუფლებას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი აფერხებს, კერძოდ: რეალური ალტერნატივის არ არსებობა; თავად ევროპის დაგვიანებული რეაქცია (უკრაინის ომამდე ევროკავშირს რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს მოსკოვზე ენერგოდამოკიდებულების შესამცირებლად); რთული ფინანსური და ინფრასტრუქტურული საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მოკლევადიან პერსპექტივაში წარმოუდგენელი ჩანს; ევროპის „ერთი ხმით საუბრის" პრობლემა (წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესების უპირატესობა ერთიანი, ევროპული „კოლექტიური სარგებლის" ნაცვლად), რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ეფექტური სანქციების დაწესებას და ენერგოდამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას ხელს უშლის. ყოველივე ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ნათელია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ევროკავშირი დადგა ენეგოუსაფრთხოების ისეთი გამოწვევების წინაშე, რომელთა გადაწყვეტა პრობლემატურია და დიდი დრო სჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adomaitis, N. and Buli, N. (16/03/2022). Norway to supply more gas to Europe this summer. REUTERS. https://www.reuters.com/business/energy/norways-equinor-raise-gas-output-major-fields-2022-03-16/
2. AlJazeera (10/05/2022). Why is Hungary not backing EU sanctions on Russian oil? AlJazeera. https://www.aljazeera.com/news/2022/5/10/explainer-why-is-hungary-blocking-sanctions-on-russian-oil
3. BloombergNEF (2022). Europe's Path to Clean Energy: A $5.3 Trillion Investment Opportunity. BloombergNEF. https://about.bnef.com/blog/europes-path-to-clean-energy-a-5-3-trillion-investment-opportunity/
4. Eddi, M. (06/07/2022). Here's what the ban on Russian coal could mean for Europe. New York Times. https://www.nytimes.com/2022/04/06/business/russia-coal-europe.html
5. European Commission (08/03/2022). REPowerEU: Joint European action for more affordable, secure and sustainable energy. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_22_1511
6. Fakir, I. (03/08/2022). Given capacity constraints, Algeria is no quick fix for Europe's Russian gas concerns.

MEI@75. https://www.mei.edu/publications/given-capacity-constraints-algeria-no-quick-fix-europes-russian-gas-concerns
7. IEA (The International Energy Agency) (2022). Russia. Oil. Coal. https://www.iea.org/countries/russia
8. Islam, F. (2022). Ukraine war: Russia halts gas exports to Poland and Bulgaria. BBC. London. https://www.bbc.com/news/business-61237519
9. Jelinnek, J. (06/05/2022). Germany starts building its own LNG terminal. DEUTSCHE WELLE. https://www.dw.com/en/germany-starts-building-its-own-lng-terminal/av-61701364
10. Politi, J., McCormick M., Pickard J. (11/05/2022). US and UK ban Russian oil and gas imports in drive to punish Putin. Financial Times. London. https://www.ft.com/content/2e0b1d84-e595-4c5a-be4e-928417b9c7cc
11. Polityuk, P. and Twidale S, (2022). Ukraine to halt key Russian gas transit to Europe, blames Moscow. REUTERS. https://www.reuters.com/business/energy/ukraine-gas-system-operator-declares-force-majeure-sokhranivka-entry-point-2022-05-10/
12. Tsolova, T. (19/03/2022). Bulgaria will not hold talks to renew gas deal with Gazprom. REUTERS. https://www.reuters.com/business/energy/bulgaria-will-not-hold-talks-renew-gas-deal-with-gazprom-2022-03-19/

Russia-Ukraine War: Challenges for EU Energy Security

Nata Garakanidze
Doctor of International Relations
Georgian Technical University

Summary

The aim of this paper is to analyze the challenges posed by the Russia-Ukraine war to the EU's energy security. In this context, the paper discusses the current EU dependence on Russian energy resources. It also highlights the recent plan developed by the European Commission to diversify supply and get rid of the dependence on Russian resources. The paper addresses the problems hindering the successful and timely implementation of the EU's plan. As a result, the paper answers the main question - to what extent is the EU able to get rid of its energy dependence on Russia in the near future (by 2030)?

The analysis presented in the paper reveals that it is less realistic for the EU to cut its dependency on Russian energy resources in the near future. This is partly due to the lack of a real alternative (insufficient capacity of other suppliers), the delayed reaction of the EU itself (it did not take any real steps to reduce its energy dependence on Moscow until the Russian aggression against Ukraine took place), complex financial and infrastructural issues the solution of which seems unimaginable in the short run. Moreover, there is a problem of "speaking with one voice" within the EU (the national interests of member states taking precedence over "collective gain"), which prevents the successful implementation of the EU's plan, as well as the introduction of effective sanctions against Russia. Given all these factors, the paper concludes that Russia-Ukraine has created the energy security issues for the EU that are challenging and time consuming to address.

Keywords: EU, Russia, Energy Security, Foreign Policy.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი ბალტიის ქვეყნებში (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა)

მაკა ბენაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე დემოკრატიისთვის პოლიტიკური პარტიები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინსტიტუტებს წარმოადგენენ. ისინი ახდენენ ფართო საზოგადოების მობილიზებას სოციალიზაციას, ქმნიან სოციალური ინტერესების არტიკულაციისა და გაერთიანების ძირითად მექანიზმებს, ამასთანავე პოლიტიკური პარტიები საჯარო თანამდებობისთვის კანდიდატების წარდგენით და შერჩევით პოლიტიკური ელიტების დაკომპლექტებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

პოლიტიკურ პარტიებს ქმედითუნარიანობისა და ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს მათი ფინანსები წარმოადგენს. ხშირად ფინანსური შესაძლებლობები განაპირობებს პოლიტიკური პარტიების, როგორც პოპულარულობას, ასევე მათ სიძლიერეს. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ძირითადი, ტრადიციული წყაროს საწევრო გადასახადი და სახელმწიფო დაფინანსება წარმოადგენს. ასევე რიგ სახელმწიფოებში პოლიტიკურ პარტიებს შემოსავალის მიღების უფლება პარტიული ქონებიდან, პარტიული საქმიანობიდან, როგორიცაა გაზეთების ან სხვა პარტიული პუბლიკაციების გაყიდვა, ფონდების მოზიდვის აქტივობების, პარტიული ფესტივალების და სხვა სოციალური ღონისძიებების გამართვა. პოლიტიკური პარტიების ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო, შესაბამისი კანონმდებლობით არეგულირებს. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გაანალიზებისთვის ნაშრომში განხილული იქნება ბალტიის ქვეყნებში (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა) პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი. სტატიაში წარმოდგენილი საკითხის განხილვისას ვეყრდნობით, როგორც ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვას პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ შიდა მარეგულირებელ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ მოქმედ ნორმებს.

ესტონეთმა, როგორც ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, პარტიის ფინანსების, ანგარიშებისა და რევიზიის ინტეგრირების სისტემის ჩამოყალიბებას ხანგრძლივი პროცესი მოანდომა. სისტემა ემყარება პარტიების შემოწირულობებს, რომელსაც იღებენ სახელმწიფოსგან, ხოლო კორპორატიული შემოწირულობები აკრძალულია. ეს ხელს უწყობს პარტიების იზოლირებას, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გარკვეულწილად, არსებობს დაპირისპირებები. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ზეწოლის გამო, ლატვიაში პარტიების დაფინანსების მოდელი ზედმეტად ლიბერალურიდან გადაიქცა მნიშვნელოვნად რეგულირებად და გამჭვირვალე სისტემად. თუმცა, პოლიტიკური პარტიებისთვის პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდიები მხოლოდ 2012 წელს შემოიღეს. ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ლიეტუვაშიც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ირგვლივ ერთ-ერთი მთავარი და ყველაზე საკამათო, კერძო პირებისგან შემოწირულობის საკითხია. პოლიტიკური პარტიების უკანონო დაფინანსების მუდმივი შემთხვევების გამო, რომლებიც გამოვლენილია, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, მათ შორის ლიეუტვაში, განსაკუთრებით მკაცრად კონტროლდება.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური პარტიები, ბალტიის ქვეყნები, პარტიების დაფინანსება.

შესავალი

თანამედროვე დემოკრატიისთვის პოლიტიკური პარტიები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინსტიტუტებს წარმოადგენენ. პარტიები საზოგადოებაში არსებული ინდივიდებისა და ჯგუფების პოლიტიკურ სისტემაში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ისინი ახდენენ ფართო საზოგადოების მობილიზებას სოციალიზაციას, ქმნიან სოციალური ინტერესების არტიკულაციისა და გაერთიანების ძირითად მექანიზმებს. გარდა ამისა, პოლიტიკური პარტიები საჯარო თანამდებობისთვის კანდიდატების წარდგენით და შერჩევით პოლიტიკური ელიტების დაკომპლექტებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

პოლიტიკურ პარტიებს ქმედითუნარიანობისა და ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს მათი ფინანსები წარმოადგენს. ხშირად ფინანსური შესაძლებლობები განაპირობებს პოლიტიკური პარტიების, როგორც პოპულარულობას, ასევე მათ სიძლიერეს.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ძირითადი, ტრადიციული წყაროს საწევრო გადასახადი და სახელმწიფო დაფინანსება წარმოადგენს[1]. ასევე რიგ სახელმწიფებში პოლიტიკურ პარტიებს შემოსავალის მიიღების უფლება პარტიული ქონებიდან, პარტიული საქმიანობიდან, როგორიცაა გაზეთების ან სხვა პარტიული პუბლიკაციების გაყიდვა, ფონდების მოზიდვის აქტივობების, პარტიული ფესტივალების და სხვა სოციალური ღონისძიებების გამართვა. პოლიტიკური პარტიების ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო, შესაბამისი კანონმდებლობით არეგულირებს. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გაანალიზებისთვის საჭიროა კონკრეტული ქვეყნების მაგალითების განხილვა, შესაბამისად მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება ბალტიის ქვეყნებში (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა) პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი.

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხის განხილვისას ვეყრდნობით, როგორც ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვას პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ შიდა მარეგულირებელი კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ მოქმედ ნორმებს.

ძირითადი ნაწილი

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი ესტონეთში

ესტონეთმა, როგორც ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, პარტიის ფინანსების, ანგარიშებისა და რევიზიის ინტეგრირების სისტემის ჩამოყალიბებას ხანგრძლივი პროცესი მოანდომა. სისტემა ემყარება პარტიების შემოწირულობებს, რომელსაც იღებენ სახელმწიფოსგან, ხოლო კორპორატიული შემოწირულობები აკრძალულია. ეს ხელს უწყობს პარტიების იზოლირებას, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გარკვეულწილად, არსებობს დაპირისპირებები.

ესტონეთში პარტიების დაფინანსება რეგულირდება პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონით, რომელიც 1994 წელს მიიღეს და მასში საბოლოო ცვლილება 2014 წელს შევიდა. საარჩევნო მენეჯმენტისაგან განცალკევებით დგას ესტონეთის პარტიების დაფინანსების რეგულირება, მას სახელმწიფოს ეროვნული კომიტეტი ახორციელებს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ცალკეული ორგანოს მიერ აღნიშნული სექტორის მონიტორინგი აუცილებელია.

2000 – 2011 წლებში მონიტორინგის ჯგუფში ცალკეული პარტიის წარმომადგენლები იყვნენ და არა ამ დარგში მომუშავე ექსპერტები. 2000-იანი წლების შუა პერიოდში პარტიების დაფინანსების საკითხი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ამის მიზეზი საარჩევნო კამპანიების დაფინანსების გაურკვეველი და საიდუმლოებებით მოცული დაფინანსების სისტემა გახდა, რამაც მედიის კრიტიკაც გამოიწვია. სწორედ ამიტომ, სახალხო დამცველმა სარჩელი შეიტანა საკონსტიტუციო განხილვის მოთხოვნით. ის ამტკიცებდა, რომ პარლამენტის მხრიდან დაფინანსების საკითხის ირგვლივ უმოქმედობა არის სახელმწიფო დანაშაული და ქვეყნის მართვის პრინციპების უგულებელყობა. საბოლო ოჯამში, ოთხწლიანმა დავამ, პარტიების შესახებ არსებული კანონის საფუძვლიანი გადახედვა გამოიწვია.

2011 წელს ესტონეთის პარტიის დაფინანსების ზედამხედველობის კომიტეტი ჩამოყალიბდა, რომლის მიზანსაც საარჩევნო ანგარიშების შედგენა და კონტროლი წარმოადგენდა. კომიტეტი შედგებოდა პარტიების წარმომადგენლებისგან და დამატებით, სამი ექსპერტისგან. აღნიშნული ექსპერტებისგან ერთი ინიშნებოდა სახალხო დამცველის მიერ, მეორე - ეროვნული საარჩევნო კომიტეტის, ხოლო მესამე - სახელმწიფო აუდიტის მიერ[2].

ზედამხედველობის კომიტეტის დაარსებიდან, პირველი ოთხი წლის განმავლობაში დაფინანსების სისტემა საკმაოდ გამჭვირვალე იყო, თუმცა, სხვადასხვა მიზეზების გამო აუდიტის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ რუსეთის მსხვილი პარტია მოექცა. უნდა აღინიშნს, რომ ზედამხედველობის კომიტეტის სისტემის წინააღმდეგ არცერთი პარტია არ გამოსულა.

ესტონეთი, როგორც პოსტ-სოციალისტური ქვეყანა, ბოლო 30 წლის განმავლობაში ავითარებს ქვეყნის დემოკრატას. ამ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი 2005 წელი იყო, როდესაც კერძო კომპანიებს აეკრძალათ პარტიების დაფინანსება. მანამდე პარტიები დაფინანსების დაახლოებით 90%-ს წევრებისა და კერძო კომპანეიბისგან იღებდნენ. პარტიების დაფინანსების შესახებ მსგავსს შინაარს შიეცავდა 1996 წელს მიღებული კანონი, თუმცა, აღნიშნულმა იდეამ ფართო მასშტაბით განხორციელება 2003 წლიდან დაიწყო. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, პარტიების დაფინანსებაში სახელმწიფოს წილი 80%-ით განისაზღვრა, კერძო შემოწირულობები 18%-ს მოიცავდა, ხოლო წევრობის გადასახადიდან

შემოსული თანხა 4%-ს შეადგენდა[3].

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, სახელწიფოს მხრიდან, პოლიტიკურ პარტიებზე, თანხის თანაბარი გადანაწილების პრინციპის დაცვა. ესტონეთის პარტიული დაფინანსების სისტემის თანახმად, პირველ რიგში, თანხა ნაწილდება პარლამენტში წარმომადგენლობის შესაბამისად. სახელმწიფო დაფინანსებას იღებს ის პარტია, რომელსაც ჰყავს წარმომადგენლობა პარლამენტში, ასევე პარტიებიც, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებზე 1%-ს მაინც მოიპოვებს. აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო პარტიებზე უფრო დიდი თანხაა გამოყოფილი, ვიდრე არასაპარლამენტო პოლიტიკურ ორგანიზაციებზე. ესტონეთში პარტიებს მოეთხოვებათ კვარტალური ანგარიშების წარდგენა.

საბოლო ოჯამში 30 წლის გადმავლობაში განვითარდა ესტონეთის პარტიების ფინანსების რეგულირება. ერთის მხრივ, პარტია ეყრდნობა სახელმწიფო დაფინანსების პრინციპს, რაც 5,4 მილიონ ევროს შეადგენს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ კუთხით რამოდენიმე საკითხი კვლავ დასარეგულირებელია. სახელმწიფო დაფინანსების დიდ ნაწილს პარტიები საარჩევნო კამპანიისთვის ხარჯავენ. მაგალითად, 2015 წლის არჩევნებისთვის პარტიებმა და კანდიდატებმა დაახლოებით 6 მილიონი ევრო დახარჯეს. რთულ საკითხს წარმოადგენს კამპანიის განმავლობაში დახარჯული თანხის ზუსტი ანგარიშის წარმოდგენა, რადგან ხშირად პარტიები ანგარიშებში არ ასახავენ ხარჯებს, რომლებიც მათ პოპულარიზაციას მოხმარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთის პარ-ტიების დაფინანსების სისტემა უპირატესობას საპარლამენტო პოლიტიკურ ორგანიზაციებს ანიჭებს, ახალ პარტიებს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის რეალური შესაძლებლობა აქვთ. ამის ნათელი მაგალითია თავისუფალი პარტია, რომელიც პარლამენტში პირველად 2015 წელს მოხვდა.

ესტონეთის პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სისტემის ღიაობის მიუხედავად, მისი ცვლილების შესახებ სხვადასხვა საკითხი კვლავ აქტიურად განიხილება. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ აუცილებელია პარტიების მიერ კამპანიაში დახარჯული თანხის შესახებ რეგულაციების მიღება, ვინაიდან, თითო ამომრჩევლისათვის განკუთვნილი გზავნილისთვის პარტიები საშუალოდ 7 ევროს ხარჯავენ, რაც ძალიან ბევრია. აგრეთვე აქტუალურია უკანონო შემოწირულობების საკითხიც. ესტონეთის სახელმწიფოს 2020 წლის ანგარიშის თანახმად, ცენტრისტულ პარტიას უკანონო შემოწირულობების მიღების გამო, ბოლო 3 წლის გადმავლობაში 330 000 ევროზე მეტი ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწია.

ესტონეთის მთავრობის, პოლიტიკის გამჭვირვალეობაზე მეტყველებს სახელმწიფო ანგარიშები. რაც დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ, რადგან სახელმწო უზრუნველყოფს მოქალაქეებსა და მედიის ინფორმირებულობას.

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში ესტონეთმა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა, რომლებიც ძირითადად ანტიკორუფციულ კანონებს, პოლიტიკური პარტიების შესახებ აქტს, საჯარო სამსახურისა და ანტიკორუფციულ აქტებს შეეხო. აღსანიშნავია, რომ ცვლილებების მიზეზი, ნაწილობრივ, ევროსაბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის შეშფოთების საპასუხოდ (GRECO) განხორციელდა. ამასთან, რჩება გამოწვევები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი პარტიების დაფინანსებას უკავშირდება. 2017 წლის ევრობარომეტრის კვლევის თანახმად, ესტონელების უმეტესობას მიაჩნია, რომ კორუფცია გავრცელებულია პოლიტიკურ პარტიებში (59%) და პოლიტიკოსებში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე (56%) .

ესტონეთში პარტიების დაფინანსების კუთხით ხშირია სხვადასხვა სკანდალური ფაქტებიც. მაგალითად, ედგარ სავისარა, რომელიც 2016 წლის ნოემბრამდე ცენტრისტული პარტიის ლიდერი იყო, პოლიტიკური გავლენის სანაცვლოდ რუსეთის ფედერაციიდან, დაფინანსების მიღებაში დაადანაშაულეს[4]. შედეგად, 2015 წელს სასამართლომ სავისაარს ტალინის მერის უფლებამოსილება შეუჩერა, რადგან საქმე ქრთამის აღების თაობაზე გამოძიებას ითვალისწინებდა. აღნიშნული, ბრალდება 2018 წელს გაუქმდა, რადგან უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მასვჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სხდომაზე დასწრება არშეეძლო. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ესტონეთში პარტიების დაფინანსების რეგულირება კვლავ აქტუალურ და სადავო საკითხად რჩება.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი ლატვიაში

ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლა დაფუძნებულია ლატვიის რესპუბლიკის სამართლებრივი ჩარჩოს უწყვეტი არსებობის პრინციპზე, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა საბჭოთა კავშირის მიერ 1940 წლიდან ქვეყ-

ნის ოკუპაცია იყო. 1990 წლის 4 მაისს ახლად არჩეულმა, დამოუკიდებლობის მომხრე ლატვიის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია 1922 წლის კონსტიტუციის ნაწილობრივი აღდგენის შესახებ. საბჭოთა კავშირის დაშლიდან ერთი წლის შემდეგ, უზენაესმა საბჭომ, 21 აგვისტოს გამოაცხადა ამ კონსტიტუციის ხელახლა ამოქმედების შესახებ. აღნიშნულმა დიდწილად განსაზღვრა ლატვიის შემდგომი საკანონმდებლო აქტების ჩარჩოს ჩამოყალიბება[5].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლატვიის კონსტიტუციის თავდაპირველი ვერსია არ შეიცავდა მითითებებს პოლიტიკურ პარტიების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ლატვიის რესპუბლიკის დაარსებამდე პარტიებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ხალხის პოლიტიკური ნების სტრუქტურირებაში. ასევე, პარტიები საარჩევნო პროცესის შეუცვლელ აქტორებს არ წარმოადგენდნენ. არანაკლებ 100 სრულწლოვანი მოქალაქისგან შემდგარ ჯგუფებს უფლება მიეცათ შეეტანათ საპარლამენტო არჩევნების კანდიდატთა სიები. ლიბერალურ ხმის მიცემის სისტემას პოლიტიკური პარტიების არაკონტროლირებად გამრავლების ხელის შეწყობისთვის ხშირად აკრიტიკებენ [6].

პოლიტიკური ორგანიზაციების (პარტიების) დაფინანსების შესახებ კანონი ადგენს, რომ პოლიტიკური ორგანიზაციები შეიძლება დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ამავდროულად ადგენს თანხების მიღებისა და გამოყენების გარკვეულ წინაპირობებს.

საზოგადოების ზეწოლის გამო, ლატვიაში პარტიების დაფინანსების მოდელი ზედმეტად ლიბერალურიდან გადაიქცა მნიშვნელოვნად რეგულირებად და გამჭვირვალე სისტემად. თუმცა, პოლიტიკური პარტიებისთვის პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდიები მხოლოდ 2012 წელს შემოიღეს.

ლატვიაში კანონის - „პარტიების დაფინანსების შესახებ“ მიღებამდე (1995 წელი), პარტიების დაფინანსების სფერო თითქმის დაურეგულირებელი იყო. მიღებილი კანონის თანახმად, პარტიის შემოსავლის ლეგალური წყარო იყო საწევრო გადასახადი, შემოწირულობა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების. აგრეთვე მოგება პარტიული საწარმოებიდან და სხვა შემოსავლები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული. მხარეებს ეკრძალებოდათ შემოწირულობების მიღება საწარმოებიდან, სადაც სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი ფლობს წილების ორმოცდაათ ან მეტ პროცენტს, სახელმწიფო ან მუნიციპალური დაწესებულებებიდან, რელიგიური ორგანიზაციებიდან, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისაგან, აგრეთვე ნებისმიერი უცხოური ან ანონიმური წყაროებიდან. შემოწირულობების წლიური მაქსიმალური ოდენობა შემცირდა 1995 წელს 25,000-ლატიდან, ხოლო 2002 წელს 10,000-ლატამდე (მიუხედავად წელიწადში არჩევნების რაოდენობისა). საწევრო გადასახადის ჯამური ოდენობა, ერთ წევრზე წელიწადში 10,000 ლატს არ უნდა აღემატებოდეს. გარდა ამისა, 2004 წელს აიკრძალა როგორც, იურიდიული პირების მიერ (კორპორაციები, პროფკავშირები, ეკლესიები, არასამთავრობო ორგანიზაციები) შემოწირულობები, ასევე პოლიტიკური პარტიებისთვის ნებისმიერი სესხის გაცემა. ვინაიდან ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები არ სარგებლობდნენ ავტონომიური იურიდიული სტატუსით,ნებისმიერიშიდაპარტიულიტრანსფერი არ ითვლება ხარჯად ან შემოწირულობად[7].

2003 წლამდე საწევრო გადასახადები ჩვეულებრივ შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს არ წარმოადგენდა, თუმცა აღნიშნული გადასახადის ოდენობა 2004 წლამდე შეუზღუდავი იყო. ყველა რეგისტრირებული პარტიების მესამედზე მეტმა განაცხადა, რომ 1995-დან 2006 წლამდე საწევრო გადასახადებიდან პარტიებს შემოსავალი არ ჰქონია. თუმცა 2003 წლიდან შეიმჩნევა საწევრო გადასახადების მნიშვნელოვანი ზრდა და ეს ემთხვევა შემოწირულობების ოდენობასა და ახალი შეზღუდვების შემოღებას[8].

პარტიები როგორც წესი, თავს არიდებენ პოლიტიკური პარტიების დასაფინანსებლად სამეწარმეო საქმიანობის შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავს მეწარმეობას ისინი ამტკიცებენ, რომ ის არ შეიძლება იყოს მოგების მიღების წყარო. 1998 წელს პარტიებმა მიაგნეს დაფინანსების ახალი წყაროს - საბანკო სესხებს, რამაც განაპირობა იმ წელს შემოსავლის "სხვა" წყაროების სწრაფი ზრდა. თუმცა, 2004 წელს საკანონმდებლო ცვლილებებმა ბოლო მოუღო ამ სახის პარტიების დაფინანსებას]9]. 2004 წელს დაწესდა ხარჯების ლიმიტები, რომელიც მხოლოდ კამპანიის ხარჯებზე ვრცელდება. ლიმიტები თავდაპირველად განისაზღვრა მუდმივი 0,20 ლატით (0,30 ევრო) თითოეულ რეგისტრირებულ ამომრჩეველზე მოცემულ საარჩევნო ოლქში. საარჩევნო კამპანიისთვის განკუთვნილი თანხების ხარჯვა იწყებოდა არჩევნების დღემდე 270 დღით ადრე და მოიცავდა პარტიის ნებისმიერ

ხარჯს, გარდა აუცილებელი ადმინისტრაციული ხარჯებისა. 2008 წელს საარჩენო კამპანიის პერიოდი 120 დღემდე შემცირდა, შესაბამისად შემცირდა ისეთ საკითხებზე დახარჯული თანხის ოდენობა, როგორიცაა კამპანიის დაგეგმვა, თანამშრომელთა ხელფასები, სარეკლამო მასალების (ფურცლები, გაზეთები და ა.შ.) ბეჭდვა[10].

პარტიების დაფინანსების მუდმივად ცვალებადი რეჟიმი ასახავს მეთოდების ევოლუციას, რომლებსაც ლატვიური პარტიები არჩევნებში კონკურენციის მიზნით იყენებენ. კანონმდებლობის მრავალი გადასინჯვის მიუხედავად, პარტიების დაფინანსების ძირითადი ასპექტი სტაბილური დარჩა - პარტიები აგრძელებენ კერძო დამფინანსებლების მოძიებას. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულმა ხელი შეუწყო კიდევ უფრო მეტი ახალი პარტიის ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ პარტიების რაოდენობის სწრაფმა ზრდამ საპარლამენტო დონეზე (ნაწილობრივ დაკავშირებულია პარტიების დაფინანსების რეჟიმთან) ხელი შეუწყო ინტერპარტიულ კონკურენციას, დიდი შემოწირულობების მუდმივმა დომინირებამ (ლატვიაში პარტიების დაფინანსების კიდევ ერთი ასპექტი) პარტიები ვიწრო ინტერესებისგან ვერ გაათავისუფლა.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი ლიეტუვაში

ლიეტუვაში, ისევე როგორც ევროპის უმეტეს ქვეყანაში, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ინსტიტუტი შედარებით ახალია. პირველი სპეციალური სამართლებრივი აქტი, რომელიც პირდაპირ არეგულირებს პოლიტიკური პარტიების ქონებრივ ურთიერთობებს, მხოლოდ 1997 წელს ამოქმედდა (კანონი ლიეტუვის რესპუბლიკის პოლიტიკური კამპანიების დაფინანსების კონტროლის შესახებ). პარადოქსია ისიც, რომ ეს კანონი არეგულირებდა არა ზოგადად ყველა პოლიტიკური პარტიის დაფინანსებას, არამედ დაფინანსებისთვის საჭრო ურთიერთობებს მისი შემადგენელი ნაწილის მხოლოდ ერთი მიმართულებას - პოლიტიკური კამპანიის მიმართ. რამდენიმე წლის შემდეგ ეს ხარვეზი ლიეტუვის რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების დაფინანსების შესახებ კანონის მიღებით აღმოიფხვრა[11].

კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ, რომელიც (პირველად მიღებულ იქნდა 1990 წელს, ხოლო შესწორება 2014 წელს შევიდა) და კანონი პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკური კამპანიების დაფინანსებისა და კონტროლის შესახებ (მიღებულ იქნდა 2004 წელს, ხოლო შესწორება 2013 წელს შევიდა) წარმოადგენს ძირითადი კანონებს, რომლებიც არეგულირებენ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხს ლიეტუვაში. ზოგიერთი დებულების ფორმულირება 2012 წელს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისას შეიცვალა, თუმცა ძირითადი პრინციპები მაინც იგივე დარჩა. პოლიტიკური პარტიების კერძო შემოსავლებზე არსებობს საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები. შემოწირულობები აკრძალულია სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებლის, კორპორაციების, პროფკავშირებისა და ანონიმური დონორებისგან, ასევე სხვა მრავალი წყაროსგან, რომელთა მიზნებიც ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს სპეციალური შეზღუდვები შემოწირული ფინანასების ოდენობაზე. პოლიტიკური პარტიებისთვის ხელმისაწვდომია სახელმწიფო დაფინანსება და ის ნაწილდება წინა არჩევნებში მიღებული ხმების წილის მიხედვით. არსებობს კონკრეტული წესები იმის შესახებ, თუ რა მიზნით შეიძლება იყოს გამოყენებული სახელმწიფო დაფინანსება და კამპანიის ხარჯები. აგრეთვე არჩევნების დროს მიმდინარე პარტიული აქტივობები ამ რესურსების[12] შემადგენელი ნაწილია. დაფინანსების არაპირდაპირი წყაროები მოიცავს მედიაზე სუბსიდირებულ წვდომას და კამპანიის შეხვედრების ადგილების დაგეგმვას. აქვე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხარჯებთან დაკავშირებული რეგულაციებით, ხმების მოსყიდვა აკრძალულია, თუმცა სახელმწიფო რესურსების გამოყენება კანდიდატის ან პარტიის სასარგებლოდ ანმის წინააღმდეგ არა. არსებობს კონკრეტული ლიმიტები იმის შესახებ, თუ რამდენი შეუძლია დახარჯოს პოლიტიკურმაპარტიამ ან კანდიდატმა, რისთვისაც მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ანგარიშები, რომლებიც უნდა იყოს საჯარო და მოიცავდეს არჩევნების ფინანსებთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას, მათ შორის დონორთა ვინაობას. აღნიშნულ ანგარიშებს ზედამხედველობას ცენტრალური საარჩევნო კომისია და ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია უწევს[12].

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ყველა წყარო, „პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-2

პუნქტის მიხედვით, კლასიფიცირებულია მუდმივ და საარჩევნო კამპანიებად. პოლიტიკური პარტიების მუდმივი დაფინანსების წყაროები, ყველაზე ზოგადი გაგებით, შეიძლება დაიყოს სამ დიდ ჯგუფად: 1.პოლიტიკური პარტიების საკუთარი სახსრები (ამ ჯგუფს წევრი შეიძლება იყოს პარტიის წევრიც), 2.კერძო პირების შემოწირულობები, 3. საბიუჯეტო გრანტები და სხვა სახელმწიფო დაფინანსება. ზემოაღნიშნული კატეგორიებიდან პირველი ორი მოიცავს პოლიტიკური პარტიების კერძო დაფინანსებას, ხოლო მესამე მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას. ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება პოლიტიკური პარტიებისთვის ქონების განკარგვას, შეიძლება განსხვავებულად იყოს კლასიფიცირებული: შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური პარტიები იძენენ საკუთრებას მათი წევრებისგან ან საქმიანობიდან, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შიდა ურთიერთშეთანხმებად, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს, კერძო პირებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა გარე ურთიერთობად.

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ლიეტუვაშიც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ირგვლივ ერთ-ერთი მთავარი და ყველაზე საკამათო, კერძო პირებისგან შემოწირულობის საკითხია. როგორც IDEA-ს გამოკვლევიდან ჩანს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოების სამ მეოთხედსაც კი აქვს გარკვეული აკრძალვები ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის შემოწირულობების გაცემაზე პოლიტიკური პარტიებისთვის. მიჩნეულია, რომ ზოგიერთმა პირმა შესაძლოა მოახდინოს არასასურველი გავლენა პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც მართავენ საჯარო ძალაუფლებას, შესაბამისად, მათ ეზღუდებათ ან ეკრძალებათ ამ საჯარო იურიდიული პირების დაფინანსება. პოლიტიკური პარტიების უკანონო დაფინანსების მუდმივი შემთხვევების გამო, რომლებიც გამოვლენილია, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, მათ შორის ლიეუტვაში, განსაკუთრებით მკაცრად კონტროლდება. ამ რეგიონის მრავალი ქვეყანა (სლოვენიის გარდა) კრძალავს შემოწირულობებს პოლიტიკური პარტიებისთვის უცხოური ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან. ამგვარი აკრძალვა, რომელიც გამომდინარეობს „პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ“ კანონის დებულებებიდან, შეიძლება აიხსნას როგორც, უცხოური სუბიექტების რაიმე გავლენის შიდა მმართველობით ურთიერთობებზე თავიდან აცილება. თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შეზღუდვები არ წარმოადგენდა დაბრკოლებას საზღვარგარეთ მცხოვრები ფიზიკური პირების და უცხო ქვეყნებში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებითვის ან თუნდაც საჯარო ხელისუფლებითვის, რომ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე ემოქმედათ[13].

პოლიტიკური პარტიებზე კერძო პირების არასასურველი გავლენისგან დამოკიდებულების შესამცირებლად და სახელმწიფო მმართველობაში პოტენციური კორუფციის თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე პლუტოკრატიული დაფინანსების შეზღუდვის მიზნით მიიღეს „პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ“ მრავალი კანონპროექტი. საბოლოოდ, 2011 წლის 6 დეკემბერს სეიმმა მიიღო ცვლილებების პროექტი „პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკური კამპანიების დაფინანსებისა და მისი კონტროლის შესახებ“, რომლითაც 2012 წლის 1 იანვრიდან აიკრძალა იურიდიული პირებისთვის პოლიტიკური პარტიების დაფინანსება. უცხო ქვეყნის მოქა-ლაქეებმა პოლიტიკური პარტიებისთვის შემოწირუ-ლობების გაღების უფლება მხოლოდ საარჩევნო პერიოდის დროს შეინარჩუნეს.

უნდა აღინიშნოს, რომ „პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ“ კანონის მიხედვით პოლიტიკურ პარტიებსა და მათ დონორებს შორის ქონებრივი ურთიერთობები კერძო ხასიათს ატარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ურთიერთობების მარეგულირებელმა კანონმდებელმა უნდა დაიცვას სახელშეკრულებო თავისუფლების, პირად ურთიერთობებში ჩაურევლობის, პროპორციულობისა და სამოქალაქო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების სხვა პრინციპები. მიჩნეულია, რომ კერძო პირების პოლიტიკური პარტიებისთვის საკუთრების ჩუქების უფლების შეზღუდვით, სახელმწიფომ გადაჭარბა პირად ურთიერთობებში ჩაურევლობის დასაშვებ ზღვარს და უსაფუძვლოდ შეზღუდა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი. გარდა ამისა, ასეთი აკრძალვა ასევე პოტენციურად არღვევს იმ პოლიტიკური პარტიებისა და კერძო პირების საკუთრების უფლებებს, რომლებსაც სურთ შემოწირულობის გაღება, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ (I პროტოკოლის მუხლი.1 ადამიანის უფლებათა

და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია) უნდა ვრცელდებოდეს გყველა საკუთრების უფლებაზე, მათ შორის საკუთრების შეძენის უფლებისა და ქონების განკარგვის უფლების ჩათვლით. ეჭვგარეშეა, რომ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ურთიერთობები მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის და სახელმწიფოს, როგორც მთელი საზოგადოების ორგანიზაციას, აქვს არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაც დააწესოს გარკვეული შეზღუდვები შესაბამისი მიზნების განსახორციელებლად. თუმცა, ეს უნდა გაკეთდეს გარკვეულიწინაპირობების გათვალისწინებით.

ლიეტუვის მაგალითიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იქ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სფეროში ადგილი აქვს საჯარო და კერძო სამართლის წესების მკაფიო ურთიერთქმედებას. კერძო სამართლის რეგულირების სფერო მოიცავს როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ასევე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებს, რომლებიც თავიანთი ნებით ახორციელებენ შემოწირულობებს, ხოლო საჯარო სამართალი მოიცავს ქონებრივ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიქმნება საბიუჯეტო გრანტების გაცემისას პოლიტიკურ პარტიებზე ან სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი სხვა ფორმის მხარდაჭერა. ლიეტუვის შემთხვევაში, ყველა ეს ურთიერთობა რეგულირდება სპეციალური სამართლებრივი აქტით, რომელიც აერთიანებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართლის დებულებებს - კანონი პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ და მასში დადგენილ რეგულაციას ავსებს ლიეტუვის სამოქალაქო კოდექსი და სხვა შესაბამისი კანონებით.

დასკვნა

ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში პარტიების დაფინანსების საკითხმა მათი დამოუკიდებლობის ღდგენის დღიდან მნიშვნელოვან ევოლუციის გზა გაიარა, თუმცა ზემოხსენებული პრობლემატური საკითხებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული თემა ბალტიის ქვეყნებისთვის კვლავ დიდ გამოწვევად რჩება. საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია ოქროს შუალედის მოძებნა, რათა აკრძალვებით არ შეზღუდოს პოლიტიკური პარტიების ეფექტურობა. თუმცა, როგორც ბალტიის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, პარტიის ფინანსების რეგულირების გაუმჯობესება ზოგადად.

გამოყენებული ლიტერტურა:

1. Biezen., V. i., Financing political parties and election campaigns – guidelines, Council of Europe. 2003
2. Yves-Marie.,FIGHTING CORRUPTION, Political funding, Council of Europe, 2015
3. Sikk, A., Highways to Power: New Party Success in Three Young Democracies, University of Tartu, 2006
4. EER., KAPO Declassifies Savisaar Files, 2010 https://news.err.ee/98700/kapo-declassifies-savisaar
5. SECOND NATIONAL ACTION PLAN OF LATVIA -2016 https://www.mk.gov.lv/en/media/5203/download
6. Dahl, Bob., Financing of political parties in Latvia: transparency, regulation and state subsidies, Centre for Public Policy. 2001
7. Balciunaite, L., Explaining Variance in Party System Stability in Lithuania and Latvia, Southern Illinois University Carbondale Open. 2016
8. Providus., Financing of Political Parties: Effectiveness of Regulation – the Latvian Example, Riga Graduate School of Law. 2003
9. The International Institute for Democracy and Electoral Assistance, Latvia https://www.idea.int/es/data-tools/country-view/198/55
10. European Parliament, Financing of political structures in EU Member States, 2021
11. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), LITHUANIA DRAFT LAW ON FUNDING OF, AND CONTROL OVER FUNDING OF, POLITICAL CAMPAIGNS AND

ARTICLE 35 OF THE LAW ON ELECTIONS TO MUNICIPAL COUNCILS, 2018
12. Jurkevicius. V., THE ISSUES OF FUNDING OF POLITICAL PARTIES IN LITHUANIA FROM THE PERSPECTIVE OF PRIVATE LAW, Institute of Civil Justice, Faculty of Law, Mykolas Romeris University, Lithuania, 2013.
13. The International Institute for Democracy and Electoral Assistance, Lithuania https://www.idea.int/data-tools/country-view/175/55

The issue of financing political parties in the Coalition countries (Estonia, Latvia, Lithuania)

Maka Benashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Political Parties are vital institutions for modern democracy. They mobilize the general public, create the basic mechanisms for the articulation and unification of social interests, and political parties play an important role in recruiting political elites by nominating and selecting candidates for public office.

One of the key issues for political parties to be effective and functioning is their finances. Often financial opportunities determine the popularity as well as the strength of political parties. The main, traditional sources of funding for political parties are membership fees and state funding. Also in some states political parties have the right to receive income from party property, party activities such as selling newspapers or other party publications, fundraising activities, party festivals and other social events. Issues related to the finances of political parties are often regulated by the relevant legislation. For in-depth analysis of this issue, the paper will discuss the issue of financing political parties in the Baltic States (Estonia, Latvia, Lithuania). In discussing the issue presented in the article, we rely on both the domestic regulatory legislation on the financing of political parties in Estonia, Latvia and Lithuania, as well as internationally applicable norms.

Estonia, as a former Soviet republic, has been in the process of establishing a system for integrating party finances, accounts and auditing since independence. The system is based on party donations received from the state, while corporate donations are prohibited. This helps to isolate the parties, although there is some controversy over this issue. It should be mentioned that due to public pressure, the party funding model in Latvia has shifted from overly liberal to a highly regulated and transparent system. However, direct state subsidies for political parties were introduced only in 2012. As in the rest of the world, one of the main and most controversial issues regarding political party funding in Lithuania is donations from individuals.

Keywords: Political Parties, Baltic States, Party funding.

სამართალმცოდნეობა

LAW

საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლების ურთიერთმიმართება

ელისაბედ აფაქიძე, სტუდენტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანა ჩხეიძე, სტუდენტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

საერთაშორისო სამართალში ომის მარეგულირებელ წესებსა და მშვიდობიანობის დროს მოქმედ ნორმებს შორის, თითქოს, ურთიერთკვეთის საკითხი არ უნდა იყოს პრობლემური, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს რომ ზღვარი ჰუმანიტარული სამართლითა და ადამიანის უფლებათა სამართლით საკითხის რეგულირებას შორის არც ისე მკაფიოა.

შეარაღებული სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობა წარმოშობს გარდაუვალ საფრთხეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვისა და რეალიზებისთვის. მეტიც: ადამიანის უფლებათა დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში განსაკუთრებით პრობლემური ხდება, ხოლო საომარი ვითარების პირობებში ჰუმანიტარული სამართლის ექსკლუზიური გავრცელება წარმოშობს ადამიანის უფლებათა დაცვის ვაკუუმის შექმნის საფრთხეს.

ამიტომაც, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართება, მათი კონ-კურენტული თუ შემავსებელი ბუნების გამორკვევა არსებითი მნიშვნელობისაა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარების გზა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისაგან განსხვავებულია, მაგრამ ისტორიული კონტექსტის სხვადასხვაგვარობა არ უნდა აღვიქვათ ხელშემშლელ ფაქტორად იმისათვის, რომ თანამედროვე სამართლებრივ ინსტრუმენტებში ასახვა ჰპოვოს ორივე სფერომ. მაგალითად, ბავშვთა უფლებების კონვენციის (CRC), რომელიც კლასიკურად, ადამიანის უფლებათა სამართლის დოკუმენტია, დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობას შეეხება.[1]

განსხვავებათა შორის ყველაზე ნიშანდობლივი და საყრადღებოა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლში დაშვებული ლეტალური ძალის გამოყენება ლეგიტიმური სამიზნის წინააღმდეგ და ცალკეული პირების დაკავება გასამართლებისა მათ შორის ინდივიადულური პროცედურების გარეშე.

ადამიანის უფლებათა სამართალი ასეთ შემთხვევაში უფრო შემზღუდავ, ადამიანთა დაც-ვაზე ორიენტირებულ მიდგომას გვთავაზობს, თუმცა პრაქტიკაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დადგენილი წესების იმპლემენტაცია, უფრო რეალისტური ხდება შეიარაღებული კონ-ფლიქტის რეალობიდან გამომდინარე.[2]

ფაქტია, რომ ჯერ არც საერთაშორისო სასამართლოები და არც საერთაშორისო სამართლის

[1] UN Commission on Human Rights, Convention on the Rights of the Child., 7 March 1990, E/CN.4/RES/1990/74, available at: https://www.refworld.org/docid/3b00f03d30.html [accessed 11 June 2022]

[2] M. Sassòli, International Humanitarian Law: Rules, Controversies, and Solutions to Problems Arising in Warfare, Cheltenham, Edward Elgar, 2019, ch. 9.1.1.

მეცნიერები გვთავაზობენს საკითხის საბოლოო გადაწყვეტას, თუმცა ვფიქრობთ, რომ ამ დილემის პრაქტიკული გადაჭრის გზაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოქმედება და გამოყენება როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე საომარ ვითრებაში, აქტიური შეიარაღებული მოქმედებების მიმდინარეობის ჩათვლით.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებათა სამართალი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, შეიარაღრბული კონფლიქტი.

შესავალი

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ინსტრუმენტები თავის მხრივ ითვალისწინებს მთელ რიგ ნორმებს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, თუმცა როგორია ადამიანის უფლებათა სამართლის როლი შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას? კონფლიქტის წარმოშობის, გამძაფრების, მიმდინარეობისა თუ გარდაქმნის პროცესის ადამიანის უფლებებათა სამართლის პრიზმიდან შეფასება შესაძლებელს ხდის მიმდარე კონფლიქტის სრულყოფილად აღქმას, თანაც ისე, რომ მნიშვნელობას არ უკარგავს ადამიანის უფლებათა სამართლებრივ საფუძვლებს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია უკანასკნელ პერიოდში ევროსასამართლოში განხილული ისტორიული საქმის ანალიზის საფუძველზე განიხილოს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს შორის კავშირის ბუნება, ამასთან, კონკურენციის შემთხვევაში როგორ შეიძლება გადაწყდეს რომელიმეს უპირატესობის საკითხი.

ძირითადი ნაწილი

1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიმართება

Jus in bello, რომლის შესატყვისიცაა საერთშორისო ჰუმანიტარული სამართალი, შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი სამართალია. შეიარაღებული კონფლიქტის განმარტებას ვერ შევხვდებით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად სახელშეკრულებო წყაროებში.[1] წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ჟენევის კონვენციების კომენტარების თანახმად კი, ჟენევის კონვენციების საერთო მე-2 მუხლის მნიშვნელობისთვის შეიარაღებულ კონფლიქტად მიიჩნევა ნებისმიერი უთანხმოება ორ ან მეტ სახელმიწფოს შორის, რომელიც შეიარაღებული ძალების ინტერვენციამდე მივა, მაშინაც კი თუ ერთ-ერთი მხარე უარყოფს საომარი მდგომარეობის არსებობის ფაქტს.[2]

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ამავდროულად განახსვავებს საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, თავის მხრივ, კი იმ ნორმების ერთობაა, რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებს ინდივიდებისა და ჯგუფების სამართლებრივად განმტკიცებული მოლოდინებისა თუ მოთხოვნების რეალიზებას, მიიღონ მთავრობებისგან გარკვეული სახის მოპყრობა ან პრივილეგიები იმ საფუძვლით, რომ ეს უფლებები განუსხვისებელია ადამიანისთვის.[3] ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითად წყაროებად უნივერსალურ დონეზე მიიჩნევა გაეროს ფარგლებში შემუშავებული 9 ძირითადი ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი.[4] ესენია: სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი,[5] სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი[6], რასობირივი დისკრიმინაციის ამკრძალავი კონვენცია[7] და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარების გზა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისაგან განსხვავებულია, მაგრამ ისტორიული კონტექსტის სხვადასხვაგვარობა არ უნდა

[1] ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი 1977 წლის 3 დამატებითი ოქმი.

[2] Convention (I) for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field. Geneva, 12 August 1949. ICRC, Commentary of 2016, Article 2: Application of The Convention.

[3] International Humanitarian Law International Human Rights Law Similarities And Differences, ICRC, April 2021, p 2. available at: https://www.icrc.org/en/document/international-humanitarian-law-and-international-human-rights-law-similarities-and [accessed 11 June 2022].

[4] The Core International Human Rights Instruments and their monitoring bodies, available at: https://www.ohchr.org/en/core-international-human-rights-instruments-and-their-monitoring-bodies

[5] UN General Assembly, International Covenant on Civil and Political Rights, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 999, p. 171, available at: https://www.refworld.org/docid/3ae6b3aa0.html [accessed 11 June 2022]

[6] UN General Assembly, International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 993, p. 3, available at: https://www.refworld.org/docid/3ae6b36c0.html [accessed 11 June 2022]

[7] UN General Assembly, International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination, 21 December 1965, United Nations, Treaty Series, vol. 660, p. 195, available at: https://www.refworld.org/docid/3ae6b3940.html [accessed 11 June 2022]

აღვიქვათ ხელშემშლელ ფაქტორად იმისათვის, რომ თანამედროვე სამართლებრივ ინსტრუმენტებში ასახვა ჰპოვოს ორივე სფერომ. მაგალითად, ბავშვთა უფლებების კონვენციის (CRC), რომელიც კლასიკურად, ადამიანის უფლებათა სამართლის დოკუმენტია, დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობას შეეხება.[1]

ეს ბუნებრივიცაა, რადგან როგორც IHRL-ის, ისე IHL-ის დაცვის ძირითადი ობიექტი, შესაძლოა განსხვავებული კონტექსტით, თუმცა ორივე შემთხვევაში ადამიანია. ამიტომაც არის რომ ამ ორი დარგის სამართლებრივ ინსტრუმენტებში ხშირად მსგავს, ზოგჯერ კი იდენტურ ნორმებსაც ვხვდებით:სიცოცხლის დაცვა, წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვა, დისკრიმინაციის აკრძალვა, ჯანდაცვისა და საკვების საკვებზე წვდომის საკითხების რეგულირება ქალთა და ბავშვთათვის გარანტირებული დაცვა.[2]

ამ მსგავსების ფონზე IHL-ი და IHRL-ი ექსკლუზიურად არეგულირებს ისეთ შემთხვე-ვებს, რომლებიც მეორეთი არაა მოცული და ზოგიერთ შემთხვევაში მსგავს შემთხვევებს აწესრიგებს განსხვავებულად. *Jus in bello*-ის მიერ რეგულირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები - საბრძოლო მოქმედებების წარმოება, კომბატანტისა და სამხედრო ტყვის სტატუსი და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემების დაცვა არ ექცევა IHRL-ის რეგულირების სფეროში.

თავის მხრივ, მთელი რიგი უფლებებისა და თავისუფლებებისა, როგორიცაა არჩევნებში მონაწილეობისა და გაფიცვის უფლება, პრესის თავისუფლება თუ შეკრების თავისუფლება არ გვხვდება IHL-ით მოწესრიგებულ საკითხთა შორის.

განსხვავებათა შორის ყველაზე ნიშანდობლივი და საყრადღებოა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლში დაშვებული ლეტალური ძალის გამოყენება ლეგიტიმური სამიზნის წინააღმდეგ და ცალკეული პირების დაკავება გასამართლებისა მათ შორის ინდივიადულური პროცედურების გარეშე.

ადამიანის უფლებათა სამართალი ასეთ შემთხვევაში უფრო შემზღუდავ, ადამიანთა დაცვაზე ორიენტირებულ მიდგომას გვთავაზობს, თუმცა პრაქტიკაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დადგენილი წესების იმპლემენტაცია, უფრო რეალისტური ხდება შეიარაღებული კონფლიქტის რეალობიდან გამომდინარე.[3]

სწორედ ასეთი პრობლემური საკითხების სამართლებრივი ბედის გამორკვევას ეხება წინმდებარე ანშრომიც: - რომელი ნორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც IHL და IHRL ერსა და იმავე სიტუაციას სხვადასხვაგვარად აწესრიგებს?

2. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის როლი შეიარაღებული კონფლიქტის დროს და კონკურენცია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან

ტრადიციული მიდგომა IHL-ისა და IHRL-ის ურთიერთკონკურენტული ნორმების თანაარსებობით გამოწვეული პრობლემის გადასაჭრელად *lex specialis derogat legi generali*-ის პრინციპის გამოყენებას გვკარნახობს.

აღნიშნულის თანახმად, მეტად სპეციალური ნორმა გადაწონის და უპირატესი მოქმედება აქვს უფრო ზოგად ნორმასთან შედარებით. ეს პრინციპი საერთაშორისო სამართლის განხილულ დარგებს შორის ურთიერთმიმართების განხილვისას სახელმძღვანელოა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის (Nuclear Weapons Advisory Opinion), ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისიისა (Coard v. United States; Decision on Request for Precautionary Measures (Detainees at Guantanamo Bay, Cuba) და საერთაშორისო სამართლის კომისიისთვის. საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა ნაწილი იზიარებს ამ პოზიციას და აღნიშნული პრინციპის გამოყენების სხვადასხვა ვარიაციასაც ავითარებენ.

ექსპერტთა ნაწილი კი ემხრობა, ამ დარგებს შორის კონკურენციის/წინააღმდეგობის დროს შემთხვევა გადაიჭრას სისტემური ინტეგრაციის ან ინტერპრეტაციის გზით, რაც არ იზღუდება რომელიმე დარგით და ითვალისწინებს საერთაშორისო სამართლის სხვა მოქმედ წესებსაც. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Hassan v. The United Kingdom*, ამ ლოგიკით სცადა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი ხუთი

[1] UN Commission on Human Rights, Convention on the Rights of the Child., 7 March 1990, E/CN.4/RES/1990/74, available at: https://www.refworld.org/docid/3b00f03d30.html [accessed 11 June 2022].

[2] International Humanitarian Law International Human Rights Law Similarities And Differences, ICRC, April 2021, available at: https://www.icrc.org/en/document/international-humanitarian-law-and-international-human-rights-law-similarities-and

[3] M. Sassòli, International Humanitarian Law: Rules, Controversies, and Solutions to Problems Arising in Warfare, Cheltenham, Edward Elgar, 2019, ch. 9.1.1.

მიზეზი, რომელიც ითვალისწინებს პირისთვის თავისუფლების შეზღუდვას, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან შესაბამისობაში მოეყვანა.[1] შეძლებელია ამომწურავ ჩამონათვალზე სასამართლოს ინტერპრეტაციით მეექვსე დასაშვები მიზეზის დამატება. ბუნებრივია, გაჩნდა მოსაზრებები, რომ სასამართლოს ეს პრობლემა უნდა გადაეჭრა lex specialis-ის პრინციპით.

ყველაზე გავრცელებული მიდგომა კი შემდგომში მდგომარეობს: ნორმათა კონკურენციის შემთხვევაში საკითხი უნდა გადაიჭრას ინდივიდუალური მიდგომით lex specialis გამოყენებით საერთაშორისო სამართლის საერთო სისტემური ჩარჩოსა და მიზნებისა და ლოგიკის შესაბამისად. ამ მიდგომას „საერთო სივრცედ“ მოიხსენიებენ. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ყოველთვის არ წარმოადგენს lex specialis-ს შეიარაღებულ კონფლიქტებში.[2]

შესაბამისად, მით უფრო იზრდება სიტუაციათა ინდივიდუალურ ყველა მახასიათებლის ინდივიდუალური ანალიზი, რათა დადგინდეს: 1. თუ რომელი ნორმაა სპეციალური სიტუაციასთან მიმართებით და 2. როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი საერთაშორისო სამართლის საერთო სისტემური ჩარჩოსა და მიზნებისა და ლოგიკის შესაბამისად.

შემდეგ ბლოკში შევეცდებით IHL-ისა და IHRL-ის ურთიერთმიმართებისა და კონკურენციის გადაწყვეტისა და, მათ შორის, lex specialis-ის წესის დადგენის ხსენებული მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების შეფასებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გადაწყვეტილების მაგალითზე.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის გადაწყვეტილების ანალიზი საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მეორე საქმეზე 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და მის შემდგომ პერიოდშიც ადამიანის უფლებათა დარღვევებზე რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობის საკითხს აფასებს.[3]

ამ საქმის მნიშვნელობას უპირველესად განაპირობებს ის, სასამართლომ პირველად იმსჯელა ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებულ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებზე რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე და დაადგინა რ.ფ.-ს მიერ ეფექტური კონტროლის განხორციელება სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და „ბუფერული ზონის“ ტერიტორიაზე 12 აგვისტოდან 10 ოქტომბრის მონაკვეთში. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რუსეთის ფედერაციის მიერ არაერთი, მათ შორის, წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის, სიცოცხლის უფლების, უკანონო დაკავების აკრძალვის, გადაადგილების და საკუთრების უფლების დარღვევა.

თუმცა 2008 წლის 8-12 აგვისტოს, ანუ უშუალო საომარი მოქმედებების დროს განხორციელებულ დარღვევებზე, სასამართლომ რუსეთის ფედერაციის იურისდიქიცია არ დაადგინა იმსჯელა რა, რომ შეიარაღებული ოპერაციების დროს განხორციელებული ქმედებები ავტომატურად არ ჩაითვლება ტერიტორიის „ეფექტურ კონტროლად “ვინაიდან „დაპირისპირებულ მხარეებს შორის საომარი კონფრონტაციის მთავარი მიზანი სწორედ ისაა, რომ კონკრეტულ ტერიტორიაზე მოიპოვოს ეფექტური კონტროლი, ხოლო ომის ქაოსის პირობებში კონტროლი ტერიტორიაზე არ ხორციელდება.”[4]

მეორე ტესტის – „სახელმწიფო აგენტის მიერ ინდივიდებზე კონტროლის განხორციელების“, ნაწილში სასამართლომ იმსჯელა ადრეულ გადაწყვეტილების - Bankovic case-ის მიხედვით და განმარტა, რომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას, როცა მხარეები ჯერ კიდევ კონკრეტულ ტერიტორიაზე კონტროლის მოპოვების მცდელობაში არიან საომარი ქაოსის პირობებში, არ ვრცელდება არც ეფექტური კონტროლი და არც სახელმწიფო აგენტის მიერ ინდივიდებზე კონტროლი.[5]

[1] ECHR, Hassan v. The United Kingdom, Application no. 29750/09, Grand Chamber, Judgment Strasbourg. 16 September 2014, para. 104.

[2] M. Sassòli, Le droit international humanitaire, une lex specialis par rapport aux droits humains?' in Andreas Auer et al. (eds), Les droits de l'homme et la constitution, Etudes en l'honneur du Professeur Giorgio Malinverni, Schulthess 2007, p. 375.

[3] ECHR, Georgia v. Russia (ii), Application no. 38263/08, Grand Chamber, Judgment (merits), Strasbourg, 21 January 2021.

[4] ECHR, Georgia v. Russia (ii), Application no. 38263/08, Grand Chamber, Judgment (merits), Strasbourg, 21 January 2021, para. 126.

[5] ECHR, Bankovic and Others v. Belgium and 16 Other States, Application no. 52207/99, Grand Chamber Decision, 12 December 2001.

მიგვაჩნია, რომ ბანკოვიჩის საქმის მოძველებული პრაქტიკის გამოყენებით შედარებით ახალი პრაქტიკის უარყოფის ფონზე, სასამართლომ დატოვა შთაბეჭდილება, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლის მოქმედების (თუმცა არაექსკლუზიური) სფეროში შესვლის თავიდან ასაცილებლად შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის ვაკუუმი 2008 წლის 8-12 აგვისტოს პერიოდში. აღნიშნული მოძველებული პრაქტიკის ნარატივის გამეორება უარყოფითად აისახა არა მხოლოდ თავად საქართველო-რუსეთის საქმის შედეგზე, არამედ საშიშ ტენდენციად შეიძლება იქცეს ევროსასამართლოს სამომავლო პრაქტიკისთვისაც, რადგან აღნიშნული გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ შესაძლოა ევროსასამართლომ უგულვებელყო ის რისკები, რომლებიც IHL-ის აქტიური შეიარაღებული მოქმედებების დროს მოქმედ ერთადერთ რეჟიმად გამოცხადებას მოსდევს.

დასკვნა

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართება - მათი კონკურენტული თუ შემავსებელი ბუნების დადგენა და პრაქტიკაში გამოყენება, დღემდე აქტუალურ და გადაუჭრელ სამართლებრივ დილემად გვევლინება. თუმცა იმის ფონზე, რომ რომ ადამიანის უფლებათა დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრობლემური ხდება სწორედ კონფლიქტის მიმდინარეობისას, იურიდიული მეცნიერება და პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად უნდა ვითარდებოდეს იმ სულისკვეთებით, რომ ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანირატული სამართლის ნორმები არა კონკურენტული და ურთიერთ-გამომრიცხავი, არამედ ერთიანი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს კომპონენტებია, რომლის მიზანიც უფლებადაცული ადამიანი და მშვიდობის მშენებლობაა.

ეს კი საშუალებას მოგვცემს ავირიდოთ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ვაკუუმის შექმნის რისკები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ის ზოგიერთ სიტუაციაში მოქმედ ერთადერთ რეჟიმად გამოცხადებას მოსდევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი 1977 წლის 3 დამატებითი ოქმი;
2. Convention (I) for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field. Geneva, 12 August 1949. ICRC, Commentary of 2016, Article 2: Application of The Convention;
3. International Humanitarian Law International Human Rights Law Similarities And Differences, ICRC, April 2021, available at: https://www.icrc.org/en/document/international-humanitarian-law-and-international-human-rights-law-similarities-and [accessed 11 June 2022];
4. The Core International Human Rights Instruments and their monitoring bodies, available at: https://www.ohchr.org/en/core-international-human-rights-instruments-and-their-monitoring-bodies;
5. UN General Assembly, International Covenant on Civil and Political Rights, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 999, available at: https://www.refworld.org/docid/3ae6b3aa0.html [accessed 11 June 2022]
6. UN General Assembly, International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 993, available at: https://www.refworld.org/docid/3ae6b36c0.html [accessed 11 June 2022];
7. UN General Assembly, International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination, 21 December 1965, United Nations, Treaty Series, vol. 660, available at: https://www.refworld.org/docid/3ae6b3940.html [accessed 11 June 2022];
8. UN Commission on Human Rights, Convention on the Rights of the Child., 7 March 1990, E/CN.4/RES/1990/74,

available at: https://www.refworld.org/docid/3b00f03d30.html [accessed 11 June 2022];
9. M. Sassòli, International Humanitarian Law: Rules, Controversies, and Solutions to Problems Arising in Warfare, Cheltenham, Edward Elgar, 2019;
10. M. Sassòli, Le droit international humanitaire, une lex specialis par rapport aux droits humains?' in Andreas Auer et al. (eds), Les droits de l'homme et la constitution, Etudes en l'honneur du Professeur Giorgio Malinverni, Schulthess 2007;
11. ECHR, Georgia v. Russia (ii), Application no. 38263/08, Grand Chamber, Judgment (merits), Strasbourg, 21 January 2021;
12. ECHR, Bankovic and Others v. Belgium and 16 Other States, Application no. 52207/99, Grand Chamber Decision, 12 December 2001;
13. ECHR, Hassan v. The United Kingdom, Application no. 29750/09, Grand Chamber, Judgment Strasbourg. 16 September 2014.

Interplay between international humanitarian and human rights law

Elisabedi Apakidze, student
Tbilisi State University

Ana Chkheidze, student
Tbilisi State University

Summary

The reciprocity seems not to be a problem between the rules of war and the rules of peacetime in international law, although, practice shows that the line between humanitarian law and human rights law is not very clear.

The conduct of armed hostilities poses an imminent threat to the protection and realization of human rights and fundamental freedoms. Moreover, the protection of human rights in the context of armed conflict becomes particularly problematic, while the exclusive dissemination of humanitarian law in the context of war poses the threat of creating a human rights vacuum.

Therefore, the interrelationship between international humanitarian law and international human rights law, determining their competitive or complementary nature is essential. Although the development of international humanitarian law differs from that of international human rights law, the diversity of historical contexts should not be construed as an impediment to the reflection of both areas in modern legal instruments. For example, the Convention on the Rights of the Child (CRC), which is a classic document of human rights law, provides an additional protocol for the participation of children in armed conflict.

The most notable and noteworthy are the differences in the use of lethal force allowed under international humanitarian law against a legitimate target and the detention of individuals without trial, including individual proceedings.

Human rights law in such a case offers a more restrictive, human-centred approach, although, in practice, the implementation of the rules established by international humanitarian law becomes more realistic in the light of the reality of armed conflict.

It is a fact that neither international courts nor international law scholars have yet offered a final solution to the issue, although, we believe that the practical solution to this dilemma is the application and application of international human rights law, both in peacetime and in war, including active armed action.

Keywords: Human Rights Law, International Humanitarian Law, Armed Conflict.

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის საკომუნიკაციო არხები

კონსტანტინე ბარაბაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: თემურ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის საკომუნიკაციო არხები და ინსტრუმენტები. ასევე, თუ რა მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციას ეფექტური მონეტარული პოლიტიკის წარმოებისთვის.

მიზნობრივ ჯგუფებთან და დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული, გასაგები, თანმიმდევრული კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე, მრავალფეროვანი და აუდიტორიაზე მორგებული საკომუნიკაციო არხების გამოყენება.

ნაშრომში გაანალიზებულია ის საკომუნიკაციო არხები, რომლებსაც ქვეყნის მთავარი ბანკი საზოგადოებასთან ურთიერთობაში იყენებს.

როგორცწესი,კომუნიკაციაზრდისმონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობას, საბოლოოდ კი ხელს უწყობს ცენტრალური ბანკის ძირითადი მიზნის - ფასების სტაბილურობის მიღწევას. ასევე, კომუნიკაცია ეხმარება ცენტრალურ ბანკს გააძლიეროს კონტროლი გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე. მონეტარული პოლიტიკის გავლენა გრძელვადიან განაკვეთებზე დამოკიდებულია არა მხოლოდ მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე, არამედ მოკლევადიანი განაკვეთების მომავალ ცვლილებაზეც. გრძელვადიან განაკვეთებზე ზეგავ-ლენის მოსახდენად მნიშნელოვანია ბაზარს სწორი მოლოდინები ჰქონდეს მოკლევადიანი განაკვეთების მომავალ ცვლილებაზე, რაც სათანადო კომუნიკაციის გზით მიიღწევა. მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანიც სწორედ ინფლაციის მოლოდინებზე ზეგავლენის მოხდენა, მოლოდინების მართვაა. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, რომელიც, სწორედ, საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და ინფლაცი-ური მოლოდინების მართვისკენ არის მიმართული.

საზოგადოებაში ეკონომიკური ცოდნის ზრდისა და ეროვნული ბანკისადმი ნდობის ამაღლების მიზნით, ბანკი მომავალშიც გეგმავს განაგრძოს სხვადასხვა საკომუნიკაციო აქტივობები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, როგორც ფინანსური ბაზრების მონაწილეთათვის, ასევე საზოგადოების სხვა წევრებისთვისაც.

საკვანძო სიტყვები: მონეტარულ პოლიტიკა, ცენტრალური ბანკის კომუნიკაცია, ფასების სტაბილურობა, ინფლაცია, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი, ინფლაციის მოლოდინი, ფინანსური განათლება, საკომუნიკაციო სტრატეგია, ცენტრალური ბანკის გამჭვირვალობა, დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკები, საკომუნიკაციო არხები.

შესავალი

საქართველოს ეროვნული ბანკი, საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისადმი დროულად მიწოდების მიზნით, ოპერატიულად ავრცელებს პრესრელიზებს და სტატისტიკურ მონაცემებს, რეგულარულად მართავს შესაბამის თემებზე პრესკონფერენციებს, კონფერენციებს, ბრიფინგებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და შეხვედრებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა წარიმართება როგორც მასობრივი ინფორმაციის, ისე კომუნიკაციის სხვა საშულებების გამოყენებით. სხვა წამყვანი ცენტრალური ბანკების აპრობირებული პრაქტიკის შესაბამისად/ მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობს ელექტრონული და ბეჭდვითი გამოცემების თუ მასობრივი საშუალებების მეშვეობით მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ფულად და სავალუტო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციების შესახებ, ასევე, წარმოაჩინოს საკუთარი ხედვა ამ საკითხებთან დაკავშირებით და ახსნას ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მოტივები.

მოლოდინების მართვასთან ერთად, მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაცია ბაზარზე პროგნოზირებადი გარემოს შექმნასაც უზრუნველყოფს. იმ შემთხვევაში, როდესაც ცენტრალური ბანკი სათანადოდ ახდენს კომუნიკაციას, მაშინ მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება აღარ წარმოადგენს სიურპრიზს ბაზრისთვის და, შესაბამისად, ბაზარზე ნაკლებ მერყეობას იწვევს. გარდა ამისა, ბაზრის მონაწილეებს უკვე გათვალისწინებული აქვთ მონეტარული პოლიტიკის სავარაუდო გადაწყვეტილებები თავიანთ ქმედებებში.

ძირითადი ნაწილი

ეფექტური მონეტარული პოლიტიკის გასატარებლად, კომუნიკაციის არსებული არხების განვითარებითა და ახალი გზების დანერგვით, ეროვნული ბანკი ახდენს საზოგადოებაში ნდობის ამაღლებას და ინფლაციური მოლოდინების მართვას. ამ მიზნით ბოლო წლებში განხორციელდა ეროვნული ბანკის პუბლიკაციების სტრუქტურის გადახედვა, ვებგვერდის მონეტარული ნაწილის განახლება და კომუნიკაციის ახალი სტრატეგიის შემოღება. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მუდმივად ხდება მიღებული გადაწყვეტილებისა თუ ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მონეტარული ოპერაციის ან სავალუტო ინტერვენციის შესახებ ინფორმაციის პრესრელიზის სახით გამოქვეყნება უმოკლეს ვადებში. ახალი საკომუნიკაციო ციკლის თანახმად, კვარტალში ერთხელ, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შეხვედრების შემდეგ ტარდება პრესკონფერენციები და ანალიტიკოსებთან შეხვედრა მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის გამოქვეყნებისას. პრესკონფერენცია და აღნიშნული შეხვედრა წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტიან საშუალებას, სადაც ეროვნული ბანკი ანალიტიკოსების გუნდს დეტალურად აცნობს იმ ძირითად საკითხებს და პრობლემებს, რომელიც წარმოიშვა მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შეხვედრაზე და უხსნის მიღებული გადაწყვეტილების მიზეზებს.

თითქმის ყველა ქვეყნის ცენტრალური ბანკისთვის მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ძირითადი ინსტრუმენტია „მონეტარული პოლიტიკის ანგარიში“, სადაც დეტალურად არის ახსნილი მიღებული გადაწყვეტილებები და მოცემულია პროგნოზები. უფრო კონკრეტულად, მასში დეტალურადაა გაანალიზებული ინფლაციის მაჩვენებლის პროგნოზები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობს მონეტარული პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ასევე წარმოდგენილია ეკონომიკური ზრდის პროგნოზები. მონეტარული პოლიტიკის ანგარიშში" მოცემულია ქვეყნის მაკროეკონომიკური ანალიზი. კერძოდ, სამომხმარებლო ფასების ცვლილების დინამიკა შესაბამისი საანალიზო პერიოდისათვის, მასზე მოქმედი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები, საფინანსო და სავალუტო სექტორის მიმოხილვა. აღსანიშნავია, ისიც რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ცენტრალური ბანკების იმ მცირე რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის საპროგნოზო ტრაექტორიას აქვეყნებს. მიმოხილვის გამოცემის გრაფიკი მკაცრად არის გაწერილი და შესაბამისად დაცული.

მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის გამოქვეყნება პრესრელიზით ხდება. ანგარიშს თან ერთვის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის მოკლე ვიდეო

მიმართვა, სადაც საუბარია ძირითად აქცენტებზე, ვიდეოში გამოყენებულია გრაფიკული ვიზუალი, რომელიც მნახველზე გარკვეულ ეფექტს ახდენს. ანგარიშთან ერთად ვრცელდება ვიდეო მიმართვის მოკლე ვიდეოს ტექსტიც.

საბანკო სისტემის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და სექტორში მიმდინარე პროცესების ფართო საზოგადოების ოპერატიულად მიწოდების მიზნით, ცენტრალური ბანკები ამზადებენ პერიოდულ გამოცემებს და თემატურ პუბლიკაციებს. „წლიური ანგარიში" - ნებისმიერი ცენტრალური ბანკისთვის ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტია, რომელიც სრულად მოიცავს საანგარიშო წლის განმავლობაში ბანკის თითქმის ყველა ძირითად მიმართულებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წლიურ ანგარიშს, რომელშიც განხილულია ის პრიორიტეტული მიმართულებები, რითაც ხელმძღვანელობდა ქვეყნის ცენტრალური ბანკი საანგარიშო პერიოდში, ასევე მისი შეფასებები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესებზე, რომლებიც საანგარიშო წლის განმავლობაში არსებით გავლენას ახდენდა საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობასა და ეროვნული ბანკის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაზე.

ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მუდმივად ახდენს მიღებული გადაწყვეტილებისა თუ ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მონეტარული ოპერაციის ან სავალუტო ინტერვენციის შესახებ ინფორმაციის პრესრელიზის სახით გამოქვეყნებას.

მედიას განსაკუთრებული როლი ეკისრება ცენტრალური ბანკების საქმიანობაში. განსაკუთრებით ეს ეხება ბიზნესისა და ეკონომიკური მიმართულების მედია საშულებებს, რომლებიც საზოგადოების ცნობიერებაზე მნიშვნელოვან და ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენენ.

მთავარი ეკონომიკური თემების, მათ შორის ცენტრალური ბანკების გადაწყვეტილებებისკენ მედიის ყურადღება ყოველთვის არის მიპყრობილი. მედია მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებებს, აშუქებს ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის პრესკონფერენციებს, შეხვედრებს, ამზადებს მასალებს და ინფორმაციებს მონეტარული პოლიტიკის ანგარიშიდან და ა.შ

ცენტრალური ბანკები საზოგადოებისათვის თავისი მიზნების, სტრატეგიისა და შეხედულებების გასაცნობად ხშირად აწყობენ შეხვედრებს ანალიტიკოსებთან და ფინანსური ბაზრის წარმომადგენლებთან, ასევე სტუდენტებთან. აღნიშნული ფორმატი ზრდის საზოგადოების ცნობიერებას ცენტრალური ბანკის საქმიანობისა და ამოცანების შესახებ. ასევე, ხელს უწყობს რაციონალური ეკონომიკური მოლოდინების ჩამოყალიბებას და კიდევ უფრო ზრდის ეროვნული ბანკის პოლიტიკის ღონისძიებების ეფექტურობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის გამოქვეყნებისთანავე გამართული შეხვედრები ანალიტიკოსებთან და დარგის სპეციალისტებთან.

საქართველოს ცენტრალურ ბანკს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომების საქართველოს რეგიონებში გამართვის ტრადიციაც აქვს, რომლის მიზანი (რაც პანდემიის პირობებში დროებით შეჩერებული იყო) 2016 წლიდან მოყოლებული ეროვნული ბანკი, ყოველწიურად რვა შეხვედრიდან 3-4 შეხვედრას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ატარებდა. კომიტეტის სრული შემადგენლობა იკრიბებოდა და იღებდა გადაწყვეტილებას, რომელსაც საზოგადოებას პრესკონფერენციის მეშვეობით იმავე რეგიონიდან პირდაპირ ეთერში აცნობდა. ქვეყნის მთავარი ბანკი პასუხობდა ყველა იმ შეკითხვას, რომელიც უკავშირდებოდა ზოგადად ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკას, მის ინსტრუმენტებსა თუ გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ პრესკონფერეციის დროს ცენტრალური მედიის წარმომადგენლების გარდა უშუალოდ არიან ჩართულნი რეგიონების მედიასაშუალებების წარმომადგენლები, რაც ასევე კარგი შესაძლებლობაა მათთვის უფრო ახლოს და დეტალურად გაიგონ ცენტრალური ბანკის საქმიანობის შესახებ, მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია ბანკის გადაწყვეტილების შესახებ და ა.შ. კომიტეტის სხდომების საქართველოს რეგიონებში ჩატარების იდეა მხოლოდ ეს არ არის, ამავე შეხვედრების ფარგლებში, კომიტეტის გადაწყვეტილებების გაცნობის შემდგომ წევრები ადგილობრივი ბიზნესის, როგორც მსხვილი, ისე

მცირე საწარმოთა წარმომადგენლებს ხვდებიან. შეხვედრებში რეგიონის ფინანსური სექტორის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. ადგილობრივ ბიზნესთან შეხვედრის მთავარი მიზანი სწორედ ცენტრალური ბანკის მესიჯების მიტანაა.

ამავე შეხვედრების ფარგლებში იმართება ცენტრალური ბანკის წარმომადგენელთა შეხვედრა რეგიონის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან, რაც უდავოდ კარგი შესაძლებლობაა ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებების მიმღები პირებისგან მოისმინონ ყველა ის თემა თუ საკითხი, რომელიც მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებს უკავშირდება.

ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არხია, რომლის საშუალებითაც ცენტრალური ბანკები ურთიერთობენ და თანამშრომლობენ ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ვებგვერდის დახმარებით, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს - ობიექტური, სანდო, აკადემიური და მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ეკონომიკაში მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვან თემებზე. ასევე, ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც მომხმარებლებს საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებაში ეხმარება.

ცენტრალური ბანკების ვებგვერდები ერთი შეხედვით ძალიან გავს ერთმანეთს. ვებგვერდების ძირითადი სტრუქტურა თითქმის იდენტურია. ვებგვერდი შედგება ძირითადი მიმართულებებისგან: „მონეტარული პოლიტიკა", „ფინანსური სტაბილურობა", „ზედამხედველობა/რეგულირება", „ბანკნოტები და მონეტები", „საგადახდო სისტემები", „სტატისტიკა", „პუბლიკაციები". თუმცა, აღსანიშნავია ბოლო პერიოდში ზოგიერთმა ბანკმა (ინგლისის ბანკი და სხვა) ერთი ქოლგის ქვეშ - „ფუნქციები" გააერთიანა ზემოთ ხსენებული ძირითადი მიმართულებები.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდს ყოველდღიურად უამრავი მომხმარებელი სტუმრობს, კერძოდ, საფინანსო სექტორის, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მედია, დარგის ექსპერტები, ანალიტიკოსები, ნუმიზმატები და სხვა. ინფორმაციას რეგულარულად ეცნობიან არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც - უცხოელი პარტნიორები, ინვესტორები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები და სხვა. ვიზიტორთა ყოველწლიური მზარდი სტატისტიკა სწორედ მომხმარებელთა გაზრდილ ინტერესზე მიუთითებს.

ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად თითქმის ყველა ქვეყნის ცენტრალური ბანკი იყენებს სოციალური მედიის არხს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ახალი მედიის როლს კომუნიკაციის პროცესში. სოციალური მედიის სხვადასხვა არხებზე კომუნიკაციისას მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს ძირითადი გზავნილის ერთიანობა. მთავარი შეტყობინებების გარკვეული ასპექტები უნდა იყოს ადაპტირებული ცალკეულ არხებზე, რადგან თითოეულს შესაძლოა დასჭირდეს განსხვავებული ტონი ან შინაარსი ეფექტური იყოს. ამის ძალიან კარგი მაგალითია სოციალური ქსელი „ინსტაგრამი", რომელსაც გააჩნია ვიზუალური თხრობისა და კომუნიკაციის მთავარი მექანიზმი. ინსტაგრამი პოპულარულია ახალგაზრდებში, რომლებიც უკეთ რეაგირებენ ენის გარკვეულ სტილზე.

ასევე, ძირითადი მესიჯების გადაცემის არხის არჩევისას, გასათვალისწინებელია სამიზნე აუდიტორიის მკაფიო ცნობიერება (მაგ. ტრადიციული მედია ხანდაზმულებისთვის, სოციალური მედია ახალგაზრდებისთვის). მომავალში აუცილებელია უფრო მეტი ანალიზი იმისათვის, თუ რომელი სოციალური არხი უკეთ წვდება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს.

მნიშნელოვანია ასევე კონტენტთან დაკავშირებული ურთიერთქმედება სოციალური მედიის პლატფორმების მომხმარებლებთან, რადგან ამან შესაძლოა საზოგადოებასთან უფრო მეტი ჩართულობა გამოიწვიოს.

საქართველოს ეროვნული ბანკი საზოგადოებასთან და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაში სოციალურო მედიის შემდეგ არხებს იყენებს, Facebook, Instagram, YouTube, LinkedIn, Twitter.

დროსთან ერთად სწრაფად იცვლება ეკონომიკური პოლიტიკის კომუნიკაციისთვის გარემო, რაც უშუალო კავშირშია ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მოლოდინის ზრდასთან.

დასკვნა

მაშ ასე, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მისი ძირითადი ამოცანების, მონეტარული

პოლიტიკის გადაწყვეტილებებისა თუ გატარებული ღონისძიებების საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. საქართველოს ეროვნული ბანკი მიყვება თანამედროვე საკომუნიკაციო მიდგომებს და ახალი არხების განვითარებით ცდილობს იყოს ღია და გამჭვირვალე ინსტიტუტი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მნიშნელოვანია, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას მას ჰქონდეს პირდაპირი და დიალოგზე ორიენტირებული მიდგომა, რაც პირველ რიგში მოიაზრება მომხმარებელთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერაქციაში, დისკუსიების გამართვაში, ონლაინ გამოკითხვების მოწყობაში და ა.შ. ასევე, საზოგადოებაში ეკონომიკური ცოდნის ზრდისა და ეროვნული ბანკისადმი ნდობის ამაღლების მიზნით, საჭიროა ეროვნულმა ბანკმა გაგრძელოს შეხვედრები, პრეზენტაციები და სემინარების სერიები მიმდინარე აქტუალური საკითხებზე, როგორც ფინანსური ბაზრების ოპერაციების მონაწილეთათვის, ისე სოციუმის წევრებთან. ცენტრალურმა ბანკებმა გაბედულად უნდა იმოქმედონ, შეიმუშაონ გრძელვადიანი ხედვა, იყვნენ მუდმივ კომუნიკაციაში საზოგადოებასთან, რათა გრძელვადიან პერიოდში მათმა ქმედებებმა მაღალ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას შეუწყოს ხელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Simply is best: enhancing trust and understanding of central banks through better communications, 2020
2. Mario Draghi - ECB President, Speech “Central bank communication”, 2014;
3. The 3 E’s of central bank communication with the public, Staff Working Paper, Bank of England, 2020
4. Central Bank Communication: One Size Does Not Fit All, Reserve Bank of Australia, 2021
5. „მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო დოკუმენტი“, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2019 წელი;
6. „წლიური ანგარიში“, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2019 წელი;
7. „ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები“, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2008 წელი
8. „მონეტარული პოლიტიკის სტრატეგია“, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2011 წელი
9. https://nbg.gov.ge/page/ბანკის-შესახებ

Monetary Policy Communication Channels of the National Bank of Georgia

Konstantine Barabadze,PhD student
Georgian Technical University

Supervisor: Temur Jagodnishvili, Professor
Georgian Technical University

Summary

The article discusses the communication channels and instruments of the National Bank of Georgia’s monetary policy, pinpointing the importance of communication for the implementation of an effective monetary policy.

It is important to use contemporary, diverse and audience-centered communication channels to make sure there is proactive, comprehensible, and consistent communication with target groups and stakeholders.

The paper analyzes the communication channels used by the country's central bank in public relations.

As a rule, communication increases the effectiveness of monetary policy, and ultimately contributes to price stability as the main goal of the central bank. Communication also helps the central bank tighten controls on long-term interest rates. The impact of monetary policy on long-term rates depends not only on short-term interest rates, but also on future changes in short-term rates. In order to influence long-term rates, it is important for the market to have the right expectations for the future change in short-term rates, and that is to be achieved through proper communication. Influencing inflation expectations and managing expectations is one of the main purposes of monetary policy communication. In recent years, the National Bank of Georgia has been committed to improving monetary policy communication, as part of its effort to enhance public confidence and manage inflation expectations.

To achieve enhanced familiarity of economics in the society and stronger confidence in the National Bank of Georgia, the Bank plans to involve both financial market participants and other members of the society in its ongoing communication projects dedicated to topical issues.

So, the National Bank of Georgia, prioritizes effective communication with the public about its key tasks, monetary policy decisions and actions. The National Bank of Georgia applies modern-day communication techniques, striving to be an open and transparent institution in a democratic society by developing new channels. It is important to the Bank to be direct and dialogue-oriented in communicating with the public, and that is achieved through interacting with customers and stakeholders, holding discussions, doing online surveys, and so on.

To achieve enhanced familiarity of economics in the society and stronger confidence in the National Bank of Georgia, the Bank needs to continue involving both financial market participants and other members of the society in its ongoing communication projects: meetings, presentations and series of seminars dedicated to topical issues. Central banks need to act boldly, develop a long-term vision, and be committed to ongoing communication with the public, so that their actions contribute to high and sustainable economic growth in the long run.

Key words: Monetary Policy, Central Bank Communication, Price Stability, Inflation, Inflation Targeting Regime, Inflation Expectations, Financial Education, Communication Strategy, Central Bank Transparency, Independent Central Banks, Communication Channels.

სამართლიანობის იდეალი ჰუმანიზმის პერსპექტივით

ლია მეტრეველი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ია ალანია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სოციალური სამართლიანობის იდეალის აქტუალიზაცია, გარდა პოლიტიკური და სამართლებრივი პირობებისა, მოითხოვს გარკვეულ იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ საფუძვლებსაც, რომლებიც ჰუმანისტური ხასიათის უნდა იყოს.

ჰუმანიზმი არის შეხედულებათა ისტორიულად ცვალებადი სისტემა, რომელიც აღიარებს პიროვნების, როგორც პიროვნების ღირებულებას, მის უფლებას თავისუფლებაზე, ბედნიერებაზე, განვითარებასა და შესაძლებლობების გამოვლენაზე; სოციალური ინსტიტუტების შეფასების კრიტერიუმად ადამიანის სიკეთე, ხოლო ადამიანებს შორის ურთიერთობის სასურველ ნორმად თანასწორობის, სამართლიანობის, ჰუმანურობის პრინციპები. ცენტრალური იდეა არის აქტუალიზაცია ჰუმანისტური კვლევებით ინდივიდისთვის თანდაყოლილი შესაძლებლობები, მისი „ღირსების“ ყოვლისმომცველი კულტივირება.

ჰუმანიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მსოფლმხედველობრივი პრინციპი, რომელიც თავის გამოვლინებას პოულობს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში რელიგიურ სწავლებებში, ფილოსოფიურ კონცეფციებსა და სოციალურ დოქტრინებში. მათ შორისაა, მაგალითად, ბუდიზმი, რომელმაც დაიწყო ადამიანის სულიერი განთავისუფლება, აღიარა ყველა ადამიანის, როგორც პიროვნების მორალური თანასწორობა. მოგვიანებით, ეს იდეა სრულად გამოითქვა ბერძნულ ფილოსოფიაში - პიროვნების „ჰუმანიზაცია“ სიბრძნის სიყვარულით. თანამედროვე ეპოქაში ჰუმანიზმმა შეიძინა ფართო კულტურული ტენდენციის სახე, რომელიც საფუძვლებში თანხმდება ფილანტროპიის მორალურ პრინციპთან, რომელიც პირველად ჩამოყალიბდა ი.კანტის მიერ თავის კატეგორიულ იმპერატივში. პიროვნებისადმი დამოკიდებულება, როგორც თვითმიზანი (თვითმიზანი, თვითღირებულება) იდეალური იყო მე-18, მე-19 და მე-20 საუკუნეების ფილოსოფიური ტენდენციების უმეტესობისთვის: კლასიკური გერმანული ფილოსოფია, მარქსიზმი, ეგზისტენციალიზმი, ნეო-ფროიდიზმი და ა.შ.

ამასთან, ჰუმანიზმი, როგორც „სტრატეგია, რომელიც მიმართულია ადამიანის პიროვნებისა და ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე“, ასევე ატარებდა ანთროპოცენტრიზმის გარკვეულ ელემენტებს, რაც რეალურად აღმერთებს ადამიანს, ანიჭებს მას სამყაროს ცენტრისა და მიზნის სტატუსს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ ფაქტს, რომ კაცობრიობა ქმნის სამყაროს ყოფიერების უმაღლეს ფორმას ჩვენთვის ცნობილი ყველა ფორმისგან და რომ ადამიანი არის უმაღლესი სულიერი ფასეულობების ერთადერთი შემოქმედი, მათ შორის მორალურისაც. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ „...ადამიანი არის ადამიანი და არის მიბმული ამ ფასე-ულობებთან“.

თუ ინდივიდი იწყებს საკუთარი თავის უმაღლეს ღირებულებად მიჩნევას, მაშინ ფუნდამენტური ჰუმანისტური პრინციპები გაუკუღმართებულია, რაც საფუძველს იძლევა ჰუმანიზმის კრიზისის შესახებ განცხადებებისთვის.

ბევრი გამოჩენილი მოაზროვნე წერდა ჰუმანიზმის კრიზისის შესახებ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში. საკმარისია გავიხსენოთ ო.შპენგლერის „ევროპის დაცემა“, ნ.ბერდიაევის „აღორძინების ეპოქის დასასრული და ჰუმანიზმის კრიზისი“, რ. გვარდინის „თანამედროვე დროის დასასრული“, „ევროპული კაცობრიობის კრიზისი“. ე.ჰუსერლის მიერ. მოგვიანებით ეს თემა შეიმუშავეს კ. ლორენცმა („ცივილიზებული კაცობრიობის რვა სასიკვდილო ცოდვა“), ი. ჰეიზინგი („ხვალინდელი დღის ჩრდილში. ჩვენი ეპოქის სულიერი ავადმყოფობის დიაგნოზი“), ე. ფრომი (“ იმედის რევოლუცია“) და მრავალი სხვა. კრიზისის მთავარი მიზეზი იყო ცნობიერების ანთროპოცენტრული დამოკიდებულება, რომელ-

მაც მიიღო პრიორიტეტული განვითარება ევროპულ კულტურაში და, შედეგად, მივიღეთ ადამიანის უარი ემსახურებოდეს იდეალებს, გადაჭარბებული ფოკუსირება საკუთარ თავზე, მის საჭიროებებზე და მისწრაფებებზე.

საკვანძო სიტყვა: სოციალური სამართლიანობა, ჰუმანიზმი, ადამიანის ბიოსფერო

შესავალი

ახალი ევროპული ჰუმანიზმი, რომელიც პიროვნებას უმაღლეს ღირებულებად აცხადებდა, ხაზს უსვამდა მის თავისუფლებას და უფლებებს (რაც ისტორიულად იყო განსაზღვრული). ფილოსოფოსები მაგალითებისთვის მიმართავს ძველი რომის ისტორიას, რომელიც, მოგეხსენებათ, რომის იმპერიის დაცემით დასრულდა. იქ ვხვდებით კულ-ტურის კრიზისს: ადამიანმა დაივიწყა სულიერება, თაყვანს სცემდა კერპებს, ეძებდა მხოლოდ მატერიალურ სიკეთეს და გრძნობით სიამოვნებას. რომი შეცვალა შუა საუკუნეებმა თავისი ასკეტიზმით, ბერ-მონაზვნობითა და რაინდობით, ადამიანის ღმერთისადმი დაქვემდებარებით. შუა საუკუნეების სულიერი არსი, მისი უმაღლესი პათოსი არის სამყაროსგან შინაგანი განცალკევება, ღმერთის სასუფევლის იდეა. მაგრამ ეს იყო ის, ვინც შემდგომში - რენესანსსა და ახალ ეპოქაში - მიიყვანა ადამიანი მსოფლიოში ბატონობისკენ. და პირიქით, ახალი ადამიანის გამოცდილებამ, რომელმაც საკუთარ თავს დაავალა სამყაროზე ბატონობა, გახადა იგი სამყაროს მონა. ცენტრის დაკარგვის შედეგად ადამიანის პიროვნება დაიშალა, ჰუმანიზმი გადაგვარდა ანტიჰუმანიზმში. „მეორდება ის პარადოქსული ჭეშმარიტება, რომ ადამიანი იძენს და ადასტურებს საკუთარ თავს, თუ თავს დაემორჩილება უმაღლეს ზეადამიანურ პრინციპს და იპოვის ზეადამიანურ სალოცავს, როგორც მისი ცხოვრების შინაარსს. და პირიქით, ადამიანი საკუთარ თავს კარგავს, თუ უმაღლესი ზეადამიანური შინაარსისგან თავისუფლდება და ვერაფერს იპოვის საკუთარ თავში, გარდა თავისი დახურული ადამიანური სამყაროსა. ბერდიაევის აზრით, მხოლოდ ახალი შუასაუკუნეების გავლის შემდეგ შეუძლია ადამიანს აღადგინოს მთლიანობა და მნიშვნელოვნება თავის არსებობაში. მის მიერ შემოთავაზებული კონცეფცია რელიგიური ხასიათისა იყო. საერო ვერსიაში, როგორც ჩანს, „ზეადამიანურ“ სალოცავებსა და ღირებულებებზე კი არ უნდა ვისაუბროთ, არამედ უნივერსალურებზე - სიკეთის, მოვალეობის, სამართლიანობის იდეალებზე, „ახალი ასკეტიზმის“ აუცილებლობის შესახებ, მაგრამ არა რელიგიური, არამედ ეთიკური და მეტაფიზიკური ხასიათისა. ავტორის თქმით, თანამედროვე კულტურამ გამოაცხადა სიცოცხლის კულტი, ნდობა ბედნიერების უფლებისადმი აქ, დედამიწაზე და ამისთვის ყველაფერს აკეთებს. ადამიანი უარს ამბობს არა მხოლოდ რაციონალურ შემეცნებაზე, არამედ ზოგადად შემეცნების იდეალზე რაღაც ინფრარაციონალურის, ინსტინქტებისა და მისწრაფებების გამო.

ძირითადი ტექსტი

არსებისა და სიცოცხლის ამაღლების ნება, რომელიც უარყოფს ინტელექტის ხელმძღვანელობას, მოდის სულის ეთიკურ შესუსტებამდე. ამის ერთადერთი საპირწონე მხოლოდ უმაღლესი ეთიკური და მეტაფიზიკური ღირებულებები შეიძლება იყოს დესტრუქციული ფაქტორები (ჰეიზინგი, 1992). ახალი ასკეტიზმი, რომელიც ასე აუცილებელია ჩვენი სულიერი განწმენდისთვის, - წერს ავტორი შემდგომში, - არ იქნება სამყაროს ასკეტური უარყოფა სამოთხეში ნეტარების გამო, ის გამოვლინდება თვითკონტროლში და სამართლიანობის სწორად განსაზღვრაში, ძალაუფლებასა და სიამოვნებას შორის. ეს გარკვეულწილად ჩაახშობს ცხოვრების აღვირახსნილ ქებას. ახალი ასკეტიზმი უნდა იყოს თავგანწირვა იმ სახელით, რაც შეიძლება ჩაითვალოს უმაღლეს ღირებულებად. სიამოვნებისა და თვითდადასტურების პრინციპები, რომლებიც თანამედროვე ადამიანის ძირითად მიმართულებად იქცა, ფსიქოანალიზის მიხედვით, ინდივიდის ცხოვრების ბავშვობისა და მოზარდობის, შესაბამისად, ბირთვია. ფსიქოლოგიური მეტაფორა რომ გამოვიყენოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ თინეიჯერობის წლებშია, ამიტომ, ჰუმანიზმის კრიზისის მიზეზი არის არა ადამიანის თანდაყოლილი მანკიერი ბუნება, არამედ მისი უმწიფრობა, ბავშვურობა (რასაც, უფრო მეტიც, ტექნიკური სათამაშოების მუდმივად მზარდი რაოდენობა ამძიმებს). ფსიქოლოგების აზრით, მოზარდობის ცენტრალური მოვლენა არის ინდივიდის თვითგამორკვევა და თვითდა-

დასტურება. ინდივიდის შემდგომი მომწიფება გულისხმობს მისი კრეატიულობისა და სიყვარულის უნარის განვითარებას, ასევე პასუხისმგებლობის აღების და ეგოისტური მისწრაფებების დაძლევის უნარს სხვების საკეთილდღეოდ, იხელმძღვანელოს სინდისით და მოვალეობის გრძნობით და არა გარეგანი შიშით. სოციალური სამართლიანობის სანქციები ადამიანის ბუნების თანდაყოლილი თვისებაა და ამ პოტენციალების რეალიზება გულისხმობს იდეალების მიღებას, რომლებიც აღარ არიან ვიწრო პიროვნული ან თუნდაც ეროვნული, არამედ უნივერსალური ბუნებით. უფრო მეტიც, ეს უნდა იყოს ზუსტად მორალური იდეალები. ახალი ჰუმანიზმი უნდა იყოს ეთიკური ჰუმანიზმი.

ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი, რომელიც აღიარებს ეთიკის ახალი ჰუმანიზმის ბირთვად განხილვის აუცილებლობას, ამავდროულად, მის განმარტებაში შედის უკვე ნაცნობი ფორმულა, რომლის მიხედვითაც ადამიანი არის "უმაღლესი ღირებულება". ჰუმანიზმს ახასიათებს, როგორც გარკვეულ მსოფლმხედველობას, რომელიც დაფუძნებულია ფილანტროპიის პრინციპებზე, ხოლო ჰუმანურობას, კაცობრიობის, როგორც ადამიანის ბუნების განუყოფელ საკუთრებას. ამ დებულების კონკრეტიზაციისას, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ "... "ჰუმანიზმის", როგორც ეთიკური ფენომენის ონტოგენეზია და ფილოგენეზია უნდა ჩაითვალოს ორგანულ კავშირში პიროვნების "ჰუმანიზაციასთან", მის ფიზიო-ფსიქო-სოციალურ ბუნებასთან, „ევოლუციურად მემკვიდრეობით მიღებული ადამიანის სწრაფვა თავისუფლების, სამართლიანობის, თანასწორობის, თანაგრძნობისა და ა.შ. თუმცა, ხშირია შემთხვევა, როცა ჰუმანიზმის ზოგადი პრინციპების განსაზღვრისას, „ჰუმანიზმი არის მსოფლმხედველობა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის იდეაზე, როგორც უმაღლეს ღირებულებაზე ყველა წარმოდგენაზე სულიერ ღირებულებათა შორის“.

ჩვენი აზრით, ეს იმეორებს კლასიკური ლიბერალური ჰუმანიზმის (და განსაკუთრებით ნეოლიბერალიზმის) შეცდომას, რომელიც ცდი-ლობს ისაუბროს მხოლოდ ადამიანის უფლებებ-ზე, მაგრამ არა მის მოვალეობებზე, დაინახოს ადამიანი, როგორც ავტონომიური პიროვნება, რომელსაც აქვს საკუთარი ინტერესების დაცვის უფლებაც კი. სხვა ადამიანების და ზოგადად საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. ადამიანისა და ჰუმანიზმის ასეთი გაგება რეალურად არღვევს სიკეთის ცნებას და მასზე დაფუძნებულ კაცობრიობის კონცეფციას.

ჰუმანიზმის ახალი ფორმა, რომელზეც ბევრი მკვლევარი წერს და რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე სრულად აკმაყოფილებს კაცობრიობის მორალურ მისწრაფებებს მისი განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, არის ნოოსფერული ჰუმანიზმი. მისი საფუძველი ჩაეყარა ვ.ი. ვერნადსკი ბიოსფეროსა და ნოოსფეროს დოქტრინაში.

ნოოსფერულ და ჰუმანისტურ იმპერატივებს შორის ურთიერთობა ასევე შეიძლება გამოიკვეთოს სოციალური ეთიკის სფეროში, ვინაიდან ნოოსფეროს ფორმირება შეუძლებელია მთელი კაცობრიობის სოციალურ ინტეგრაციის უფრო მაღალ ხარისხზე გადასვლის გარეშე. როგორც ვ.ი. ვერნადსკი აღნიშნავს, კაცობრიობის გადარჩება მხოლოდ მთლიანობაში. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს ადამიანთა ცხოვრებაში მორალური იდეალების აქტუალიზაციას. ჰუმანისტური იმპერატივი მოითხოვს ინდივიდების სოციალური სამართლიანობის, ეკონომიკური, პოლიტიკური, და რასობრივი განხეთქილების დაძლევას, სოციალური თანასწორობის დამყარებას, უმაღლესი ფასეულობების პრიორიტეტს კაცობრიობის მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებაში. ამრიგად, ნოოსფერო არ არის მხოლოდ მეცნიერული და ტექნიკური აზროვნების სფერო, არამედ კულტურული ფორმების სფერო, რომლის ფარგლებშიც ადამიანი აშენებს ურთიერთობას ბუნებასთან და სხვა ადამიანებთან კაცობრიობისა და სამართლიანობის ეთიკური კანონების საფუძველზე.

ნოოსფერული ჰუმანიზმის კონცეპტუალური დიზაინი დასრულდა პოსტსაბჭოთა ფილოსოფიაში ა.ვ. ბრაგინა, ი.მ. ბორზენკო, ე.ვ. გირუსოვა, ნ.ნ. მოისეევა, გ.ს. სმირნოვა და სხვები. მისი კვინტესცია იყო სოციალური და სოციალურ-ბუნებრივი ურთიერთობების ჰუმანიზაციის იდეა, როგორც თვითგანადგურების, ადამიანის დეგრადაციის ერთადერთი ალტერნატივა. თანამედროვე ცივილიზაციის უკიდურესად ნეგატიურ მახასიათებლებს შორის, მკვლევარების აზრით, შეიძლება აღინიშნოს: კაცობრიობის სამეცნიერო და ტექნიკური ძალების განვითარება, რომელმაც მიაღწია კრიტიკულ

მნიშვნელობას, რომელიც საკმარისად არის მისი თვითგანადგურებისთვის; ურთიერთობის მკვეთრი გამწვავება ადამიანსა და ბუნებას შორის, დედამიწის არათანაბრად განვითარებადი და სწრაფად მზარდი მოსახლეობის ცალკეულ რეგიონებს შორის; შრომის პროდუქტიულობის გაძლიერება და მასმედიის ინფორმაციის გლობალური გაფართოება, იწვევს ინდივიდების თვითგაუცხოებას, მათ ჩაძირვას წარმოების სამომხმარებლო არსებობისა და ირაციონალური ილუზიების სამყაროში; დიდი რაოდენობით კონფლიქტები ადამიანსა და საზოგადოებას შორის ტოტალიტარიზმის, რასიზმის, ექსტრემიზმის სახით. თანამედროვე კრიზისები, ისევ და ისევ აყენებს საკითხს კაცობრიობის, როგორც ერთიანი და ურთიერთდაკავშირებული მთლიანობის განვითარების ფუნდამენტური უნივერსალური ღირებულებებისა და პერსპექტივების შესახებ. ისინი გვახსენებენ პლანეტარული ჰუმანიზმის აქტუალურობას.

თუმცა იდეალების სრულ უარყოფამ შეიძლება მიიყვანოს ადამიანი რელატივიზმამდე და უზნეობამდე, ჭეშმარიტების, სიკეთის, სილამაზის, სამართლიანობის იდეალები, რათქმაუნდა უნდა შენარჩუნდეს როგორც „აბსოლუტები“, მიუხედავად უტოპიზმის ელემენტებისა, რომლებიც დაკავშირებულია ნებისმიერ იდეალთან. ისინი აუცილებელია, როგორც ადამიანის სურვილის გამოხატულება უმაღლესი ფასეულობებისადმი, მისი თანდაყოლილი მოთხოვნილება მნიშვნელობისა და სამსახურის მიმართ. ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ რწმენა გონიერებისა და კაცობრიობისადმი, სამართლიანი საზოგადოების აგების შესაძლებლობის მიმართ, თანდაყოლილია ადამიანის ფსიქიკის სტრუქტურაში, არის ადამიანის ღრმა მოთხოვნილება, მისი ზოგადი არსის ნაწილი.

დასკვნა

ადამიანის რწმენა უფრო ნათელი მომავლისადმი არ არის რელიგიური რწმენა, ის საკმაოდ რაციონალური ხასიათისაა, რაც ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაშია გამოსახული. „ფილოსოფიური სარწმუნოება“, ის განსხვავდება რელიგიური რწმენისგან რაციონალურობით, ანტიდოგმატიზმითა და გაყალბებით.

გონიერებისა და სამართლიანობის ფილოსოფიური რწმენის რაციონალური ბუნება არ იწვევს ეჭვს. მრავალი მეცნიერის შემოქმედების გაცნობისას, რომელშიც ისინი განიხილავენ სპეციფიკური პირობების სისტემას, რომელიც აუცილებელია ნოოსფეროს ფორმირებისა და არსებობისთვის. მათ შორის დასახელებულია: მთელი პლანეტის ადამიანთა დასახლება; ქვეყნებს შორის კომუნიკაციისა და გაცვლის საშუალებების დრამატული ტრანსფორმაცია; ყველა რასისა და რელიგიის ხალხის თანასწორობა; საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტაში მასების როლის გაზრდა; მეცნიერული აზროვნების თავისუფლება რელიგიური, ფილოსოფიური და პოლიტიკური კონსტრუქციების ზეწოლისგან; სახალხო განათლების კარგად გააზრებული სისტემა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება, ომების გამორიცხვა საზოგადოების ცხოვრებიდან. ჩვენი აზრით, ეს არის კაცობრიობის გადარჩენის რეალური სტრატეგია, რომლის ზოგიერთი ელემენტი უკვე დანერგილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Elster J. Local Justice. How Institutions Allocate Scare Goods and Necessary Burdens. Cambridge, 1992
2. Honneth A. Kamph um Anerkennung. Zur moralischen Grammatik sozialer Konflikte. Suhrkamp. Frankfurt / M., 1993.
3. Sen A. Globale Gerechtigkeit. Jenseits internationaler Gleichberechtigung. In: Horn, Christoph / Scarano, Nico (Hrsg.): Philosophie der Gerechtigkeit. Texte von der Antike bis zur Gegenwart. Frankfurt / M., 2002
4. Huizinga J. Homo Ludens. – M.: Ed. group "ProgressAcademy", 1992. - 464 p.
5. Leist O.E. The essence of law. Problems of theory and philosophy of law. M.: Zertsalo, 2002. - 279 p.
6. Gavrilova I.N. Western interpretations of social justice (review of concepts). // Sociological research. - 2009. - No. 4. – pp. 41-48
7. Gerlach A. Justice as a principle of socialist law. Abstract diss... cand. legal Sciences. - M., 1983.
8. Drobnitsky O.G. Moral Philosophy: Selected Works. – M.: Gardariki, 2002. - 523 p.
9. Gumnitsky G.N. Fundamentals of ethics. Tutorial. - Ivanovo: Publishing House IISI, 1992. - 62 p.
10. Vernadsky V.I. Reflections of a naturalist. Book. 2. Scientific thought as a planetary phenomenon. – M.: Nauka, 1977. – 191 p.

The ideal of justice from the perspective of humanism

Lia Metreveli, Professor
Georgian Technical University

Ia Alania, PhD student
Georgian Technical University

Summary

The actualization of the ideal of social justice, in addition to political and legal conditions, requires certain ideological and worldview foundations, which should be of a humanistic nature.

Humanism is a historically changing system of beliefs that recognizes the value of the individual as a person, his or her right to freedom, happiness, development, and opportunity; The criteria for evaluating social institutions are human kindness, and the principles of equality, justice and humanity are the desired norms of human relations. The central idea is to actualize the innate possibilities for the individual through humanistic research, to cultivate his "dignity" comprehensively.

Humanism can be considered as a worldview principle that finds its manifestation in religious teachings, philosophical concepts and social doctrines in different historical epochs. Among them, for example, Buddhism, which began the spiritual liberation of man, recognized the moral equality of all human beings as individuals. Later, this idea was fully expressed in Greek philosophy - the "humanization" of the person with the love of wisdom. In the modern era, humanism has acquired the form of a broad cultural tendency that fundamentally agrees with the moral principle of philanthropy, first formulated by I. Kant in his categorical imperative. The attitude towards the individual as self-centered (self-centered, self-worth) was ideal for most of the philosophical tendencies of the 18th, 19th, and 20th centuries: classical German philosophy, Marxism, existentialism, neo-Freudianism, and so on.

At the same time, humanism, as a "strategy aimed at the formation and development of the human person and human society," also carried certain elements of anthropocentrism, which actually deifies man, giving him the status of the center and purpose of the universe. Of course, we can not disagree with the fact that humanity creates the highest form of existence in the universe out of all the forms known to us, and that man is the sole creator of higher spiritual values, including moral ones. On the other hand, it is important to recognize that "... man is man and is bound by these values."

If the individual begins to regard himself as the highest value, then the fundamental humanistic principles are perverted, which provides the basis for statements about the crisis of humanism.

Many prominent thinkers wrote about the crisis of humanism as early as the early 20th century. Suffice it to recall O. Spengler's "Fall of Europe", N. Berdiaev "The End of the Renaissance and the Crisis of Humanism", R. Guardian's "End of Modern Times", "The Crisis of European Humanity". By E. Husserl. This topic was later developed by K. Lorentz ("The Eight Deadly Sins of Civilized Mankind"), i. Hazing ("In the Shadow of Tomorrow. A Diagnosis of the Mental Illness of Our Era"), e. Fromm ("Revolution of Hope") and many others. The main cause of the crisis was the anthropocentric attitude of consciousness, which took priority development in European culture and, as a result, we got a person refusing to serve ideals, over-focusing on himself, his needs and aspirations.

Keywords: social justice, humanism, human biosphere

სოციალური მოძრაობების შესწავლის თეორიული მიდგომები: ფრეიმების ანალიზი

თამარ ბაგრატია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სოციალური მოძრაობების შესწავლა აქტუალურ სამეცნიერო პრობლემატიკად განიხილება, შესაბამისად იზრდება ინტერესი მეთოდოლოგიური ბაზისა და ემპირიული კვლევების მიმართ. სოციალური მოძრაობების შესწავლის არსებული თეორიები იყოფა კლასიკურ და თანამედროვე თეორიებად, თუმცა მეცნიერები ცდილობენ, სინთეტიკური თეორიის შექმნას, რომელიც გააერთიანებდა კლასიკური და თანამედროვე თეორიის ყველა მიღწევას. ნაშრომში განხილულია ფრეიმების ანალიზის თეორია, რომელიც ამერიკელი მეცნიერის ირვინგ გოფმანის სახელს უკავშირდება და ამერიკელ-ბრიტანელი მეცნიერის გრეგორი ბეიტსონის კვლევებზე დაყრდნობით განავითარა. ირვინგ გოფმანის „ფრეიმების თეორია“ სოციალური მოძრაობების კვლევაში 1980-იან წლებში გაჩნდა, განსაკუთრებული წვლილი კი მის განვითარებაში დევიდ სნოუს და რობერტ ბენფორდის ნაშრომებმა შეასრულა.

სტატიაში განხილულია ფრეიმების თეორიის როლი სოციალური მოძრაობების კვლევაში. სოციალური მოძრაობების სოციოლოგიაში ფრეიმი არის "პრიზმა", რომლის მეშვეობითაც ინდივიდი უყურებს სამყაროს, აღიქვამს და განმარტავს მას. ნაშრომში განხილულია კოლექტიური სამოქმედო ფრეიმების ძირითადი ამოცანები:

- დიაგნოსტიკური (პრობლემის განსაზღვრა),
- პროგნოზისტული (შესაძლო გადაწყვეტის სტრატეგიების მოძებნა)
- სამოტივაციო (ხალხის ჩართვა პრობლემის გადაწყვეტაში)

ფრეიმების ანალიზი სოციალურ მოძრაობათა სოციოლოგიაში ყურადღებას ამახვილებს მათ გამოყენებაზე პოტენციური მონაწილეთა მობილიზების, მხარდამჭერების ინტერესის შენარჩუნებისა და ოპონენტების დემობილიზაციის შესწავლის მიზნით.

მეცნიერების დონატელა დელა პორტასა და მარიო დიანის აზრით, ფრეიმების თეორია საშუალებას იძლევა, აღვბეჭდოთ მნიშვნელობის მიკუთვნების პროცესი, რომელიც ნებისმიერ კონფლიქტი წარმოქმნის უკან დგას, ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევები და მოვლენები, რომლებიც ხელს უწყობს მობილიზაციის გააქტიურებას.

სტატიაში ფრეიმების ანალიზი განხილულია, როგორც სოციალური მოძრაობების იდენტობის შესწავლის შესაძლებლობა, ასევე ფრეიმინგი წარმოდგენილია როგორც აღქმისა და ემოციების კავშირი და მასთან დაკავშირებული ქცევა საფრთხეებზე, კავშირი კულტურასა და იდეოლოგიასთან.

ფრეიმების ანალიზის თეორიის არსებობის განმავლობაში ჩატარდა მრავალი ემპირიული კვლევა მისი გამოყენების და ანალიტიკური შესაძლებლობების შესახებ, რათა ახსნილიყო სხვადასხვა სოციალური მოძრაობები და კოლექტიური მოქმედებები; თუმცა შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მოძრაობების შესწავლის კუთხით ეს თეორია ბოლომდე არ არის რეალიზებული და მრავალი შესაძლებლობა გააჩნია განსაკუთრებით სხვა თეორიულ მიდგომებთან (პოლიტიკურ შესაძლებლობების თეორია, რესურსების მობილიზაციის თეორია) ინტეგრირებული შესწავლის პროცესში.

შესავალი

ბოლო პერიოდში სოციალური მოძრაობების შესწავლა აქტუალურ სამეცნიერო პრობლემატიკად ითვლება, მოიცვა რა როგორც სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიის, ანთროპოლოგიის, ეკონომიკის, სამართალმცოდნეობისა და სხვა სამეცნიერო სფეროები. ინტერესის შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა მეთოდოლოგიური ბაზისა და ემპირიული კვლევების მიმართ.

სოციალური მოძრაობების მკვლევართა შორის გარკვეულწილად მოხდა შეთანხმება იმის შესახებ, რომ სოციალური მოძრაობის შესწავლის ძირითადი თეორიული ჩარჩოები ვერ ხსნის ყველა

საპროტესტო ტალღას და მიმდინარეობს აქტიური დისკუსია ამ ჩარჩოების დახვეწის შესახებ. დღემდე მეცნიერები ცდილობენ სინთეტიკური თეორიის შექმნას, რომელიც გააერთიანებდა კლასიკური და თანამედროვე თეორიის ყველა მიღწევას და ახალი მიდგომების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გაზრდიდა.

სოციალური მოძრაობების შესწავლის არსებული თეორიები იყოფა კლასიკურ და თანამედროვე თეორიებად:

- კლასიკური თეორიები (კოლექტიური ქცევის თეორია, ფარდობითი დეპრივაციის თეორია, თეორია მასობრივი საზოგადოებების შესახებ)
- თანამედროვე თეორიები (რესურსების მობილიზაციის თეორია, პოლიტიკური პროცესების თეორია, ახალი სოციალური მოძრაობების თეორია, ფრეიმების ანალიზი)

1970-იანი წლების ბოლოს ტერმინმა „ფრეიმები“ მოიცვა ფსიქოლოგების, მუსიკოსების, ლინგვისტების, ხელოვნური ინტელექტის, სოციოლოგებისა და პოლიტიკის მკვლევარების წარმოსახვა. სტატიაში განვიხილავთ “ფრეიმების თეორიას”, რომელიც სოციალურ მოძრაობათა სოციოლოგიაში 1980-იან წლებში გაჩნდა, განსაკუთრებული წვლილი კი მის განვითარებაში დევიდ სნოუს და რობერტ ბენფორდის ნაშრომებმა შეასრულა. ავტორებს სურდათ, ფრეიმების თეორიის საშუალებით ეჩვენებინათ, თუ რატომ არის ზოგიერთი სოციალური მოძრაობა უფრო წარმატებული მომხრეთა მობილიზების კუთხით, როგორია კავშირი იდეოლოგიასა და კოლექტიურ ქცევას შორის, როგორ ფუნქციონირებს კოლექტიური ქცევის სხვა მექანიზმები.

ძირითადი ნაწილი

ფრეიმების ანალიზი

ამერიკელი სოციოლოგი ირვინგ გოფმანი 10 წელზე მეტს მუშაობდა წიგნზე - “ფრეიმების ანალიზი - ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზაცია“. მან წიგნის გამოცემამდე (1974 წ.) დატოვა ბერკლის უნივერსიტეტი და პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტში, ბენჯამინ ფრანკლინის სახელობის სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის კათედრაზე გადავიდა სამუშაოდ. იგი სწავლობდა ვერბალურ ქცევებს და ცდილობდა არა იმ აზრობრივი პროცესების შესწავლას, რომლებიც ლექსიკაში სიტყვების სახით არსებობს, არამედ ისეთი პროცესების შესწავლას, რომლებიც მეტყველების, საუბრის პროცესში წარმოიქმნება. ტერმინი „ფრეიმი“ გოფმანმა 50-იან წლებში ამერიკელ-ბრიტანელი მეცნიერის გრეგორი ბეიტსონის ლექციაზე მოისმინა, რომელმაც 1972 წელს გამოსცა წიგნი „აზროვნების ეკოლოგია - რჩეული სტატიები ანთროპოლოგიაში, ფსიქიატრიასა და ეპისტომოლოგიაში“. ბეიტსონის კვლევის საგანი მეტადონეზე კომუნიკაციის შესწავლა იყო. ბეიტსონის მიხედვით, ფრეიმი ეს არის მეტაკომუნიკაციური წარმონაქმნი, რომლის ფუნქციაც „ლოგიკური ტიპის საზღვრების განსაზღვრებაა“. „ფრეიმის“ ცნება ბეიტსონის მიერ დაფუძნებული იყო სან-ფრანცისკოს ზოოპარკში მაიმუნების ქცევებზე დაკვირვებაზე. მან დაასკვნა, რომ მეტაკომუნიკაციის (სიგნალების გადაცემით ერთმანეთს შორის) მაიმუნებს საკმაოდ რთული კომუნიკაციის სისტემა გააჩნდათ.

გოფმანთან ფრეიმი ასევე სოციალური ურთიერთქმედების კონტექტუალიზაციისთვისაც გამოიყენება და გარკვეულწილად ორმაგი განსაზღვრება აქვს. ფრეიმი ეს არის შესაძლო მოვლენების მატრიცა, რომელიც როლების განლაგებას განაპირობებს და ასევე ინტერპრტაციების სქემა, რომელიც თან ახლავს ნებისმიერ აღქმას. ირვინგ გოფმანის თანახმად, თუკი ინდივიდი ცნობს გარკვეულ მოვლენას, მისი რეაქცია უმეტეს შემთხვევაში შემოიფარგლება ე.წ. „პირველადი ჩარჩოებით ან ინტერპრეტაციის იმ უკვე მზა სქემებით, რომლებიც მის გამოცდილებაზეა დაფუძნებული. „ფრეიმი“ წარმოადგენს ინტერპრეტაციის სქემას, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდებს შესაძლებლობის მოვლენის ან ფენომენის „ლოკალიზება, აღქმა, განსაზღვრა” საკუთარ სივრცეში.[1]

როგორც უკვე აღვიშნეთ, სოციალური მოძრაობების კვლევაში დევის სნოუსა და რობერტ ბენფორდის შრომებმა ფრეიმების ანალიზს დაუმკვირდა ადგილი. ამერიკელი სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ ”ძალიან დიდი ყურადღება ექცევა უკმაყოფილების კვლევას, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიურ გამოვლინებას (ფარდობითი დეპრივაცია, გაუცხოება), მაშინ როდესაც ხდება იმ ფაქტის იგნორირება, რომ უკმაყოფილება ან კმაყოფილება სხვადასხვა ინტერპრეტაციის

საგანია და ამ ინტერპრეტაციიდან გამომდინარე შეიძლება გავლენა იქონიოს იმაზე, თუ როგორ და რა ფორმით იმოქმედებენ სოციალური მოძრაობების ინდივიდუალური ორგანიზაციები[2]. სოციალური მოძრაობების სოციოლოგიაში ფრეიმი არის "პრიზმა", რომლის მეშვეობითაც ინდივიდი უყურებს სამყაროს, აღიქვამს მას და განმარტავს მას, არის გარკვეული სქემა, რომელიც ადამიანს ეხმარება სტრუქტურირებული სახით აღიქვას გარკვეული სახის ინფორმაცია. მათ დაადგინეს კოლექტიური სამოქმედო ფრეიმების ძირითადი ამოცანები: [3]

- დიაგნოსტიკური (პრობლემის განსაზღვრა)
- პროგნოზისტული (შესაძლო გადაწყვეტის სტრატეგიების მოძებნა)
- სამოტივაციო (ხალხის ჩართვა პრობლემის გადაწყვეტაში)

ფრეიმების ანალიზი სოციალურ მოძრაობათა სოციოლოგიაში ყურადღებას ამახვილებს მათ გამოყენებაზე პოტენციური მონაწილეთა მობილიზების, მხარდამჭერების ინტერესის შენარჩუნებისა და ოპონენტების დემობილიზაციის შესწავლის მიზნით. ამ მიდგომებით, ფრეიმები რესურსადაც შეიძლება იყოს განხილული. ასევე თეორია დიდ როლს თამაშობს სოციალური მოძრაობების აქტორებში მნიშვნელობების და აზრების ფორმირებაში.

მეცნიერების დონატელა დელა პორტასა და მარიო დიანის აზრით, ფრეიმების თეორია საშუალებას იძლევა, აღვბეჭდოთ მნიშვნელობის მიკუთვნების პროცესი, რომელიც ნებისმიერ კონლიქტი წარმოქმნის უკან დგას, ინდივიდებისა და ჯგუფებისა ქცევები და მოვლენები, რომლებიც ხელს უწყობს მობილიზაციის გააქტიურებას. მათი აზრით, ფრეიმების თეორიას აკრიტიკებენ კოგნიტურ ელემენტებზე მისი გადაჭარბებული დამოკიდებულების გამო კოლექტიური მოქმედების ემოციური ელემენტების საზიანოდ. მეცნიერები ასევე განიხილავენ ფრეიმების თეორიას სოციალური მოძრაობების იდეოლოგიისა და კულტურის კონტექსტში. „ფრეიმები“ უფრო კულტურული პროდუქტია, ვიდრე - იდეოლოგია.... ხშირ შემთხვევაში ფრეიმები სათავეს იღებენ იდეოლოგიიდან, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ფრეიმინგმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ იდეოლოგიებზე.”[4] მათი აზრით, იდეოლოგიებსა და ფრეიმინგს შორის განსხვავება არ გვიშლის ხელს რომ ფრეიმინგი გამოვიყენოთ რეალობის ფართო ინტერპრეტაციებისათვის. კოლექტიური ქმედებისა და კულტურის ურთიერთკავშირს კი მეცნიერები ორი მიმართულებით განიხილავენ: ღირებულელების და კულტურის კოგნიტური ელემენტების როლით. მათი აზრით, სოციალური მოძრაობები კულტურული ცვლილებების ინსტრუმენტია.

მეცნიერების დვორა იანოუსა და მერლი ვან ჰულსტის აზრით, [5]ფრეიმების აღწერისას ხშირად ხდება ფრეიმების სხვადასხვა მიდგომების შინაარსობრივი აღრევა. მკვლევარები, თეორიული დისკუსიების დონეზე - დეკლარირებას უკეთებენ ფრეიმების სოციალურად კონსტრუირებულ ხასიათს, და ამასთანავე ცდუნდებიან და რეიფიკაციას ექვემდებარებიან, როდესაც ცდილობენ ყოვლისმომცველი ტაქსონომიების აგებას.

ფრეიმების მიდგომა ასევე გამოიყენება სოციალური მოძრაობების იდენტობის ფორმირების შესწავლის მიზნით: მაგალითად, გარემოსდაცვით მოძრაობაში შეიძლება ჩაერთოს ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ჯგუფები, რომლებიც უფრო მსგავსნი არიან, ვიდრე ერთნაირი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა ტერიტორიაზე ცხოვრობენ. [6]

მეცნიერი ა.ს მიშჩენკო თვლის, რომ საზოგადოების კონსოლიდაციის შესასწავლად, ფრეიმიგის თეორია წარმოდგენილია როგორც აღქმისა და ემოციების კავშირი და მასთან დაკავშირებული ქცევა ეკოლოგიურ საფრთხეზე. ეს სოციალური წარმოდგენები (კოლექტიური ეფექტიანობისა და ერთიანობის გრძნობა) და ქცევა საფრთხის შესაბამისად წარმოაგდენს კონსოლიდაციის პროცესის ფუნქციას და ქმნის სოციალურ კაპიტალს ინდივიდუალურ ქცევით დონეზე[7]

ამერიკელმა მეცნიერმა დონალდ შიონმა ბეიტსონის იდეები საკუთარ მეტაფორების კვლევისა და რეფლექსიური პრაქტიკებს დაუკავშირა და მარტინ რაინთან ერთად პოლიტიკური ანალიზის განსხვავებული მიდგომა შექმნა, რაც აისახა ნაშრომში „Frame Reflection“ - ამბიციური მცდელობა რთული პოლიტიკური უთანხმოებების გასაანალიზებლად. [8] ბეიტსონის მიმდევრების ამ ორ მიმართულებას შორის ის სხვაობაა, რომ სოციალური მოძრაობების მკვლევარებისათვის ფრეიმი არსებითი სახელია, ხოლო პოლიტიკის მკვლევარებისთვის - ზმნა. [9]

დასკვნა

ზოგადად, ფრეიმ-ანალიზი ყოველდღიურობის შესასწავლად ყველაზე პროდუქტიულ მეთოდად ითვლება, ვინაიდან სოციალური მოვლენები ყოველდღე მიმდინარეობს, რომლებიც არ ვითარდება ვაკუუმში, ის ინტეგრირებულია ყოველდღიურ ცხოვრებაში, სოციალური მოვლენები უკვე მომხდარი სოციალური მოვლენის შედეგია ან მიზეზი შემდეგი სოციალური მოვლენისა.

ამ თეორიის არსებობის განმავლობაში ჩატარდა მრავალი ემპირიული კვლევა მისი გამოყენების და ანალიტიკური შესაძლებლობების შესახებ, რათა ახსნილიყო სხვადასხვა სოციალური მოძრაობები და კოლექტიური მოქმედებები; შესწავლილია კავშირები ფრეიმინგის პროცესსა და პოლიტიკურ შესაძლებლობებს შორის, დისკურსს, მედიას, იდეოლოგიას, იდენტურობას, ემოციებს, აგრეთვე მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფრეიმების ანალიზთან. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მოძრაობების შესწავლის კუთხით ეს თეორია ბოლომდე არ არის რეალიზირებული და მრავალი შესაძლებლობა გააჩნია განსაკუთრებით სხვა თეორიულ მიდგომებთან (პოლიტიკურ შესაძლებლობების თეორია, რესურსების მობილიზაციის თეორია) ინტეგრირებული შესწავლის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Goffman, E. Frame analysis: An essay on the organization of experience. Harvard University Press. (1974).
2. David A. Snow, E. Burke Rochford, Jr., Steven K. Worden and Robert D. Benford Frame Alignment Processes, Micromobilization, and Movement Participation American Sociological Review Vol. 51, No. 4 (Aug., 1986).
3. Robert D. Benford. David A. Snow Framing Processes and Social Movements: An Overview and Assessment Annual Review of Sociology Vol. 26, 2000.
4. Della, Porta D, and Mario Diani. Social Movements: An Introduction. Malden, MA: Blackwell Pub, 2006.
5. van Hulst, M. J., & Yanow, D. From Policy "Frames" to "Framing": Theorizing a More Dynamic, Political Approach. The American Review of Public Administration, 46(1), 2016.
6. Martin D. 'Place-framing' as place-making: Constituting a neighborhood for organizing and activism, Annals of the Association of American Geographers, 2003.
7. Schön D. A., Rein M. (1994). Frame reflection: toward the resolution of intractable policy controversies. New York: Basic Books, 1994.
8. van Hulst, M. J., & Yanow, D. (2016). From Policy "Frames" to "Framing": Theorizing a More Dynamic, Political Approach. The American Review of Public Administration, 46(1).
9. Мищенко А.С. Изучение низовых экологических движений за рубежом: история, теоретические подходы, методология // Власть и элиты / Гл. ред. А.В. Дука. Т. 5. СПб.: Интерсоцис, 2018.

The Theoretical Approaches to Study Social movements: Frame Analysis

Tamar Bagratia, PhD student
Georgian Technical University

Summary

Studying social movements is considered to be a topical scientific issue, which consequently increases the interest toward the methodological basis and empirical researches. The existing theories to study social movements are divided into classical and modern theories. Though, scientists attempt at creating a synthetic theory, which will combine all the achievements of the classic and modern theories. The paper discusses the Frame Analysis, which is related to an American scientist Erving Goffman. He developed this theory after listening to a lecture of an American-British scientist Gregory Bateson. Goffman uses frame to contextualize social interaction as well and it has double definition to some extent. Frame is a matrix of possible events which conditions arrangement of roles as well as is a schema of interpretation which follows any perception. According to Erving Goffman if an individual recognizes a certain event, his/her reaction is circumscribed by so called primary frameworks or those ready schemes of interpretation which are based on the individual's experience.

Erving Goffman's Frame Theory emerged in the survey of social movements in 1980s while the works of David Snow and Robert Benford made a special contribution to its development.

The Article deals with the role of Frame Theory in researching social movements. In the sociology of social movements frame is a 'prism' through which and individual looks at the world, perceives it and explains it. The paper discusses the main objectives of collective action frames:

- Diagnostic (statement of a problem)
- Forecasting (finding a possible solving strategies)
- Motivating (engaging the people in solving a problem)

Frame Theory in the sociology of social movements emphasizes using them for mobilizing potential participants, and maintaining the interest of supporters, and studying the demobilization of opponents.

According to Donatella Della Porta and Mario Diani, the Frame Theory allows us to capture the process of attaching a meaning behind any conflict that arises, the behaviors and events of individuals and groups that facilitates mobilization.

The Article covers both the possibility of studying the identities of social movements, as well as presents framing as connection of perception and emotions and related behavior to threats, the linkage of framing with the culture and ideology.

During the existence of this theory, a number of empirical studies have been conducted on its application and analytical capabilities in order to explain various social movements and collective actions. However, Theory has not fully utilized while it presents many opportunities especially under integrated studying process of other theoretical approaches (Political Opportunity Theory, Resource Mobilization Theory).

დემოგრაფიული მდგომარეობის განვითარების ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში

ნანა ბეგაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: მურად შონია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს უამრავი პრობლემა, მაგრამ დემოგრაფიულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მათ შორის. უდავოა, რომ მოსახლეობა არის ნებისმიერი ქვეყნის მთავარი სიმდიდრე, მის გარეშე სახელმწიფოს სიცოცხლე შეუძლებელია. მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარების ხარისხზე.

დემოგრაფიული პრობლემები ახლა სულ უფრო ხშირად განიხილება სხვადასხვა წარმომადგენლობითი კომისიების სხდომებზე. დღეისათვის არსებობს დიდი რაოდენობით ლიტერატურა, სხვადასხვა მეცნიერული მიმართულებები, რომელიც ეძღვნება დემოგრაფიის პრობლემების შესწავლას მსოფლიოში .

სიტყვა ,,დემოგრაფია" ბერძნული სიტყვა ,,დემოს"-ისასგან მოდის, რაც ,,ხალხს" ნიშნავს. დემოგრაფია - მოსახლეობის შესწავლაა, განსაკუთრებით შობადობის, მოკვდაობის, მიგრაციის და ადამიანების დასაქმების შესახებ. მაგალითად, მესამე სამყაროს ერების დემოგრაფიული ანალიზი მოგვცემდა მათი ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზის ახსნას, რომ ისინი იძულებული არიან საშუალებების დიდი ნაწილი დახარჯონ სწრაფად მზარდი მოსახლეობის გამოკვებაზე .

დემოგრაფიული პრობლემები ქვეყნების განვითარების ხარისხობრივი ცვლილებების შედეგია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკიდურესად აქტუალურია დემოგრაფიული მდგომარეობისა და დემოგრაფიული პრობლემების შესწავლა.

დემოგრაფიული მდგომარეობის ინდიკატორებს წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პირობები. თითქმის მთელ მსოფლიოში არსებობს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებას შორის შესაბამისობის კანონი, რომლის მიხედვითაც არსებობს სტაბილური კავშირი მოსახლეობის მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების დინამიკასა და ეკონომიკურ პარამეტრებს შორის.

დემოგრაფიული ვითარება არის კომპონენტების მთელი კომპლექსი, რომელიც იძლევა რეგიონის მოსახლეობის განვითარების მოდელს გარკვეული, მოცემული პერიოდის განმავლობაში.

დემოგრაფიული ვითარება მრავალი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესის შედეგია, ყველა მათგანი კომპლექსურად მოქმედებს და ძალიან რთულია რომელიმე ფაქტორის გავლენის გამოყოფა. თუმცა, ყველა შემთხვევაში აუცილებელია გავითვალისწინოთ მოცემული პერიოდის დემოგრაფიული მდგომარეობის ფორმირებაზე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების გავლენის თავისებურებები.

მსოფლიოს მოსახლეობა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სტაბილურად იზრდებოდა.

კაცობრიობის რიცხვითი ზრდა და მასთან დაკავშირებული პრობლემები ისეთივე ძველი თემაა, როგორც მსოფლიო. რაც არ უნდა იყო, დღეს ის კვლავ იპყრობს სპეციალისტების: დემოგრაფების, სოციოლოგების, ეკონომისტების, გეოგრაფების და სხვათა ყურადღებას. განახლებულია შეშფო-თება განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის უკონტროლო ზრდის გამო.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფია, ურბანიზაცია, კაცობრიობა, კრიზისი, ,,მოსახლეობის აფეთქება", მესამე სამყარო, საოჯახო პოლიტიკა.

შესავალი

დემოგრაფიული პრობლემის არსი მოიცავს XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს მოსახლეობის უკიდურესად სწრაფ და არათანაბარ ზრდას.

სასოფლო-სამეურნეო რევოლუციის დასაწყის-

ში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 10000 წელს, ჩვენს პლანეტაზე ცხოვრობდა 10 მილიონი ადამიანი, ხოლო ახალი ეპოქის დასაწყისში -100 - 250 მილიონი.

1830 წელს დედამიწის მოსახლეობამ მიაღწია 1 მილიარდს, 1930 წელს 2 მილიარდს, ანუ მოსახლეობის გაორმაგებას 100 წელი დასჭირდა.

1975 წლიდან 1985 წლამდე მოსახლეობა ყოველწლიურად 77 მილიონით იზრდებოდა, ე.ი. საშუალოდ 1,8%-ით, განვითარებულ ქვეყნებში 0,5%-ით, განვითარებად ქვეყნებში 2,1%-ით, ხოლო აფრიკაში 3%-ით. ასეთი ზრდის ტემპები კაცობრიობის ისტორიაში აქამდე არ დაფიქსირებულა. 1999 წელს მოსახლეობის ნახევარზე მეტი 25 წლამდე ასაკის იყო.

მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპის დაჩქარება დაიწყო XX საუკუნის მეორე ნახევარში.

მოსახლეობის აფეთქება გამოწვეული იყო ეკონომიკური გაჯანსაღებით, მესამე სამყაროს ქვეყნების განთავისუფლებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებით, მოსახლეობის, პირველ რიგში ქალების გაუნათლებლობით და განვითარებად ქვეყნებში მოხუცების სოციალური უზრუნველყოფის ნაკლებობით. ამ პირობებში ბავშვები (და მათი სამუშაო) მშობლების სიცოცხლის საყრდენია. მცირეწლოვანი ბავშვები ფიზიკურ დახმარებას უწევენ დედებს საყოფაცხოვრებო რთულ საქმეებში და მამებს სოფლის მეურნეობაში. იმისთვის, რომ ოჯახში 2-3 მამაკაცი დაიბადოს, მეუღლეებს უნდა ჰყავდეთ მინიმუმ 4-6 შვილი. ადეკვატური სამედიცინო დახმარების არარსებობის პირობებში ჩვილების მაღალი სიკვდილიანობა ასევე ტრადიციულად იყო მაღალი შობადობის ხელშემწყობი ფაქტორი.

ძირითადი ნაწილი

მოსახლეობის ზრდა ქვეყნებსა და რეგიონებს შორის უკიდურესად არათანაბარია. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებზე მოდის მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის 95%. მაგალითად, კენიაში შობადობის კოეფიციენტი 5,8%-მდე გაიზარდა ამასთან, გერმანიაში, დანიაში, იტალიაში, შვედეთში, შვეიცარიასა და რიგ სხვა ქვეყანაში შობადობა 1,2%-ზე ნაკლებია.

90-იანი წლების მეორე ნახევარში ზრდა წელიწადში 80 მილიონი იყო.

„მოსახლეობის აფეთქება“ და მოსახლეობის არათანაბარი ზრდა იწვევს რიგი სხვა პრობლემების გამწვავებას: გაზრდილი დატვირთვა გარემოზე („დემოგრაფიული ზეწოლის“ ფაქტორი), ეთნიკური პრობლემები, ლტოლვილთა პრობლემა, ურბანიზაციის პრობლემა და ა.შ.

დემოგრაფიული ზეწოლა ართულებს კვების და გარემოს მდგომარეობას. თანამედროვე ეკონომიკის განვითარებას სჭირდება ტერიტორიული და საწვავი და ნედლეულის რესურსები. პრობლემების სიმძიმე გამომდინარეობს არა იმდენად შეზღუდული რესურსებიდან, არამედ მათი უკონტროლო გამოყენების გავლენიდან გარემოზე.

ყველაზე ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის ზრდამ შეუქცევადი გავლენა მოახდინა გარემოზე. 1990-იან წლებში ცვლილებებმა კრიტიკულ მასშტაბებს მიაღწია. მათ შორისაა ურბანული ზრდა, მიწის და წყლის რესურსების დეგრადაცია, ტყეების ინტენსიური განადგურება და სათბურის ეფექტის განვითარება. საჭიროა გადამწყვეტი მოქმედება მოსახლეობის ზრდის შესაჩერებლად, სიღარიბის წინააღმდეგ საბრძოლველად და გარემოს დასაცავად.

ეთნიკური და ლტოლვილთა პრობლემები განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის არაპროპორციული ზრდით და მათი სოციალური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობითაა გამოწვეული. მაგალითად, მოსახლეობის სწრაფი ზრდა არ იძლევა უმუშევრობის პრობლემის სტაბილიზაციას, ართულებს განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა პრობლემების გადაჭრას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა დემოგრაფიულსაც მოიცავს.

შევჩერდეთ დემოგრაფიული პრობლემის კიდევ ერთ ასპექტზე. არსებობს მოსაზრება, რომ წინა ათწლეულების „მოსახლეობის აფეთქებასთან“ ერთად მოხდა ე.წ. ,,ქალაქის აფეთქება“ (ძირითადად განვითარებად ქვეყნებში დაჩქარებული და მოუწესრიგებელი ურბანიზაციის შედეგად).

ქალაქები ყველა ბუნებრივი რესურსის - მიწის, ენერგიის, საკვების მოხმარების უდიდესი ცენტრებია. ენერგიის, ნედლეულის და განსაკუთრებით მაღალი ხარისხის წყლის დეფიციტი სულ უფრო მტკივნეული ხდება მსოფლიოს დიდ ქალაქებში. ურბანიზაცია არის არა მხოლოდ

ურბანული მოსახლეობის ზრდა და ქალაქების როლის ზრდა საზოგადოების ყველა სფეროში, არამედ ბუნებაზე გავლენის გაზრდის პროცესი. ურბანიზებულ ტერიტორიებს დასახლებული მიწის ფართობის 1% უკავია და ის აერთიანებს მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის 50%-ს. ყველა პროდუქტის 4/5 ქალაქებში იწარმოება და ატმოსფეროს დაბინძურების 4/5-ზე „პასუხისმგებელია“.

მესამე სამყაროს ქვეყნებში ურბანული მოსახლეობის წილი გაორმაგდა 1980 წლიდან 2000 წლამდე. მიწების უქონლობა და სამუშაო ადგილების ნაკლებობა სოფლად მილიონობით არაკვალიფიციურ ადამიანს უბიძგებს ქალაქებში. ურბანული მოსახლეობის ფეთქებადი ზრდა ხდება ღარიბი უბნების ფორმირებით, რომლებიც ხასიათდება არასანიტარიული საცხოვრებელი პირობებით. ამ ტიპის ურბანიზაციას ე.წ. **ღარიბი"** ან **„ცრუ ურბანიზაცია“.** ეს პროცესი წარმოშობს ძალიან სერიოზულ პრობლემებს: საბინაო, სანიტარული და ჰიგიენური, ენერგეტიკა, ქალაქების წყლით უზრუნველყოფა, ტრანსპორტი, დაბინძურება.

ეს საფრთხეები მოსახლეობის სწრაფი ზრდითაა გამოწვეული და მაინც, როგორ შევაჩეროთ „ადამიანის ზვავი“?

„საბოლოოდ, პლანეტა დედამიწის მთელი მომავალი ამაზეა დამოკიდებული. მოსახლეობა იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნილებები ყველაფერზე: საკვებსა და სამრეწველო საქონელზე, საწვავზე, ლითონის კიდევ უფრო დიდი რაოდენობით გამოყენებზე იზრდება. ამით დატვირთვა მოდის პლანეტის ეკოლოგიურ სისტემაზე და თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ვერ ავიცილებთ თავიდან კატასტროფებს...“ - ეს იყო გლობალური განვითარების ერთ-ერთი პირველი მოდელის ლოგიკა, რომელიც შეიქმნა 70-იანი წლების დასაწყისში ამერიკელი მეცნიერების ხელმძღვანელობით.

გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი ლ.ბრაუნი მართებულად აღნიშნავს, რომ 90-იანი წლების სამყარო უნდა დაიყოს ქვეყნების ორ ჯგუფად: მოსახლეობის მცირედი ზრდით და ცხოვრების მაღალი სტანდარტით და ქვეყნებად, სადაც მოსახლეობა აგრძელებს სწრაფად ზრდას და ცხოვრების პირობების გაუარესებას. .

მოსახლეობის ზრდის რეკორდი ყველა კონტინენტიდან რჩება აფრიკაში (წლიური ზრდის ტემპი დაახლოებით 2,8%, ანუ თითქმის 3-ჯერ მეტია, ვიდრე შეერთებულ შტატებში), ხოლო აფრიკის კონტინენტზე - კენია, სადაც წლიური ზრდის ტემპი აღწევს 4,2% -ს. . ზრდის ტემპი ასევე მაღალია ახლო აღმოსავლეთში (2.0%) და ინდოეთის ქვეკონტინენტზე (2.5%).

თუ 21-ე საუკუნის შუა ხანებში შობადობის მოსალოდნელი ვარდნით გაერთიანებული გერმანიის მოსახლეობა თანამედროვეზე ნაკლები იქნება, მაშინ ლ. ბრაუნის გამოთვლებით, მაგალითად, ნიგერიის მოსახლეობა (რომელიც ახლა აღემატება 100 მილიონ ადამიანს) დასტაბილურდება დაახლოებით 532 მილიონ ადამიანზე. სწრაფად მზარდი კენიის მოსახლეობაც, რომელიც გვალვებითა და შიმშილით იტანჯება .

განვითარების ამ ვარიანტს ასევე შეიძლება ვუწოდოთ „სოციალური ბომბი“: მოსახლეობის სწრაფი ზრდა სიღარიბის, შიმშილის, დაავადების, გაუნათლებლობის სამყაროში მხოლოდ ზრდის ადამიანური კატასტროფების პოტენციალს და გამოიწვევს პოლიტიკურ აფეთქებებს, დემოგრაფიული პრობლემა უდავოდ მწვავე პრობლემად დარჩება. იგი სავსეა მრავალი მოულოდნელი სიტუაციით. ამჟამინდელი "მესამე სამყაროს" მოსახლეობა 2025 წლისთვის იქნება დედამიწის ყველა მაცხოვრებლის 83%, გაიზრდება წინააღმდეგობების ფეთქებადი ძალა.

მსოფლიოს მოსახლეობა დღევანდელ მოსახლეობაზე ახალგაზრდა იქნება და ეს თავისთავად გაართულებს სოციალურ საკითხებს. „გაახალგაზრდავება“ უკვე მიმდინარეობს - განვითარებად ქვეყნებში ახალგაზრდები მოსახლეობის თითქმის 60%-ს შეადგენენ, მათ შორის 15-40%-მდე ბავშვები. მოსახლეობა განსხვავებული იქნება რელიგიური შემადგენლობით. ისლამი აფრენას აპირებს, 1980 წელს 800 მილიონი მუსლიმი 2100 წელს 4,4 მილიარდამდე. ხოლო ქრისტიანობა, რომელიც დომინირებს თანამედროვე სამყაროში, გაზრდის მის მიმდევართა რაოდენობას სულ რაღაც 1,4 მილიარდიდან 2,2 მილიარდ ადამიანამდე.

ევროპის ქვეყნებში, შობადობისა და სიკვდილიანობის არსებული მაჩვენებლების შენარჩუნებისას, 15 წლამდე ბავშვების რაოდენობა 2050 წლისთვის 40 პროცენტით შემცირდება (87 მილიონამდე), ხოლო ხანდაზმულთა რაოდენობა

გაორმაგდება (169 მილიონამდე). თუ ევროპა აპირებს შეინარჩუნოს მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფის ამჟამინდელი თანაფარდობა, მაშინ მას მოუწევს 169 მილიონი ემიგრანტი (ძირითადად აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან) ზემოაღნიშნული თარიღისთვის (21-ე საუკუნის შუა ხანებში) დაშვება.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ რიგ ქვეყნებში (პირველ რიგში საფრანგეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ნორვეგიაში, შვედეთში, აშშ-ში და ფინეთში) ძველი თაობის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა, მცდელობებია დაბერებულ საზოგადოებაში ცხოვრების ახალი მოდელის აგება. ეროვნულ და კორპორატიულ დონეზე, საშუალო და უფროსი ასაკის მუშაკების მოხუცებულობასთან ადაპტაციის მექანიზმები დაიწყო მათი პირადი პოტენციალის გააქტიურების გზით, ისევე როგორც ხანდაზმულთა ინტეგრაციის სხვადასხვა სოციალური, რეკრეაციული, კომუნიკაციური, საგანმანათლებლო პრაქტიკა სოციალურ ცხოვრებაში, მათ შორის სამსახურში.

ერთი სიტყვით, სამყარო ბერდება: ეს არის ობიექტური, გრძელვადიანი დემოგრაფიული ტენდენცია, რომელიც მოითხოვს ხარისხობრივ ცვლილებებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სისტემებში.

ქართველების და როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ხალხების დემოგრაფიული ქცევა მსგავსია. როგორც საქართველო, ასევე ევროპული სახელმწიფოები დემოგრაფიულ კრიზისში იმყოფებიან მკვეთრად შემცირებული შობადობის შედეგად. უფრო მნიშვნელოვანი მსგავსება იკვეთება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. საქართველოს მსგავსად, ისინიც 1990-იან წლებში პოლიტიკური სისტემის ცვლილების შედეგად შექმნისი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით აღმოჩნდნენ მძიმე დემოგრაფიული პრობლემების წინაშე. აღნიშნული პრობლემის მოგვარება ევროპელებმა დაიწყეს საოჯახო პოლიტიკის გატარებით და პირველ რიგში დეკრეტული შვებულების პირობების ჰუმანიზაციით. მიდგომამ გაამართლა, რისი ნათელი მაგალითია სკანდინავიის ქვეყნები, სადაც შობადობის დონე ყველაზე მაღალია ევროპაში და სადაც დეკრეტული შვებულების ყველაზე ლიბერალური პირობები არსებობს ორივე მშობლისათვის. დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების უფრო დიდი გამოცდილება აქვს საფრანგეთს, რომლის დამსახურებითაც ის ახერხებს, რომ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი შობადობა აქვს.

რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპას, დასავლეთთან შედარებით, ნაკლებად არის ორიენტირებული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით და პრობლემის მოგვარებას სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით აპირებს.

ყოველივე ზემოთ განხილულს მივყავართ დასკვნამდე, რომ დემოგრაფიულ პრობლემებთან ბრძოლის ერთი, უნივერსალური გზა არ არსებობს. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, საჭიროა მისი სიღრმისეულად შესწავლა და შემდეგ პოლიტიკის შემუშავება. ევროპული მაგალითის გათვალისწინება კი, მოგვცემს შესაძლებლობას, გავაანალიზოთ რა შეიძლება იყოს ოპტიმალური საქართველოსთვის და რა ფუჭი მცდელობა. ამ საკითხის გადადებამ და უგულვებელყოფამ შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

გონივრულად გათვლილი ზომები კი, რომლებიც ახალგაზრდებს უმარტივებს ოჯახის შექმნას, აუცილებელია, რათა ადამიანებმა მათთვის სასურველი რაოდენობის შვილები იყოლიონ. აღნიშნული საჭიროებს იმ მრავალი ბარიერის მოხსნას, რომლებსაც ადამიანები აწყდებიან ბავშვების გაჩენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას: ეკონომიკური გაურკვევლობა, საცხოვრებლის მაღალი ღირებულება, მზარდი უშვილობა, ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობის ნაკლებობა, არასრული დეკრეტული შვებულება და ქალების მოლოდინი, რომ მათ მოუწევთ საკუთარ კარიერაზე უარის თქმა და ოჯახზე ზრუნვის ტვირთის მხოლოდ საკუთარ თავზე აღება.

ევროპის მასშტაბით, მიგრანტები ბრუნდებიან საკუთარ ქვეყნებში, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით შექმნილი ვითარების გამო, და მათ თან მოაქვთ ღირებული უნარები, ცოდნა და კავშირები. სოფლის ტერიტორიები აღორძინების გზას ადგას, მთავრობები ცდილობენ ხანდაზმული ადამიანების უნარების გამოყენებას და ეძებენ ეკონომიკასა და საზოგადოებაში მათი უკეთ ინტეგრირების გზებს. ხოლო ქალების, უმცირესობებისა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფებისთვის შრომის ბაზრებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების

ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად წარმოებს აქამდე არასაკმარისად გამოყენებული რესურსების ათვისება. ყოველივე ზემოთჩამოთვლილი ხელს უწყობს ქვეყნებს უკეთესად გაუმკლავდნენ დემოგრაფიულ გამოწვევებს.

საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის სურათი ჩანს უახლოეს წარ-სულში ჩატარებულ საყოველთაო აღწერაში. 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემების თანახმად, 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3,713,804 კაცი შეადგინა, რაც წინა აღწერის მონაცემებზე (რომელიც 2002 წელს ჩატარდა) 15 %-ით ნაკლებია. კლება უფრო მეტად აისახება სოფლის მოსახლეობაზე (სასოფლო დასახლებებში მოსახლეობამ იკლო 23.7%-ით, ხოლო ქალაქის მოსახლეობამ 7.1%-ით), რაც ნაწილობრივ ურბანიზაციით, ნაწილობრივ კი მიგრაციითაა გამოწვეული.

საქართველოს მოსახლეობის 52% ქალია, ხოლო 48% მამაკაცი, თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახალშობილთა უმრავლესობა (52%) მამრობითი სქესის წარმომადგენელია. 35 წლის შემდეგ მდედრობითი სქესის წარ-მომადგენლები დომინირებენ. სხვაობა განსაკუთრებით შესამჩნევია 85 წლის ზემოთ, როდესაც აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის მოსახლეობის 70%-ზე მეტი მდედრობითი სქესის წარმომადგენლებზე მოდის.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში, შობადობის შემცირება სხვადასხვა მიზეზებით არის განპირობებული, მათ შორის მნიშვნელოვანია „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ ვერ დაკმაყოფილება, რომელსაც დასაქმებულ ქალებში იწვევს არსებული დეკრეტული შვებულების პირობები. დეკრეტული შვებულება შემაფერხებელია, რადგან ქალებს ექმნებათ პირველ რიგში, ფინანსური პრობლემები და შემდეგ დგება ბავშვის აღზრდისათვის საჭირო არასახარბიელო გარემო. აღნიშნული დასაქმებულთათვის არის პრობლემა, რადგან უმუშევარი ქალები არც კი იცნობენ შრომის კოდექს, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მასზე და ბავშვის გაჩენის ხელისშემშლელ ფაქტორებად განსხავებული მიზეზები სახელდება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში, XXI საუკუნის დასაწყისში, დემოგრაფიული პროცესების მძიმე მდგომარეობით ხასიათდება, რაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. არსებული მდგომარეობა აუცილებელს ხდის გააზრებული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რომლის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა და ყურადღების გამახვილება დეკრეტული შვებულების პირობების ჰუმანიზაციაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია არსებული შობადობის დონის კლების ტენდენციის შენარჩუნება და დაწყებული დეპოპულაციის მეტად გამწვავება. ეს კი გულისხმობს ქვეყნის ან რომელიმე ტერიტორიის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის შემცირებას, რომლის დროსაც მომდევნო თაობების რიცხოვნება ნაკლებია წინაზე.

ზოგადად, დემოგრაფიულ ცვლილებებთან გამკლავებისას ის, რაც უკეთ მუშაობს, არის ადამიანებზე ორიენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკურ ღონისძიებათა ყოვლისმომცველი პაკეტის შემუშავება, რომელიც მოიცავს მრავალ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები--შრომების კრებული--ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი-სარედაქციო კოლეგია: ავთანდილ სულაბერიძე (მთავარი რედაქტორი); გიორგი წულაძე; ციცინო გვრიტიშვილი; ნინო გომელაური.
2. სულაბერიძე 2007 - სულაბერიძე ა. ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2007.
3. წულაძე 2012 - წულაძე გ. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი. თბილისი, 2012.
4. წულაძე 2015 - წულაძე გ., სულაბერიძე ა. დემოგრაფიის საფუძვლები. გამომცემლობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

Demographic development trends in the world and in Georgia

Nana Begashvili, doctoral student
Georgian Technical University

Supervisor: Murad Shonia Associate Professor
Georgian Technical University

Summary

There are many problems in the modern world, but demographics have a special place among them. Undoubtedly, the population is the main wealth of any country, without it the life of the state is impossible. Changes in population directly affect the quality of development of the country.

Demographic problems are now increasingly discussed at the meetings of various representative commissions. Today there is a large amount of literature, various scientific directions, dedicated to the study of demographic problems in the world.

The word "demography" comes from the Greek word "demos", which means "people". Demographics - a study of the population, especially on birth rates, mortality rates, migration and employment. For example, a demographic analysis of Third World nations would explain the reason for their economic backwardness, that they are forced to spend much of their resources on feeding a rapidly growing population.

Demographic problems are the result of qualitative changes in the development of countries. In view of the above, it is extremely important to study the demographic situation and demographic problems.

Indicators of the demographic situation are the main conditions for the socio-economic development of the country. Almost all over the world there is a law of correspondence between the socio-economic and demographic development of a society, according to which there is a stable relationship between the dynamics of quantitative and qualitative characteristics of the population and economic parameters.

The demographic situation is a whole set of components that give a model of the development of the population of a region over a certain, given period.

Demographic situation is the result of many socio-economic and demographic processes, all of which operate in a complex way and it is very difficult to isolate the influence of any one factor. However, in all cases it is necessary to take into account the peculiarities of the influence of socio-economic events on the formation of the demographic situation of a given period.

The world's population has been growing steadily throughout human history.

The numerical growth of mankind and the problems associated with it is as old a topic as the world. Whatever it was, today it still attracts the attention of specialists: demographers, sociologists, economists, geographers and others. Concerns have been raised about uncontrolled population growth in developing countries.

Keywords: Demography, Urbanization, Humanity, Crisis, Population Explosion, Third World, Family Policy.

ლატვია, როგორც მრავალეთნიკური ქვეყანა

მაია გელაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველების გარდა აქ არაერთი ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ, ზოგიერთი მათგანი უკვე საუკუნეებია აქ ცხოვრობს და სამშობლოდაც სწორედ საქართველოს მიიჩნევენ.

კანონის წინაშე ყველა თანასწორია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ისევე აქვთ განათლების მიღების, განვითარების და თვითრეალიზაციის უფლება და თავისუფლება, როგორც ქართველებს, მათაც ისევე აქვთ დასაქმების, მუშაობის, განვითარების უფლება, საზოგადოებრივ აქტივობებში, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის უფლება, როგორც ქართველებს, და მეტიც სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, ამ ადამიანების მაქსიმალური ინტეგრაცია, მეტი აქტიურობა, ჩართულობა, ვინაიდან ისინი ჩვენი საზოგადოების წევრები არიან, მათი განათლება, მათი წარმატება, მათი განვითარება, სახელმწიფოს სიძლიერეა, შესაბამისად ქვეყნის მთავრობა, კანონმდებლობით უზრუნველყოფს მათ უფლებებს და თავისუფლებებს, მათ დაცულობას ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან და გარკვეული აქტივობებით, პროექტებით ცდილობს, ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას, შეუქმნას მათ ყველა საჭირო პირობა, გამოასწოროს ყველა არსებული ხარვეზი და ა. შ.

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნე ჩვენს ქვეყანაში, ეთნიკური უმცირესობის არაერთი წარმომადგენელი ცხოვრობს, და ისინი ჩვენი საზოგადოების წევრები არიან, შესაბამისად ეს არ უნდა იყოს უცხო არცერთი მოქალაქისთვის, არც ქართველისთვის და არც არაქართველისთვის. მიუხედავად მათი ეროვნებისა, ჩვენ ერთი საზოგადოების წევრები, და ასე ვთქვათ, ერთი ქვეყნის შვილები ვართ, და თითოეული ჩვენგანისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია ჩვენივე ქვეყნის კეთილდღეობა, შესაბამისად, აუცილებელია ჩვენს შორის კეთილგანწყობა, მიმღებლობა, ურთიერთგაგება და თანადგომა არსებობდეს.

ადამიანის განვითარება და ჩამოყალიბება ბავშვობიდანვე იწყება, და სწორედ განათლებაა ის იარაღი, რამაც გზა უნდა უჩვენოს ადამიანს, სწორედ განათლების გზით უნდა მივაღწიოთ მიზანს და გავიდეთ სასურველ შედეგზე.

განათლების სამინისტრო არაერთ პროექტს ახორციელებს ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, პროექტების უმეტესობა სახელმწიფო ენის შესწავლას უკავშირდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ დღესდღეისობით სახელმწიფო ენის სავალდებულო ცოდნის დონე ატესტატის ასაღებად, თუ უმაღლესში ჩასაბარებლად განსაზღვრული არ არის. საინტერესოა, რა გამოცდილება აქვთ ეთნიკური უმცირესობების განათლებასთან, სახელმწიფო ენის სწავლებასთან და ინტეგრაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნებს, კონკრეტულად კი ლატვიას.

საკვანძო სიტყვები-განათლება, ინტეგრაცია, დისკრიმინაცია.

შესავალი

საქართველოს დიდი გამოცდილება აქვს ეთნიკური უმცირესობების საკითხზე მუშაობის სფეროში, განსაკუთრებით კი-განათლების სფეროში. სხვადასხვა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შესაბამისად იცვლებოდა სახელმწიფოს მოსახლეობის ეთნიკური იერსახე. მაგალითისთვის რუსეთთან ურთიერთობების ზრდის შედეგად დადგა აუცილებლობა და 1778 წელს თბილისში დაარსდა რუსული ენის შემსწავლელი სკოლა. ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობისთვის განკუთვნილ სკოლებს მოიხსენიებდნენ, როგორც ,,სათანადო“ სკოლებს.

საბჭოტა კავშირის ეპოქაში განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა, სავალდებულო ხასიათი მიიღო დაწყებითმა განათლებამ. გატარდა რეფორმები განათლების სისტემაში. ამ დროიდან მოყოლებული არაერთი სხვადასხვაენოვანი სკოლა თუ სექტორი ფუნქციონირებდა, შესაბამისად სახელმწიფო ენის ცოდნაც არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს. სამწუხაროდ საქართველოს

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცის, ან ვერ ფლობს ენას სათანადო დონეზე, რაც ხელს უშლის მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში და ასევე-განვითარებას. ბოლო დროს, განსაკუთრებით შემცირდა არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების რიცხვი და ყურადღება მიექცა სახელმწიფო ენის სწავლის დონეს, რაც სხვადასხვა პროექტებისა და კვლევების სახით ვლინდება და რაღა თქმა უნდა, მისასალმებელია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მსგავსად, ეთნიკური მრავალფეროვნება სხვა ქვეყნებშიც აღინიშნება. საინტერესოა მათი გამოცდილება, როგორც მოსახლეობის ინტეგრაციის, ასევე განსაკუთრებით მათი განათლების საკითხებისა და სახელმწიფო ენის სწავლების თვალსაზრისით.

ძირითადი ნაწილი

ლატვია არის ერთ-ერთი იმ ქვეყნებს შორის, სადაც დიდი რაოდენობით არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, მათი განათლება კი ამ ქვეყანაში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ერთი საუკუნის მანძილზე, ეთნიკური უმცირესობების განათლებისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა, განათლების სფეროს ხელმძღვანელებისა და კანონების ცვლილებამ, სრულიად განსხვავებული ვითარება წარმოადგინა, მინდა ერთი საუკუნის წინანდელი ისტორიიდან დავიწყო და დღემდე განხორციელებული ცვლილებები შეძლებისდაგვარად მოკლედ წარმოვაჩინო.

1919 წლის კანონში განათლების შესახებ მუხლი 39 ნათქვამია, რომ განათლება სავალდებულო სკოლაში უნდა ხორციელდებოდეს მოსწავლის ოჯახის ენაზე. ხოლო მე-40 მუხლში წერია, რომ ოჯახის ენად ითვლება ის ენა, რომელსაც მოსწავლის მშობლები დაასახელებენ ბავშვის ჩაწერისას (რეგისტრაცია იგულისხმება) სკოლაში და რომელზეც მას შეუძლია თავისუფლად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრები.

სახელმწიფო ხსნიდა ნაციონალური უმცირესობებისთვის იმდენ სკოლას, რამდენის საჭიროებაც იდგა. სახელმწიფო ენაზე ისწავლებოდა: ლატვიური ენა და ლიტერატურა, და ლატვიის ისტორია და გეოგრაფია. ისეთ დასახლებებში, სადაც ეთნიკური უმცირესობების რიცხვი მცირე იყო, ლატვიურ სკოლებში იხსნებოდა ნაციონალური კლასები. განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გაიხსნა ნაციონალურ უმცირესობათა სკოლების დეპარტამენტიც.

ლატვიის სკოლებში 20-30-იან წლებში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვან საკითხებად მიიჩნეოდა:

1. ოჯახის ენაზე სწავლება.

2. ნებისმიერი მოსწავლის უფლება ესწავლა ნებისმიერ სკოლაში.

3. ლატვიური ენის ხარისხიანი სწავლება.

4. ძირითად სკოლაში ისწავლებოდა ლატვიური ენა, და ლატვიის ისტორია-გეოგრაფია

5. მოსწავლეები ეცნობოდნენ როგორც თავიანთი ხალხის, ასევე ლატვიის კულტურას, წესჩვეულებებსა და ტრადიციებს.

6. სკოლებში აღინიშნებოდა როგორც ლატვიის ასევე იმ ერთა დღესასწაულები, რომლისთვისაც იყო გახსნილი ეს სკოლა.

7. სხვადასხვა სკოლებსა და ნაციონალური სპორტული საზოგადოების წევრებს შორის იმართებოდა შეჯიბრები.

8. ფუნქციონირებდა შერეული სკოლები.

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ლატვიის რესპუბლიკამ მიიღო კანონი განათლების შესახებ და 1995 წელს მასში შევიდა ცვლილება, რომელშიც ნათქვამი იყო რომ ნაციონალურ უმცირესობათა სკოლებში საბაზო საფეხურზე რომელიც მოიცავდა 1-9 კლასებს 2 ხოლო საშუალო საფეხურზე (10-12 კლასები) 3 საგანი უნდა ესწავლებინათ სახელმწიფო ენაზე. 1997 წელს კი განათლებისა და მეცნიერების მაშინდელი მინისტრის მ. გრინბლასტის გადაწყვეტილებით აუცილებლად გამოცხადდა მასწავლებლების მიერ სახელმწიფო ენის უმაღლეს დონეზე ფლობა, ხოლო ვინც ვერ შესძლო ენის სათანადოდ შესწავლა, და გამოცდის ჩაბარება გათავისუფლდა სამსახურიდან.

1998 წელს მიიღეს განათლების ახალი კანონი რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. რომელმაც კიდევ უფრო შეზღუდა ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენელი მოსწავლეების მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება, ვინაიდან სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენად განისაზღვრა სახელმწიფო ენა და რუსულ და სხვა ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელთა ენაზე სწავლება დასაშვები იყო მხოლოდ კერძო სკოლებში,

თუმცა აქ სწავლის საშუალება, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხელმიუწვდენელი იყო ფინანსური უსახსრობის გამო, ხოლო სახელმწიფო სკოლების შემთხვევაში მხოლოდ იმ სკოლებში რომლებიც ახორციელებდნენ ნაციონალურ უმცირესობათა პროგრამული სწავლებას, შეეძლოთ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს მიეღოთ განათლება სხვა ენებზე გარდა სახელმწიფო ენისა, ამ პროგრამებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განსაზღვრული ქონდა საგნები რომელთა სწავლებაც სახელმწიფო ენაზე უნდა განხორციელებულიყო. ყველა მოსწავლე ატესტატის აღებამდე აბარებდა გამოსაშვებ გამოცდას სახელმწიფო ენაზე, რაც ზემოთხსენებული პროგრამის მოსწავლეებისთვის ქმნიდა საფრთხეს დარჩენილიყვნენ ატესტატის გარეშე, შესაბამისად ეს ხელისშემშლელ ფაქორად მოევლინებოდათ მომავალში პროფესიული თუ უმაღლესი განათლების მისაღებად, განვითარებისა და თვითრეალიზაციისთვის.[1]

ზემოთ მოყვანილი საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, ნათელია რომ სახელმწიფოს განათლების სისტემაში ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით დიდი რეფორმები მიმდინარეობდა. თუკი ადრე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს შეეძლოთ სრული საშუალო განათლების მშობლიურ ენაზე მიღება, ახლა (1999 წლიდან) ფაქტობრივად სრულად შეეზღუდათ ეს უფლება. მართალია კერძო სკოლებში განათლების მიღება შეიძლებოდა მშობლიურ ენაზე მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ამ ბავშვების მომავალი ლატვიაში, თუკი სახელმწიფო ენის მაღალ დო-ნეზე ცოდნა სახელმწიფოს პრიორიტეტი და ერთერთი ძირითადი მოთხოვნა იყო, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე არმცოდნე პედაგოგები? გარდა ამისა სახელმწიფომ შექმნა პროგრამული სწავლება ეთნიკური უმცირესობებითვის, სადაც მხოლოდ რამდენიმე საგანი ისწავლებოდა სახელმწიფო ენაზე, მაგრამ ეს ბავშვები აბარებდნენ საატესტატო გამოცდებს სახელმწიფო ენაზე წარმატებით?

ერთი მხრივ სახელმწიფო ძალიან გამკაცრდა და შეუზღუდა ეთნიკურ უმცირესობებს უფლებები სწავლის, განვითარების თვითრეალიზაციის, მეორე მხრივ კი პირიქით, მეტი საშუალება მისცა, მისცა დრო ესწავლათ პროგრამული სწავლებით, და ამავდროულად ამ პერიოდში დაეხვეწათ სახელმწიფო ენის ცოდნის დონე, მათ ხომ იცოდნენ რომ სავალდებულო იყო სკოლის დამთავრებისას ატესტატის ასაღებად სახელმწიფო ენაზე გამოცდის ჩაბარება, ეს მკაცრი მოთხოვნა რაღათქმა უნდა დიდ სირთულეებს უკავშირდებოდა, მაგრამ მათთვის ვინც სახელმწიფო ენას ისწავლიდა მომავალი განათლებისა და განვითარებისთვის ყველა კარი ღია იქნებოდა, ისევე როგორც ყველა სხვა მოქალაქისთვის, მედალს 2 მხარე აქვს, და ამ თემაზეც არაერთი მოსაზრების გამოთქმაა შესაძლებელი, მაგრამ, რადგან უშუალოდ ჩვენ საკითხს არ უკავშირდება, შედარებით ზოგად ხასიათს ატარებს, ამ ფაქტის მოკლე აღწერითა და მიმოხილვით შემოვიფარგლოთ.

კანონში ნათქვამი იყო რომ 2003 წლიდან სკოლებში სწავლება სრულად სახელმწიფო ენაზე უნდა განხორციელებულიყო, რასაც მოჰყვა აქციები და შეგროვდა 107 ათასი ხელმოწერა რის შედეგადაც 2003 წლიდან კანონში შევიდა ცვლილება, რომ სკოლაში არანაკლებ 5 საგანი, გარდა ლატვიური ენისა და ლიტერატურისა უნდა ისწავლებოდეს სახელმწიფო ენაზე. რაც რაღა თქმა უნდა აგრეთვე დიდ სირთულეს წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის.[2]

ლატვიური ასოციაციის განათლების ინტეგრაციისთვის ხელშეწყობის მიზნით, ბავშვმა უნდა მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, ისწავლოს გარკვეული საგნები სახელმწიფო ენაზე და გარდა ამისა სახელმწიფო ენის უკეთ სასწავლად განხორციელდეს კურსი ,,ლეტონიკა“ 1-12 კლასებში, რაც გულისხმობს სახელმწიფო ენაზე ცოდნის მიღებას საკუთარი თავის, ქვეყნის შესახებ, ხოლო მაღალ კლასებში, მიმდინარეობს საუბრები პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის საკითხებზე და სხვა.[3]

ვიქრობ ასეთი პროგრამები მისასალმებელია, ისინი მართლაც შეუწყობენ ბავშვებს ხელს მეტი ხალისით, ინტერესით და საინტერესო მიდგომებით შეისწავლონ სახელმწიფო ენა. ერთი

[1] СПРАВКА о реформе школ национальных меньшинств в Латвийской Республике. Стр: 1-4

[2] СПРАВКА о реформе школ национальных меньшинств в Латвийской Республике. Стр: 5-6

[3] (СПРАВКА о реформе школ национальных меньшинств в Латвийской Республике. Стр: 7-8)

სიტყვით ახლანდელი ლატვია ცდილობს, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე დამატებითი აქტივობებით, მოახდინოს ბავშვების დაინტერესება სახელმწიფო ენით, და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ყველა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელს, უმაღლეს დონეზე შეისწავლოს სახელმწიფო ენა, რათა თავისუფლად ფლობდეს, ახდენდეს კომუნიკაციას, და არ შეექმნას დაბრკოლებები მომავალი განვითარებისთვის.

დისერტაციის ზოგად დასკვნებში აღნიშნულია, რომ ირღვევა ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლებები და მათ ინტეგრაციას ეშლება ხელი. ეთნიკურ უმცირესობათა ენების შენარჩუნებასთან დაკავშირებით ინტეგრაციის საკითხის განხილვისას განათლების კანონში შეტანილი არ არის ცვლილებები, და ლატვიისთვის ტრადიციული ეთნიკური უმცირესობების ენებიც გამოცხადებულია უცხო ენებად. სახელმწიფო არ იძლევა ეთნიკურ უმცირესობათა ენების და კულტურის შენარჩუნების გარანტიებს არცერთ კანონში, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის თვითრეალიზაციის უფლებას რაიმე სახის დისკრიმინაციის გარეშე.

ეთნიკურ უმცირესობათა განათლებასთან დაკავშირებით არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად აუცილებლად მიიჩნევა კანონში ცვლილებების შეტანა. ეთნიკურ უმცირესობათა სკოლებმა თავად უნდა აირჩიონ სწავლების ენა მშობლებთან, მასწავლებლებთან და უფროსკლასელ მოსწავლეებთან შეთანხმებით. სასურველად მიიჩნევა ლატვიური ენა და ლიტერატურა ისწავლებოდეს სახელმწიფო ენაზე, და კიდევ 4 საგანი. სკოლის დასრულების შემდეგ კი მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება სასურველ ენაზე ჩააბარონ გამოცდები ატესტატის ასაღებად, მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ცოდნის ხარისხი.[1]

როგორც ვხედავთ, საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის მიდგომები მართლაც სრულიად განსხვავებული და ურთიერთსაპირისპიროა, თუკი მე-20 საუკუნის დასაწყისში ლატვიაში ეთნიკურ უმცირესობათა მოსწავლეები და მათი ოჯახები სრულიად თავისუფლად გრძნობდნენ თავს განათლების კუთხით და სასურველ-მშობლიურ ენაზე იღებდნენ განათლებას, და სახელმწიფო ზრუნავდა საოჯახო ენაზე სწავლებაზე, მათი კულტურის შენარჩუნებაზე, დღესასწაულების აღნიშვნაზე და ამის პარალელურად სახელმწიფო ენის ხარისხიან სწავლებასა და სახელმწიფო კულტურის გაცნობა გავრცელებაზე, საუკუნის დასასრულს სრულიად საპირისპირო სურათს ვხედავთ, როცა სახელმწიფო ცდილობს ნელნელა, ნაბიჯნაბიჯ სრულიად სახელმწიფო ენაზე გადაიყვანოს განათლების სისტემა და ეთნიკურ უმცირესობათა ენისა და კულტურის შენარჩუნებაზე მოიხსნას პასუხისმგებლობა, როგორც ჩვენ მიერ გაცნობილ ერთ-ერთ დისერტაციაშიც იყო აღნიშნული არცერთ კანონში არ ჩანს სახელმწიფოს მიერ ეთნიკურ უმცირესობათა ენისა და კულტურის შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც სრულად ეწინააღმდეგება ეთნიკურ უმცირესობათა თვითრეალიზაციის უფლებას დისკრიმინაციის გარეშე.

ნათელია განსხვავება საქართველოს და ლატვიის ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და კანონებს შორის,

ზემოთ უკვე აღვნიშნე საქართველოს კანონები იცავს მის მოქალაქე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების უფლებას მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე, ისაუბრონ და იქონიონ კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე, მიყვნენ თავიანთ ტრადიციებს და ა. შ. საქართველოს კონსტიტუცია და კანონები იცავს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს რაიმე სახის დისკრიმინაციისგან და აძლევს მათ განვითარებისა და თითრეალიზაციის საშუალებას, თუმცა სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე ცოდნა საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანი საკითხია, აუცილებელია მისი პრიორიტეტად ქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ყველას აქვს უფლება მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება, დასაქმების ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, სახელმწიფო ენის ხარისხიანი ცოდნა საქართველოშიც სავალდებულოა ადამიანის განვითარებისა და თვითრეალიზაციისთვის.

დასკვნა

მაშასადამე, ყველა ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლატვიის მაგალითი, მართლაც საინტერესოა, აქ არსებული განსხვავებული მიდგომებისა და

[1] СПРАВКА о реформе школ национальных меньшинств в Латвийской Республике. Стр: 19-20

დამოკიდებულებებიდან გამომდინარე, თუმცა რამდენად კარგია ასეთი მიდგომა, ეს უკვე კიდევ ერთი სამსჯელო და საკვლევი თემაა, ახლა კი მხოლოდ საქართველოსა და ლატვიაში არსებული განსხვავებული მიდგომების არსებობის აღნიშვნისა და იმის თქმის შესაძლებლობა გვაქვს, რომ ლატვიის ასეთი მიდგომა, რაღა თქმა უნდა ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების ინტეგრაციას სასკოლო პროცესში, ვინაიდან მათ უწევთ უმრავლესობის წარმომადგენელ ბავშვებთან ერთად ყოფნა და სწავლა სკოლაში, კლასში, რაც რა თქმა უნდა მისასალმებელია, და საინტერესოა, თუ როგორ იზრუნებს ლატვიის განათლების სამინისტრო და ზოგადად სახელმწიფო ამ ინტეგრაციის ხელშეწყობაზე, და პრობლემების არსებობის შემთხვევაში, მათ აღმოფხვრაზე.

დასასრულს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველო, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომელიც იცავს თავის მოქალაქეებს ყოველგვარი დისკრიმინაციისგან და ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობებს შეინარჩუნონ და გამოხატონ თავისუფლად კულტურული, ენობრივი იდენტობა, წეს-ჩვეულებები, ამასთან უზუნველყოფს თითოეულ მოქალაქეს განათლების მიღების უფლებით და ამ ყოველივეს არეგულირებს კანონმდებლობით. თუმცა, ვფიქრობ, მისასალმებელი იქნებოდა, თუკი სახელმწიფო ენის თავისუფლად ფლობა სავალდებულო ხასიათს მიიღებდა, მოსწავლეები საშუალო საფეხურზე არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებზეც მხოლოდ ქართულად ისწავლიდნენ საგნებს და ატესტატის ასაღებად სავალდებულო იქნებოდა ენის გამოცდის ჩაბარებაც. ასეთი გზით, სახელმწიფო ენის ცოდნა სათანადო მნიშვნელობას მიიღებდა და ყველა მოსწავლესა და მშობელს თავიდანვე ექნებოდა მოტივაცია, ესწავლა ქართული ენა სათანადოდ, რათა სამომავლოდ ჰქონოდა სწავლის გაგრძელებისა თუ დასაქმების საშუალება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სალექციო კურსი. კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფები საქართველოში: აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები (ისტორია, რელიგიური და ლინგვისტური ასპექტები). (სალექციო მასალა მომზადებულია შემდეგი ლიტერატურის მიხედვით: ,,ეთნოსები საქართველოში“ საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008 გვ. 90-110, 111-128, 171-219 და კ. გაბუნია, ,,ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისათვის, #4, 2014, გვ 1-27).
2. ენობრივი სიტუაცია (ავტორები კ. გაბუნია, ლ. ეზუგბაია და ჭ. ქირია. თბილისი 2010)
3. http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/30632 თბილისის ისტორია (ავტორები: შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ.დუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისი 1958 წ.)
4. http://cciir.ge/upload/editor/file/jurnali%20%20bilingvuri%20/politikis%20dokumentebi%20/geo/axali/interkulturuli%20skolebshi.pdf ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე. (ავტორები: შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე. ,,სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“. თბილისი 2013 წ.)
5. https://www.files.ethz.ch/isn/106681/working_paper_46_geo.pdf განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში (ავტორები: ს. მეხუზლა და ე. რომე. უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი. სექტემბერი 2009)
6. http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20Paper_WG1_Umciresobebi_1.pdf უმცირესობათა მდგომარეობა საქართვეოში(აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა).
7. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/167012/2/Avtoreferati.pdf ენობრივი სიტუაცია მე-20 საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში (ამავე პერიოდის პრესის მასალების მიხედვით. სადოქტორო ნაშრომი. ავტორი ნ. მარკოზია. თბილისი 2015 წ.) სამართლებრივი აქტები
8. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28276 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის ახალი რედაქციის დამტკიცებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის შესახებ (დამტკიცებულია 29.11 1986)

9. http://mes.gov.ge/content.php?id=193&module=legislation&page=detals&leg_id=63 საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“
10. https://pribalt.info/arhiv.php?month=6&news=97СистемаобразованиявЛатвии
11. http://www.mfa.gov.lv/ru/novosti/integraciya-obshestva-v-latvii/obrazovanie-nacionalnyh-menshinstvОбразованиенациональныхменьшинств
12. www.ewrika.lv/uploadFiles/file/SpravNacObr.doc СПРАВКА о реформе школ национальных меньшинств в Латвийской Республике. 1990 – 2011 годы (Подготовили: Яков Плинер, доктор педагогики: Валерий Бухвалов, доктор педагогики)

Latvia as a multi-ethnic country

Maia Gelashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Georgia is a multi-ethnic country, which means that besides Georgians, many representatives of various nationalities live here, some of them have lived here for centuries and consider Georgia as their homeland.

All are equal before the law, members of ethnic minorities have the same right to education, development, and self-realization as Georgians, and they have the same right to employment, work, development, participation in public activities, political, economical, and societal activities as Georgians, and moreover one of the main goals of the state is the maximum integration, more activity, and involvement of these people because they are members of our society and their education, their success and their development is the strength of the state, therefore the government, through legislation means, provides them with their rights and freedoms, protection against any forms of discrimination and through utilizing certain activities and projects tries to promote the integration of ethnic minorities, create all the necessary conditions for them, correct all existing shortcomings, and et cetera.

As I have already mentioned above, there are many members of ethnic minorities living in our country, and therefore they are members of our society and it should not be a foreign concept for any citizen, neither Georgian nor non-Georgian. Regardless of their nationality, we are members of one community, and so to speak, children of one country and the well-being of our own country is equally important to each of us, therefore, there must be goodwill, acceptance, mutual understanding, and support between us.

Human development and formation starts from childhood, and education is the tool that should guide the way for human beings, it is through education that we shall achieve the goal and achieve the desired result.

The Ministry of Education is implementing several projects aimed at integrating ethnic minorities into society, most of which are related to the study of the state language, although it should be noted that currently the level of compulsory knowledge of the state language required to obtain a school-leaving certificate or for entrance exams into higher educational institutes is not specified. It is interesting what experiences different countries, specifically Latvia, have in terms of ethnic minority education, state language teaching, and integration.

Keywords-education, integration, discrimination.

GR (კავშირი მთავრობასთან) ურთიერთობის თავისებურებანი

თამარ დავითულიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ვაჟა გურგენიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია რა არის GR ურთიერთობა, ანუ მთავრობასთან, სახელმწიფოსთან ურთიერთობა.საუბარია მისი როლის და მნიშვნელობის შესახებ, რამდენად სასარგებლოა სამთავრობო დაწესებულებებისა და კერძო კომპანიისათვის GR-ს.

,,კავშირი მთავრობასთან" - ეს ხომ განსაკუთრებული ორგანიზაციული თანამშრომლობაა არასამთავრობო ორგანიზაციებისა მთავრობასთან შეთანხმებული და ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად.

რა საერთო აქვს GR-ს პოლიტიკურ მენეჯმენტთან, ხოლო პოლიტიკური მენეჯმენტი იძლევა საჯარო პოლიტიკის გააზრების საშუალებას. პოლიტიკური ინფორმაციის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს, აგრეთვე მიღებული ადმინისტარაციული თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებების გააზრებას, ხოლო მისი გააზრებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია სამთავრობო სტრუქტურებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა სფეროს სპეციფიკის ცოდნა - ვინ და როგორ წყვეტს საკითხებს, მათ უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს, საჯარო ხელისუფლების დებულებებს, დოკუმენტაციის მახასიათებლებს, სტრუქტურას...

რისი ცოდნა და რა უნარ-ჩვევები მოეთხოვებათ სპეციალისტებს,რომლებიც საქმიანობენ ამ სფეროში, მათ შორისაა კომუნიკაციის უნარი, მოლაპარაკებების წარმართვის შესაძლებლობა, ანალიზის და მონიტორინგის განხორციელების უნარი,რადგან GR-ის მთავარ ფუნქციად ექსპერტები მიიჩნევენ სახელმწიფო ორგანოების მიმდინარე საქმიანობის მუდმივ მონიტორინგს, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიებისა და საჯარო დაწესებულებების მუშაობაზე. იგი ქმნის მამოძრავებელ თუ შემაკავებელ აქტორებს ოფიციალური პირების გადაწყვეტილებების მიღებისას.

აღსანიშნავია,რომ GR აქტივობებს ძირითადად ახორციელებენ ყოფილი თანამდებობის პირები, პოლიტიკოსები, პოლიტტექნოლოგები და იურისტები, რომლებმაც კარგად იციან პოლიტიკური პროცესების თავისებურებები.თუმცა, ახლა ცხადი ხდება დარგის სპეციალისტების პროფესიული გადამზადების საჭიროება. კომპეტენციაზე დაფუძნებული მიდგომით. პროფესიონალი ეფუძნება პოლიტიკურ მეცნიერებებს, სოციალურ, ჰუმანიტარულ, კულტუროლოგიურ, მენეჯერულ დისციპლინებს.

სასურველია, ამ სფეროს სპეციალისტებს ჩაუტარდეთ სპეციალური გადამზადება,რადგან მათ მიერ მომზადებულ დასკვნებს და ინფორმაციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

GR სპეციალისტების საქმიანობის სფერო ასევე მოიცავს პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას სახელმწიფოსთან და სამთავრობო კომპანიებთან, სწორედ ამიტომ საჭიროა სფეროში მუშაობდნენ კომპეტენტური სპეციალისტები.

ამ სახის საქმიანობა შედარებით ახალია საქართველოში და სასურველია უფრო მეტად გააქტიურდეს ამ მიმართულების სპეციალისტების საქმიანობა, რადგან მათი მუშაობა მნიშვნელოვანია როგორც კერძო კომპანიებისა თუ სამოქალაქო სექტორისათვის, ასევე საჯარო დაწესებულებებისთვის, სამთავრობო სტრუქტურებისთვის.

საკვანძო სიტყვებია: მთავრობა, ურთიერთობა, კომუნიკაცია, ანალიზი, იმიჯი, მენეჯმენტი, პოლიტიკა.

შესავალი

აღნიშნულ სტატიაში შევეცდები განვმარტო, რას წარმოადგენს GR(ურთიერთობა მთავრობასთან), რა მნიშვნელობა ენიჭება მას სახელმწიფო სტრუქტურების თუ კერძო კომპანიების წარმატებული საქმიანობისათვის.

რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდნენ GR-ის სპეციალისტები, რათა აწარმოონ წარმატებული

მოლაპარაკებები, კომუნიკაცია, შესაბამისად, გამოიტანონ დასკვნები და გააკეთონ ანალიზი.

ვაჩვენო,თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ საქმიანობის აქტიური დანერგვა საქართველოში.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე სისტემაში სამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთ თანამშრომლობა შედგენენ მხოლოდ ნაწილს სისტემისა, რომელსაც ეწოდება GR- „კავშირი მთავრობასთან“. ახალ პუბლიკაციებში აღწერილია GR საქმიანობის შესახებ აღნიშნულია, რომ დღესდღეისობით ბიზნესმა და არაკომერციულმა ორგანიზაციებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების მიღებაში.

,,კავშირი მთავრობასთან“-ეს განსაკუთრებული ორგანიზაციული თანამშრომლობაა არასამთავრობო ორგანიზაციებისა მთავრობასთან შეთანხმებული და ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ჩვენს დროში GR წარმომადგენლობა განთავსებულია სხვადასხვა ფირმებში, უნივერსიტეტებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კერძო სტრუქტურებში, როგორც დამოუკიდებელი მონიტორინგის დანაყოფები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფოს მონიტორინგის ფუნქციებს.

ბუნებრივია, ამ სახის საქმიანობისათვის შესაბამისი უნარები და შესაძლებლობებია საჭირო. ამ პროცესს ახორციელებენ მთავრობასთან ურთიერთობის სპეციალისტები. GR-სტრუქტურის მთავარ ფუნქციად ექსპერტები მიიჩნევენ სახელმწიფო ორგანოების მიმდინარე საქმიანობის მუდმივ მონიტორინგს, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიებისა და საჯარო დაწესებულებების მუშაობაზე. იგი ქმნის მამოძრავებელ თუ შემაკავებელ აქტორებს ოფიციალური პირების გადაწყვეტილებების მიღებისას.

ცხადია, რომ GR აქტივობები ეყრდნობა პოლიტიკური მენეჯმენტის პრაქტიკას, ვინაიდან მიზნად ისახავს შექნას პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სუბიექტისათის გარემოში ხელსაყრელი კონკურენტული პირობები.

GR სპეციალისტის პროფესიული საქმიანობის ტიპები,რომლის წარმატებით გამოყენება შესაძლებელია პოლიტიკურ მენეჯმენტში, მონიტორინგზე, ანალიზსა და პროგნოზზეა ორიენტირებული.

GR აქტივობებს ძირითადად ახორციელებენ ყო-ფილი თანამდებობის პირები, პოლიტიკოსები, პოლიტტექნოლოგები და იურისტები, რომლებმაც კარგად იციან პოლიტიკური პროცესების თავისებურებები. თუმცა, ახლა ცხადი ხდება დარგის სპეციალისტების პროფესიული გადამზადების საჭიროება. კომპეტენციაზე დაფუძნებული მიდგომით. პროფესიონალი ეფუძნება პოლიტიკურ მეცნიერებებს, სოციალურ, ჰუმანიტარულ, კულტუროლოგიურ, მენეჯერულ დისციპლინებს. აშკარაა, რომ პოლიტიკურ მენეჯმენტში მოთხოვნადია ასევე შემდეგი კომპონენტები:

1. კომპანიების ან კომპანიების გაერთიანების მიზნების და გადაწყვეტილების მიწოდების შესაძლებლობა.

2. ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად წარმოქმნილი სიტუაციის რეგულირება.

3. ორგანიზაციების პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბება და შენარჩუნება საჯარო ხელისუფლებაში.

4.ბაზრის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობის ორგანიზება, ხელისუფლების საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინაცია.

5. მონაწილეობა ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში. საკანონმდებლო სფეროს მონიტორინგი და სისტემური ანალიზი, გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედების შესაძლო სტრატეგიის იდენტიფიცირება.

6. დროული კონსულტაცია, რეაგირება და ეფექტური მენეჯმენტის მიღება ,კომპანიის განვითარების დაგეგმვა.

7. სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებისთვის სტრატეგიული მიდგომა.

GR სპეციალისტების საქმიანობის სფერო ასევე მოიცავს პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას სახელმწიფოსთან და სამთავრობო კომპანიებთან.

GR სპეციალისტი თავისი ორგანიზაციის სახელით საუბრობს ხელისუფლების წარმომადგენლების წინაშე, გონივრულად და დამაჯერებლად უწყობს ხელს პროექტების განხორციელების ორგანიზებას, აფასებს მის პოტენციურ რისკს და სარგებელს.

GR სპეციალისტის მთავარი ამოცანა თითქმის იგივეა, რაც პოლიტიკური მენეჯერისა,

ხედავს მისი ორგანიზაციის პრობლემებს და პოტენციალს, აძლევს მენეჯმენტს გარკვეულ რეკომენდაციებს გადაწყვეტილების მისაღებად. ამიტომ, მთავრობასთან ურთიერთობის ექსპერტიზა მოიცავს პიარის საფუძვლების ცოდნასაც (მედიაუნარები, ღონისძიებების მენეჯმენტი, რეპუტაციის მენეჯმენტი). ხოლო პოლიტიკური მენეჯერის შემთხვევაში კომუნიკაციური კომპეტენცია მოითხოვს GR სპეციალისტის მახასიათებლების მყარ ცოდნას, მოლაპარაკებების უნარს, ეფექტურ კომუნიკაციას ხელისუფლების წარმომადგელებთან. პოლიტიკური მსრთვის მიზნებისთვის განსაკუთრებული მნიშ-ვნელობა აქვს GR სპეციალისტის პოლიტიკურ კომპეტენციას.

პოლიტიკური მენეჯმენტი იძლევა საჯარო პოლიტიკის გააზრებას, ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ინფორმაციას, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს კონკრეტული პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებისას. მნიშვნელოვანია, სტრუქტურების და გადაწყვეტილების მიმღებთა სფეროს სპეციფიკის ცოდნა, ვინ და როგორ წყვეტს საკითხებს, მათ უფლებამოსილებებს და პასუხისმგებლობებს, აგრეთვე, უნდა იცნობდეს მათ დებულებებს, დოკუმენტების მახასიათებლებს, ჯგუფებს, რომლებიც გავლენას ახდენენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. უნდა იცნობდეს ეთიკაში და ჯგუფში მიღებულ ქცევის სტილს.

ამრიგად,GR სპეციალისტები პროფესიონალურად წარმოადგენენ კორპორაციების, სამოქალაქო ინსტიტუტების თუ სხვა სოციალური სუბიექტების ინტერესებს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში.

მონიტორინგი,როგორც თვალთვალის პროცესი, საჭიროა ნებისმიერისათვის სპეციალიზებულ ორგანიზაციებში, ამიტომ, GR სპეციალისტმა უნდა აწარმოოს გამოყოფილი ინფორმციის მონიტორინგის პროცესი. ასეთი მონიტორინგი უნდა იყოს მინიმუმ ორი კრიტერიუმის საფუძველზე: მოაქვს თუ არა მოსალოდნელ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ამ სტრუქტურისთვის სარგებელი:მოაქვს თუ არა მოსალოდნელ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას დადებითი იმიჯი ამ დაწესებულებისთვის.

აშკარაა, რომ მონიტორინგის აქტივობების განსაზღვრულ კრიტერიუმებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ პოლიტიკურ მენეჯმენტში.

GR საქმიანობის კიდევ ერთი ძირითადი მოთხოვნაა ინფორმაციის მიწოდება. ამ სპეციალისტების მიერ მოზადებული ინფორმაციით ყველზე მეტად ინტერესდებიან, რადგან ამ ინფორმაციას თვლიან დამაჯერებლდ. იმ შემთხვევაში, თუ მომზადებული გადაწყვეტილება არის წამგებიანი კომპანიისთვის, GR სპეციალისტმა უნდა ნახოს გამოსავალი, ისინი ცდილობენ სი-ტუაციის გამოსწორებას, რათა მან უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ამათუიმ კომპანიასა თუ სუბიექტზე.

GR-სპეციალისტების საქმიანობის სფერო ასევე მოიცავს პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას სახელმწიფო ორგანოებთან და სამთავრობო კომპანიებთან.

GR სპეციალისტი თავისი ორგანიზაციის სახელით საუბრობს ხელისუფლების წარმომადგენლების წინაშე. მისი საუბარი უნდა იყოს დამაჯერებელი და გონივრული.

GR სპეციალისტისათვის მთავარი ამოცანა თითქმია იგივეა, რაც პოლიტიკური მენეჯერისათვის. როგორც პოლიტიკური მენეჯერის შემთხვევაში, გრ სპეციალისტად ყოფნა მოითხოვს მთელი რიგი მახასიათებლების მყარ ცოდნას, მათ შორის: მოლაპარაკებების წარმართვის უნარს, ეფექტურ კომუნიკაციას ხელისუფლების წარმომადგენლებთან

პოლიტიკური მენეჯმენტი იძლევა საჯარო პოლიტიკის გააზრების საშუალებას. პოლიტიკური ინფორმაციის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს, აგრეთვე მიღებული ადმინისტრაციული თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებების გააზრებას, ხოლი მისი გააზრებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია სამთავრობო სტრუქტურებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა სფეროს სპეციფიკის ცოდნა - ვინ და როგორ წყვეტს საკითხებს, მათ უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს, საჯარო ხელისუფლების დებულებებს, დოკუმენტაციის მახასიათებლებს, სტრუქტურას და ა.შ.

ამრიგად, GR სპეციალისტები წარმოადგენენ კორპორაციების, სამოქალაქო ინსტიტუტების და სხვა სოციალური სუბიექტების წარმომადგენ-ლებს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრ სპეციალისტმა უნდა მოაწყოს მონიტორინგის პროცესი საჯარო ხელისუფლებასთან. ასეთი მონიტორინგი უნდა იყოს ამ კრიტერიუმის საფუძველზე: მოაქვს თუ

არა მოსალოდნელ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას სარგებელი კონკრეტული კომპანიისათვის.

GR საქმიანობის კიდევ ერთი ძირითადი ფორმა არის ინფორმაციის მიწოდება კომპანიაში, პარტიასა თუ სამოქალაქო ორგანიზაციაში.

უნდა აღინიშნოს, რომ GR ტექნოლოგიების გამოყენების აქტიური პრაქტიკა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის, თუმცა, ვფიქრობ მისი გამოყენება საკმაოდ საჭირო და დროული, სამთავრობო სტუქტურების, არასამთავრობო სექტორის და საზოგადოების აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

GR (Goverment Relation) Peculiarities Of The Relationship

Tamar Davituliani, PhD student
Georgian Technical University

Supervisor: Vazha Gurgenidze, Professor
Georgian Technical University

Summary

The article discusses what GR's relationship is, that is, its relationship with the government, the state. It talks about its role and importance, how useful GR is for government agencies and private companies.

GR. "Government Relation" - this is a special organizational cooperation of non-governmental organizations to make coordinated and effective decisions with the government. What does GR have to do with political management, and political management allows for the understanding of public policy? Who and how decides the issues, their powers and responsibilities, public government regulations, documentation characteristics, structure ... What knowledge and skills are required of specialists working in this field, including communication skills, negotiation skills, analysis and monitoring skills,

Because the main function of GR is considered by experts to be the constant monitoring of the current activities of state bodies, which affects the work of companies and public institutions. It creates driving or restraining actors in the decisions of officials. It should be noted that GR activities are mainly carried out by former officials, politicians, political technologists and lawyers who are well acquainted with the peculiarities of political processes. Managerial disciplines. Though it is advisable to conduct special training for specialists in this field, as the conclusions and information prepared by them are of great importance.

The field of activity of GR specialists also includes solving practical issues with the state and government companies, which is why it is necessary to have competent specialists working in the field. This type of activity is relatively new in Georgia and it is desirable to intensify the activities of specialists in this field, because their work is important for private companies or the civil sector, as well as for public institutions, government agencies.

Keywords: Government, Relationship, Communication, Analysis, Image, Management, Politics.

ორგანიზაციული კონფლიქტების აღმოფხვრის გზები

ვასილ კავაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში გაშუქებულია ორგანიზაციული კონ-ფლიქტების არსი და მოცემულია მათი მარ-თვის სტრუქტურული მეთოდების აღწერა. წარ-მოდგენილია კ. თომასისა და რ. კილმენის კონ-ფლიქტების მართვის მოდელი. აღწერილია კონფლიქტების მოგვარების პიროვნებათაშორისი სტილები, აღნიშნულია საქმიან ურთიერთობებში კონფლიქტების მართვისადმი ინტეგრაციული მიდგომების მნიშვნელობა.

პირველ სტილში მოიაზრება განრიდება (არი-დება). ამ დროს ადამიანი ან არ ანიჭებს მნიშვნელო-ბას კონფლიქტს, არ ერევა მასში და ცდილობს მის-გან გამოსვლას, ნეიტრალური პოზიციის დაკავებას.

მეორე სტილია - კონკურენტია (იძულება). აქ შეინიშნება ორმხრივი მიზნების დაპირისპირება, სასტიკი ბრძოლა ოპონენტებს შორის ნებისმიერ ფასად, მის სასარგებლოდ წინააღმდეგობის დასაძ-ლევად.

მესამე სტილი წარმოადგენს კომპრომისს (შერი-გებას). კომპრომისულს უწოდებენ არჩევანს, რომე-ლიც მეტ-ნაკლებად აწყობს გადაწყვეტილების მი-ღებაში მონაწილე ყველა მხარეს, ვის ინტერესებსაც იგი ეხება.

მეოთხე სტილს მიაკუთვნებენ შეგუებას (გათა-ნაბრებას). მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ ერთ-ერთი მხარე ცდილობს მეორე მხარის მდგომარეო-ბაში შესვლას და მასზე მორგებას. ამასთან, არსებობს თანამშრომლობის სურვილი, თუმცა არ არის ამ კოოპერაციაში საკუთარი ინტერესის შეტანის მცდელობა.

სტილი მეხუთე - ესაა თანამშრომლობა (ინტეგ-რაცია). სტილი V - თანამშრომლობა (ინტეგრაცია). ქცევის აღნიშნული ვარიანტი ყველაზე რთული, თუმცა ყველაზე პროდუქტიული, ცივილიზებუ-ლია. იგი გამოირჩევა მაღალი პირადი ჩართულობით და ძალისხმევის გაერთიანების, კონსენსუსის მიღ-წევის სურვილით.

სპეციალისტების შეფასებით, მენეჯერები კონ-ფლიქტური სიტუაციების გადაჭრას ანდომებენ სამუშაო დროის დაახლოებით 20 %-ს. ამიტომაც ნებისმიერი ხელმძღვანელის მნიშვნელოვანი ამო-ცანაა კონფლიქტების კონსტრუქციული გამო-ყენება, მათი ნეგატიური შედეგების აღკვეთა. კონფლიქტების ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნე-ლოვანია ორგანიზაციებში კონფლიქტების მოგ-ვარების პიროვნებათაშორისი სტილების (გან-რიდება, კონკურენცია, კომპრომისი, შეგუება, თანამშრომლობა) შესწავლა და გაანალიზება.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტების მართვა, კონფლიქტების მოგვარების პიროვნებათაშორისი სტილები, კონფლიქტების მართვის სტრუქტუ-რული მეთოდები.

შესავალი

არსებობს სხვადასხვა მიდგომა კონფლიქტის მოგვარებისადმი. მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ სტრუქტურული მეთოდები და პიროვნებათა-შორისი სტილები.

კონფლიქტები ხშირად სრულდება ორგანიზა-ციაში სტრუქტურული ცვლილებების გატარებით და საკადრო გადაადგილებებით. გამოდის, ცვლი-ლებები შეიძლება გახდეს კონფლიქტური სიტუ-აციის კატალიზატორიც და მისი შედეგიც.

კონფლიქტების მოგვარების სტრუქტურული მეთოდები

კონფლიქტების მოგვარების სტრუქტურულ მეთოდებს მიაკუთვნებენ:

- ხელმძღვანელის მიერ საკუთარი სამსა-ხურებრივ მდგომარეობის გამოყენებას ორგანი-ზაციაში, რომელიც მას აძლევს ბრძანებების, განკარგულებების გამოცემის შესაძლებლობას;

- კონფლიქტის მონაწილეთა დაშორებას (და-ცალკევებას) ან მათი ერთმანეთზე დამოკიდებუ-ლების შემცირებას;

- გარკვეული მარაგის შექმნას ურთიერთდამო-კიდებული ქვედანაყოფების მუშაობაში (მაგალი-თად, ნედლეულისა და მასალების საჭირო მარაგის შენარჩუნება);

- კონფლიქტში მონაწილე მხარეებისთვის კურატორის ან კოორდინატორის დანიშვნას (ეს

არის შუამავალი, რომელიც ცდილობს შეარიგოს ოპონენტები; ეს შეიძლება იყოს სპეციალისტი-კონფლიქტოლოგი, შრომითი ურთიერთობების განყოფილება ან შრომითი დავების კომისია);

- ოპონენტთა რანგების ცვლილებას (კონფლიქტი შეიძლება დასრულდეს, თუ ერთსა და იმავე თანამდებობაზე მყოფ კონფლიქტის მონაწილეთაგან რომელიმე აღმოჩნდება დანარჩენების ხელმძღვანელი);

- ქვედანაყოფების შერწყმას და მათთვის საერთო ამოცანის დასახვას (მაგალითად, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება შრომის ანაზღაურებისა და კადრების განყოფილებების ერთ საერთო სამსახურად - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურად გაერთიანების შესახებ);

- პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მიმართული იქნება კონფლიქტების თავიდან აცილებისკენ (ახსნა-განმარტებითი მუშაობა, საქმიანობის კოორდინაცია და ინტეგრაცია, საერთო მიზნების დასახვა, პერსონალის დაჯილდოება).[1]

კონფლიქტების აღმოფხვრის პიროვნებათაშორისი სტილები

კონფლიქტების დაძლევის საშუალებათა მეორე ჯგუფი განხილულია პიროვნებათაშორისი ურთიერთობების სიბრტყეზე და წარმოდგენილია ხუთი ძირითადი ხერხით (ნახ.1).



ნახ.1 - კონფლიქტების აღმოფხვრის პიროვნებათაშორისი სტილები (კ. თომასისა და რ. კილმენის მოდელი)

სტილი I – განრიდება (არიდება). ადამიანი ან არ ანიჭებს მნიშვნელობას კონფლიქტს, არ ერევა მასში და ცდილობს მისგან გამოსვლას, ნეიტრალური პოზიციის დაკავებას. ამ შემთხვევაში არ არსებობს შეუპოვრობა და სხვებთან კოოპერირების სურვილი. აღნიშნული სტილი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა ნაკლებად მნიშვნელოვანია და არ არის საკუთარი მოსაზრების დაცვის საჭიროება, ამაზე დროისა და ენერგიის დახარჯვა. აღნიშნული სტილის გამოყენება მაშინაა რეკომენდებული, თუკი ადამიანი გრძნობს, რომ არ არის მართალი, საქმე აქვს კონფლიქტურ პიროვნებასთან ან საჭიროა დროის მოგება სიტუაციის დამატებით შესასწავლად.

კონფლიქტის თავიდან აცილების, იზოლაციისკენ სწრაფვა ზოგჯერ ამცირებს მის სიმწვავეს, ვინაიდან იძლევა დამშვიდების, სიტუაციის გააზრების შესაძლებლობას. თუმცა, თუ ამასთანავე იგნორირებას გავუწევთ მეორე მხარის უთანხმოებას რაიმე საკითხთან დაკავშირებით, ამან შეიძლება მეტი უკმაყოფილება გამოიწვიოს. ვითარების რეალური ცვლილებების გარეშე კონფლიქტების არშემჩნევის, ჩახშობის მცდელობას, შეიძლება ცუდი შედეგები მოჰყვეს. უკეთეს შემთხვევაში ადგილი ექნება კარგი დამოკიდებულებების ფიქციას, თუმცა ისინი კვლავ დაძაბული დარჩება, ვინაიდან პრობლემა არ

1 Кибанов А. Я., Ворожейкин И. Е., Захаров . К., Коновалова В. Г. Конфликтология [Текст]: учебник для вузов. 2-е изд., перераб. и доп. М. : ИНФРА-М, 2012. 302 с.

აღმოიფხვრება, იგი უბრალოდ შეინიღბება.

სტილი II - კონკურენცია (იძულება). შეინიშნება ორმხრივი მიზნების დაპირისპირება, სასტიკი ბრძოლა ოპონენტებს შორის ნებისმიერ ფასად, მის სასარგებლოდ წინააღმდეგობის დასაძლევად. ამასთან, კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესება მაღალია, თუმცა, მეორე მხარის პოზიცია არ არის გათვალისწინებული. მონაწილე ცდილობს საკუთარი თვალსაზრისის თავს მოხვევას, კონფლიქტის ძალით ჩახშობას, მიიჩნევს, რომ კონფლიქტს უნდა ჰყავდეს გამარჯვებული და დამარცხებული. ხდება განაწესის „მე შენს წინააღმდეგ“ - რეალიზება და არა „ჩვენ პრობლემის წინააღმდეგ“.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სტილი ყვე-ლაზე ტიპურია, ვინაიდან, სტატისტიკის თანახმად, შემთხვევათა 70 %-ში დომინირებს სწრაფვა ცალმხრივი მოგებისკენ. აღნიშნული სტილის გამოსაყენებლად უნდა არსებობდეს საკმარისი უფლებამოსილებები ან ფიზიკური უპირატესობები. ეს ეხმარება პირადი მიზნების მიღწევაში, ასევე გადაწყვეტილებების მიღებაში, თუკი შეიქმნება კრიტიკული სიტუაცია (ცაიტნოტი ან კრიზისი). ამან შეიძლება მოგვცეს მოკლევადიანი ეფექტი, მაგრამ გრძელვადიან მაღალ შედეგზე გასვლა, როგორც წესი, შეუძლებელიც კია. უფრო სუსტი იძულებულია დაემორჩილოს, რათა თავიდან აიცი-ლოს უსიამოვნებები. თუმცა, თუკი იგი არ ეგუება წაგებას, კონფლიქტი შეიძლება ნებისმიერ მომენტში გაღვივდეს ახალი ძალით.

სტილი III - კომპრომისი (შერიგება). კომპრომისულს უწოდებენ არჩევანს, რომელიც მეტ-ნაკლებად აწყობს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე ყველა მხარეს, ვის ინტერესებსაც იგი ეხება. უთანხმოებების რეგულირებისთვის ოპონენტები გარკვეულ დონემდე ურთიერთდათმობებზე მიდიან, ითვალისწინებენ ერთმანეთის ინტერესებს, მოჰყავთ ერთნაირად დამაჯერებელი არგუმენტები.

კომპრომისის ძიებაში, ადამიანი, მოლაპარაკებების მიმდინარეობისას მზადაა მისთვის მნიშვნელოვანი მსხვერპლის გასაღებად, ორმხრივი თანხმობის მიღწევისთვის იგი ნაწილობრივ უგულებელყოფს საკუთარ ინტერესებს. ამის შედეგად, მონაწილეებს არ ექნებათ სრული ორმხრივი კმაყოფილება, მაგრამ არც უკმაყოფილებაც არ შეინიშნება. კონფლიქტის გამოსავალია „ოქროს შუალედი“. ეს გვაძლევს შესაძლებლობას შენარჩუნდეს კარგი ურთიერთობები პერსპექტივაში. მოცემული სტილის ნაკლი ის გახლავთ, რომ პრობლემა გადაუჭრელი რჩება, ვინაიდან მიიღება „სანახევრო“ გადაწყვეტილება.

სტილი IV - შეგუება (გათანაბრება). მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ ერთ-ერთი მხარე ცდილობს მეორე მხარის მდგომარეობაში შესვლას და მასზე მორგებას. ამასთან, არსებობს თანამშრომლობის სურვილი, თუმცა არ არის ამ კოოპერაციაში საკუთარი ინტერესის შეტანის მცდელობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოპონენტის ინტერესების რეალიზება ხდება საკუთარი ინტერესების ხარჯზე. ამასთან, ადამიანს შეუძლია სრულად არ თქვას უარი თავის მიზნებსა და მოლოდინებზე, არამედ გამოიყენოს უკანდახევა დროებით ზომად, რათა შემდგომ, უფრო ხელსაყრელი ვითარებისას, კიდევ ერთხელ დაუბრუნდეს მას.

ეს სტილი გამოიყენება მაშინ, თუ საჭიროა ნაბიჯის გადადგმა სტაბილურობის, სიმშვიდის აღსადგენად; როცა მომხდარი დიდად არ აწუხებს ადამიანს ან ვერ აცნობიერებს, რომ სიმართლე მის მხარეს არ არის; როცა ძალაუფლების დეფიციტია, ამიტომაც გამარჯვების შანსებიც ნაკლებია. კონფლიქტის მონაწილე უპირატესობას ანიჭებს ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნებას, ნაცვლად მისი გამწვავებისა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტილის ადამიანები სხვების თვალში სუსტ ადამიანებად ჩანან, რომლებიც ადვილად ექცევიან სხვების გავლენის ქვეშ. აღნიშნული სტილი გამოუსადეგარია, როცა არსებობს შეგრძნება, რომ მოწინააღმდეგე არ აპირებს მომავალში რაიმე სახის დათმობას და არ დააფასებს იმას, რაც მისთვის გაკეთდა.

სტილი V - თანამშრომლობა (ინტეგრაცია). ქცევის აღნიშნული ვარიანტი ყველაზე რთული, თუმცა ყველაზე პროდუქტიული, ცივილიზებულია. იგი გამოირჩევა მაღალი პირადი ჩართულობით და ძალისხმევის გაერთიანების, კონსენსუსის მიღწევის სურვილით. ამასთან, კონფლიქტი განიხილება როგორც ბუნებრივი მოვლენა, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვარდეს. მხარეები ავლენენ ნდობას და ღიაობას, აღიარებენ კონფლიქტის ყველა მონაწილის უფლებას - ჰქონდეთ გარკვეული შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, ქმნიან თანასწორუფლებიან აზრთა

გაცვლა-გამოცვლის ატმოსფეროს, საჯაროდ და დარწმუნებით აფიქსირებენ საკუთარ პოზიციებს, იჩენენ ურთიერთპატივისცემას, ცდილობენ პრობლემის გადაჭრას „მშვიდობიანად“. ოპონენტებისგან ისინი პარტნიორებად იქცევიან და იღებენ ვალდებულებებს საკუთარ თავზე საერთო გადაწყვეტილების ფარგლებში.

კონფლიქტის გამოსავალი ამ შემთხვევაში არის ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. ეს იქნება საფუძველი ხანგრძლივი, მტკიცე, ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების შესანარჩუნებლად, რომელსაც არ ექნება ექსპლუატაციის ხასიათი. თუმცა, აღნიშნული სტილი მოითხოვს მაღალ პიროვნულ კულტურას, მოსაუბრის მოსმენის, აზრის კომპეტენტურად გადმოცემის, ემოციების შეკავების კარგად განვითარებულ უნარებს.[1]

დასკვნა

სპეციალისტების შეფასებით, მენეჯერები კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრას ანდომებენ სამუშაო დროის დაახლოებით 20 %-ს. ამიტომაც ნებისმიერი ხელმძღვანელის მნიშვნელოვანი ამოცანაა კონფლიქტების კონსტრუქციული გამოყენება, მათი ნეგატიური შედეგების აღკვეთა. კონფლიქტების ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციებში კონფლიქტების მოგვარების პიროვნებათაშორისი სტილების (განრიდება, კონკურენცია, კომპრომისი, შეგუება, თანამშრომლობა) შესწავლა და გაანალიზება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. კვირიკაშვილი - კონფლიქტის თეორია და მისი წყაროები, 2017, 16ივნისი
2. Кибанов А. Я., Ворожейкин И. Е., Захаров Д. К., Коновалова В. Г. Конфликтология учебник для вузов. 2-е изд., перераб. и доп. М. : ИНФРА-М, 2012. 302 с
3. Лукин Ю. Ф. Конфликтология: управление конфликтами учебник для вузов. М. : Трикста, 2007. 799 с.
4. Дмитриев А. В. Конфликтология учебник для вузов. 3-е изд., перераб. и доп. М. : Альфа-М, 2012. 336 с
5. Mike Kappel - 6 Strategies to Resolve Conflict at Work, Enterpreneur, November2017

Ways to eliminate organizational conflicts

Vasil kavadze, PhD student

Georgian Technical University

Summary

The article covers the essence of organizational conflicts and their management in the management of organizations. Phases of conflict development are studied, structural methods of conflict management are described. The K. Thomas and R. Kilman's conflict management model is represented. Interpersonal conflict resolution styles are described, the importance of integrative approaches to conflict management in business relations is noted.

Style I – Eschewing (avoidance). The person either does not attach importance to the conflict or does not interfere in it and tries to get out of it, to take a neutral position. This style is used when the problem is less important, its use is recommended if the person feels that he is not right, is dealing with a conflicted person or needs to gain time.

Style II - Competition (coercion). There is a confrontation of mutual goals, a struggle between opponents to overcome the opposition in his favor at any cost. However, the interest in resolving the conflict is high, but, the position of the other party is not taken into account.

1 Лукин Ю. Ф. Конфликтология: управление конфликтами [Текст]: учебник для вузов. М. : Трикста, 2007. 799 с

Style III - Compromise (reconciliation). Compromise is a choice that is more or less advantageous for all parties involved in decision-making, the opponents compromise to some extent to settle disagreements, taking into account each other's interests.

The solution to the conflict is “the golden mean” - the opportunity to maintain good relations. The disadvantage of this style is that the problem remains unresolved, as a “half” decision is made.

Style IV - Adaptation (equalization). In this case, only one of the parties is trying to take the other party into account, to adjust to it. However, there is a desire to cooperate, but there is no attempt to bring their own interests in this cooperation. However, a person can not completely abandon his goals and expectations, use the retreat as a temporary measure.

Style V - Collaboration (integration). This variant of behavior is the most complex, though productive and civil one. It is distinguished by high personal involvement and a desire to unite efforts, reach a consensus. The parties show confidence and openness, recognize the right of all parties to the conflict - to have a certain view on this or that issue, create equality in public and confidently present their positions, try to resolve the problem “peacefully”.

Experts estimate that managers spend about 20% of their working time resolving conflict situations. That is why the important task of any leader is to use conflicts constructively, to prevent their negative consequences. To effectively manage conflicts, it is important to study and analyze interpersonal conflict resolution styles (Eschewing, competition, compromise, adaptation, collaboration) in organizations.

Keywords: Conflict management, Interpersonal conflict resolution styles, Structural methods of conflict management

ინკლუზიური განათლებიდან ინკლუზიურ საზოგადოებამდე

ლია მეტრეველი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკა ნინოშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე საზოგადოება მიისწრაფვის იქით, რომ ადამიანებმა განსხვავებულობის მიუხედავად მეტად შეძლონ ერთმანეთის მიღება, ნაკლებად იყოს ზღვარი და ბარიერები, სადაც თითოეულ წევრს ექნება შესაძლებლობა მონახოს საკუთარი ადგილი და თავი დაიმკვიდროს სოციუმში. ეს არის ინკლუზიური საზოგადოება, რომლის შექმნის პროცესიც მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. თუმცა მთავარი გამოწვევა არის ის, რომ მსგავსი საზოგადოების ფორმირებისთვის შეიქმნას ჯანსაღი და მყარი საფუძველი, რომელსაც რეალურად ინკლუზიური განათლება ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ინკლუზიური განათლება სულ რამდენიმე ათეული წელია დაინერგა, წარმატებით მიმდინარეობს მრავალ ქვეყანაში და საზოგადოების ინკლუზიურობის ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. სტატიაში განხილულია რამდენიმე ფსიქოლოგიური თეორია ინკლუზიური განათლების ჭრილში. ეს თეორიებია: ლევ ვიგოტსკის ,,სოციო-კულტურიული განვითარების თეორია", რომელიც სოციალურ ფაქტორების როლზე აკეთებს აქცენტს. ინკლუზიური განათლების შედეგად შექმნილი სოციალური გარემო იძლევა სწორედ სსსმ მოსწავლეების თანატოლებთან ურთიერთობის შესაძლებლობას. ასეთ გარემოში უშუალო კონტაქტი, თანატოლებთან ურთიერთობა ეხმარება სსსმ მოსწავლეებს შეიძინონ ის ცოდნა და უნარები, რაც შემდეგ საზოგადოებაში ინტეგრირებას შეუწყობს ხელს, ხოლო მათ თანატოლებს მსგავსი გამოცდილება ხელს უწყობს უკეთ გაიგონ და მიიღონ ,,განსხვავებულობა".

სტატიაში ასევე განხილულია ური ბრინფერ-ბრენერის ,,ეკოლოგიური სისტემების თეორია," რომლის მიხედვით ბავშვის ბიოლოგიური ბუნება და გარე-მო ერთობლივად მოქმედებს განვითარებაზე, განსაკუთრებული აქცენტი კი ინკლუზიურ განათლების როლთან დაკავშირებით გაკეთდა ამ სისტემაში ოჯახის, საბავშვო ბაღის, სკოლის და ა. შ.

ინსტიტუციების ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობაზე. სტატიაში ნაჩვენებია, რომ სხვადასხვა ფსიქოლოგიური მიმართულების კვლევები ხაზს უსვამენ სსსმ მოსწავლეებისა და ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეების ურთიერთობების ერთობლივი გამოცდილების მნიშვნელობას, რის შესაძლებლობასაც იძლევა ინკლუზიური განათლება. განსხვავებული შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე ბავშვების და მათი თანატოლების ერთობლივი სწავლების პროცესი წლებთან ერთად აყალიბებს ურთიერთობის ისეთ ფორმებს, რომელიც საბოლოოდ აყალიბებს ინკლუზიურ საზოგადოებას.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, სოციალური ინკლუზია, ინკლუზიური საზოგადოება.

შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა ცვლილებებმა თანამედროვე ეპოქას მრავალი ცლილება მოუტანა. ოდესღაც ერთგვაროვანი საზოგადოებები დროთა განმავლობაში მრავალფეროვანი ეთნიკური თუ კულტურული წარმომავლობის ხალხისგან შემდგარ სოციუმად იქცა, რამაც შეცვალა მსოფლმხედველობა და დამოკიდებულება ცნება ,,განსხვავებულის" მიმართ.

ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის უკან განსხვავებული ადამიანების მიღება უმრავლეს ქვეყანაში პრობლემად მოიაზრებოდა, მაგრამ თანამედროვე მსოფლიომ შეძლო ამ გამოწვევის დაძლევა, აიღო რა ორიენტირი ინკლუზიური საზოგადოების ფრომირებასა და ყველა ადმიანისათვის თანასწორი უფლებების მქონე გარემოს შექმნაზე.

ძირითადი ნაწილი

ინკლუზიური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელიც რასის, სქესის თუ კლასის მიუხე-

დავად უზრუნველყოფს ყველა ადამიანის თანაბარ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სოციალურ ინტერაქციას. (Expert Group Meeting on Promoting Social Integration, Helsinki, July 2008). ინკლუზიური საზოგადოების ფორმირებისკენ მიმავალი პირდაპირ გზას კი **სოციალური ინკლუზია** წარმოადგენს, რაც ნიშნავს არა ადამიანების ერთერთგვაროვნებას, არამედ საზოგადოებას, რომელსაც ადგილი აქვს მრავალფეროვნებისთვის და ხელს უწყობს მათ ჩართულობას.[1]

აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ტემპით ვითარდება, შესაბამისად ზოგიერთი ქვეყანა მეტად ინკლუზიურად გვევლინება და ზოგი ნაკლებად.

საინტერესოა რა არის ის, რაც ერთ საზოგადოებას მეტად ინკლუზიურს ხდის ვიდრე მეორეს? როგორ შეიძლება შეიქმნას საზოგადოება, რომელშიც ყველა წევრს, განურჩევლად მათი წარმოშობის თუ განსხვავებულობისა შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმიანობაში, როგორ უნდა შეიქმნას ის პირობები, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს მიკუთვნებულობის განცდა, ჰქონდეთ თანაბარი

წვდომა სხვადასხვა სერვისებზე და ა.შ. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი კითხვა არსებობს, თუმცა ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სახელმწიფო პოლიტიკასთან ერთად თითოეული ინდივიდის პასუხისმგებლობის საკითხი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მარტო სერვისებზე წვდომა, თუ ფიზიკურად ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა სულაც არ უზრუნველყოფს განსხვავებული შესაძლებლობების თუ საჭიროების მქონე ადამიანთა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად მიღებას, რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანეს როლს აქ ზოგადად ურთიერთობები და ის დამოკიდებულებები წარმოადგენს რომელიც შეიძლება არსებობდეს ამა თუ იმ, გარიყვის რისკის ქვეშ მყოფ ადამიანებთან მიმართებაში. ამიტომ საზოგადოება, სადაც ჯერ კიდევ მყარად არსებობს სტიგმები თუ სტერეოტიპები, ვერ შექმნის ამ ადამიანებისთვის სოციუმში ხარისხიანი ჩართულობისათვის საჭირო გარემოს.

სტიგმა არის ნეგატიური ნიშანი, რომელიც პიროვნების ღრმა დისკრედიტაციას იწვევს, გამოარჩევს მას საზოგადოებისგან.[2]

სტერეოტიპი კი არის გარკვეული ინფორმაციის შემცველი სოციალური ფორმა, რომელსაც გააჩნია პოტენციალი შეცდომაში შეიყვანოს დანარჩენი საზო-გადოება, რადგან ის არ ცნობს და არ აღიარებს განსხვავებულობას (Nolan et al, 2006). სტერეოტიპული მიდგომა იწვევს ადამიანთა დისკრიმინაციასა და სოციალურ მოუღებლობას. სოციალურ გარიყვას რასაც სოციალურ ექსკლუზიასაც უწოდებენ. კვლევები ადასტურებს, რომ სტიგმატიზირება მნიშვნელოვნად აქვეითებს ადამიანთა პროდუქტულობას, უფრო მეტიც ,,მიწებებული იარლიყის მქონე ადამიანებმა" შესაძლოა გაითავისონ მათზე არსებული სტიგმატიზირებული მოსაზრებები და მართლა ასეთებად იქცნენ.[3]

ამიტომ გასათვალისწინებელია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ბარიერების რღვევას, რათა რეალურად შეეწყოს ხელი ინკლუზიური საზოგადოების ფორმირებას. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი აღმოჩნდა ურთიერთობის გამოცდილება, როდესაც მკვლევარებმა ჰიუსტონმა და პეტიგროუმ 516 კვლევაზე დაყრდნობით ნახეს, რომ მნიშვნელოვანი კავშირი არსებობდა სტერეოტოპებსა და შშმ პირებთან უშუალო კონტაქტს შორის. რაც უფრო ხშირი და ინტენსიური იყო ურთიერთობა შშმ პირებთან, მით ნაკლები ცრურწმენები და მეტი ემოციური კავშირი გამოვლინდა, მათ შორის ახლო მეგობრულ ურთიერთობებიც.[4] აქედან გამომდინარე, როდესაც 1994 წელს სალამანკაში, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა

ხელმოწერით შემუშავდა დეკლარაცია (UNESCO 1994) განსხვავებული შესაძლებლობების და საჭიროების მქონე ბავშვებს მიეცათ თანატოლებთან ერთად ყოფნის და ურთიერთობის გამოცდილების მეტი შესაძლებლობა, რამაც არსებული სტერეოტიპების ახალი ტიპის სოციალური ურთიერთობებით ჩანაცვლებას შეუწყო ხელი. ეს იყო გარდამტეხი ეტაპი, რომლემაც ბიძგი მისცა სხვადასხვა ქვეყნებში ინკლუზიური განათლების იდეის დანრგვას.

,,ინკლუზია" ინგლისური სიტყვაა და მისი პირდაპირი თარგმანი ქართულად "ჩართვას" (,,ჩართულობას") ნიშნავს. მას საფუძვლად უდევს იდეოლოგია, რომელიც გამორიცხავს პიროვნების

[1] The Copenhagen Declaration and Programme of Action, Chapter 4, page
[2] Goffman E.,,Stigma". London: Penguin, p 31, 1963;
[3] Graham et al, 2003 cited by Nolan et al, 2006.
[4] Hewstone 2003 citing Hamberger et al, 1997 and Pettigrew, 1997

ყოველგვარ დისკრიმინაციას. ინკლუზიის არსი ის კი არ არის, რომ ჩვენ ყველა ერთნაირები ვართ , არამედ პირიქით, ეს არის განსხვავებულის აღიარება და მიღება. რაც უფრო მცირე ასაკიდან დაიწყება ეს პროცესი, მით მყარი საფუძველი იქმნება შემდგომში ინკლუზიურ საზოგადოების შენებისთვის.

სალამანკას დეკლარაციაზე დაყრდნობით, გლობალური მოძრაობა „განათლება ყველასათვის" (UNESCO 2000), აცხადებს, რომ ყველა ბავშვის ჩართვა ზოგდსაგანმანათლებლო სკოლებში არის ყველაზე ეფექტური გზა დისკრიმინაციული დამოკიდებულებების წინააღმდეგ საბრძოლველად და ინკლუზიური განათლების მიზნის მისაღწევად. მას შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში, ინკლუზიური განათლება გახდა ინტენსიურად განხილული და ემპირიულად გამოკვლეული კონცეფცია და პედაგოგიური რეფორმის პროექტი მთელს მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდებაერთმანეთისგან კლასიფიკაციისა და ,,ჩართვის" მაჩვენებლებით (იხ. Richardson and Powell 2011).

2006 წლის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით (UN-CRPD; UN 2006), რომელიც რატიფიცირებულია 175-ზე მეტ ქვეყანაში, ინკლუზიური განათლება იქცა ჭეშმარიტად გლობალურ ნორმად (Powell, Edelstein, and Blanck 2016).

ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ტერმინი, **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება** გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას სწავლის პროცესში, რომელსაც აწყდება მოსწავლე და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს.

სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

ა) ფიზიკური დარღვევა; ბ) ინტელექტუალური დარღვევა; გ) სენსორული დარღვევა(სმენის და/ან მხედველობის); დ)მეტყველების დარღვევა; ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა; ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება; ზ) სირთულეები სოციალური ფაქტორების გამო და ამ მიზეზით ვერ სძლევს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ინკლუზიური აზროვნება ადვილი არ არის. სრულიად მიმღებლური საზოგადოების ფორმირება საკმაოდ რთული და წახნაგოვანი პროცესია, რომელიც მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ერთ-ერთი ეფექტური გზა კი არსებული სირთულეების დაძლევისთვის არის განათლება.

შესაბამისად ინკლუზიური საზოგადოების განვითარებისთვის ზრუნვა იწყება ბავშვობიდან და გადის ინკლუზიური განათლების პროცესზე. ეს არის გზა, რომელმაც სსსმ მოსწავლეები საზოგადოების სრულფასოვან წევრებად უნდა აქციოს, საზოგადოების, რომელიც მათი მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შეძლებს. ეს უნდა იყოს არა სსსმ მოსწავლის ყოფნა საგანმანათლებლო სივრცეში, არამედ მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ სრულუფლებიან და აქტიურ წევრად ცნობა და მიღება. ინკლუზიური განათლება ორიენტირებულია სსსმ მოსწავლეების არა მარტო აკადემიური უნარების განვითარებაზე, არამედ ყველა იმ უნარის, რაც საგანმანათლებლო სივრცის გარეთ, საზოგადოებაში ფუნქციონირებაში დაეხმარება.

ლევ ვიგოტსკი ,,სოციო-კულტურიული გნვითარების თეორიაში". ხაზს უსვამს, რომ პიროვნების სრულფასოვან ფორმირებაში სოციალური ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ამ თეორიის მიხედვით ბავშვის ფსიქიკური განვითარება განსაზღვრულია სოციალური ურთიერთობებითა და კულტურულ მონაპოვარს წარმოადგენს. სწორედ ურთიერთობის პროცესში იძენს ბავშვი იმ ცოდნას და გამოცდილებას, რომლის შეძენასაც დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა და რომელიც სოციალური ურთიერთობების/ ურთიერთგაზიარების კონტექსტში მუშავდება. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი სსსმ მოსწავლეთა თანატოლთა გარემოში უშუალო კონტაქტი, სწორედ მათთან ურთიერთობა ეხმარება ამ ბავშვებს შეიძინონ ის ცოდნა და უნარები, რაც შემდეგ მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის განვითარება გარემომცველი სამყაროს მრავალდონიანი კავშირების რთული სისტემის ჭრილში ხდება. **ური ბრონფენბრენერის** ,,ეკოლოგიური სისტემების თეორიის" მიხედვით ბავშვის ბიოლოგიური ბუნება და გარემო ერთობლივად მოქმედებს განვითარებაზე,

ბრონფენბრენერი გარემოს წარმოადგენს ერთმანეთში ,,ბუდისებრ'' ჩასმულ სტრუქტურებად,

რომელიც მიკროსისტემას (ოჯახი), მეზოსოსტემა (ოჯახი, სკოლა, საბავშვო ბაღი და ა.შ) **ეგზოსისტემას** (ბავშვისაგან დამოუკიდებელი გარემოებები რომელიც მის მყისიერ გარემოში მიღებულ გამოცდილებაზე ახდენს გავლენას). მოდელის გარეთა შრე **მაკროსისტემას** (კულტურული ფასეულობები, კანონები, ტრადიციები) წარმოადგენს. გარემოს თითოეული ფენა განვითარებაზე არსებითი გავლენის მქონე ძალად განიხილება. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნებისმიერი ურთიერთკავშირი ორმხრივია. მაგალითად, პირველ დონეზე **მიკროსისტემის** შემთხვევაში ზრდასრული ადამიანები მოქმედებენ ბავშვის ქცევაზე, მაგრამ, იმავდროულად, ბავშვების ბიოლოგიური, პიროვნული და სოციალური თავისებურებებიც ახდენს გავლენას მათზე. ინკლუზიური პროცესის ჭრილში თუ განვიხილავთი ეს ნიშნავს, რომ არა მარტო სსსმ მოსწავლის ოჯახის წევრები შეიძლება ახდენდეს გავლენას ინდივიდზე, არამედ ინდივიდის თავისებურებებიც ცვლის ოჯახის წევრების ქცევებს.

ეკოლოგიური სისტემების თეორიაში ბრონფენბრენერის მოდელის მომდევნო დონე **მეზოსისტემაა,** რომელიც მიკროსისტემებს (სახლი,საბავშვო ბაღი, სკოლა დაა.შ) შორის კავშირს გამოხატავს. ბავშვის წარმატება საბავშვო ბაღსა და სკოლაში მხოლოდ მასწავლებლის საქმიანობაზე არ არის დამოკიდებული. მას დიდწილად ხელს უწყობს მშობლების თანამონაწილეობა. ამ შემთხვევაში სსსმ მოსწავლის ინკლუზიის ხარისხზე აუცილებლად აისახება ურთიერთობა ოჯახსა და საბავშვო ბაღს (სკოლას) შორის, რამდენად თანამშრომლურ უერთიერთობაში იმყოფებიან, ხდება თუ არა ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და სხვ. ეს ის დონეა, სადაც ბავშვები თანატოლთა გარემოში სწავლობენ ურთიერთთანამშრომლობას, ერთობლივ თამაშებს, უვითარდებათ სოციალურ თუ კომუნიკაციური უნარები, იძენენ მეგობრებს, ამიტომ ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, სსსმ მოსწავლეების ინკლუზია საგანმანათლებლო სივრცეში ამ დონეზე არსებული ურთიერთობისთვის ხელშეწყობით მიიღწევა. საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ოჯახის ურთიერთანამშრომლობას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან დროთა განმავლობაში ამგვარი ორმხრივი ურთიერთქმედება მყარ გავლენას ახდენს სოციუმში ინკლუზიურობის ხარისხზე. სწორედ ამ ეტაპზე იწყება რეალურად სსსმ მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად მიღებისა და ფორმირების პირველი ნაბიჯები.

დასკვნა

სხვადასხვა კვლევის მონაცემი ადასტურებს, რომ ინკლუზიურ გარემოში ბავშვები მეტად ურთიერთობენ სსსმ მოსწავლეებთან და მეტად პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ ინკლუზიის მიმართ. მათ უკეთ ესმით ცალკეული ინდივიდის საჭიროებები, ვიდრე იმ ბავშვებს, ვისაც ეს გამოცდილება არა აქვს, ისინი შესაძლოა არასოდეს დაუკავშირდნენ სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბავშვებს სასკოლო ცხოვრების განმავლობაში.[1] ეს მონაცემები თვალნათლივ გვაჩვენებს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ინკლუზიური განათლების პროცესს განსხვავებული საჭიროებისა და

მქონე ადამიანების მიმართ დამოკიდებულებების ფორმირებაზე, რომ ინკლუზიურ გარემოში მოსწავლეების ერთად სწავლების პროცესი ამ პროცესისადმი დამოკიდებულებას პოზიტიური მიმართულებით ცვლის. ეს კი სწორედ ის ფუნდამენტია, რომელზეც უნდა დაშენდეს და ჩამოყალიბდეს ინკლუზიური საზოგადოების სტრუქტურა.

1 Comparing children's attitudes towards disability2013British Journal of Special Education 40(3)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერკი ლ. „ბავშვის განვითარება“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010;
2. პაჭკორია თ., „ინკლუზიური განათლება ცნებები და ტერმინები“ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011;
3. პაჭკორია თ., ჭინჭარაული თ., ლაღიძე ა., ბაგრატიონი მ., „ინკლუზიური განათლება გზამკვლევი მაწავლებელთათვის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011;
4. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N55/ნ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
5. ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., „განვითარების თეორიები“, გამომცემლობა:“მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“, 2013
6. What is meant by inclusion? On the effects of different definitions on attitudes toward inclusive education Published online: 22 Feb 2019 იხ. ბმული https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/08856257.2019.1580837
7. Creating an Inclusive Society: Practical Strategies to Promote Social Integration p3. 2009; https://www.un.org/esa/socdev/egms/docs/2009/Ghana/inclusive-society.pdf

From inclusive education to an inclusive society

Lia Metreveli, professor
Georgian Technical University

Eka Ninoshvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Modern society aspires to enable people to accept each other more in spite of differences, to have fewer boundaries and barriers where each member will have the opportunity to find their own place and establish themselves in society. It is an inclusive society, the creation process of which is associated with many difficulties. However, the main challenge is to create a healthy and solid foundation for the formation of such a society, which is actually created by inclusive education. Although inclusive education has been introduced for only a few decades, it has been successful in many countries and has a significant impact on the degree of community inclusion. The article discusses several psychological theories in the context of inclusive education. These theories are: Lev Vygotsky's "theory of socio-cultural development", which focuses on the role of social factors. The social environment created as a result of inclusive education provides the opportunity for the special educational needs pupils to interact with their peers. In such an environment, direct contact with peers helps the special educational needs pupils acquire the knowledge and skills that will help them integrate into society, and similar experiences help their peers to better understand and accept "difference." The article also discusses Uri Brinferbrenner's "Theory of Ecological Systems", according to which the biological nature of the child and the environment jointly affect development, with special emphasis on the role of inclusive education in this system of family, kindergarten, school, etc. The importance of cooperation between institutions. The article shows that studies in different psychological areas emphasize the importance of a shared experience of the relationship between the special educational needs pupils and students with typical development, enabling inclusive education. The process of jointly teaching children with different abilities and needs and their peers over the years develops into forms of relationship that ultimately form an inclusive society.

Keywords: Inclusive education, special educational need, social inclusion, inclusive society.

სუფრაჟიზმი და XIX-XX სს-ის გამოჩენილი ქართველი ქალები

ირაკლი კალანდია, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლელა ბუსხრიკიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ქვეყნებსა და მათ შორის რა თქმა უნდა საქართველოშიც ქალები უახლოეს მომავალში სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, უფრო მეტი რაოდენობით გახდებიან პოლიტიკური ლიდერები და სახელმწიფო მოსამსახურეები. თუ მსოფლიო ტენდენციებს და ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს გავითვალისწინებთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ქალები მზად არიან სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილებების მისაღებად სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

კითხვაზე - თუ რა უნდა გაკეთდეს ქალთა უფლებების დასაცავად საკანონმდებლო დონეზე სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად, მე დავინახე XIX - XXI საუკუნეებში ქალთა ევოლუცია, და აღმოჩნდა, რომ XIX საუკუნის დასაწყისამდე ქალებს არ შეეძლოთ საზოგადოებაში აერჩიათ საკუთარი პოზიცია. XIX საუკუნეში გამოჩნდა ქალთა სტატუსის შეცვლის პირველი წინაპირობა. XX საუკუნეში ქალები აქტიურად იბრძვიან საკუთარი უფლებებისთვის. თანამედროვე საზოგადოებაში ქალებს უფლება აქვთ აირჩიონ თავიანთი როლი საზოგადოებაში. ქალი შეიძლება გახდეს პოლიტიკოსი, მეცნიერი, დიასახლისი და ა.შ. აღნიშნული გარკვეულად მიზნად ისახავს ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფოთა პოლიტიკაზე, რათა ვუზრუნველყოთ ქალთა სრულუფლებიანი და სრულყოფილი მონაწილეობა ცხოვრების ყველა სფეროში.

ამდენად, ქალთა სტატუსი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა, მას აქვს სხვა ღირებულებები და საჭიროებები, რომლებიც გვაიძულებს გადავხედოთ შევცვალოთ შეხედულებები და უფრო აქტუალური გავხადოთ ქალის როლი დღევანდელ სამყაროში.

საკვანძო სიტყვები: სურფაჟიზმი, ქართველი ქალები, ფემინისტური მსოფლმხედველობა, ფემინიზმი, სოციალური პროექტები.

შესავალი

ადამიანის პოტენციალის სრულ რეალიზებაში მდგრადი განვითარების გზით, დადასტურდა, რომ საზოგადოებაში ქალთა ჩართულობა უზრუნველყოფს პროდუქტიულობის ზრდას და ეკონომიკურ ზრდას. ქალის როლი კი არასდროს ყოფილა იოლი. მამაკაცების საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე, მათი ბრძოლის ისტორია საკუთარი უფლებებისთვის, განუყოფელი ნაწილია სოციალური კაცობრიობის ისტორიაში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ქალთა მოძრაობა გახდა საჯარო დებატების და სამეცნიერო კვლევის საგანი. ფემინისტური მსოფლმხედველობა დღევანდელ ქვეყნებში ადამიანთა უმრავლესობისთვის არის დემოკრატიული მსოფლმხედველობის აუცილებელი კომპონენტი.

დემოკრატია მოითხოვს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და კაცების თანაბარ მონაწილეობას, რათა ორივე სქესის წარმომადგენელთა ინტერესები იყოს გათვალისწინებული. „ქვეყნის განვითარება, კეთილდღეობა და მშვიდობა“ მოითხოვს ქალთა თანაბარ ჩართულობას ყველა სფეროში.

ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელმწიფოში ისეთი კანონების და პოლიტიკის შემუშავების წინაპირობაა, რომელიც იცავს ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებსა და ინტერესებს.

პოლიტიკურ ცხოვრებაზე რეალური ზეგავლენის მოხდენისთვის საჭიროა, ქალთა ჩართულობამ კრიტიკულ ოდენობას მიაღწიოს გადაწყვეტილების მიღების დონეზე.

ძირითადი ნაწილი

ფემინიზმის ისტორია იწყება განმანათლებლობაში, რომელმაც შექმნა ახალი სურათი მსოფლიოში, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის თანასწორობისა და ადამიანის თავისუფლების პრინციპებს ასევე გამოითქვა რწმენა სხვადასხვა რაციონალური სოციალური პროექტების განხორციელებაში. ევროპაში კაპიტალიზმის განვითარება, ინდუსტრიული რევოლუცია, რამაც გამოიწვია სოციალურ წარმოებაში ქალების ჩართულობა და ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის დამტკიცება, აღნიშნული წარმოადგენდა ყველაზე მნიშვნელოვან წინაპირობებს ფემინიზმის ფორმირებისთვის. პოლიტიკური მოძრაობა და დოქტრინა, რომელიც ჩაისახა დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის მიზნად ისახავდა ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიანობას და ემსახურება ქალთა უფლებების დაცვას. ფემინიზმზე და ქალთა მოძრაობაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ფემნიზმის, როგორც იდეოლოგიის თუ ფილოსოფიის მრავალფეროვნება და კომპლექსურობა, მისი მნიშვნელოვანი სახესხვაობები. ქალის უფლებათა დაცვის მოძრაობა სათავეს მე-19 საუკუნიდან იღებს. ქალისა და კაცის თანასწორობის თემა განმანათლებლობის ეპოქასა და მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის რევოლუციას უკავშირდება, კერძოდ კი, ადამიანის ბუნებრივ უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ლიბერალურ კონცეფციას. კონცეფცია პირველად საფრანგეთის რევოლუციის მთავარ დოკუმენტში „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“-ში გაჩნდა (1789). ქალები გამოთქვამდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის სურვილს. თუმცა დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათი უფლებები – არჩევნებში ხმის მიცემის უფლება, საკუთრების ფლობის უფლება და სხვ. მათ მიმართ არ ხორციელდებოდა.

მხოლოდ განათლებულ ქალს შეუძლია ღირსეული შთამომავლობის/კულტურის კვლავწარმოება.

აქედან გამომდინარე, მერი უოლსტენკრაფტიმ აღნიშნა, თანასწორი ღირებულების აღიარებიდან თანაბარ უფლებებამდე არსებული გზა. მისმა მოღვაწეობამ და გაბატონებული ნორმების კრიტიკამ გახადა შესაძლებელი ქალების განათლება და მათი დაშვება ცოდნისა და აზროვნების სფეროებში. საკუთარი ეპოქის მკვლევარს, საუკეთესოდ ესმოდა, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის გარეშე, ქალები ვერც სახლში და ვერც საზოგადოებაში საკუთარ პოზიციებს ვერ გაიმყარებდნენ. სწორედ ცოდნის, საკუთრებისა და ქონების ფლობა იყო მოვლენების დასაწყისი, რომ მათ საკუთარი ფუნქცია კარგად შეესრულებინათ. ის აღნიშნავს „...მამაკაცებმა რომ ბორკილებისგან გაგვათავისუფლონ, მონური მორჩილების ნაცვლად რაციონალურ თანამშრომლობაზე დაგვთანხმდნენ, მაშინ ისინი ჩვენში უფრო ყურადღებიან ქალიშვილებს, უფრო მოსიყვარულე დებს, უფრო ერთგულ ცოლებს, უფრო გონიერ დედებს - ერთი სიტყვით, უკეთეს მოქალაქეებს დაინახავდნენ“.

მამაკაცების იმედად დარჩენილ ქალებს მრავალი წელი მოუწიათ თვალსაწიერის და ასპარეზის გაფართოებისთვის ბრძოლა. მათ უნდა დაემტკიცებინათ, რომ ემოციები, ვნებები, ინტუიცია, წარმოსახვა, პირადი გამოცდილება თანაბრად მნიშვნელოვანი როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. ამის პარალელურად ქალებს თავადვე უნდა შეეტანათ ეს კატეგორიები იქ, სადაც მათ ასე გაურბოდნენ.

ქალებისთვის განათლების უფლების მინიჭებამ, როგორც ლიბერალური ფემინიზმის მონაპოვარმა, ასევე გზა გაუხსნა თანასწორობის იდეის აქტუალიზაციას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში, რაზეც XIX-XX საუკუნის მოაზროვნეთა მრავალი მოსაზრება დაიწერა. მწერალმა ოლიმპია დე გუჟმა 1791 წელს „ქალის და ქალი მოქალაქეს უფლებათა დეკლარაცია შეადგინა“. ამ დუკუმენტს ახალი დროის ფემინიზმის წყაროდ მიიჩნევენ. მაგრამ არც ამას მოჰყვა რეალური ნაბიჯები. ქალებს ეკრძალებოდათ სხვადასხვა კავშირების შექმნა და გამოსვლებში მონაწილეობის მიღება.[1]

ინგლისელი მერი უოლსტოკრაფტი წერდა ახალ ნაშრომს „ქალთა სამოქალაქო უფლებების დაცვის შესახებ“, სადაც ქალის, როგორც მოქალაქისთვის უფლებების მინიჭების აუცილებლობაზე საუბრობდა.იმ დროისთვის ამ უფლებათა მოწინააღმდეგების ძირითადი თეზისები ეყრდნობოდა იმ გარემოებას, რომ ქალი ბუნებით დამოკიდებული და დაუცველი არსება

[1] საბედაშვილი თ., „ჯენდერი და დემოკრატიზაცია“, საქართველო: 1991-2006“. ჰანრიც ბიოლის ფონდი, ანგარიშები და პოლიტიკის კვლევები, თბ., 2007.

იყო და ყოველთვის საჭიროებდა დამცველსა თუ მფარველს. უოლსტოკრაფტი მეთვრამეტე საუკუნეში ქალთა აღზრდის საკითხს შეეხო. ის წერდა, რომ პატარა ასაკიდან გოგონებს დედები მორჩილებად ზრდიდნენ. არწმუნებდნენ, რომ საჭირო იყო ეთამაშათ, თავი დაუცველად და უმწეოდ მოეჩვენებინათ, რათა მამაკაცთა მფარველობა მოეპოვებინათ. დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს კანონმდებლობა ხაზს უსვამდა, რომ ქალი იურიდიულად არ ფუნქციონირებდა მამის, ან ქმრის გარეშე. ამიტომ მამკაცები აძლევდნენ ხმას ქალების მაგივრად. უოლტონკრაფტის ნაშრომიდან 70 წლის შემდეგ ფილოსოფოსმა ჯონ სტუარტ მილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მამაკაცთა ძალაუფლება ქალებზე არ გავდა ძალაუფლების სხვა სახეებს, ეს იყო უსიტყვო მორჩილება, სადაც არ მოქმედებდა არანაირი ფიზიკური ძალდატანება. ეს იყო უბრალოდ მორალის კარნახი, რაც გულისხმობდა, რომ ისტორიულად ქალები უნდა ექვემდებარებოდნენ მამაკაცებს და მათი ძირითადი მოვალეობა მხოლოდ ახლობლებზე ზრუნვაა. ვაჟა ფშაველა წერილში-სადღეისო წერილი მეგობართან - ქალთა უფლებებზე წერდა რომ უნდა ყოფილიყო ქალთა უფლებები გათანაბრებული და მამაკაცებთან თანასწორუფლებიანი. ვაჟა ფშაველა წერდა მე მხოლოდ ამას ვიტყვი: დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მწამს და ვერცავინ შემაცვლეინებს ამ რწმენას. დღეს რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში, გავლენიან ადგილებზე მინისტრებისა და სხვა, დედაკაცები იყვნენ, დღევანდელი გამწვავებული და გამწარებული ცხოვრება რუსეთისა მალამოს დაიდებდა და საჭირო რეფორმებს მალე ვეღირსებოდით.[1]

XX საუკუნის შუა წლების საფრანგეთში საერო და სასულიერო ელიტა ჯერ კიდევ პატრიარქალური წარმოდგენებითიკვებებოდა. კათოლიკეები, ანტი რესპუბლიკელები, სოციალისტები ერთსულოვნები იყვნენ იმაში, რომ ქალის ადგილი სახლშია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტური პარტია წლების განმავლობაში ქალების უფლებებს თეორიულად არ უარყოფდა, მაინც პრუდონის ანტიქალურ პოზიციას იზიარებდა (ქალებს მხოლოდ ორი როლი შეიძლება ჰქონდეთ: დიასახლისის ან მეძავის) და ფემინიზმს საშუალო კლასის გამოგონილ იდეად მიიჩნევდა.

სიმონ დე ბოვუარი (1908-1986) მუდამ აცხადებდა, რომ ქალობა არასოდეს უნანია: „არათუ არ განვიცდიდი იმას, რომ ქალი ვარ, პირიქით, ოცი წლის ასაკიდან მე ორივე სქესის უპირატესობებით ვსარგებლობდი.

კონსერვატიული, წვრილბურჟუაზიული ოჯახისა და გარემოს საზღვრები მან განათლების მეშვეობით დაძლია. იგი უარყოფდა ოჯახსა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ, ტრადიციულად ქალურ როლებს. ყველაზე ახლო ურთიერთობა მას ფილოსოფოს ჟან-პოლ სარტრთან ჰქონდა, თუმცა მათ ოჯახად, ერთად არასოდეს უცხოვრიათ და არც ერთგულების მოთხოვნა წაუყენებიათ ერთმანეთისთვის.

1949 წელს ბოვუარმა გამოაქვეყნა ნაშრომი „მეორე სქესი“, როგორც პასუხი კითხვაზე - რას ნიშნავს იყო ქალი? წიგნში გამოყენებულია ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური,ანთროპოლოგიური,ისტორიული, ლიტერატურული და ცხოვრებისეული მასალის მთელი სპექტრი იმის დასამტკიცებლად, რომ ქალის თავისუფლებისათვის ძირითად წინააღმდეგობას წარმოადგენს არა ბიოლოგია ან პოლიტიკური და იურიდიული შეზღუდვები და არც მისი ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ უფრო საზოგადოებაში „ქალურობის“ წარმოების პროცესი.

ეგზისტენციური ფილოსოფიისთვის ყოფიერების ერთადერთი რეალობა ადამიანია, რომელმაც თავისი სამყარო თავადვე უნდა აავსოს შინაარსით. თავისუფალი ნება და თავისუფლებისკენ სწრაფვა საზოგადოებრივ კანონებზე და ცრურწმენებზე ძლიერია. ფრანგი ფემინისტი არასოდეს ერიდებოდა „წინააღმდეგ“ წასვლას უხერხულ კითხვებს, რითაც საფუძველი გამოაცალა ქალის ჩაგვრის დამორჩილების პატრიარქალური მშენებლობის ინტელექტუალურ ტრადიციას.

სიმონ დე ბოვუარის აზრით, „ფროიდისეული ფსიქოანალიზი (ანატომია – ეს ბედისწერაა) და ვულგარული მარქსიზმი (ადამიანის ბედი ეკონომიკურ პირობებზეა დამოკიდებული) ისევე, როგორც მთელი ისტორია, ქალებს თავისუფლების ასპარეზს უხშობს, აფერხებს თვითგამორკვევისა და თვითდგენის პროცესს:-ქალებად კი არ იბადებიან, ქალები ხდებიან. არც ბიოლოგიური, არც ფიზიკური, თუ ეკონომიკური ხვედრი არ განსაზღვრავს იმ

[1] საბედაშვილი თ., „გენდერი და დემოკრატიზაცია“, საქართველო: 1991-2006“. ჰანრიც ბიოლის ფონდი, ანგარიშები და პოლიტიკის კვლევები, თბ., 2007.

ხატს, რომელსაც იძენს ადამიანის მდედრი საზოგადოებაში; მარტოოდენ ცივილიზაცია აყალიბებს მთლიანობაში ამ შუალედურ წარმონაქმნს მამრსა და კასტრატს შორის...".[1]

სუფრაჟიზმი და ქალთას საარჩევნო უფლებები

მილი აქტიური ინგლისელი ქალბატონების მხარდასაჭერად გამოვიდა და 1867 წელს პარლამენტში შეიტანა პეტიცია ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების დართვასთან დაკავშირებით. არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ქალთა მოძრაობის პირველი მოთხოვნა იყო ამიტომაც მოძრაობის პირველ ეტაპს ეწოდებოდა სუფრაჟიზმი suffrage (ხმის უფლება). გარდა ამისა იყო მოთხოვნები პროფესიულ განათლებასა და საკუთრების ფლობის უფლებასთან დაკავშირებითაც.ქალთა საარჩევნო უფლებები - ქალების უფლება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. იგი მოიცავს უფლებას აირჩიონ და არჩეულ იქნენ სხვადასხვა დონის არჩევით ორგანოებში. ქალთა საარჩევნო უფლებებისათვის აქტიური მოძრაობა იწყება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ფემინისტი ქალბატონების შრომამ შედეგი გამოიღო. მათი აქტიური მოღვაწეობის ფონზე, 1869 წელს აშშ-ში შეიქმნა ახალი შტატი ვაიომინგი, რომელშიც ქალებმა პირველად აშშ-ში და საერთოდ მსოფლიოში მოიპოვეს ხმის უფლება.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის 1920 წლის XIX შესწორებამ ქალთა უფლებები სამუდამოდ დააკანონა. ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭების მიხედვით აშშ მე-17 ქვეყანა იყო. მსოფლიოში პირველად აღნიშნული უფლება დაკანონდა ახალ ზელანდიაში 1893 წელს. საარჩევნო უფლებები მოიპოვეს 1902 წელს - ავსტრალიელმა, 1906 წელს - ფინელმა, 1913 წელს – ნორვეგიელმა, 1915 წელს – დანიელმა და ისლანდიელმა, 1917 წელს – რუსმა, 1918 წელს – ქართველმა და კანადელმა, 1919 წელს ავსტრიელმა, გერმანელმა, ჰოლანდიელმა, პოლონელმა, შვედმა, ლუქსემბურგელმა და ჩეხმა, 2005 წელს ქუვეითელმა 2006 წელს არაბთა გაერთიანებული საამიროების და 2011 წელს საუდის არაბეთის ქალბატონებმა. სუფრაჟისტები (ფრანგ. suffragettes, ფრანგ. suffrage-დან – საარჩევნო უფლება) – ქალთა ბურჟუაზიული მოძრაობის მონაწილენი, რომლებიც მოითხოვდნენ ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებას. წარსულ კულტურებსა და ცივილიზაციებში ქალის პოზიციები განსხვავდებოდა. ზოგიერთ ქვეყანაში ქალი მხოლოდ მამის ან მეუღლის პირად საკუთრებას წარმოადგენდა, ზოგან კი მას თავისუფლება და ბევრი კანონიერი უფლება ეძლეოდა. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი მამაკაცებს ბევრად მეტი უფლება ენიჭებოდათ. ძლიერი სქესი, ამავე დროს, წამყვან სქესსაც წარმოადგენდა. მამაკაცებზე დამოკიდებულმა ქალებმა XIX საუკუნეში დაიწყეს ბრძოლა ლეგალური და ფართო უფლებების მოპოვების მიზნით. საბოლოოდ, მათ მიენიჭათ საარჩევნო უფლებები, მაგრამ მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო.

[1] www.nplg.gov.ge

თანასწორობის პირველი რადიკალური მოთხოვნა გაჩნდა XVIII საუკუნის ბოლოს, როდესაც სუსტი სქესის ზოგიერთ წარმომადგენელს თავისი სოციალური მდგომარეობა საშუალებას აძლევდა მიეღო განათლება და გამხდარიყო ცნობილი მწერალი ან მსახიობი. 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა ბევრი ახალი რადიკალური იდეა და შთააგონა მერი უოლსტოუნკრაფტს დაეწერა თავისი კლასიკური „ქალთა უფლებების დაცვა" (1792). მთავრობის მიერ გატარებული ზომების მიუხედავად XIX საუკუნეში რადიკალიზმი კვლავ ამოტივტივდა და თანდათანობით მიზანს მიაღწია. თუმცა ეს მიზნები არ ითვალისწინებდა ქალთა პოლიტიკურ და სქესობრივ თანასწორობას. ასეთი შეზღუდვების მიუხედავად, ზოგიერთმა ქალბატონმა დაიწყო საკუთარი უფლებების დაცვა. მათი აგიტაციის შედეგად, ქალებს მიანიჭეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი კანონიერი უფლება, მაგალითად, მათი კუთვნილი ქონების გაკონტროლებისა და არასრულწლოვან შვილებთან დაკავშირებული სხვადასხვა უფლება. რადგან ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების კარი ქალებისთვის დახურული იყო, სუსტი სქესის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს საკუთარი უმაღლესი სასწავლებლები. სხვა ქვეყნებში პროგრესს მიაღწიეს ცალკეულმა ინდივიდებმა, რომლებმაც პროფესიული წინსვლა დაიწყეს. აღსანიშნავია ამერიკელი ელიზაბეთ ბლექვილი და ბრიტანელი ელიზაბეთ გარეტ ანდერსონი, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს მედიცინაში. ასევე ფლორენს ნაითინგეილი, რომელმაც ყირიმის ომის დროს მედდა წამყვან ქალურ პროფესიად აქცია.

რეფორმატორ ქალებს და მათ მხარდამჭერ

მამაკაცებს მიაჩნდათ, რომ მათი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი საარჩევნო უფლების მიღება იყო. XIX საუკუნის შუა წლებში ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საარჩევნო უფლების მოპოვების მიზნით კამპანიების გატარება დაიწყო. ამ მცდელობებმა გარკვეული გარდაქმნები მოახდინეს, თუმცა ტრადიციული დამოკიდებულება ძნელად იცვლებოდა.[1]

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) წინ რამდენიმე სახელმწიფომ (ახალმა ზელანდიამ, ავსტრალიამ, ფინეთმა და ნორვეგიამ) ქალებს საარჩევნო უფლება მიანიჭა. სხვა ქვეყნებში კი სიტუაცია სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. ყველაზე მეტად აღსანიშნავია ბრიტანეთი, სადაც 1903 წელს მისის ემელინ პერჰერსტის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საარჩევნო უფლებებისთვის მებრძოლ ქალთა საზოგადოება, რომლის წევრებსაც სუფრაჟისტები ეწოდებოდათ. მიზნის მისაღწევად სუფრაჟისტები ხშირად მიმართავდნენ უკიდურეს მეთოდებს – ეჯაჭვებოდნენ რა სახელმწიფო შენობების გალავნებს და ხელს უშლიდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ შეხვედრებს. დაპატიმრების შემთხვევაში კი კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას და შიმშილობდნენ.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს, ბევრმა სუფრაჟისტმა თავი დაანება ბრძოლას და ომში წასული მამაკაცების მაგივრად მათ სამუშაო ადგილებზე დაიწყო სამსახური. მათმა აშკარა კომპეტენტურობამ დაამტკიცა ქალის შესაძლებლობები და დაამსხვრია პოლიტიკური თანასწორობის მოწინააღდეგეთა არგუმენტები. სუფრაჟისტების ახალი გამოსვლების თავიდან ასაცილებლად, ბრიტანეთის მთავრობამ ქალებს საარჩევნო უფლებები მიანიჭა. ომის შემდგომ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატების და ევროპის ბევრი ქვეყნის ხელისუფლებამაც დააკმაყოფილა ქალთა მოთხნოვნები. წლების შემდეგ ქალებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ბევრი სამუშაო ადგილი, მათ შორის საოფისე და მომსახურების საქმე ყველაზე სწრაფად ვითარდებოდა. თუმცა ქალებს მაინც ნაკლებს უხდიდნენ, ვიდრე მამაკაცებს და არ სთავაზობდნენ ტრადიციულ მამაკაცურ თანამდებობებს. პოლიტიკასა და ბიზნესში ქალები მაინც უმცირესობას წარმოადგენდნენ. ამის შემდეგ 1960 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა „ქალთა განთავისუფლების მოძრაობა“, რომელიც შემდგომ ევროპასაც მოედო. ამ მოძრაობის იდეის აღსანიშნავად ფართოდ დაიწყეს ტერმინ „ფემინიზმის“ გამოყენება.[2]

ამასობაში მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში ქალები ისევ მოკლებულნი არიან ელემენტარულ უფლებებს, მაგალითად, საკუთარი სურვილით დაქორწინების უფლებას. კულტურა და რელიგია კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას, მაგალითად, კათოლიკური ეკლესია, თუ ისლამური ფუნდამენტალიზმი აფერხებს თანასწორობისთვის მოძრაობას. ამგვარად, „ქალთა საკითხი“ საბოლოოდ დღემდე არ არის გადაწყვეტილი.

ლიბერალიზმი და ქალთა უფლებები

იდეამ გონებაზე დაფუძნებული საზოგადოების შესახებ, საფუძველი გამოაცალა ქალის ჩამორჩენილობას, ეძღვნება ჯონ სტიუარტ მილის ნაშრომი „ქალის დაქვემდებარებულობა“ / John Stuart Mill “The Subjection of Woman”, 1861/. სოციალური წნეხის და ცუდი განათლების გამო ქალები მართლაც ჩამორჩებოდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ მათი შევიწროების, ჩაგვრის და შესაძლებლობათა შეზღუდვის გამო ხდებოდა. მილი ამოდის კანონმდებლობის ანალიზიდან, სადაც სქესთა შორის უფლებრივი განსხვავებები სწორედ უთანასწორობის და სოციალური უსამართლობის გარანტიაა. მისი აზრით, უნდა გაუქმდეს ქალის მონური მდგომარეობა ქორწინებაში, უნდა დამკვიდრდეს თანასწორი ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ანაზღაურებად შრომაზე, არჩევნებში მონაწილეობასა და პოლიტიკურ აქტიურობაზე. ინგლისელი ფილოსოფოსის აზრით, ქალების აზროვნება ინტუიციური, პრაქტიკული და კონკრეტულია:

„ქალების აზროვნება იმიტომაა უაღრესად სასარგებლო, რომ იგი ნამდვილობას ანიჭებს მოაზროვნე მამაკაცების გამოგონილ აზრებს. ხოლო მამაკაცების აზროვნება სასარგებლოა იმით, რომ აფართოებს და მასშტაბურობას ანიჭებს ქალურს“.

ეს შეხედულება მრავალჯერ გააკრიტიკეს ფემინისტებმა, რადგან ქალური აზროვნების ინტუიციური ბუნების აღიარებით ავტორი აგებს ინტელექტუალურ იერარქიას, სადაც მამაკაცი-

[1] www.nplg.gov.ge

[2] www.nplg.gov.ge

გენიოსი ქალი-ასისტენტის ნაკლებად მნიშვნელოვან უნარებს იყენებს. მილის პოზიციის ასეთი ინტერპრეტაცია არასწორი/უსამართლოა, რადგან იგი არცერთ მის ნაშრომში არ ამტკიცებდა, რომ რაციონალური აზროვნება ერთადერთი და საუკეთესოადაარცაზროვნებისსხვადასხვაობასუკავშირებდა სქესთა შორის განსხვავებებს. „ლოგიკური“ და „ინტუიციური“ მასთან ურთიერთშემავსებელი ფენომენებია და არა - ურთიერთგამომრიცხავი ან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი.

ჯონ სტიუარტ მილი ქალის მენტალური, სოციალური, პოლიტიკური დაქვემდებარების საფუძველს იმაში ხედავს, რომ იგი მამისეულ და ქმრის სახლში ეკონომიკურად დამოკიდებულია მამაკაცზე. სანამ იგი თავისუფლად არ აირჩევს საქმიანობის სფეროს და ოჯახს ეკონომიკური აუცილებლობის გამო შექმნის, მანამ არაფერი შეიცვლება:

„გათხოვებისას ქალი უკვე ირჩევს საქმიანობის სფეროს ისევე, როგორც მამაკაცი პროფესიის არჩევისას. შეიძლება ითქვას, რომ იგი საკუთარ სიცოცხლეს მეურნეობის გაძღოლას, ბავშვების აღზრდას უძღვნის იმდენი წლის მანძილზე, რამდენიც ამ საქმეს სჭირდება. ამასობაში ქალი უარს ამბობს არა ყველა სხვა საქმეზე, არამედ მხოლოდ ისეთზე, რომელიც მის მიერ არჩეულ საქმიანობაში დააბრკოლებს. მუდმივი, სახლის გარეთ მოღვაწეობა დაოჯახებული ქალების გეგმაში არ შედის, თუკი საამისო საჭიროება სხვებს არ გაუჩნდათ.“

მილის განმარტებით, ოჯახის შექმნა ასპარეზს უხშობს ქალს, რის გამოც შეუძლებელი ხდება მისი ჩართვა ანაზღაურებად შრომისა და პოლიტიკის სფეროებში. საკუთარი შემოსავლის ქონა საკმარისია, რათა ქალმა ქმრის პატივისცემა მოიპოვოს. ეს აზრი არ შეესაბამებოდა იმდროინდელი ფემინისტების და თვით მილის მეუღლის, ჰარიეტ ტეილორის პოზიციას, რომელის იდეებმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ დიდი გავლენა მოახდინა ფილოსოფოსის ნააზრევზე. თავის არანაკლებ საინტერესო წიგნში „ქალთა განთავისუფლება (Harriet Taylor, „Enfranchisment of Women“, London, Virago, 1983) ჰარიეტი რადიკალურად განსხვავებულად ხედავს ქალის ეკონომიკური აქტიურების მნიშ-ვნელობას:

„გათხოვილი ქალს შემოსავალი უნდა ჰქონდეს მაშინაც კი, როცა ეს თანხა საერთო-საოჯახოს უმნიშვნელოდ ზრდის. ამ გზით ქალი მოსამსახურის პოზიციიდან პარტნიორამდე მაღლდება.“

„ქალებო, გაიღვიძეთ... აღმოაჩინეთ თქვენი უფლებები. ბუნების ძლევამოსილი იმპერია უკვე აღარ არის გარემოცული ცრურწმენებით, ფანატიზმით, განსჯამდელი შეხედულებებითა და სიცრუით...“ - ასე მიმართავდა ოლიმპია დე გუჟი თავის თანამედროვე ქალებს, რომელთათვისაც მან „ქალისა და მოქალაქე ქალის უფლებათა დეკლარაცია“ დაწერა. ნაშრომში გაანალიზებულია პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი, როგორც აუცილებლობა თავისუფლების, საკუთრების უფლების, უსაფრთხოების მოსაპოვებლად და ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის გაწევის საშუალება. „რესპუბლიკელ ქალთა საზოგადოება“, რომელიც ოლიმპია დე გუჟმა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის იდეას მიუძღვნა, რობესპიერმა შეავიწროვა, მის ლიდერს კი 1793 წელს გილიოტინაზე მოჰკვეთეს თავი. მიუხედავად ამ ტრაგიკული აღსასრულისა, დე გუჟმა უამრავი ქალი შთააგონა საიმისოდ, რომ გაერთიანებულიყვნენ სამართლიანობისა და თანასწორობის დროშის ქვეშ და საკუთარი მონაწილეობით შეეცვალათ სინამდვილე. ხმის უფლების მოპოვებისა და თანასწორობისთვის მებრძოლნიც (suffragist) და კულტურული ნორმების წინააღმდეგ ამხედრებულნიც (suffragette) ერთნაირად დავალებულნი არიან დე გუჟის იდეებით.კრისტაბელ პანკჰერსტი (1880-1958), მისი დედა - ემელინ პანკჰერსტი და დები სილვია და ადელა მებრძოლი, მილიტანტი ქალები იყვნენ. კრისტაბელის აზრით, ქალების, როგორც ჯგუფის, მორჩილება მამაკაცებისადმი საზოგადოების ყველა სხვა ასპექტის განმსაზღვრელი ფაქტორია და მამაკაცის შოვინიზმსა და ეგოიზმზეა დაფუძნებული. ეს ჩაგვრა ხორციელდება ეკონომიკურ, პოლიტიკური, იდეოლოგიური და სექსუალური კონტროლის გზით. სწორედ ამიტომ ამ წესრიგის დეკონსტუქციისთვის საკმარისი არაა სარჩევნო ხმის მოპოვება ან პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა. საჭიროა ბრძოლა არა „ქალბატონური“ მეთოდებით, არამედ კარდინალური იერიშით ყველა, ძალაუფლების მადეზორგანიზებელი ხერხით: მსვლელობებით, დემონსტრაციებით, უწესრიგობის მოწყობით, პარლამენტისთვის მუშაობის ხელის შეშლით. მისი აზრით, მხოლოდ ეს სტრატეგია შეარყევდა პატრიარქატის ჰეგემონიას და აჩვენებდა მამაკაცურ კულტურას, რომ ქალები არ არიან პასიური, დამოკიდებული

არსებები, „სუსტი სქესის“ წარმომადგენლები, არამედ საზოგადოების მნიშვნელოვანი, ძლიერი და ანგარიშგასაწევი ნაწილია.

პანკჰერსტის იდეა ჰქონდა, სუფრაჟისტების დღის წესრიგში შეეტანათ თანაბარ შრომაში თანაბარი ანაზღაურების და საოჯახო შრომაში, ბავშვის აღზრდაში მშობლების თანასწორი მონაწილეობის საკითხები, რაც იმდროინდელ ევროპაში და ამერიკაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. 1913 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საშინელი ბოროტება და როგორ მოვსპოთ იგი“, მან პირველმა გაანალიზა ის უსამართლობა, რომელიც პროსტიტუციის კულტურულ ლეგიტიმაციას ედო საფუძვლად: თუ ქალს არ შეუძლია გაყიდოს თავისი შრომა და გამოიმუშაოს ფული ცხოვრებისთვის, მაშინ იგი იძულებულია გაყიდოს საკუთარი სხეული დროებით, როგორც მეძავმა ან სამუდამოდ - როგორც მეუღლემ [8]. ინდუსტრიალიზაციის ბუმის პარალელურად, აღმოჩნდა რომ მამაკაცების 75-80 % ჰონორეით, სიფილისით ოყო დაავადებული და საფრთხეს უქმნიდა ქალებს და მთელს საზოგადოებას. მამაკაცებს შეუძლიათ ისეთივე უბიწონი იყვნენ, როგორებიც ქალები არიან, მაგრამ ისინი ამას ნებაყოფლობით არასოდეს მოისურვებენ, ამიტომ ხმის უფლება უნდა მივცეთ ქალებს, ხოლო უბიწობა - მამაკაცებს, რადგან ხმის უფლება ქალებს მეორის მიღწევის ძალას მისცემს. ეს ერთი შეხედვით „გადაჭარბებული“ შეფასება და პოზიცია ნამდვილად შეიცავდა დამაფიქრებელ, მაპროვოცირებელ ელემენტებს საიმისოდ, რომ ზნეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხებში ორმაგი სტანდარტი, სექსუალურობის კონტროლი დაძლეულიყო.

კრისტაბელ პანკჰერსტისათვის მიუღებელი იყო ომი, როგორც მამაკაცური აგრესიის დემონსტრირება და მართვის არაბუნებრივი სისტემის ტრაგიკული შედეგი, მაგრამ 1914 წელს მან საკუთარ გაზეთს „Suffragette” სახელი გადაარქვა და „Britane“ უწოდა. სუფრაჟისტებმა პირველებმა დაიწყეს არასამხედრო ფორმაში გამოწყობილი ინგლისელი მამაკაცებისთვის თეთრი ბუმბულის, როგორც სიმხდალის სიმბოლოს, გადაცემა. 1921 წლიდან კრისტაბელი ქრისტეს მეორედ მოსვლის პროპაგანდისტად გადაიქცა და პირვანდელ იდეებს აღარ მიბრუნებია.

სუფრაჟისტული მოძრაობის ორივე მიმართულების დამსახურებაა, რომ ქალებმა ნელ-ნელა მოიპოვეს არჩევნებში მონაწილეობის, ხმის მიცემის უფლება.

1878 წელს გამოქვეყნებულმა ავგუსტ ბებელის ნაშრომმა „ქალი და სოციალიზმი“ (August Bebel, „woman and Socialism“, translated D. de Leon, New York labor Press, 1904) საფუძველი დაუდო კამათს: რა უნდა შესთავაზოს სოციალიზმმა ქალს? ავტორი მიიჩნევს, რომ ქალის ჩაგვრა კლასობრივი საზოგადოების შედეგია. პროლეტარული რევოლუცია მას ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, საოჯახო შრომისა და ბავშვების აღზრდის გასაზოგადოებრიობას მოუტანს.

მარქსისტებისგან განსხვავებით, ბებელი მიიჩნევდა, რომ მშრომელი ქალი დაჩაგრული იყო, აქედან გამომდინარე, ქალებს, კლასობრივი კუთვნილების მიუხედავად, საერთო ინტერესები აქვთ და ამიტომ მათი მოძრაობა განმათავისუფლებელი ბრძოლაა და არა - მუშა ქალების უფლებრივი წინსვლა.

კლარა ცეტკინისთვის კი ქალების განთავისუფლება მხოლოდ კაპიტალიზმის განადგურებით და სოციალიზმის გამარჯვებითაა შესაძლებელი. „ქალთა საკითხის“ აქტუალურობაში მან მრავალი გერმანელი დაარწმუნა და უკვე 1900 წლისათვის მძლავრი მოძრაობა ჩამოაყალიბა. თუმცა, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრს, სერიოზული უთანხმოება ჰქონდა თანაპარტიელებთან, რადგან მათგან განსხვავებით არ მიიჩნევდა, რომ სერიოზული სოციალური ტრანსფორმაცია შესაძლებელი იყო ევოლუციური გარდაქმნებისა და საპარლამენტო რეფორმების გზით.

ცეტკინის აზრით, მუშათა კლასის **წარმომადგენელმა ქალებმა** და მამაკაცებმა ერთმანეთი უნდა განიხილონ, არა როგორც მჩაგვრელი და დაჩაგრული, არამედ - როგორც ამხანაგები, რომლებიც საერთო საქმისთვის, სამართლიანობისთვის იბრძვიან. მისი მოსაზრება ხშირად უტოპიად რჩებოდა. ქალებისთვის ყველაზე აქტუალური ქორწინების, ოჯახის და პირადი კეთილდღეობის საკითხები იყო. მათი უმრავლესობა ჩაგვრისა და შევიწროების მიზეზად უმუშევრობას მიიჩნევდა და არა - პოლიტიკურ სისტემას.

კლარა ცეტკინი ხედავდა ამას და ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ ყველა სიავის სათავე შრომის კაპიტალისტური განაწილებაა. ქალის საყოველთაო ექსპლუატაციის საბჭოთა სისტემას „რაბოტნიცების“ და „კოლხოზნიცების“

შრომა სჭირდებოდა საიმისოდ, რომ განვითარებული სოციალიზმი აეშენებინა და კაპიტალისტურ სამყაროს გაჯიბრებოდა. ამიტომაც „დედობაც“ კი ქალური ეგოიზმის გამოვლინებად განიხილებოდა - სოციალისტურ საზოგადოებას ეს ეგოიზმი უნდა დაეძლია: ქალის რეპროდუქციულ ფუნქციას კოლონტაი ისევე უყურებდა, როგორც პროდუქციის წარმოებას.[1]

მიუხედავად ამისა, 1917 წელს, მან მხარი დაუჭირა აბორტის ლეგალიზაციას (1936 წელს გააუქმა სტალინმა), რადგან მშვენივრად ესმოდა, რომ საბჭოთა ქალების დიდ ნაწილს დედობა ნამდვილად არ მიაჩნდა მთავარ სოციალურ დანიშნულებად.

გამოყენებული ლიტერატურა

1.
2. საბედაშვილი თ., „გენდერი და დემოკრატიზაცია“, საქართველო: 1991-2006“. ჰანრიხ ბიოლის ფონდი, ანგარიშები და პოლიტიკის კვლევები, თბ., 2007.
3. www.nplg.gov.ge
4. Клара Цеткин, « Из Записной Книги», Москва, 1955.
5. ჩიხლაძე ნ., ქართველი ქალები, ნაციონალური კულტურის მიღწევები XIX-XX სს. თბ., 1992.
6. ხომერიკი ლ., ჯავახიშვილი მ., ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში 19-20 სს დასაწყისი. თბ., 2005
7. გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა, ლ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით, თბ., 2007. გვ. 266-289.
8. „დამფუძნებელი დედები“ - ქალები პირველი რესპუბლიკიდან. https://www.amerikiskhma.com/a/georgian-founding-mothers-of-first-republic/4820453.html
9. Kate Millett, Seqsual Politics“, London, Virago, 1985.
10. Adrean Rich, „Of Woman Born“, Motherhood as Experience and Institution, London, Virago, 1977.
11. გოდერიძე ლ, მასალები ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, 27-28, თბ., 1973.
12. გოდერიძე ლ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, 37-38, 1978.
13. ჩიხლაძე ნ., ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები, თბ., 1990
14. გაფრინდაშვილი ლ., კატო მიქელაძე. http://feminism-boell.org/index.php/ka/2014/06/06/kato-mikelaze
15. ნიკოლაძე ნ., მოგონებები. თბ., 1984.
16. კიკნაძე თ., „ქალი და პოლიტიკა“ პოლიტოლოგია (სახელმძღვანელო ო. გოგიაშვილის რედაქტორობით), თსუ, 2000.
17. ქალთა მდგომარეობა საქართველოში. გაეროს განვითარების პროგრამა, თბ., გამომც. „ნეკერი“, 2000.
18. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948. http://www.parliament.ge
19. ქალი, მამაკაცი და საზოგადოება, თბ., 1998
20. საქართველო: ქალი. საზოგადოება. განვითარება. საქართველოს მთავრობისა და გაეროს ერთობლივი პროექტი „ქალები განვითარების პროცესში“. 2001. http://www.ungeorgia.ge/geo
21. Платформа действий IV Всемирной конференции по положению женщин. ООН. 1995.
22. Борьба за улучшение положения женщин, гуманмтарное развитие мира//Международная жизнь. № 3, 1995.
23. Шинелева Л.Т. Путь в XXI век. IV Всемиирная конференция по положению женщин в Пекине. 1995.

[1] Клара Цеткин, « Из Записной Книги», Москва, 1955, გვ. 4.

24. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. VIII, 1928.
25. ჟურნალი „კვალი“, #1718, 1895,
26. ჟურნალი „ცისკარი“, სექტემბერი, 1861, გვ. 55-68
27. ჟურნალი „ცისკარი“, 1861, სექტემბერი, გვ. 55-68
28. ჟურნალი „კვალი“, N16, 1893.
29. ჟურნალი „კვალი“, #17, 1895.
30. გაზეთი „დროება“, N1, 1970.
31. ჟურნალი „გრდემლი“, 1912
32. გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, N32, 1918.

Suffragism and Prominent public Figures of the XIX-XX Centuries

Lela Buskhrikidze, PhD student
Georgian Technical University

Irakli Kalandia, professor
Georgian Technical University

Summary

In conclusion, it can be said that in countries around the world, including Georgia, in the near future, women will become more actively involved in socio-political processes, thus becoming more political leaders and civil servants. If we take into account the world trends and the current democratic processes in our society, it is especially important that women in Georgia are ready to participate in the governance of the state and make decisions in all spheres of social, economic, political, cultural life. When asked what should be done to protect women's rights at the legislative level, as a result of studying the scientific literature, I saw the evolution of women in the XIX - XXI centuries, and it turned out that until the beginning of the XIX century women could not choose their own position in society.

The first precondition for changing the status of women appeared in the 19th century. In the twentieth century, women are actively fighting for their rights. In modern society, women have the right to choose their role in society. A woman can become a politician, a scientist, homemakers etc. This certainly intended to influence the policies of states to ensure the full and full participation of women in all spheres of life.

It aims to influence state policy to ensure women's rights and full participation in all spheres of life. Through the full realization of human potential through sustainable development, it has been proven that the involvement of women in society ensures productivity and economic growth. The role of a woman has never been easier.

Against the background of men's public life, the history of their struggle for their rights is an integral part of the history of social humanity. Over the past decade, the women’s movement has become the subject of public debate and scientific research. The feminist worldview is an essential component of the democratic worldview for most people in today's countries.

Democracy requires the equal participation of women and men in the political decision-making process in order to take into account the interests of the representatives of both sexes. "Country Development, Prosperity and Peace" requires the equal involvement of women in all areas.

Women's participation in decision-making is a prerequisite for the development of laws and policies in the state that protect the economic, social and cultural rights and interests of women. In order to have a real impact on political life, women need to reach a critical level of decision-making.

The history of feminism begins in the Enlightenment, which created a new image in the world where the princi-

ples of equality and human freedom play an important role, as well as the belief in the implementation of various rational social projects. The development of capitalism in Europe, the Industrial Revolution, which led to the inclusion of women in social production and the adoption of a liberal-democratic ideology, were among the most important preconditions for the formation of feminism. The political movement and doctrine that has taken root in Western Europe and the United States. It aims at equal rights for women and men and serves the protection of women's rights.

The history of feminism begins in the Enlightenment, which created a new image in the world where the principles of equality and human freedom play an important role, as well as the belief in the implementation of various rational social projects. The development of capitalism in Europe, the Industrial Revolution, which led to the inclusion of women in social production and the adoption of a liberal-democratic ideology, were among the most important preconditions for the formation of feminism. The political movement and doctrine that has taken root in Western Europe and the United States. It aims at equal rights for women and men and serves the protection of women's rights.

When talking about feminism and the women's movement, we must take into account the diversity and complexity of feminism as an ideology or philosophy, its important variants. The women's rights movement dates back to the 19th century. The theme of equality between women and men dates back to the Enlightenment and the eighteenth-century French Revolution, in particular the liberal conception of human natural rights and freedoms. The concept first appeared in the main document of the French Revolution, the Declaration of the Rights of Man and of the Citizen (1789). Women expressed a desire to be actively involved in public life. However, after the publication of the declaration, it became clear that their rights - the right to vote in elections, the right to own property and more was not carried out against them. Only an educated woman can still produce a decent offspring /culture.

Therefore, Mary Wollstonecraft pointed out the path from the recognition of equal rights to equal rights. Her work and critique of prevailing norms have made it possible for women to be educated and given access to the fields of knowledge and thinking. The researcher of her own era understood best that without achieving economic independence, women could not establish their own positions either at home or in society. The possession of knowledge, property and possessions was the beginning of care for them to perform their function well. "If men were to free us from the shackles of slavery, they would agree to rational cooperation instead of slavery, then they would be more attentive daughters, more loving sisters, more devoted, wiser mothers - in short, better citizens,".

Thus, the status of women has become even more important over time, it has other values and needs that force us to reconsider changing our views and make the role of women more relevant in today’s world.

In conclusion, it can be said that in countries around the world, including Georgia, of course, women will be more and more actively involved in socio-political processes in the near future, becoming more and more political leaders and civil servants. If we take into account the world trends and the current democratic processes in our society, it is especially important that women in Georgia are ready to participate in the governance of the state and make decisions in all spheres of social, economic, political, cultural life.

When asked what should be done to protect women's rights at the legislative level, as a result of studying the scientific literature, I saw the evolution of women in the XIX - XXI centuries, and it turned out that until the beginning of the XIX century women could not choose their own position in society. The first precondition for changing the status of women appeared in the 19th century.

Thus, the status of women has become even more important over time, it has other values and needs that force us to reconsider changing our views and make the role of women more relevant in today’s world.

არასრულწლოვანთა დელიქვენტური ქცევის ამხსნელი თეორიები

სოფიო მამესწარაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მოზარდების დანაშაულებრივი ქცევის მიზეზების დადგენას არაერთი თეორია ცდილობს. სხვადასხვა თეორიული პერსპექტივიდან საკითხის დასმა განხილვა და გაანალიზება, საკითხის მრავალმხრივი შესწავლის და ღირებული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მოზარდობა საშუალოდ 12-დან 18/21-წლამდე გრძელდება. აღნიშნული პერიოდი ქცევითი პრობლემების გამოვლენის თვალსაზრისით, პიროვნების განვითარებაში ერთ-ერთი ყველაზე სენზიტიური, შეიძლება ითქვას გარდამტეხი ეტა-პია. გამომდინარე იქედან, რომ თავად ასაკი წარმოადგენს პრობლემური ქცევის რისკ-ფაქტორს, სირთულეს წარმოადგენს მოზარდისთვის ტიპური პრობლემური და კანონსაწინააღმდეგო ქცევის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. პრობლემური ქცევა სოციალურად განისაზღვრება, როგორც პრობლემური, და თავის თავში საზოგადოებრივი ან/და ლეგალური ნორმებისაგან გადახვევას გულისხმობს (Jessor, 1989).

მოზარდების დელიქვენტური ქცევის ამხსნელი თეორიები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: **ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური თეორიები. ბიოლოგიური თეორიის წარმომადგენლებს** დანაშაული გამოჰყავთ მოზარდთა ანტროპოლოგიური, ფიზიოლოგიური თავისებურებებიდან. **ფსიქოლოგიური თეორიები,** დანაშაულებრივი ქცევის მიზეზებს უპირატესად ხედავენ პიროვნულ თავისებურებებში. **სოციოლოგიური თეორიის** წარმომადგენლები კი, დანაშაულებრივ ქცევას გარემოს ფაქტორთა გავლენას მიაწერენ.

აღნიშნული თეორიების ერთობლიობა საინტერესო ჩარჩოს ქმნიან დანაშაულის მაპროვოცირებელი ფაქტორების გამოვლენის, შესწავლის და ანალიზის კუთხით. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში არასრულწლოვნების მხრიდან ჩადენილი დანაშაულებრივი ქცევა, ძირითადად განიხილება როგორც დამოუკიდებელი პრობლემა და არა როგორც კომპლექსური, მულტიფაქტორული პრობლემა. სწორედ ამ ასაკ-ში ნორმის განსხვავებული ტიპოლოგიური ვარიანტები - „ხასიათის აქცენტუაციები“ განსაკუთრებული სიმკვეთრით იჩენს თავს, რადგანაც ხასიათის თავისებურებები ჯერ კიდევ არ არის გაწონსწორებული და დაბალანსებული ცხოვრებისეული გამოცდილებით. აქცენტუაციის ტიპი მიუთითებს ე. წ. „სუსტ ადგილებს“ ხასიათის სტრუქტურაში და შესაბამისად, საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას ქცევის დეზადაპტაციის განმაპირობებელი ფაქტორები, და ჩატარდეს შესაბამისი საპროფილაქტიკო ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: დელიკვენტური ქცევა. ბიოლოგიური თეორიები. სოციალური თეორიები. ფსიქოლოგიური თეორიები.

შესავალი

დელიქვენტური ქცევა შეიძლება იყოს მოზარდის ნორმალური განვითარების თანმხმლები მოვლენა ან კრიმინალური ქცევის მდგრადი პატერნის ჩამოყალიბების დასაწყისი. მოზარდის მიერ გამოვლენილი ქცევა, რომელიც არაკონფორმულია აღიარებულ სოციალურ ღირებულებებთან და ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, არის ზრდისა და მომწიფების პროცესის ნაწილი. უმრავლეს შემთხვევაში, ამგვარ ქცევები სპონტანურად ქრება მოწიფულობის დადგომასთან ერთად (The United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency, The Riyadh Guidelines). სამეცნიერო საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სამართალდარღვევათა რაოდენობის მიხედვით, არასრულწლოვნები საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია.

ძირითადი ნაწილი

არასრულწოვნებში გავრცელებული დელიქვენტური ქცევის ახსნას ვეცდებით სამი თეორიული პერსპექტივიდან. თითოეულს თავის ღირებულება აქვს და საკითხისადმი საინტერესო ხედვით გამოირჩევა. **ბიოლოგიური** თეორიებიდან

შეგვიძლია განვიხილოთ იტალიელი ფსიქიატრის ჩეზარე ლომბროზოს შრომები. ლომბროზოს აზრით არსებობს ე.წ. „დაბადებული დამნაშავედ“, რომელსაც გამოარჩევს სპეციფიკური, მისთვის დამახასიათებელი ანთროპოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური თვისებები. „დამნაშავედ დაბადებულის“ ტიპის გარდა ლომბროზომ გამოყო აგრეთვე „ჩვეულებრივი დამნაშავე“, „შემთხვევით დამნაშავე“ და „ვნებას აყოლილი დამნაშავე“.

საყურადღებოა ფსიქოლოგების ვ.შელდონის და ა.გლუეკის თეორია. მათი აზრით ადამიანის ქცევას განაპირობებს მრავალი ფაქტორი და მხოლოდ მათ თანხვედრას შეუძლია გამოიწვიოს დანაშაულებრივი ქცევა. ეს ავტორები ხაზს უსვამენ აგრეთვე ბიოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობას ანუ იმას, რომ დანაშაულებრივ ქცევას განაპირობებს ადამიანის ფიზიკური კონსტიტუცია: დელინქვენტებს შორის გაცილებით მეტია ათლეტური, კუნთური ტიპის მოზარდი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დელინკვენტობის გენეტიკური თეორია საბოლოოდ დადასტურებული არ არის. დამნაშავეობის ბუნებრივი საფუძვლების დამტკიცება ელექტროენცეფალოგრაფიის მეშვეობითაც იყო ნაცადი. დადგინდა კავშირი დამნაშავეთა ტვინის ტალღების რიტმების დარღვევასა და გარკვეული სახის დელინკვენტურ ქცევას შორის. თავის ტვინის ქერქის გარკვეული უბნების განუვითარებლობის გამო დელინქვენტები არ განიცდიან შიშის გრძნობას, რის გამოც სახიფათო სტიმულზე ადეკვატურად არ რეაგირებენ. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის ბიოლოგიური მიზეზების ძიება ამჟამადაც გრძელდება.

არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის ახსნა ნაცადია **სოციობიოლოგიურ** მიდგომაში, სადაც ძირითადად იკვლევენ დელინკვენტურობის კავშირს ინტელექტუალურ თავისებურებებთან, სწავლის არასათანადო უნარიანობასა და გონებრივ ჩამოჩენილობასთან.

ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორთა ურთიერთქმედება ასახულია დელინკვენტობის თეორიაში, რომლის ავტორია ჰირში. ჰირში ვარაუდობს, რომ გონებრივი უნარები ნაწილობრივ გენეტიკური არხებით გადაიცემა და თანდაყოლილი არასრულფასოვნების გამო „ცუდი მოსწავლეები“ ვერ ითვისებენ სასწავლო მასალას, მუდმივად განიცდიან დისკომფორტს და ხშირად კონფლიქტურ სიტუაციებში ხვდებიან. ეს ყოველივე უბიძგებს მათ ეძიონ ახალი გარემო, რომელშიც ისინი შეძლებენ თავისი ძირეული მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ. ასოციალური მიმართულების ჯგუფებში ჩაბმით ისინი იბრუნებენ ღირსების გრძნობას დელინკვენტური ქცევის მეშვეობით.

დანაშაულებრივი ქცევის **ფსიქოლოგიური თეორიებში** ასოციალური ქცევის მიზეზები დანახულია თვითონ ინდივიდში. ფროიდი დელინკვენციას არაცნობიერი აგრესიულობით ხსნიდა. კერძოდ, დელინკვენტურობის არსებითი ნიშანია არასათანადოდ განვითარებული სუპერეგო. ამის მიზეზია: აღზრდაში დაშვებული შეცდომები, რაც ბავშვის ზე-მეურვეობაში ან პირიქით, მის მიმართ სრულ უყურადღებობაში ვლინდება, კრიმინალური ოჯახური გარემო, ოჯახის სტრუქტურული მთლიანობის დარღვევა და, აგრეთვე, ოჯახში სიყვარულის დეფიციტი. თავისი ცუდი ყოფაქცევით ბავშვი ცდილობს დაიბრუნოს ან მოიპოვოს მშობლების ყურადღება და სიყვარული.

ნეოფროიდეიანელები დელინკვენციას პიროვნების შინაგან კომფლიქტებს, მის ემოციურ პრობლემებს უკავშირებენ. ამასთან, თვლიან, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის ერთ-ერთი სიღრმისეული მოტივი - შფოთვისგან თავდაცვაა.

აღსანიშნავია, რომ ფროიდი, რომელიც იკვლევდა დელინკვენტური ქცევის სხვადასხვა ფორმებს, დელინკვენტებთან ფსიქოანალიზის მეთოდის გამოყენებას ეჭვის თვალით უყურებდა.

ბიჰევიორისტები ცდილობენ ნებისმიერი ქცევა ან პიროვნული ნიშანი ახსნან ფორმულით „სტიმული-რეაქცია“ ანუ მიაჩნიათ, რომ ინდივიდი ყოველგვარ ქცევას, მათ შორის ასოციალურს, დასწავლით იძენს. საგულისხმოა ჰ.აიზენკის შეხედულებები, რომელსაც დელინკვენციის თეორიაში შემოჰყავს ისეთი ცნებები, როგორიცაა ნეიროტიზმი, ექსტავერსია, ინტრავერსია, სინდისი. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ის შფოთვისა და შიშის ემოციებს. ბიჰევიორისტები დიდ როლს ანიჭებენ დელინქვენტურ ქცევაში (განსაკუთრებით აგრესიულში) ფრუსტრაციას.

აღსანიშნავია საკითხის კვლევა განვითარების და ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში. ჟ. პიაჟე დელინკვენციის მიზეზს ზნეობრივი ცნობიერების განუვითარებლობაში ხედავდა. მორალი შედგება კონკრეტული პრაქტიკული წესებისგან, ხოლო

აღზრდის ამოცანა ამ წესების ბავშვისთვის გადაცემაა. რაოდენ წარმატებით შესრულდება ეს ამოცანა, ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზეა დამოკიდებული.

ჰუმანისტური მიმართულების ფსიქოლოგები დელინკვენტურ ქცევას ხსნიან იმით, რომ ბავშვობაში სათანადოდ ვერ მოხდა ფუნდამენტურ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. თუ ბავშვი სახლში თავს დაცულად ვერ გრძნობდა, მოკლებული იყო მშობელთა ზრუნვას, პატივისცემას და სიყვარულს - თვითაქტუალიზაციის ნაცვლად მისი ყურადღება ფოკუსირდება სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. თვითშენარჩუნების ერთ-ერთი ჰიპერტროფირებული ფორმა შეიძლება იყოს აგრესია და დელინკვენცია.

დიდი ხანია ბატონობს აზრი, რომ სამართალდამრღვევთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელია სხვადასხვაგვარი ფსიქიკური ანომალია, რაც ასოციალური ქცევის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ჩატარდა კვლევები რა გავლენას ახდენს დელინკვენტურ ქცევაზე გონებრივი ჩამორჩენილობა (ოლიგოფრენია) სხვადასხვაგვარი ფსიქიკური დაავადება, ფსიქიკური განვითარების დარღვევევბი (ფსიქოპათია) და, აგრეთვე, ინტელექტუალური განვითარების დაბალი დონე.

აშშ-ში მრავალრიცხოვანი კვლევებით გამოყოფილია დელინკვენტი მოზარდების 3 ჯგუფი: სუბკულტურული დელინკვენტები, სოციოპათები და დელინკვენტი-ნევროტიკები. სუბკულტურული დევიანტების არსებითი თავისებურებაა ის, რომ ისინი არ სცნობენ რაიმე შეზღუდვებს და ავტორიტეტებს, ახდენენ ფიზიკური ძალის კულტივირებას, ეძლევიან ფანტაზიებს, ეძებენ გართობას, ეამაყებათ თავისი კრიმინალური ცხოვრებისეული გამოცდილება. სოციოპათების დანაშაულებრივი ქცევა განპირობებულია მატრავმირებელი ოჯახური ატმოსფეროთი. მათთვის უცხოა დანაშაულის გრძნობა, შფოთვა და, გარკვეული აზრით, მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენენ ირგვლივ მყოფებზე. დელინკვენტ-ნევროტიკებისთვის (რომლებსაც „მოუსვენარ დელინკვნტებს“ უწოდებენ) დამახასიათებელია ღრმა შინაგანი კონფლიქტურობა. ბოროტმოქმედების ჩადენისას ისინი სინდისის ძლიერ ქენჯნას განიცდიან. დანაშაულს, როგორც წესი, სჩადიან მარტო.

დასკვნა

არასრულწლოვნებში დელიქვენტური ქცევითი გამოხატულებების ახსნა საკმაოდ რთულუ, კომპლექსური საკითხია. ანტისოციალური ქცევა ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს, კერძოდ, სოციალური ნორმების მრავალჯერ დარღვევას, სხვისი უფლებების უგულვებელყოფას, ტყუილს, თაღლითობასა ქურდობას და ა.შ. რა საფუძველი აქვს თითოეულ ამ ქცევას, რა ფორმით, სიხშირით და ინტენსივობით გამოვლინდება ამის განსაზღვრა დიდ მნიშვნელოვნებას ატარებს..

გამოყენებული ლიტერატურა

1. Александров А.А. Типология делинквентного поведения при психопатиях и акцентуациях характера // Нарушение поведения у детей и подростков.- М., 1981.- С.51-59.
2. Берне Р . Развитие Я концепции и воспитание.- М.: Изд-во Прогресс, 1986.- 422 с.
3. Бытко Ю.М., Лан А.С. Девиантное поведение подростков // Социалогические исследования. 1988.- № 4.- С.77-79.
4. Валицкас Г.В. Самооценка у несовершеннолетних правонарушителей, ее формирование и роль в поведении: Автореф. дисс. . канд.психол.наук.- М., 1987.- 22 с.
5. Валицкае Г.В., Гиппенрейтер Ю.Б. Самооценка у несовершеннолетних правонарушителей)/ Вопросы психологии. 1988.1. I.- С.45-54.
6. Гобечия В.Ф. Психологические факторы поведения несовершеннолетних правонарушителей.- Тбилиси: Изд-во Мецниереба, 1979.- 84 с.
7. Hirschi T.,.Hindelang M. 1977, Intelligence and Delinquency Arevisionist Revie // American Sociological Rewiav.

Explanatory theories of juvenile juvenile delinquency

Sopio Mamestsarashvili, PhD student
Georgian Techniqal University

Summary

Numerous theories attempt to determine the causes of juvenile delinquency. Asking and analyzing a question from different theoretical perspectives allows for a multifaceted study of the issue and the making of valuable conclusions. Adolescence lasts an average of 12 to 18/21 years. This period is one of the most sensitive, in terms of behavioral problems, it can be said to be a turning point in the development of a person.

Because age itself is a risk factor for problem behaviors, it is difficult for adolescents to distinguish between typical problem behaviors and illegal behaviors. Problematic behavior is socially defined as problematic, and in itself implies a departure from societal and / or legal norms (Jessor, 1989).

Theories explaining delinquent behavior in adults can be divided into three groups: biological, psychological, and sociological theories. Representatives of biological theory derive guilt from the anthropological, physiological features of adults. Psychological theories see the causes of criminal behavior predominantly in personal characteristics. Representatives of sociological theory attribute criminal behavior to the influence of environmental factors.

It has long been thought that the majority of offenders are characterized by a variety of mental anomalies, which is a major cause of antisocial behavior. Studies have been conducted on the effects of delinquent behavior on mental retardation, various mental illnesses, mental development disorders (psychopathy) and also low levels of intellectual development.

The combination of these theories provides an interesting framework for identifying, studying and analyzing the factors that provoke crime. In the psychological literature, juvenile delinquency is generally seen as an independent problem

And not as a complex, multifactorial problem. It is at this age that the different typological variants of the norm - "character accents" appear with particular sharpness, because the character traits are not yet balanced and balanced in life.

By experience. The type of accent indicates the so-called. "Weaknesses" in the structure of the character and, consequently, allow to take into account the factors determining the maladaptation of behavior, and to carry out appropriate preventive measures.

key words: Delinquent behavior. Biological theories. Social theories. Psychological theories.

მოზარდთა დევიანტური ქცევა როგორც სოციალური პრობლემა

კახი კოპალიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ სილაგავა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მოზარდთა დევიანტური ქცევა, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული სოციალური მოვლენაა, რომელიც ნებისმიერ საზოგადოებრივ წყობილებაში არსებობდა და დღესაც არსებობს. ტერმინი მოზარდი მოიაზრებს 10-11-დან 15-16 წლამდე პირს და იგი უმცროსი და უფროსი მოზარდობის პერიოდებად შეიძლება დაიყოს. უმცროსი მოზარდობის პერიოდი მოიცავს ასაკს 10-11 დან 14 წლამდე, ხოლო უფროსი მოზარდობის პერიოდი კი 14 დან 16 წლამდე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1989 წელს (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 21 აპრილიდან) მიღებული ბავშვის უფლებების კონვენციის მიზნებისათვის ,,ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას''. შესაბამისად, როდესაც ჩვენ ვიყენებთ ტერმინებს: ,,მოზარდები'', ,,არასრულწლოვნები'', ვგულისხმობთ ბავშვებს.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოზარდთა დევიანტური ქცევა, მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული, როგორც მასობრივი და სოციალური მოვლენა ეხება არა მხოლოდ კონკრეტული მოზარდს ან მის ოჯახს, არამედ ეს მთელი საზოგადოების პრობლემაა.

ძალადობის, როგორც პრობლემის გადაჭრა კი იწყება, ამ პრობლემის აღიარებით. სწორედ ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან სწორი და ეფექტური პრევენციული ღონისძიებების დროული გატარება. ეს კი კომპლექსური რეფორმების გატარების გარეშე ვერ განხორციელდება. უკანასკნელი წლების განმავლობაში მკვეთრად დგას მოზარდთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების და არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემა, რის გამოც თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ დანაშაულის ჩამდენ პირთა ასაკი გაახალგაზრდავდა.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული მზარდია, ამას ვერც სახელმწიფო უწყებები უარყოფენ. საზოგადოების რეაქცია კი, ამ საკითხზე არაერთგვაროვანია. საზოგადოების დიდი ნაწილი სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს იწუნებს, ნაწილი კი, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ერთადერთ გამოსავალს კანონის გამკაცრებაში ხედავს. დანაშაულის პრევენცია ცალსახად უნდა განხორციელდეს სამ დონეზე:

1. იმ ბავშვებისთვის, რომელთაც აქამდე არ ჰქონიათ კანონთან პრობლემები;

2. იმ ბავშვებისთვის, რომლებთანაც შეინიშნება რისკ-ფაქტორები იმისა, რომ მომავალში სავარაუდოდ შეექმნებათ კანონთან პრობლემები და

3. იმ ბავშვებისათვის, რომელთაც უკვე გამოსცადეს საკუთარ თავზე ასეთი რამ და არსებობს განმეორების (რეციდივის) რეალური საფრთხე. აღსანიშნავია რომ პრევენცია კომპლექსური საკითხია და სწორედ ასეთივე კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს, რა ეტაპზე რა ტიპის ჩარევაა საჭირო, როგორც სკოლაში, ისე ოჯახში და ა.შ. დამნაშავეებად არ იბადებიან, დამნაშავეებად ყალიბდებიან, რასაც არაერთი გარემოება უწყობს ხელს.

მოზარდთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენციის პოლიტიკის განხორციელება კვლევას და ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს, მათ შორის დანაშაულისა და დელინქვენტური ქცევის გამომწვევი ფაქტორების შესწავლას და არსებული შედეგების ანალიზს.

როდესაც ვსაუბრობთ მოზარდთა დევიანტურ ქცევაზე, კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ საქმე გვაქვს პრობლემური ქცევის მქონე ბავშვებთან, რაც განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს. ჩარლზ რაიტ მილზის თანახმად, ინდივიდისა და საზოგადოების ცხოვრებისეული ისტორიის

მსვლელობის გაგება ცალ-ცალკე, მათი ერთად გააზრების გარეშე შეუძლებელია". დიახ, ერთიანი მიდგომა,სხვადასხვაინსტიტუტებისა(ოჯახი,სკოლა) და უწყებების (სამთავრობო/ არასამთავრობო) მჭიდრო კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა უმნიშვნელოვანესია პრევენციული პოლიტიკის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესში .

თანამედროვე საზოგადოების მრავალრიცხოვანმა პრობლემებმა ხელი შეუწყო და დიდი გავლენა იქონია მოზარდებში მართლსაწინააღმდეგო ქცევის პროვოცირებაზე, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ, როგორც სოციალურად ისე ეკონომიურად საზოგადოების ყველაზე სენსიტიურ ფენას.

ცუდმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, მშობლების გულგრილმა დამოკიდებულებამ, არასრულფასოვნების განცდამ, არასაკმარისმა ყურადღებამ, და სხვა მრავალმა მიზეზმა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ტიპის ფსიქოლოგიური პრობლემები ბავშვებსა და მოზარდებში. მაგალითად, დეპრესია, შიშები და კომპლექსები, ჭარბი აგრესია და ა.შ. რაც თავის მხრივ შეიძლება გახდეს არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელი. ასევე საყურადღებოა ზრდასრულების მხრიდან მოზარდების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ჩათრევის საკითხიც, რაც საკმაოდ რთულად გადასაჭრელი პრობლემაა.

ყველაზე დიდ პრობლემას კი წარმოადგენს მოზარდებისადმი, როგორც პიროვნებებისადმი ინდივიდუალური, თანასწორი მიდგომის კუთხით არსებული ხარვეზები, მათი სოციალური განვითარების, განათლების, აღზრდის პროცესში დაშვებული შეცდომების გაანალიზებისა და გამოსწორების საშუალებების დეფიციტი. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და პედაგოგებთან.

საკვანძო სიტყვები: დევიაცია, დანაშაული, აგრესია, კვალიფიკაცია, პრევენცია.

შესავალი

ვიდრე უშუალოდ მოზარდთა დევიანტურ ქცევაზე და ამ პრობლემის მნიშვნელობაზე დავიწყებთ საუბარს, აუცილებელია აღვნიშნოთ თუ რა არის დევიაცია. დევიაცია არის ნორმიდან გადახრა, ხოლო დევიანტური ქცევა ისეთი ქმედებების ერთობლიობაა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ და დამკვიდრებულ სამართლებრივ თუ მორალურ ნორმებს. საიდან იღებს სათავეს ასეთი ქცევა, როგორ ხდება მისი ჩამოყალიბება და გამოვლინება, რა პრევენციული ღონისძიებების გატარებაა საჭირო ამ პრობლემის მოსაგვარებლად, სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა წარმოადგენს მთავარ ამოცანას ამ სოციალური პრობლემის მოგვარების პროცესში. პრობლემის მოგვარება იწყება პრობლემის აღიარებით.

ძირითადი ნაწილი

პრობლემა ნამდვილად გვაქვს და ეს არის კონფლიქტები სასკოლო სივრცეში, რაც იწვევს აგრესიას, აგრესია კი ხშირ შემთხვევაში გადაიზრდება ძალადობაში, მოსწავლე, სასკოლო საზოგადოება, თემი, ოჯახი, საკმარისად არ არის ინფორმირებული ძალადობის ფორმებისა და არსის შესახებ, ბავშვის აღზრდის მეთოდების, ბავშვთა უფლებების შესახებ.

მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცის როგორ მოიქცეს, როცა მათზე, მათ მეგობარზე ძალადობენ. ისინი ხშირ შემთხვევაში მალავენ ძალადობასა და მოძალადეების ვინაობას, დასახმარებლად არავის მიმართავენ, რადგან ფიქრობენ, რომ კონფლიქტი შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს და ეგუებიან არსებულ ძალადობას.

როდესაც ვამბობთ ,,მოზარდები'', ,,არასრულწლოვნები'', ვგულისხმობთ ბავშვებს.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოზარდთა დევიანტური ქცევა, მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული, როგორც მასობრივი და სოციალური მოვლენა ეხება არა მხოლოდ კონკრეტული მოზარდს ან მის ოჯახს, არამედ ეს მთელი საზოგადოების პრობლემაა.

ძალადობის, როგორც პრობლემის გადაჭრა კი იწყება, ამ პრობლემის აღიარებით. სწორედ ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან სწორი და ეფექტური პრევენციული ღონისძიებების დროული გატარება. ეს კი კომპლექსური რეფორმების გატარების გარეშე ვერ განხორციელდება. უკანასკნელი წლების განმავლობაში მკვეთრად დგას მოზარდთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების და არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემა, რის გამოც თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ დანაშაულის ჩამდენ პირთა ასაკი გაახალგაზრდავდა.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული მზარდია, ამას ვერც სახელმწიფო უწყებები უარყოფენ. საზოგადოების რეაქცია კი, ამ საკითხზე არაერთგვაროვანია. საზოგადოების დიდი ნაწილი სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს იწუნებს, ნაწილი კი, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ერთადერთ გამოსავალს კანონის გამკაცრებაში ხედავს. დანაშაულის პრევენცია ცალსახად უნდა განხორციელდეს სამ დონეზე:

1. იმ ბავშვებისთვის, რომელთაც აქამდე არ ჰქონიათ კანონთან პრობლემები;

2. იმ ბავშვებისთვის, რომლებთანაც შეინიშნება რისკ-ფაქტორები იმისა, რომ მომავალში სავარაუდოდ შეექმნებათ კანონთან პრობლემები.

3. იმ ბავშვებისათვის, რომელთაც უკვე გამოსცადეს საკუთარ თავზე ასეთი რამ და არსებობს განმეორების (რეციდივის) რეალური საფრთხე. აღსანიშნავია რომ პრევენცია კომპლექსური საკითხია და სწორედ ასეთივე კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს, რა ეტაპზე რა ტიპის ჩარევაა საჭირო, როგორც სკოლაში, ისე ოჯახში და ა.შ. დამნაშავეებად არ იბადებიან, დამნაშავეებად ყალიბდებიან, რასაც არაერთი გარემოება უწყობს ხელს.

მოზარდთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენციის პოლიტიკის განხორციელება კვლევას და ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს, მათ შორის დანაშაულისა და დელინქვენტური ქცევის გამომწვევი ფაქტორების შესწავლას და არსებული შედეგების ანალიზს.

როდესაც ვსაუბრობთ მოზარდთა დევიანტურ ქცევაზე, კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ საქმე გვაქვს პრობლემური ქცევის მქონე ბავშვებთან, რაც განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს. ჩარლზ რაიტ მილზის თანახმად, ინდივიდისა და საზოგადოების ცხოვრებისეული ისტორიის მსვლელობის გაგება ცალ-ცალკე, მათი ერთად გააზრების გარეშე შეუძლებელია". დიახ, ერთიანი მიდგომა, სხვადასხვა ინსტიტუტებისა (ოჯახი, სკოლა) და უწყებების (სამთავრობო/ არასამთავრობო) მჭიდრო კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა უმნიშვნელოვანესია პრევენციული პოლიტიკის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესში .

თანამედროვე საზოგადოების მრავალრიცხოვანმა პრობლემებმა ხელი შეუწყო და დიდი გავლენა იქონია მოზარდებში მართლსაწინააღმდეგო ქცევის პროვოცირებაზე, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ, როგორც სოციალურად ისე ეკონომიურად საზოგადოების ყველაზე სენსიტიურ ფენას.

ცუდმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, მშობლების გულგრილმა დამოკიდებულებამ, არასრულფასოვნების განცდამ, არასაკმარისმა ყურადღებამ, და სხვა მრავალმა მიზეზმა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ტიპის ფსიქოლოგიური პრობლემები ბავშვებსა და მოზარდებში. მაგალითად, დეპრესია, შიშები და კომპლექსები, ჭარბი აგრესია და ა.შ. რაც თავის მხრივ შეიძლება გახდეს არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელი. ასევე საყურადღებოა ზრდასრულების მხრიდან მოზარდების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ჩათრევის საკითხიც, რაც საკმაოდ რთულად გადასაჭრელი პრობლემაა.

ყველაზე დიდ პრობლემას კი წარმოადგენს მოზარდებისადმი, როგორც პიროვნებებისადმი ინდივიდუალური, თანასწორი მიდგომის კუთხით არსებული ხარვეზები, მათი სოციალური განვითარების, განათლების, აღზრდის პროცესში დაშვებული შეცდომების გაანალიზებისა და გამოსწორების საშუალებების დეფიციტი.

დასკვნა

კვლევების შედეგად, კონფლიქტების გამომწვევ ძირითად მიზეზად დასახელებულია სხვადასხვა ფაქტორები, საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს სასკოლო აღზრდის ხარვეზებსაც, ასევე მნიშვნელოვანია გულგრილობა და სოციალური გარემო, რომელიც პროცენტულად გენეტიკურ მემკვიდრეობასაც კი უსწრებს. მოცემულობიდან გამომდინარე დასკვნა ერთია, მოზარდის კონფლიქტების ძირითადი გამომწვევი მიზეზები უკავშირდება ოჯახსა და მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, სკოლასა და საზოგადოებას. საკმაოდ დიდი გამოწვევების წინაშე ვდგავართ, მასთან გამკლავება კი აუცილებელია თანამშრომლობითა და კომპლექსური მიდგომებით, ეს არის პრობლემა რომელმაც უნდა გააერთიანოს სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო უწყებები. თითოეულის მთავარი მიზანი უნდა იყოს პრევენცია და რემედიაცია განსაკუთრებით კი ახლა პანდემიით გამოწვეული პრობლემების უმტკივნეულოდ ასაცილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბატლერი ჯ., მაკმანუსი ფ., ფსიქოლოგია. თბილისი 2019 წელი.
2. მინაშვილი ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარი. თბილისი, 2017 წელი.
3. სსიპ ,, დანაშაულის პრევენციის ცენტრი''. განრიდებისა და მედიაციის სამმართველო. განრიდების პროგრამების ანგარიში. თბილისი, 2016 წელი;
4. მელიქიშვილი მ. ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია. თბილისი.2012 წელი.

Adolescent deviant behavior as a social problem

Kakhi Kopaliani, Associate Professor
Georgian Technical University

Tamar Silagava, PhD student
Georgian Technical University

Summary

Adolescent deviant behavior, including criminal acts, is a social phenomenon that exists in every social setting to date. Adolescence, as a term, refers to a period between the ages of 10-11 and 15-16 and it can be divided into periods of junior and senior adolescence. The period of junior adolescence includes the period between the age of 10-11 to 14 years, while the period of senior adolescence includes the period between the age of 14 to 16. In the scope of the United Nations Convention on the Rights of the Child, adopted by the United Nations in 1989 (in force in Georgia since 21 April 1994), "every person under the age of 18 shall be considered as a child unless the child reaches the age of adulthood under national law". Consequently, when we use the terms "adolescents" and "minors" we imply children.

It is crucial to understand that adolescent deviant behavior, unlawful acts, juvenile delinquency on a mass and social level, concern not only a particular adolescent or their family, rather the entire society.

Resolution of problems associated with violence begins by correctly recognizing the issue. Hence, the state must take relevant and effective preventive measures promptly. This requires complex reforms. In recent years, there has been a significant rise in the instances of juvenile delinquency, which allows us to discern that the perpetrators today are younger on average.

Juvenile delinquency is rising, which state agencies cannot deny. The public reaction to this issue is diverse. A considerable part of the society disapproves of the steps taken by the state, while others see the only solution to this problem in making the legislation stricter. Crime prevention should be explicitly implemented at three levels: 1. For the children who have not previously had a problem with the law; 2. For the children who are exposed to risk factors thus are likely to have problems with the law in the future; and 3. For the children who have already experienced such instances themselves and there is an actual risk of recurrence. It should be noted that prevention is a complex matter and requires a respectively complex approach.

It is necessary to clearly define the type of required intervention according to different stages, both at school and in the family. The adolescent perpetrators are not born as criminals, rather shaped so by numerous circumstances.

The implementation of a policy to prevent juvenile delinquency should rely on research and analysis, including the study of the causes of criminal and delinquent behavior and the analysis of existing findings.

While discussing adolescent deviant behavior, illegal actions, crimes committed by minors, we must stay conscious that we are dealing with children with problematic behavior, which requires particular diligence. According to Charles

Wright Mills, it is impossible to understand the course of life of an individual and society separately without understanding them together. A unified approach, close coordination, and exchange of information between different institutions (family, school) and agencies (governmental/non-governmental) are crucial for the prevention policy planning and implementation process.

Numerous problems of modern society contributed and had a great influence in provoking unlawful acts in adolescents, since they are the ones who represent socially and economically the most vulnerable class of our society.

Poor socio-economic situation, cold-hearted attitude of parents, feeling of inferiority, lack of attention and plenty of other reasons can cause different types of psychological problems in children and adolescents. For example, depression, fear, low self-esteem, excessive aggression, etc that in its turn can be provoking in committing a crime. The fact of adults getting the adolescents involved in criminal activities is a very hard problem to be solved that also needs to be paid attention at. But the greatest problem is caused by the errors done in terms of approaching adolescents as persons, the individuals, treating them as equal and the deficit in measures of analyzing and eliminating the errors done in social evolution, education and parenting.

This dissertation explores these issues in the scope of research conducted among various public school students, parents, and teachers.

Keywords: deviation, juvenile, , aggression, qualification, prevention.

ორგანიზაციებში მობინგის პრევენციისა და მინიმიზაციის ალგორითმი

მარინე ბერძენაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სამუშაო ადგილზე შევიწროების სახის - მობინგის პრევენციისა და მინიმიზაციის გზები, რომელიც ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე და ქართული ეროვნულ-კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით შევიმუშავეთ, ასევე, შემოთავაზებულია მეთოდოლოგიის ალგორითმი.

დასავლეთ ეროპული გამოცდილების შესწავლამ გვაჩვენა, რომ მობინგის აცილებისა და აღმოფხვრის მექანიზმის შესამუშავებლად საჭიროა, გათვალისწინებული იქნეს მობინგის წარმოშობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მიზეზები, ეროვნული მენტალიტეტის განსხვავებები.

სტატიაში აღნიშნულ დესტრუქციულ მოვლენასთან გასამკლავებლად მოწოდებულია რეკომენდაციები არა მხოლოდ ორგანიზაციების-თვის, არამედ მობინგში მონაწილეთათვის - სუბიექტებისა და ობიექტებისთვის.

მობინგი იარსებებს მანამ, სანამ ასპარეზი დაეთმობა. მისი მძიმე შედეგების პრევენცია და მინიმიზაცია მენეჯმენტის მხრიდან დროული გადაწყვეტილებების მიღებასა და მსხვერპლის ფსიქოლოგიურ დახმარებას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ინტერაქციის პროცესში წარმოქმნილი ყველა კონფლიქტის თავიდან აცილება შეუძლებელია, ამასთან ერთეულ კონსტრუქციულ კონფლიქტებს ნეგატიურ შედეგებთან ერთად აქვს პოზიტიური შედეგებიც, თუმცა მაღალ ორგანიზაციულ კულტურაზე მუთიეთებს სწორედ ის, თუ როგორ ხდება კონფლიქტების მოგვარება, გადაიზრდება თუ არა ესკალირებული კონფლიქტი მობინგში.

მობინგი ზიანს აყენებს არა მარტო დასაქმებულთა ფიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, არამედ ორგანიზაციის გამართულ საქმიანობაზეც ნეგატიურად აისახება. შრომა დასაქმებულთათვის არა მხოლოდ ხელფასის წყაროა, არამედ ადამიანის სოციალიზაციის პროცესია, მისი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის ასპარეზია, მისი თვითრეალიზების საშუალებაა. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამუშაო ადგილზე მობინგის მინიმიზაციის მეთოდოლიგიის დახვეწა და ქართულ ეროვნულ კულტურაზე მორგებული საპრევენციო ღონისძიებების შემუშავება. სტატია დახმარებას გაუწევს იმ ორგანიზაციების მენეჯერებს, რომლებიც ჯანსაღი სამუშაო ატმოსფეროს შექმნითა და, შესაბამისად, დასაქმებულთა შრომის მაღალი პროდუქტიულობით არიან დაინტერესებულნი.

საკვანძო სიტყვები: შევიწროება, მობინგი, პრევენცია, მინიმიზაცია, სამუშაო ატმოსფერო

შესავალი

მობინგი სამუშაო ადგილზე შევიწროების, ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომელიც დამანგრეველ გავლენას ახდენს როგორც დასაქმებულთა ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ასევე ნეგატიურად აისახება ორგანიზაციის გამართულ, წარმატებულ საქმიანობაზე.

მობინგის ცნების ქვეშ მოიაზრება სამუშაო ადგილზე ჯგუფური ან ინდივიდუალური დეტრუქციული ქცევა ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ, რომელიც ხანგრძლივად მიმდინარეობს და რეგულარულ ხასიათს ატარებს.

მობინგის პრევენცია და მინიმიზაცია გულისხმობს სტრატეგიული და ტაქტიკური მოქმედებების ერთობლიობას, რომელიც მიზანად ისახავს ორგანიზაციებში მობინგის თავიდან აცილებასა და უკვე გამოვლენილისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

მკვლევართა აზრით, ორგანიზაციებში ისეთი ბიუროკრატიული გარემოს შექმნა, რომელიც კულტურაში აქცენტირებული მიზნებითაა ნაკარნახევი, დასაქმებულებს მუშაობის პროცესში ტრანსცენდენტურობის განცდაში ეხმარება, ხელს უწყობს მათ დაკავშირებულობის გრძნობას სხვასთან და უზრუნველყოფს სიხარულის და სრულყოფილების განცდას (Giacalone and Jurkiewicz, 2003;)

ძირითადი ტექსტი

საქართველოს შრომით ორგანიზაციებში მობინგის კვლევისას გამოიკვეთა, რომ მიუხედავად შრომის კოდექსში შესული დამატებისა, რომელიც სამუშაო ადგილზე შევიწროებას კრძალავს და შესაბამის სანქციებს აწესებს, აღნიშნული პრობლემა კვლავაც არსებობს.

კვლევა სოციალური ქსელის „ფეისბუქის" მეშვეობით, Google-ის გამოკითხვის სისტემის საფუძველზე ონლაინ ჩავატარეთ. კითხვარი სხვადასხვა ჯგუფებში განვათავსეთ კვლევის ეთიკის სრული დაცვით. მას ანონიმურად, საკუთარი სურვილით უპასუხა 18-დან 70 წლამდე 537-მა ფეისბუქ მომხმარებელმა.

კითხვაზე, რა უწყობს ხელს ორგანიზაციაში მობინგის წარმოშობას და განვითარებას? გამოკითხულთა 23%-მა უპასუხა, რომ ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა, 49%-მა - არაჯანსაღი სამუშაო ატმოსფერო, 21%-მა - არაჯანსაღი კონკურენცია, 66%-მა - ნეპოტიზმი, 0,8%-მა - უსაქმურობა, 51%-მა ხელმძღვანელობის მხრიდან მობინგის უგულებელყოფა.

კითხვაზე, რა უნდა გაკეთდეს ორგანიზაციის მხრიდან მობინგის შესაჩერებლად, 11% მიიჩნევს, რომ ამისთვის საჭიროა კოლექტივს გუნდად შეკვრა; 47% ასახელებს შრომის სწორ ორგანიზებას, 59% - კარიერული ზრდის თანაბარი შესაძლებლობის არსებობას; 61% - ორგანიზაციაში მობინგით დაზარალებულთა დახმარების სამსახურის შექმნას; 53% - ნეპოტიზმის ფაქტების აღმოფხვრსა, 12%-ხელმძღავანელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას დაქვემდებარებულთა მიმართ, 17% - რეგულარულ მონიტორინგს ორგანიზაციაში მობინგ ფაქტების გამოსავლენად.

მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობისა და კვლევის შედეგების საფუძველზე შევიმუშავეთ მობინგის პრევენციისა დამინიმიზაციის ალგორითმი, რომელიც 3 კომპონენტისგან შედგება: პრევენციული ღონისძიებები, მობინგის რისკების ამოსაცნობი ღონისძიებები და პროაქტიული ღონისძიებები. კომპონენტების აფექტიანობა შეფასდება მონიტორინგის გზით.

პრევენციული ღონისძიებები:

ჯანსაღი სამუშაო ატმოსფეროს შექმნა, რაც ორგანიზაციაში თანამშრომლებისთვის თანასწორობის, გუნდურობის, სოლიდარობისა და კოლეგიალობის პრინციპის დამკვიდრებას გულისხმობს;

ორგანიზაციაში მობინგის თავიდან ასაცილებლად საჭირო დოკუმენტური ბაზის ფორმირება, რაც მობინგის ფაქტების შესახებ მიმართვის ფორმის შემუშავებას გულისხმობს;

სპეციალიზებული კადრის გამოყოფა პერსონალის მართვის შესაბამის ქვედანაყოფში, რომელსაც მობინგის შემთხვევაში მიმართავენ მობინგით დაზარალებულები ან მოწმეები. აღნიშნული კადრი, ასევე, უზრუნველყოფს მობინგის მონიტორინგს ორგანიზაციაში. ასეთი კადრის არსებობა, მართალია, გაზრდის ორგანიზაციის ხარჯებს, მაგრამ მისგან მიღებული სარგებელი ამ ხარჯებზე ბევრად მეტი იქნება იმის გათვალისწინებით, რომ მობინგი ორგანიზაციას ფინანსურად აზარალებს, ასევე ლახავს მის რეპუტაციასა და იმიჯს.

მობინგის რისკების ამოცნობა. მობინგის საპრევენციოდ წინაპირობების დონეზე, ჩვენი აზრით, ეფექტიანი იქნება სამსახურში ვაკანსიაზე მისაღები კანდიდატის შეფასება, აქვს თუ არა მსხვერპლის ან მობერის ნიშნები, ასევე კოლექტივის თავისებურებებთან კანდიდატის შესაბამისობის განსაზღვრა, სამუშაოდ აყვანილი კადრის ორგანიზაციასთან ადაპტაციის შეფასება.

პროაქტიული ღონისძიებები: კონფლიქტის მოგვარება მედიაციის ან სანქციის გზით; გამოყოფილი სპეციალიზებული კადრის ჩართვა პროცესში, რათა არ მოხდეს ერთეული კონფლიქტების მობინგად გარდაქმნა.

თითოეული კომპონენტის მონიტორინგი, სასურველია, ხორციელდებოდეს სპეციალიზებული კადრის მიერ, რადგან სწორედ მასთან მოიყრის თავს მობინგის საპრევენციო ყველა ეტაპის შესახებ ინფორმაცია, მობინგთან დაკავშირებით დასაქმებულთა მიმართვები. აღნიშნული კადრი შეიმუშავებს შრომითი კმაყოფილების კითხვარს და უზრუნველყოფს დასაქმებულთა გამოკითხვას ყოველწლიურად. ასევე, წლიური ანგარიშს წარუდგენს ორგანიზაციის ხელმძღვანელს კოლექტივში არსებულ მდგომარეობას პროფესიული, ინტერპერსონალური დესტრუქციული გამოვლინებების შესახებ, გააცნობს შრომითი ატმოსფეროს მონაცემებს. მობინგის გამოვლინებებთან დაკავშირებით ორგანიზაციის ხელმძღვანელი შესაბამის გადაწყვეტილებებს მასთან კონსულტაციის შემდეგ მიიღებს.



ნახაზი. მობინგისგან ორგანიზაციის დაცვის ალგორითმის სქემა

მობინგისგან ორგანიზაცის დაცვაში მნიშვნელობან როლს ორგანიზაციის მენეჯერი ასრულებს. კომპეტენტური ხელმძღვანელი უნდა ზრუნავდეს, რომ კოლექტივში კონსტრუქციული კომუნიკაციები დამკვიდრდეს, კონფლიქტები მაღალი ორგანიზაციული კულტურით გადაიჭარას, ხოლო მობინგად გარდაქმნის შემთხვევაში, მყისიერად მოგვარდეს. ორგანიზაციის მენეჯერთა მხრიდან მობინგთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი კლანური და „ძმაკაცური“ მიდ-გომების გამორიცხვა. ასევე მნიშვნელოვანია, ხელმძღვანელმა საშუალება არ მისცეს კოლექტივის შიგნით არაფორმალური დაჯგუფებების წარმოქმნას.

დასკვნა

შრომით ორგანიზაციაში მობინგის საპრევენციოდ და გასამკლავებლად, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ორგანიზაციული კულტურა იყოს არატოლერანტული ძალადობის ნებისმიერო ფორმის , მათ შორის, მობინგის მიმართ.

ჯანსაღი სამუშაო ატმოსფეროს შექმნა და კოლექტივის ერთ გუნდად ფორმირება, რომლის დროსაც ადგილი აღარ დარჩება კოლექტივში არაფორმალური, პოლარიზებული დაჯგუფებების წარმოქმნა, ხელს შეუწყობს როგორც ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობას, ასევე დასაქმებულთა ჯანმრთელობის შენარჩუნებას, შრომითი კმაყოფილების მიღწევას, რადგან შრომა არა მხოლოდ ხელფასის წყარო, არამედ ადამიანის სოციალიზაციის, მისი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის, თვითრეალიზების საშუალებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Workplace Violence https://www.osha.gov/workplace-violence
2. Christa Kolodej: Mobbing, Psychoterror am Arbeitsplatz und seine Bewältigung. Mit zahlreichen Fallbeispielen und Tipps für Betroffene, Führungskräfte und BeraterInnen. WUV, Wien 2005.
3. Leymann H. Mobbing and psychological terror at workplaces // Violence and Victims. 1990. N 5.
4. Steffgen, Georges; Sischka, Philipp; Schmidt, Alexander; Kohl, Diane; Happ, Christian (2016). "The Luxembourg Workplace Mobbing Scale". European Journal of Psychological Assessment. 35 (2): 164–171. doi:10.1027/1015-5759/a000381
5. Workplace Violence. https://www.osha.gov/workplace-violence
6. საქართველოს შრომის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=21

Prevention and minimization of mobbing in organizations

Marine Berdzenadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article discusses ways to prevent and minimize mobbing in the workplace, which we have developed on the basis of our research and taking into account Georgian national and cultural characteristics, and also provides an algorithm for the preventive methodology.

The study of Western European experience has shown that in order to develop a mechanism for preventing and eliminating mobbing, it is necessary to take into account the historical, ethnographic, legal, economic and sociocultural causes of mobbing, differences in national characteristics.

To combat this destructive phenomenon, the article gives recommendations not only for the organization, but also for the participants in mobbing - subjects and objects.

Mobbing will exist as long as it is given an arena. Prevention and minimization of its severe consequences requires timely decision-making on the part of management and the provision of psychological assistance to the victim. Of course, in organizations it is impossible to avoid all the conflicts that arise in the process of interaction. however, some conflicts have both negative and positive consequences. Organizational culture is indicated precisely by how conflicts are resolved, whether or not conflicts develop into mobbing.

Mobbing harms not only the physical and mental health of employees, but also negatively affects the efficiency of the organization. Therefore, we consider it important to improve the methodology for its minimization and develop preventive measures, taking into account the Georgian national culture. The article will help managers of organizations who are interested in creating a healthy working environment and strive to achieve high labor productivity.

Creating a healthy work environment is essential to maximizing the professional skills of staff. At the same time, work in an organization is not only a source of wages for employees, but also a process of socialization of a person, an arena for the disclosure of his creative potential, a means of his self-realization.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 15 ნაბეჭდ გვერდს, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: მარცხენა – 30 მმ, ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

აუცილებელია ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილ იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. უცხოურ ენაზე დაწერილი ნაშრომის ტექსტი იწყება რეზიუმეთი იმ ენაზე რა ენაზეც არის თვითონ ტექსტი.

ნაშრომის სტრუქტურა:

1. **სტატიის სათაური;**
2. **ავტორის/ავტორების სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.**
3. **რეზიუმე ქართულ ენაზე ან იმ ენაზე, რა ენაზეც არის სტატია (მინიმუმ 230 სიტყვა);**
4. **საკვანძო სიტყვები (მინიმუმ 4-5 სიტყვა);**
5. **შესავალი**
6. **ძირითადი ნაწილი**
7. **დასკვნა**
8. **ლიტერატურის ნუსხა.**
9. **რეზიუმე ინგლისურ ენაზე**

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს;
- გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი 6, სართული 8, ოთახი 805 ბ.
ტელ.: 599-557-993; E-mail: ganatleba2018@gmail.com.

ჟურნალი „განათლების“ ყველა ნომრის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:

https://gtu.ge/Journals/newsletters/

DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300